



№21 (206) 2004 წლის 11 თებერვალი
ცენა 60 თ

63



1168
2004

რეპორაჟი
უკრაინის მუსიკის
კვლევა

რამდენიმე წელიწადი
ქვეყნის განვითარება
კვლევა

თბილისის ფოტოგრაფიების ლექსი კაბა ივანიშვილი



მეგობარი
მოსკოვში
გათხოვდა...
ვინ არის
კობე გოგელია



თათული
დოლიძე და
ჟანკო ლოლაშვილი —
ჩვენ შეიძლება
რამე წამოგვხდეს

იდეალური
ქორეოგრაფია

გაგონიდა გაიხის ნოქარი

მაისი, 2004

ფასი 80 თეთრი

ქართული ქორეოგრაფია

მართლმადიდებლური ჟურნალი

მაისის თვეა:
**ღმერთი
სიყვარულია**



**ტექნიკური
პროგრესი
და ეკლესია**

**ეკუმენიზმი
ფარულად ანგრავს
პართლადიდაბლობას**

**ნაინდა ნიკოლოზი
მღვდელმთავრად
თვით უფალმა და
ყოვლადნაინდა
ღვთისმშობელმა
აქურთხეს**

*შურხალში სანუშპარიმ:
დაუჯდომელი
ღვთისმშობლის
სასწაულთმოქმედი ხატისა
„მსწრაფლმემსენელი“*

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ



მინიატურები	
„სამშობლოს არვის წავართმევთ“ ანუ „მუსკულაბი“ რესპუბლიკის მოვლანგე	3
პოლიტიკა	
არასამთავრობო სექტორი კრიზისშია – ვინ იკისრებს აღამიანის უფლებათა დაცვას?	4
ერთი კითხვა	5
ფატაქტორი	
ელენე თევდორაძე ბავშვობაში ღაბრუნდა – პირველი შეყვარებული ბელაქარანგე იცნო	7
საპატარალო	
„მოდისი მაღლი შუახნის კაცის, ღამირაძე და მენდა...“	10
სასიქო	
„მბირალა“ „სასიქო“ გიგა კვენეტაძე შეანკო გლუხის ქალს ეძებს	11
შეამონებთ თქვენი ცოდნა	
ტესტი ერუდიტობაზე	12
პირველი პაემანი	
„...ის ზოგო საწოლზე ჩამოვიჯდა და ტუჩებში მაკოსა“	13
კრიმინალი	
მესტიის პოლიციის თანამშრომელს, 26 წლის ახალგაზრდის მკვლელობაში აღიარებულ ბრალს	14
დეკლარანტები	
უფულო სახელმწიფო მინისტრი მოუსწავლობას უჩივის და... ორი წყვილი უხსნამედი სჭირდება	18
თემა	
რა უპირატესობა აქვთ უხსნამედი ქმრებს ქართველებთან შედარებით	20
ჯილდო	
ფესტივალის ბრან-პრი და სანქტ-პეტერბურგში განცდილი „მეშვიდე ბრანობა“	23
ანტიდეკლარანტი	
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოგა ღვალის უბის წიგნაკიდან	24
მსახიობი	
ქმრის კვირფასი საჩუქარი და რობერტ სტურუას მიერ მიძღვნილი დაუბიძყარი საღამო	24
გზავნილები	
„ორ ღამის ერთად რომ გააქვილები, მეშინ ხარ მაბარი...“	27
ჭკელი მსოფლიო	28, 29
გადი ქაჩისა	
კასი, რომელიც მუხას ეძებს	30

რა უპირატესობა აქვთ უხსნამედი ქმრებს ქართველებთან შედარებით?



მე წარმოშობით სვანი ვარ. ერთხელ, ჯოვიმ მკითხა – სვანეთში ცოლი როგორ მოჰყავთო? – ავუსენი, პირველად უარით გამოისტუმრებენ, მეორედ გალახავენ, შემდეგ შესაძლოა ქალი გააგანონ, შესაძლოა, არა-მეთქი. – ეს სიცილიამიც ასე ხდებაო, – მიპასუხა კმაყოფილმა...

20

უფულო სახელმწიფო მინისტრი ბავშვობაში რა... ორი წყვილი უხსნამედი სჭირდება

საქართველოს მოსახლეობის 80%-ს ეს თანხა ასტრონომიულად მიაჩნია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ თავზე ნამდვილად არ გადაგვდის. თანაც, მაფხული მოვიდა, როცა მთელი ოჯახი სადღაც დასასვენებლად უნდა წავიდეს...



18

„მბირალა“ „სასიქო“ გიგა კვენეტაძე შეანკო გლუხის ქალს ეძებს



ვიფიქრე – ვილაცამ „ჩამიშვა“... ამ კაცს ეზოში შევხვდი. ვიღრე ჩემამდე მოვიდოდა, ვგრძნობდი, როგორ მეკვეთებოდა მუხლები. რომ მომიახლოვდა, გული წამივიდა და წავიქეცი. ცოგა ხნის შემდეგ, თვალის რომ გავხილე, ეს კაცი მედგა თავზე. ისევ შევწუხდი...

11

ელენე თევდორაძე ბავშვობაში ღაბრუნდა – პირველი შეყვარებული ბელაქარანგე იცნო

როცა პოლიტიკოსი ხარ, მოგჯერ ისეთი რამის გაკეთება გიწევს, რაც ქალისათვის მიუღებელია, მაგრამ რას იზამ? – თუ პოლიტიკოსობა აირჩიე, მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქალი ხარ თუ მამაკაცი...



7

ქაზუსი	
კატის შვილობილი მგლის ლეკვი და პირველი ლეღის ბელი	32
ტაქარი	
რომელი საღვთისმსახურ ნივთები გამოიყენება სხვადასხვა ღვთისმსახურების დროს?	34
დღესასწაული	
ამაღლება	35
ახე უყვარტ საქართველოში	
სიდიდან გადასტომის მუხარით დაწყებული სიყვარული	36
„ვეროს“ ისტორიიდან	
მარცხი, რომელმაც ნიკიტა სრუხროვი ალაშქრთა – „ესპანეთი-1964“	39
სოცრტული მოზაიკა	40
როვანი	
რუსულან ბერიძე, თავისუფალი თემა (ბაბრკელება)	42
პარსონა	
უმბათა ალვოკატი	46
ავტო	49
პარსკვლავი	
შერონ სტოუნის 8 საიდუმლო	50
პოვონდი	51
მოვალეიერი	
თეონა თავართქილაძე: „მაკა ასათიანის ახლანდელ ქმარს ბავშვობიდან ვიცნობდი“	53
საკითხავი ქალბისათვის	54
მარჩიელი	
რეკლუსიის ლიღრაბი იმეღბაცრუეზული არ ღარჩეზიან...	56
ჯანერთელობა	
• ვოლივუღელთა მგრალი იღლიეზი	58
• მიკოზი – ტერუზის სოკოვანი ღაავაღება	58
• კითხვა-პასუხი	59
პოროსკოვი	
კვირის (24-30 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
სქანვოვრი	61
იუმორი	62
ტესტი	
რავღნად ბანონასწოვრეზული ხართ?	63
კალეიდოსკოვი	
ჰრელ-ჰრელი ამბეზი	64

ბარეპანვა: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი
 სასოგანლოვბრიმ-პოლიტიკოვრი ჟურნალი „გზა“
 ბამოღის კვირაში პრთხელ, სუთუბაბათოვრი
 ბაზვთ „კვირის კალიტრის“ ღამატბა
 ჟურნალი სელმღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 რეღაქციის აზრი შესაღლა არ ეზოხევიღეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რეღაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 მეწევეერი: მათე კბილაძე
 მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
 ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com
 ჟურნალი იბეჭღება გამომღვებლობა „კოლორიმი“

„...ის პოპო სანოლზე ჩაეოქღა და ტურეზეი ეაკოცა“




ეს იყო უზარმაზარი მიღწევა!.. თავიღან შოკში ვიყავი – ვერ მივხვდი, რატომ ეკეთათ ეს „რალაც“ გოგონებს. მეგონა, გოგონებმა რალაც ღაითრიეს და ბიჭებს არა გვაქეს-მეთქი. ბიჭებმა „ღავამუღამეთ“ და სანამ იმაში გავერკვეოღით, რომ ეს უხერხული იყო, გოგონებს მაგრად ვაწვავლებღით.

13


ბანი, როვლის მუზას ეეზღა

ზოგიერთ გილოში მართლაც, ვხეღავ მსგავსებას ჩემსა და იმ ქალების ხასიათებს შორის, რომლებიც „უყვარღა“... მართალია, ღიღი ხანი არ ვყოფიღვართ ერთად, მაგრამ მე მაინც მადლოველი ვარ ბეღის იმისთვის, რომ ამ კაცს შემასხვეღრა – კაცს, რომელიც ჩემი ოცნების მამაკაცი იყო...



30

შერონ სტოუნის 8 საიდუმლო



შერონის ცხოვრებაში თორმეტი მამაკაცი იყო. სამ მათგანთან მას კანონიერი ქორწინება აკავშირებღა, დანარჩენი ცხრა კი, ამ საბეღისწერო ღამაზმანთან მხოლოდ რომანტიკულ ურთიერთობას დასჯერღა...

50

თავისუფალი თემა

– რა დროს ძეღები და ნეენებია?! – შეუგია შვილს გიორგიმ.
 – ერთი-ორი ღღე კიღევ იკოტრიაღებ და მორჩა, მერე ფეზზე უნღა ღაღღე!
 – ასე მაინც, საღ მეჩქარება? – ღაინტერესღა ლუკა.
 – შენ კი არა, მე მეჩქარება! – უპასუხა გიორგიმ...



42

„სამშობლოს არვის წავართმევ“ ანუ „მუსხულები“ ჩესჰენტიუსის მოედანზე



რა თქმა უნდა, საესტრადო კონცერტს, უამრავი დანიშნულება აქვს. აქამდე მეგონა, რომ ვარსკვლავები მღერიან და კუნტრუშობენ: ფულის გასაკეთებლად, ვინმესთვის დახმარების, „მარიაფობის“, ნერვებზე მოშლის და აქა-იქ, გართობის მიზნითაც კი. მაგრამ თუ ვიღაცების შესაშინებლადაც შეიძლება სცენაზე ბუქნვა და „სალუტების“ სროლა, 16 მაისამდე... უპ, ბოდიშო... (ამ წვიმიან ამინდებს რა ვუთხარი!) 18 მაისამდე არ მეგონა...

რა გაუნათლებელი და კულტურულ-პოლიტიკურად ბეცი ვყოფილვარ აქამდე, ახლა მივხვდი. ესტრადას – ხელოვნების ამ უძველეს ფანრს ხომ სტრატეგიულ-მილიტარისტული ფუნქციის შესრულებაც შესძლებია. დიახ, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა უზარმაზარი გალაკონცერტი რესპუბლიკის მოედანზე, რომელზეც ქვეყნის გაერთიანების მსურველმა, ათასობით „ადვირახსნილმა“ ახალგაზრდამ მოიყარა თავი.

ისეთი კაი „დაპრომოუშენებული“ იყო ტელევიზიებით ეს კონცერტი (თუ აქცია – ვედარ გავიგე), რომ მოსკოვიდან დასასწრებად ის იგორ ივანოვიც კი ჩამოვიდა, პრეზიდენტის პრეს-სამსახურში ზოგიერთს სერგეი რომ ეგონა... პოლა... მე რაღა გამაჩერებდა სახლში?! სარკესთან ბედნიერი ღიმილის იმიტირებაში (მომატებული პენსიებით გახარებული მოხუცების სახეების წარმოდგენა დამეხმარა) და „მიშა! მიშას!“ ძახილში გაკვივარჯიშე და მოედნისკენ მოკვივრებულე. ჩუმაღ შევერიე იქ თავმოყრილ გახარებულ ხალხს, ჩემში პროვოკატორი რომ არ ამოეცნოთ და მეც ავკუნტრუშდი. უამრავი ჩემსავით საეჭვოდ მოღიშარი ადამიანი შევნიშნე. იქვე შევიტყვე – კონცერტზე არც ერთი პორნოგრაფისტი არ გამოდისო. ელდა მეცა, მაგრამ მაშინვე ხომ არ ვიკითხავდი – ვინ პორნოგრაფისტებზეა ბაასი-მეთქი? – და ნელ-ნელა გავარკვიე – თურმე ფონოგრაფისტებზე ყოფილა ლაპარაკი...

როგორც იქნა, დაიწყო კონცერტი, რომელიც საზეიმო აღლუმს უფრო ჰგავდა, ვიდრე კონცერტს. „ტორლებივით გოგონებმა“, რომლებმაც წამყვანებად გაასაღეს თავი, იმდენი ღიმილი აფრქვიეს, რომ მხოლოდ ნამდვილი პროვოკატორი თუ მიხვდებოდა მათ განზრახვას, მაგრამ მერე თანდათან გათამამდნენ და ისე დასტყვეს – ერთიან საქართველოს გაუმარჯოსო! – რომ სულ ჩამოიხსნეს ნიღაბი...

მოკლედ, ასეთი ადვირახსნილი პატრიოტიზმი და „მუსკულების თამაში“ ჯერ არ მინახავს: იყო სიმღერები სამშობლოზე, სიყვარულზე, სინდის-ნამუსზე და კიდევ ათას მსგავს უმსგავსობაზე...

ისე, ერთი მაყურებელი მართლა გულწრფელად შემეცოდა: სოლიდური ასაკის ქალი იყო და ალბათ შვილს ან შვილიშვილს თუ მოაკითხა, თორემ, ისე რატომ მოვიდოდა?! საქართველო – ყველა რომ იძახდა, იცინოდა და ტაშს უკრავდა, იმას ცრემლი მოადგა თვალებზე...

„ეს ყველაფერი – ჯერ კიდევ არაფერი“, მაგრამ ჩემმა გაოცებამ ვიზის გარშე გადალახა ყველა საზღვარი, როცა რომელიღაც „უცნობი“ მომღერლის გამოსვლისას ვიღაც მაღალი და „ტანწერწეტა“ კაცი გამოჩნდა, „უცნობს“ ცეკვა-ცეკვით უკნიდან მიეპარა, თვალებზე ხელი ააფარა და თან რამდენიმე მოხდენილი მოძრაობა გააკეთა (ნაღდად ვიცი – ბრეიქ-დანსიდან). იმ უცნობს კი თავისი შვილი ჰგონებია (მერე გამოტყდა) და ის იყო, შებრუნდა და ერთი-ორი „ტკბილი“ სიტყვით უნდა მიპყვებოდა ბავშვს, რომ ხელში ჩვენი ჯერ კიდევ ახალი მამამარჩენალი არ შერჩა?!

გვეითხებით, რა უნდა პრეზიდენტს კონცერტზე?! პრეზიდენტი მე გამიგია კაბინეტში, მეტროში, ზღვაში – პირის ბანი-სას... მაგრამ კონცერტზე?! არა, ძმაო... ჩავიქნე ყველაფერზე ხელი, წამოვედი იქიდან გულდამძიმებული და ვფიქრობდი, კონცერტით რომ მუსკულების თამაში შეიძლებოდა, ჯორჯ ბუშს დაასწრებდა ვინმე, მაიკლ ჯექსონისა და ელტონ ჯონის (ტონი ბლერს ეთხოვებოდა ცოტა ხნით) ერაყში სიმღერ-სიმღერით ჩაყვანას?!

მოგვიანებით გავიგე – ივანოვს (სახელს რა მნიშვნელობა აქვს?! – იმას, ქე რო ჩამოსული იყო) პრეზიდენტისთვის შეუთავაზებია – ისე კარგად ცეკვა, წამომყვე და ჩვენს ტელეშოუში – „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ – მიიღე მონაწილეობაო. მარა ჩვენს მიშკოს უპასუხია: ჯერ ის პატარა ტალანტი გამოიყენეთ ტელეშოუებში, ამას წინათ რომ წაიყვანე თვითმფრინავით და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთო...

P.S.
საკონცერტო აფიშა:
„გიწვევთ თანამედროვე ქართული ესტრადის საჩვენებელ სტრატეგიულ კონცერტზე სახელწოდებით:

„სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთებს ვიმღერებთ, მკვდარსაც კი გაეცინება“...

პროპოკატორი





არასამთავრობო სექტორი პროფისიონალიზმის ვინ იპოსრავს ადამიანის უფლებათა დაცვას?

ხათუნა მაღრაძე

პოსტრევოლუციურ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით კვლავ უკიდურესად მძიმე სიტუაციაა. უფლებათა დაცვის სახელმწიფო ინსტიტუტები პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს. არასამთავრობო სექტორს კრიზისული ეტაპი უდვას. სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობის ხარისხი კი ძალიან დაბალია. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, ამ თვალსაზრისით, საქართველოში უწყებების ხელმძღვანელთა გვარების გარდა, არაფერი შეცვლილა. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ადამიანის უფლებათა დასაცავად ჯერ კერძო მოიცა-ლა, მაგრამ უფლებამოსილი პირებისათვის ეს ვერაფერი ნუგეშია.

წლების განმავლობაში, ადამიანების ცემის, წამებისა და სამართალდამცავების მხრიდან პროცესუალური ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით ყველაზე ხმაურიან განცხადებებს „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები აკეთებდნენ. მათი უმეტესობა დღეს სახელისუფლებო სტრუქტურებში გადანაწილდა, თუმცა, როგორც **ლევან რამიშვილი** აცხადებს, ამის გამო „თავისუფლების ინსტიტუტი“ უფლებათა დარღვევის ფაქტებზე თვალის დახუჭვას მაინც არ აპირებს.

— **ბატონო ლევან, სანამ ადამიანის უფლებების დაცვაზე ვისაუბრებდეთ, იქნებ გვითხრათ, თქვენი ინსტიტუტის თითქმის ყველა ცნობილ სახეს ხელისუფლებამ თანამშრომლობა რატომ შესთავაზა?**

— როგორც ჩანს, „თავისუფლების ინსტიტუტში“ იმდენად აქტიური ადამიანები იყვნენ გაწევრებული და იმდენად დიდი იყო მათში საქმის კეთების სურვილი, რომ მთავრობამ მათთან თანამშრომლობა გადაწყვიტა. მაგრამ ჩვენი ინსტიტუტი მათ გარეშე გააგრძელებს მუშაობას, რადგან ორგანიზაციის ფუნქციონირება

მხოლოდ ცნობილ სახეებზე არ არის გათვლილი.

— **თქვენთვის რაიმე თანამდებობა არ შემოუთავაზებიათ?**

— იყო წინადადებები, მაგრამ აქ დარჩენა თავად გადაწყვეტივ, რადგან ვფიქრობ, რომ ამ ორგანიზაციაში უფრო მეტის გაკეთება შეიძლება.

— **„კმარას“ აქტივისტებიც, გამოუცდელი მისიონერებიც, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აქტიური ბუნების გამო დაინიშნენ?**

— ზოგადად, ჩვენ ვართ ახალგაზრდა სახელმწიფო, ახალგაზრდა ხელისუფლებით, რომელსაც ახალი და ნიჭიერი კადრები სჭირდება, მათ შორის ზოგიერთი შეიძლება, „კმარელიც“ იყოს. მთავრობამ მათზე არჩევანი იმიტომ შეაჩერა, რომ ე.წ. გამოცდილმა ხალხმა ჩვენი ქვეყანა ჩიხში შეიყვანა. გამოსავლის პოვნა სწორედ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით დაამტკიცეს, რომ განახლებისაკენ მისწრაფებენ.

— **მაგრამ საზოგადოებაში სხვა მოსაზრებაც არსებობს...**

— დახურულ კარს მიღმა მომხდარი, შავბნელი გარიგებების შესახებ?.. ეს გონებაშეზღუდული ადამიანების ფანტაზიის ნაყოფია, იმ ხალხისა, რომელიც ვერ გარკვეულა, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში და სხვადასხვა ვერსიას თხზავს. სინამდვილეში, არავითარი გარიგება არ ყოფილა. ნებისმიერი „კმარელი“ თუ „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები კრიზისიდან ქვეყნის გამოსაყვანად ძალისხმევას არ იშურებენ.

— **თუმცა, ეს ძალისხმევა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს ნაკლებად ეხება.**

— უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ქვეყანაში მართლაც, მძიმე მდგომარეობაა. არც ერთი ის პრობლემა, რომელიც რევოლუციამდე არსებობდა, ჯერჯერობით არ მოხსნილა. ამ კუთხით არსებითი ძვრები არ შეიმჩნევა. როგორც ჩანს, ხელისუფლების მთელი ყურადღება გადატანილი იყო აჭარის კრიზისის მოგვარებაზე, ამიტომ უფლებათა დაცვის საკითხი დღემდე დიდ დარჩა. არადა, ბოლო პერიოდის განმავლობაში, პოლიციელთა თავნებობა ყოველგვარ ზღვარს გასცდა, სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებებში სერიოზული კანონდარღვევები შეინიშნება,

ხელისუფლებას კი ამ სისტემის მართვის სადავეები ხელიდან „გაუბრის“. მაგრამ რადგან არსებობს ამ პრობლემის მოგვარების პოლიტიკური ნება, ეს საკითხი აუცილებლად დარეგულირდება.

— **ძალგანა უწყებების ხელმძღვანელთა შეცვლამ გარკვეული შედეგი მაინც რატომ არ მოგვცა?**

— სამინისტროს ხელმძღვანელობის შეცვლა არ ნიშნავს იმას, რომ სისტემა გარდაიქმნა და სამართალდამცავი სტრუქტურების რიგით თანამშრომლებს მენტალიტეტი შეეცვალათ. თუ სტრუქტურული რეფორმები არ გატარდა, მათი მხრიდან უფლებათა დარღვევის ფაქტები არ შემცირდება. ადამიანის უფლებების დაცვა არ უნდა იყოს დამოკიდებული კარგ ან ცუდ მინისტრსა და პოლიციის უფროსზე, არამედ დამყარებული უნდა იყოს კანონზე, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს ასეთ ფაქტებს.

— **თქვენს ინსტიტუტში ადამიანთა ნამებებსა და მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ ინფორმაციები ისევე ინტენსიურად შემოდის?**

— საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე საუბარიც ზედმეტია: ადამიანის უფლებები ისევე ირღვევა, როგორც ადრე ირღვეოდა. სასჯელადსრულების დაწესებულებათა სისტემაში არსებობს სერიოზული პრობლემები, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში, ძალზე მძიმე სასათოს ატარებს. პატიმრების მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ არის, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. ადამიანის უფლებები თითქმის ყველა სფეროში თანაბრად ირღვევა.

— **პოლიტიკური ან პირადი ანგარიშსწორების მოტივით დაპატიმრების ფაქტები თუ დაგიფიქსირებიათ?**

— იმას, რაც საქართველოში ხდება, პოლიტიკურ ღვეწას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. მესრეზე ჯოხი ვერ გადატყდება. ადამიანებმა, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, პასუხი უნდა აგონ. მათ საკუთარი თავის დასაცავად სხვა არგუმენტი არ გააჩნიათ და ამიტომ ამბობენ — ჩვენ მიმართ პირადი ანგარიშსწორება ხდება. მათ წინააღმდეგ განხორციელებულ კამპანიას პოლიტიკური მხოლოდ იმ ნიშნით შეიძლება ვუწოდოთ, რომ

გამოსატავს მთავრობის პოლიტიკურ შეხედულებას კორუპციულულებსა და კრიმინალების მიმართ. ხელისუფლება ვალდებულია, შექმნას საზოგადოებრივი აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ მექრთამეობა, ორგანიზებული დანაშაული, ე.წ. კანონიერი ქურდების ინსტიტუტი ჩვეულებრივი ადამიანებისათვის მისაბამ მაგალითს არ წარმოადგენდეს.

— მაგრამ მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებებით უდანაშაულობის პრეზუმფცია ირღვევა, როცა ისინი სასამართლო გადაწყვეტილებამდე, ამა თუ იმ პირს ყაჩაღად ან მკვლელად მოიხსენებენ.

— ეს არის პოლიტიკოსის პოლიტიკური შეფასება და მათ ასეთი განცხადებების გაკეთებას ვერ აუერძალავთ, მაშინ, როცა პრობლემა არსებობს და სადღეს სასამართლოს თავისუფლების ხარისხი პრაქტიკულად ნულის გოლია



მართლდამკავები მასთან გამკლავებას ვერ ახერხებენ, საჭიროა, პოლიტიკურმა ლიდერმა ამ ფაქტს სათანადო შეფასება მისცეს. ასე ხდება ნებისმიერ ქვეყანაში.

— იმ ქვეყნებში სასამართლო დამოუკიდებელია. ჩვენში როგორია მესამე ხელისუფლების თავისუფლების ხარისხი?

— პრობლემა სწორედ აქ უნდა ვეძებოთ. მთავარია, სასამართლო იყოს დამოუკიდებელი და მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებებს ან სატელეფონო ზარებს განაჩენის გამოტანის პროცესში გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. დღეს სასამართლოს თავისუფლების ხარისხი პრაქტიკულად ნულის ტოლია. ჩემი აზრით, საჭიროა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, რომ განაჩენის გამოტანა მხოლოდ სახელმწიფოსაგან დანიშნული მოსამართლეების კომპეტენცია არ იყოს. ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებიც კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, შემთხვევითი

შერჩევის წესით იქნებიან შეკრებილნი და საქმის დასრულების შემდეგ დაიშლებიან, ობიექტურობის ერთ-ერთ გარანტიად შეიძლება მივიჩნიოთ.

— რა ინფორმაცია გაქვთ აჭარაში მიმდინარე დაპატიმრებებთან დაკავშირებით? ამბობენ, რომ იქ ძალზე გახშირდა პროცესუალური დარღვევა.

— სამწუხაროდ, ამასთან დაკავშირებით, კონკრეტულ ინფორმაციას არ ვფლობ, რადგან აჭარაში პირადი წარმომადგენელი არ გვყავს. თუმცა დამნაშავეთა დაკავებას ნამდვილად მივესალმები. პარლამენტს არ შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ადამიანების დარბევისა და პოლიტიკური მკვლევლობების გამო, კონკრეტული პირები პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდნენ. ეს ხალხი წლების განმავლობაში არაერთ მძიმე დანაშაულს სჩადიოდა. ჩვენ ვერ უნდა ვკითხოთ საზოგადოებას და პირველ რიგში აჭარის მოსახლეობას — მზად არიან თუ არა, მიუტვეონ ძველი ცოდვები ასლან აბაშიძის ხელისუფლების წარმომადგენლებს. სხვის ნაცვლად დიდსულოვნება იოლია, მაგრამ არა მგონია, სამართლებრივად ან ეთიკურად ეს გამართლებული იყოს...

— არასამთავრობო ორგანიზაციები რეველაციის შემდეგ პასიური მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ვინ იბრძვის დღეს ადამიანის უფლებებისათვის?

— უნდა ითქვას, რომ არასამთავრობო სექტორი გარკვეულ კრიზისს განიცდის, რაც კატასტროფას კი არა, გარდატეხის სტადიას ნიშნავს. რეველაციის შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა, საჭიროა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და თავისუფალმა მედიამაც ახალ სამოქმედო გარემოსთან ადაპტაცია მოახდინოს. მონიტორინგი, რომელსაც არასამთავრობოები ახორციელებდნენ და აურნაღისტური გამოძიება, რომელიც მასმედიის ეფექტური მეთოდი იყო, გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებას საჭიროებს. საზოგადოება ჩვენ მიმართ დღეს უფრო მომთხოვნია, ვიდრე გუშინ იყო.

— რაც შეეხება თავისუფალ მედიას: თქვენი აზრით, რატომ იხურება ტელეკომპანიები ასე ინტენსიურად?

— მე ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. კერძო ტელევიზია კომერციული სტრუქტურაა, ზოგი წარმატებული იქნება, ზოგი კი გაკოტრდება. მათზე ზეწოლის ფაქტები ჩვენ არ დაგვიფიქსირებია. შემაშფოთებელი ინფორმაცია რეგიონებიდან უფრო შემოდის, სადაც აურნაღისტებზე ზეწოლის არაერთი ფაქტი ფიქსირდება.

„საბანგაოს ვერაფერს ვხედავ“

— ბათუმში დაგვემილ ეკონომიკურ ფორუმზე ძირითადად, რუსი ბიზნესმენები მიიღებენ მონაწილეობას. ეს ფაქტი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს სერიოზული ეჭვის საფუძველს აძლევს. თქვენი აზრით, რამდენად სწორია ხელისუფლების ეს ინიციატივა?

მისილ მატაბერიანი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:

— არ შეიძლება, მთავრობისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებები აკრიტიკო მხოლოდ იმიტომ, რომ თითქმის გამწოვილი ბრალდებებით საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მე ბათუმში ეკონომიკური ფორუმის ჩატარების მხოლოდ პოზიტიურ მხარეს ვხედავ, რადგან ვთვლი, რომ დროა, საქართველოში სერიოზული ბიზნესსექტორი ამუშავდეს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ გაღიზიანდა ოპოზიცია რუსი ბიზნესმენების მოწვევით? საქართველო ხომ პირველი ქვეყანა არ არის, სადაც მათ ინვესტიციების ჩადება სურთ. რუსი ბიზნესმენები ევროპის არაერთ ქვეყანაში მოღვაწეობენ. ისინი ძირითადად, პოლიტიკურად სტაბილურ და მშვიდ სახელმწიფოებს არჩევენ. თუ რუსებს მიზნით, რომ საქართველოში ხელსაყრელი პირობებია შექმნილი, ამაში საგანგაშის ვერაფერს ვხედავ. იმ მძიმე ეკონომიკური ფონის შესაცვლელად, რაც წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობად გვერგო, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ვცდილობთ, კაპიტალდაბანდებისათვის ხელსაყრელი გარემო შეიქმნას, რომ საქართველოში ინვესტიციების ჩადებით, არა მარტო რუსები, არამედ ამერიკელები, თურქები, გერმანელები, ფრანგები დაინტერესდნენ. ეს ბიუჯეტის შესავსებად მშვენიერი წყარო იქნება. გარდა ამისა, უმუშევართა დასაქმების პრობლემაც ნაწილობრივ გადაიჭრება. ოპოზიციას ბოლო პერიოდში, ისიც აღიზიანებს, აჭარაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რუსეთის განსაკუთრებულ როლზე რომ ვსაუბრობთ. როცა კრემლი ჩვენ მიმართ პოლიტიკურად გამართლებულ სვლეს აკეთებს და უნდა, რომ ორ ქვეყანას შორის დათბობის პროცესი დაიწყო, უნდა მივესალმოთ ამას და სიტუაციის ხელახლა გამწვავებას არ უნდა ვუწყობდეთ ხელს.

„ონკანებში ტექნიკური წყალი არ უნდა მოდიოდეს“

— რაც ფრანგულმა კომპანია „ჯენერალ დეზომ“ „თბილწყალკანალის“ ოცდახუთი წლით მართვის უფლება მიიღო, გაფრცხლდა ინფორმაცია, რომ ჩვენს ონკანებში ტექნიკური წყალს გამოუშვებენ და სასმელი წყლის, მაღაზიებში შექმნა მოგვიწევს...

გიგი წარეთელი, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:

— ტექნიკური წყალი ნიშნავს იმას, რომ ონკანებში გაუშვებენ მდინარის წყალს, სათანადო დამუშავებისა და გაფილტვრის გარეშე. ის სასმელად უვარგისი იქნება. უცხოეთის არაერთ ქვეყანაში არსებობს ამის პრეცედენტი. იქ სასმელი წყალი სუპერმარკეტებსა და მაღაზიებში იყიდება. საქართველოში ასეთი რამ არ უნდა მოხდეს. ჩვენს ქვეყანას წყლის იმხელა რესურსი მაინც აქვს, რომ მოსახლეობამ დასალევი წყალი ონკანებიდან აიღოს და სავაჭრო ობიექტებში არ მოუწიოს მისი შექმნა. მე უცხოური კომპანიების საქართველოში ჩამოსვლისა და მათი კაპიტალდაბანდების წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ თუ ფრანგული მხარე ტექნიკური წყლის საკითხს წამოჭრის, ეს ჩემთვის სრულიად მიუღებელი იქნება. ასეთ ინიციატივას მხარს არ დავუჭერ. არც ერთმა კომპანიამ საკუთარი ბიზნესინტერესები ჩვენი მოსახლეობის საზიანოდ არ უნდა მიმართოს. ჩვენს თანამოქალაქეებს ამ ეტაპზე ნამდვილად არ შეუძლიათ, სასმელი წყალი მაღაზიებში შეიძინონ. რაც შეეხება წყალზე ტარიფის მომატებას — მე მგონია, ამ საკითხზე საუბარი ჯერ არ მიმდინარეობს. თუმცა, გამრიცხველიანების პროცესი მალე უნდა დაიწყო. ჩვენს ქვეყანაში წყალს მიზანმიმართულად არ ვხარჯავთ, არ ვუფრთხილდებით იმ რესურსს, რომელიც გვაქვს. მრიცხველების დაყენება სასმელ წყალთან უყიარათო მოპყრობის მაგნე ჩვევას დაგვაკვივებს.

„აფხაზეთის და ფაქტო ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმადე დაინჱო“

— **იგორ ივანოვის მოულოდნელი ვიზიტის შემდეგ გაფრცხლდა ინფორმაცია, რომ დიპლომატი აფხაზეთის საკითხის განხილვას უკავშირდებოდა. რატომ ასაიდუმლოებენ შეხვედრის დეტალებს და რა სახის გარიგებას უნდა ველოდოთ? სალომე სამადაშვილი,** სვარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:

— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა პრაგმატულ და რაციონალურ კალაბოტში ექცევა. იგორ ივანოვის ვიზიტი ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. რუსეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელთან შეხვედრების დროს, კონკრეტულად რა საკითხებზე იმსჯელებს, ამის შესახებ ადმასრულებელ ხელისუფლებას ჩვენი კომიტეტისათვის ოფიციალური ინფორმაცია არ მოუწოდებია. გასაკვირი არ არის, როცა ასეთი მაღალი დონის შეხვედრის დეტალები გასაიდუმლოებულია, მით უმეტეს მაშინ, როცა საკითხი ძალზე დელიკატური პრობლემის მოგვარებას ეხება. გამჭვირვალობა დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია, მაგრამ აფხაზეთთან მიმართებაში ყველა დეტალის ტრანსპარანტულობა მიზანშეწონილი არ არის. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს

პოზიციების გარკვევა და შეჯერება. რუსებს აქვთ კონკრეტული ინტერესები, რისი შესრულებისთვისაც გარანტიებს მოითხოვენ, ქართული მხარის მიზანი კი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. რამდენადაც ვიცი, აფხაზეთში პრივატიზაციის პროცესი ჩატარდა, რომლის შედეგადაც, რუსეთის მოქალაქეები გარკვეულ ქონებას ითხოვენ. გარდა ამისა, მოლაპარაკების დროს საუბარი იქნება ამ პროცესში გაეროს სამშვიდობო ჯარების ჩართვაზეც. არსებული ინფორმაციით, აფხაზეთში, უკვე დაიწყო დე ფაქტო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა. გამორიცხული არ არის, რომ შიგნიდანვე მოხდეს სტატუს-კვოს რღვევა. რუსეთი ამ ეტაპზე აგრესიულ განცხადებებს აღარ აკეთებს, რაც აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანად დარეგულირების იმედს იძლევა. დღეს რუსეთი რეალურად აფასებს თავის შესაძლებლობებს და მსოფლიოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას. თუმცა, ძნელია, ისაუბრო რუსეთის, როგორც ერთიანი ძალის პოზიციებზე, ვინაიდან ამ ქვეყანაში არსებობენ რეაქციულად განწყობილი პოლიტიკოსები, რომლებიც კვლავ სიტუაციის გამწვავებას შეეცდებიან. მაგრამ ოფიციალური მოსკოვის დამოკიდებულება ამ ეტაპზე, მისაღები და მისასალმებელია.

„დამნაშავე პოლიტიკური კუთვნილები მიუხედავად, უნდა დაინაჯოს“

— **ფულის გამოძალგის ბრალდებით, „ნაციონალების“ ერთ-ერთი აქტივისტის, გიორგი კენჭაძის დაკავება აღბათ, ძალზე მოულოდნელი იყო სახელისუფლებო ბლოკის წევრებისთვის. რა კომენტარი შეგიძლიათ გააკეთოთ ამ ფაქტთან დაკავშირებით?**

ვასილ ვალუაშვილი, „ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატები“:

— ფრაქციის წევრები ამ ფაქტის გამო ცოტა დაბნეულები და შემოფოტებულები ვართ. თავისთავად, ის ამბავი, რომ უშიშროების თანამშრომლებს ჩვენი თანაგუნდელის მიმართ სერიოზული ბრალდებები აქვთ, სასიამოვნო ნამდვილად არ არის. მე ამ პიროვნებას ახლოს არ ვიცნობდი, ამიტომ მის შესახებ რაიმის თქმა გამი-

ჭირდება. უახლოეს პერიოდში, შესაბამისი უწყება პარლამენტში წარმოადგენს დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც დებუტატები ვიმსჯელებთ იმაზე, უნდა მოეხსნას თუ არა მას პარლამენტარის იმუნიტეტი. როცა ფულის გამოძალგაზე საუბარი, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიის წევრები ერთნაირად უნდა დაისაჯონ. პოლიტიკური ნიშნით მათი შეწყალვა დაუშვებელია. ჩემი აზრით, უშიშროების სამინისტრო სწორი მიმართულებით მუშაობს. საზოგადოებაში უნდა დაინახოს, რომ დამნაშავე, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, პასუხისმგებლობას ვერ ასცდება. რაც შეეხება კენჭაძეს — ჯერ უნდა დავადგინოთ, რა სამხილები არსებობს მის წინააღმდეგ და შემდეგ ვიმსჯელოთ იმუნიტეტის მოხსნის საკითხზე.


„აბაშიძე მოსკოვიდან პოლიტიკური ინტრიგების კლარტოვას შეეძლება“

— ხელშეუხებლობის გარანტია, რომელიც ასლან აბაშიძეს მისცეს, სომ არ შეიძლება ქართულ პოლიტიკაში მისი დაბრუნების საფუძვლად იქცეს?

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:

— საერთაშორისო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, ამა თუ იმ პიროვნებას ხელშეუხებლობის გარანტია აძლევენ და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მას წასვლას არ უშლიან. ასლან აბაშიძის დანაშაულებრივ ქმედებებზე, როგორც ფართო პოლიტიკური, ასევე წმინდა კრიმინალური კუთხით, არაერთი საშინლის მოძიება შეიძლება. მაგრამ მან უკანასკნელ მომენტში სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია და ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ პირობას დათანხმდა. უფრო მართებული იქნებოდა, გვეთქვა, რომ სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, მას თანამდებობის დატოვება აიძულეს. მაგრამ ფაქტია, რომ მან შესაძლო გართულებების გარეშე დატოვა საქართველოს ტერიტორია. მის უკან დაბრუნებას, ჩემი აზრით, არ უნდა ველოდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტის შეწყალება ავტომატურად გაუქმდება, ხელშეუხებლობის გარანტიებს დაკარგავს და იმ დანაშაულების გამო, რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩაიდინა, მკაცრი სასამართლო განაჩენი არ ასცდება. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, მან რაიმე სახით კვლავ ადგილის დამკვიდრება რომ შეძლოს — ეს გამორიცხვულია. მაგრამ არა მგონია, გამჭირავება ეყოს საიმისოდ, რომ მოსკოვიდან პოლიტიკური ინტრიგების ხლართვას არ შეეცადოს. ასეთ შემთხვევაშიც მისი ნებისმიერი ნაბიჯი კრახით დამთავრდება. როგორც კი საქართველოს ხელისუფლება მისი გააქტიურების შესახებ ინფორმაციას მოიპოვებს, იურიდიულად უფლებამოსილი იქნება, რუსეთის მხარეს მისი დაუყოვნებლივ გადმოცემა მოსთხოვოს. პოლიტიკაში სიტყვიერი შეთანხმების აღსრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ხელისუფლებამ აბაშიძის მიმართ ნაკისრი დანაპირები შეასრულა, მაგრამ მეტ დათმობაზე აღარ წავა.

ადამიანის უფლებათა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დამცველი, ბალეტისა და წიგნის მოყვარულია, მოცალობისას, დღესაც „საბავშვო ლიტერატურას“ — ალექსანდრე დიუმას რომანებს კითხულობს, არ იზიდავს დიასახლისის ამბლუა და სინარულით უთმობს სამზარეულოს თავის რძალს... დანარჩენს, თავად პოლიტიკოსი ქალბატონი გვიაზნობს.



ელენე თხზულებანი

ბავშვობაში დაბრუნდა

პირველი შეყვარებული ტელეჟურნალისტი

ქაე მინდაქე

— ქალბატონო ელენე, რომელ სკოლაში სწავლობდით და როგორი მოსწავლე იყავით?

— ვსწავლობდი ქალთა მესამე სკოლაში. მერვე კლასში რომ ვიყავი, ქალთა და ვაჟთა სკოლები გააერთიანეს და ნრ-ე სკოლად გადააკეთეს. ვიყავი საოცრად აქტიური და ენერგიული მოსწავლე; ვმონაწილეობდი ყველა კულტურულ ღონისძიებაში. რაც შეეხება სწავლას — მერვე კლასამდე სამები მყავდა, რადგანაც საბალეტო სკოლაში დავდიოდი, ბალეტით ვიყავი გატაცებული და სწავლას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი. მაგრამ მერვე კლასიდან ჩემში რაღაც გარდატეხა მოხდა — სწავლას სერიოზულად მოვკიდე ხელი. მოხდა საოცრება: მხოლოდ ერთი ოთხიანი დავამთავრე საშუალო სკოლა, სულ ხუთები მყავდა.

— ბავშვობის პერიოდიდან, ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდა?

— ბავშვობაში არაჩვეულებრივი მესიერება მქონდა. ეს მასწავლებლებმაც იცოდნენ და ექსპერიმენტებსაც ატარებდნენ ჩემზე. ისინი გამოსაცდელად მეკითხებოდნენ — ამა და ამ გვერდის ამა და ამ სტრიქონზე რა წერია? — და მეც, ვიზუალური მეხსიერების წყალობით, ზუსტად ვპასუხობდი... მასწავლებლები რუსული

ლიტერატურის გამოცდა: როცა მასწავლებელმა მკითხა — ლევ ტოლსტოის რომანში — „ომი და მშვიდობა“ რამდენი პერსონაჟი იქნება? — ვუპასუხე — 1467-მეთქი. ხედავთ? — პერსონაჟთა რაოდენობა დღესაც კარგად მასსოვს!

— ჩვევა, რომელიც ბავშვობიდან გამოგყვამო...

— ბავშვობიდან ძალიან მიყვარს კითხვა. დღესაც, ისე ვერ დავიძინებ, თუ დაწოლილმა, წიგნი არ წავიკითხე.

— ამჟამად რა წიგნს კითხულობთ?

— გავეცინებათ — რატომღაც ბავშვური გრძნობა მომავლა და ხელმეორედ დავიწყე არაერთხელ წაკითხული, დიუმას ნაწარმოებების კითხვა. ამჟამად ვკითხულობ „ოცი წლის შემდეგ“.

— გაისვენეთ თქვენი პირველი სიყვარული.

— სიყვარული პირველად, საბავშვო ბაღში მეწვია. შემეყვარდა ჩემი ჯგუფელი ბიჭი, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ ტელეჟურნალზე ვნახე და ვიცანი, რადგანაც სრულებით არ შეცვლილა. მაგრამ მე გამოცა იმან, თუ რამ მომავლთა ის ბიჭი?! მით უმეტეს, რომ ჩემს ჯგუფში მასზე გაცილებით სიმპათიური ბიჭები იყვნენ...

— ნამდვილ სიყვარულზე რას გვეტყვი? სად და როგორ გაიცანით?

— ნამდვილი სიყვარული მეორე



როცა პოლიტიკოსი ხარ, მოგვერ ისეთი რამის გაკეთება გიწევს, რაც ქალისათვის მიუღებელია, მაგრამ რას იზამ?

კურსზე მეწვია. მე და ჩემმა მომავალმა მეუღლემ, ილია თევდორაძემ ერთმანეთი ჩემს სახლში გავიცანით. იმ დროს, ჩემს ოჯახს მატერიალურად იძენდა უჭირდა, რომ ბინას ვაჭირავებდით სტუდენტებზე და სწორედ ერთ-ერთი სტუდენტი იყო ილია.

— დღეს თქვენ ოჯახი რამდენი წევრისგან შედგება?

— მყავს ვაჟი — კოტე თევდორაძე, შესანიშნავი რძალი და ორი შვილიშვილი: 20 წლის თენგი და 15 წლის სოფიკო.

ჩემს ვაჟს პოლიტექნიკური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, პროფესიით მშენებელია, მაგრამ ისევე, როგორც ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, თავისი სპეციალობით არ მუშაობს...

— როგორ დედა და ბებია ხართ?

— უნდა ვაღიარო, რომ მკაცრი დედა ვიყავი, მაგრამ ყველანაირ დაძაბულობას დედაჩემი ანეიტრალებდა. ვინაიდან მე ვმუშაობდი, კოტეს ბებია უკლიდა და იმის გამო, რომ მკაცრი დედა ვიყავი, ბევრ რამეს მიმაღავედა. ჩემმა ვაჟმა აღიარა, რომ თურმე, შინაგანად ჩემი შიში დღემდე შემორჩენია... აი, როგორც ბებია, ძალიან რბილი ვარ, უფრო მეტიც — ჩვენ შორის ასაკობრივი ზღვარი არ

არსებობს. ვერ ვიტყვი, რომ ძალზე ყურადღებიანი ბებია ვარ — ისევე და ისევე დროის უქონლობის გამო, — მაგრამ ამას ჩემი შვილიშვილები გაგებით ხვდებიან.

— როგორ დიასახლისი ხართ?

— ცუდი. არ მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი და არც რაიმე კერძის მომზადება მეხერხება. თუ დამჭირდა, ჩემთვის ყველაფერს კი მოვაშადებ, მაგრამ როცა მე და ჩემი რძალი ერთად ვართ, სიამოვნებით ვუთმობ მას სამზარეულოს.

— რას ნიშნავს დღეს იყო ქალი პოლიტიკოსი და როგორი უნდა იყოს იგი?

— ქალისთვის ეს საკმაოდ მძიმე ტვირთია: მან, საქმის გამო, უარი უნდა თქვას ბევრ ქალურ მოთხოვნებზე. როცა პოლიტიკოსი ხარ, ზოგჯერ ისეთი რამის გაკეთება გიწევს, რაც ქალისათვის მიუღებელია, მაგრამ რას იზამ? — თუ პოლიტიკოსობა აირჩიე, მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქალი ხარ თუ მამაკაცი... როგორი უნდა იყოს ქალი პოლიტიკოსი? — ჩემი აზრით, გულწრფელი და პრინციპული, უნდა გადადგას არაორდინარული ნაბიჯები, რათა დაარწმუნოს ხალხი იმაში, რომ პოლიტიკაში ტყუილად არ მოსულა.

— პოლიტიკოსებიდან ყველაზე თბილი ურთიერთობა ვისთან გაქვთ?

— პოლიტიკაში თბილი ურთიერთობა რას ნიშნავს, ნამდვილად გაუგებარია ჩემთვის. მე შეიძლება, პოლიტიკოსთან, პოლიტიკის გარეშე ვანლობდეთ. პოლიტიკოსებიდან, როგორც ადამიანს, უდიდეს პატივს ვცემ მიშა მაჭავარიანს, ხოლო როგორც ნამდვლ პოლიტიკოსს — ზურაბ ჟვანიას.

— წარმოიდგინეთ, რომ შუა ზღვაში აღმოჩნდით, საიდანაც სხვის დაუხმარებლად ვერ გამოხვალთ. იქვე ნავით კი, თქვენი მონინააღმდეგე გამოჩნდა.

ბავშვობიდან, ჩემი ოცნება იყო სცენა. ყოველთვის ძალიან მინდოდა, სცენაზე მესეკვა

სთხოვთ თუ არა დახმარებას?

— რა თქმა უნდა, ვთხოვ. მე ვფიქრობ, რომ ადამიანს მუდმივი მტერი არ უნდა ჰყავდეს.

— შენობა იწვის და შიგთელი პოლიტიკური სექტორია თავმოყრილი; თქვენ მხოლოდ ერთი პოლიტიკოსისთვის შეგიძლიათ დახმარების გაწევა...

— ნამდვილად არ შემიძლია ერთის გამოყოფა. აქედან გამომდინარე, მთელი გუნდის გადარჩენას ვეცდებოდი და თუ ამას ვერ შევძლებდი, მეც მათთან ერთად დავრჩებოდი.

— პატიმრების მიმართ სიმათია ხშირად გაგჩენიათ?

— როდესაც შევდივარ „ზონაში“ და პატიმრის მიმართ ჩადენილ უკანონობას ვხედავ — თუნდაც ის მკვლეელი იყოს, — ყოველთვის მის გვერდით ვდგები. არავის აქვს მისი უფლებების შელახვის უფლება, სასამართლოს განაჩენის გარეშე.

— ბოლო ჭორი, რომელიც საკუთარ თავზე გსმენიათ?

— ბოლო ჭორი ასლან აბაშიძისგან გავიგე: აჭარაში ჩემი ჩასვლისთანავე, მან ტელევიზიით გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს მე იქ „მძარელები“ ჩავიყვანე (იციინის)...

— ოდესმე თუ ჩაგიდენიათ რაიმე ისეთი, რის გამოც პასუხისგების გეშინიათ?

— პასუხისგების ნამდვილად არ მეშინია. თუმცა, შეიძლება, ოდესმე რაღაც



ისეთი ნაბიჯი გადავდგი, რომელზეც ახლა ვუქრობ, რომ არ უნდა გადახედვია...

— **თქვენთვის მთავარი მაინც რა არის — პოლიტიკა თუ ოჯახი?**

— ამჟამად, პოლიტიკა.

— **არასდროს გიფიქრიათ, რომ პოლიტიკოსობა მეტის-მეტად დამლევლი საქმიანობაა?**

— თუ პოლიტიკაში ყოფნა გადაწყვიტე, შენი საქმე მოგწონს, ამას აკეთებ შენი სურვილით და არა იძულებით — სრულებით არ არის დამლევლი.

— **ოცნება თუ გაქვთ?**

— ბავშვობიდან, ჩემი ოცნება იყო სცნა. ყოველთვის ძალიან მინდოდა, სცნაზე მეცეკვა. მიუხედავად ამისა, ჩემი პროფესია მაინც მიახლოებულია ამ ოცნებასთან — მე ავირჩიე პედაგოგობა (გერმანულ ენას ვასწავლიდი): ბავშვის წინაშე ღვომა, ისევე, როგორც სცნაზე გამოსვლა, ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა, ვინაიდან თუ კარგად მომზადებული არა ხარ, არავინ მოგიხმენს და არ დაგიჯერებს...

— **სასწაულების თუ გვერათი?**

— დიას.

— **რომ მოხდეს სასწაული და სცნაზე გამოსვლა შემოგთავაზონ, რა როლს აირჩევდით?**

— ვისურვებდი, მეცეკვა ჯულიეტას პარტია პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტაში“.

— **რომეოდ ვის აირჩევდით?**

— ძნელია ამის თქმა. ჩემი ასაკიდან გამომდინარე, რომეოს ნამდვილად ვერ ვხედავ...

— **რა მავნე ჩვევა გაქვთ ისეთი, რომელიც გინდათ, რომ მოიშოროთ?**

— სივარების მოწვევა.

— **მხარჯველი თუ ხართ?**

— არა. ოჯახში ისე აღმზარდეს, რომ მფლანგველი არა ვარ. სულ მეუბნებოდნენ: არასოდეს იცხოვრო სესხითო. ვეთანხმები ამ პრინციპს — საბანი იქამდე უნდა დაიფარო, სადამდეც გაეწვება.

— **რა თანხას შეადგენს თქვენი ოჯახის ბიუჯეტი?**

— ჩემს ვაჟს 236 ლარი აქვს ხელფასი, ხოლო მე — 700 ლარი. ეს გახლავთ მთელი ჩვენი ოჯახის შემოსავალი.

— **რას ინატრებდით?**

— ძალიან მერკანტილური ნატვრა მაქვს: ვინატრებდი, რომ ჩემს შვილს მალაღანაზღაურებადი სამსახური ჰქონდეს, რათა მან შეძლოს ჩემ გარეშე ოჯახის რჩენა...

— **ქალბატონო ელენე, თავს როგორ გრძნობთ რესპონდენტის ამპლუაში?**

— თავისუფლად. ჟურნალისტი ხომ ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც თავის საქმეს აკეთებს.

— **რაზე საუბარს გაურბობხართ ხოლმე?**

— არც ერთ თემას არ გავურბობარ.

— **უცხო თვალთ რომ შეხედოთ საკუთარ თავს — ვინ არის ელენე თეფდორაძე?**

— ჩვეულებრივი ქალი, რომელიც შეიძლება, უფრო იჩემებს, რომ პოლიტიკოსია: პოლიტიკოსს მეტი დიპლომატიურობა სჭირდება, მე კი ეს თვისება ნაკლებად მახასიათებს. აქედან გამომდინარე, ის სფერო, სადაც მე ვმუშაობ, ნაკლებად პოლიტიკურია...


კანის სოკოვანი და სწრაფი გზით ლაზერული მკურნალობა

რა სასამოვნო დაძაბული, სტრესით აღსავსე, დამტვირთველი სამუშაო დღის შემდეგ სპორტულ დარბაზში, საცურაო აუზში, საუნაში სტუმრობა და ფიზიკური ძალისხევა თუ სულიერი მდგომარეობის აღდგენა და გამოცოცხლება. მაგრამ, მდღის ამ ერთი შესხედით ყოველდღიურ უნებურ მხარეს ესაზღვრება საკმაოდ საშიში და პრობლემური მხარე, რასაც სოკოვანი დაავადება ჰქვია. მოგესტყვებათ, აღინიშნული ადგილები "ტრადიციულად" სოკოვანი დაავადების კერად ითვლება.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, სოკოვანი ინფექციის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს ასევე მიეკუთვნება: იმუნიტეტის დაქვეითება, ხანგრძლივი ანტიბიოტიკოთერაპია, სინთეტიკური ტანსაცმლისა და ვიწრო ფეხსაცმლის ტარება, გადაჭარბებული მოძრაობისას მომატებული ოფლიანობა, არასაკმარისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რთვი დაავადების თანხვედრა, მაკაჟაჟიანი დაბეჭდი და სხვა.

სამწუხაროდ, ამ პრობლემას საკმაოდ გვიან ვამჩნევთ, მაშინ როცა მიკოზური ინფექცია მძლავრად იბუდებს ორგანიზმში და თავისი სტუმრობის შესახებ გავაცნობს ისეთი ნიშნებით, როგორცაა ტერფის (თითებზე კანი და ფეხისფული), საზარდულის, სარტყვე ჯირკვლების ქვეს, ილიისა და გენიტალიების მდამოებში კანის დაზიანება, აქერცვლა, ეროზიულ-ბუშტუკოვანი წითელი კერების წარმოქმნა, რომელსაც უფრო ამსუფრებს აუტანელი ქვივისა და წვის შეგრძნება, უსამოვნო სუნი. სოკოვანი დაავადება დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა, რაზეც მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები: დედაბლის მოსახლეობის 20% დაავადებულია სხვადასხვა მიკოზური პათოლოგიით, ამასთან კანისა და ფრჩხლის ყველა დაავადების 37-42%-ს სწორედ მიკოზები შეადგენენ.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სოკოვანი დაავადება ადვილად გადადებია არა მხოლოდ უშუალო კონტაქტის გზით, არამედ საყოფაცხოვრებო საგნებითაც (თიურეული, ფეხსაცმელი, აბაზანის ნიჟი). ერთი შესხედით როდესაც პრობლემა შეიძლება მარტივად გადაიჭრას, თუ გამოიჩინო წინდასწავლობას და დროულად მიმართავთ სამკურნალო ღონისძიებებს. კანის მიკოზების — დერმატომიკოზების (ტანის, საზარდულის, ტერფის), კანდიდამიკოზების სამკურნალო ადგილობრივ საშუალებებს შორის დღეისთვის დიდი პოპულარობით სარგებლობს უნერული ფარმაცევტული კომპანია გელეონ რისტერის თანამედროვე ფუნქციონირებელი მოქმედების ანტიმიკოზური ადგილობრივი საშუალება **ტარბიზილის** (ტერბინაფინი) კრემი. **ტარბიზილი** კრემის გამოყენება რეკომენდებულია დერმატომიკოზებისა და კანდიდამიკოზების სამკურნალოდ, ასევე აღნიშნულ დაავადებებზე ეჭვის შემთხვევაში პროფილაქტიკის მიზნით. გამოყენების მეთოდი: წინასწარ გასუფთავებულ კერაზე მსუბუქად შეიხილება **ტარბიზილი** კრემის თხელი ფენა 1-2-ჯერ დღეში. მსოფლიოში ჩატარებული მრავალრიცხოვანი კლინიკური კვლევის შედეგებით დადასტურებული იქნა **ტარბიზილი** კრემის უპირატესობები:



სარტყვესიკრებული

ტარბიზილის 1% კრემი

- დერმატომიკოზები
- საზარდულის ეპიდერმოფიტია
- ფერადი ლიქენი
- ტერფისა და მტკვნის მიკოზები
- კანდიდამიკოზები
- მაღალი ეფექტურობა (გამოჯანმრთელების მაღალი მაჩვენებელი), რეციდივის განვითარების რისკი დაგვანილია ნულამდე;
- მკურნალობის მოკლე კურსი 1-2 კვირა;
- გამოყენების სიმარტივე 1-2-ჯერ დღეში და კომფორტულობა უსაფრთხოება;
- ხელმისაწვდომი ფასი და კომპანია "გელეონ რისტერის" ტრადიციულად მაღალი ევროპული ხარისხი.

ტარბიზილი კრემის შექმნა შეპილინით: **თბილისი - P.S.P.** -ს სააფთიაპო ქსაღში **თელავი** - „ონა თორღიკა“ - მთიანეთის რაიონის და **ჭავჭავაძის ბაღაკაში** **ბათუმი** - „პაპაძე ფარმი“ - ბელიშიშილის №43; **ქუთაისი - P.S.P.** - ბროსის №5

ს.ს. „გელეონ რისტერი“ (უნგრეთი)
ფარმაცევტული სააპაროქვილოზი
☎ 943099 371100



„გზის“ წინა ნომრის „საპატარძლო“, ჯგუფ „რონდოს“ წვერი ნათია შორაშოლიანი გახლდათ. ქვის გული უნდა გქონდეს ადამიანს, რომ მის სახელზე მოსული გამოსმაურებები უცრემლოდ წაიკითხო. ვფიქრობ, ნათიასაც ისე „აატირებს“ თავგანისმცემლების „მესიჯები“, რომ ცდუნებას ვერ გაუძლებს და ერთ-ერთ მათგანს მაინც დაურეკავს.

„მოიხი მიდღი მუახნის იყის, დამირეკ და მენდი...“

მარი ჯაფარიძე

„ნათია, რასაც ჰქვია ერთი ნახვით გაგაფეხა, ის დამემართა, როდესაც პირველად დაგინახეთ. უზომოდ მომწონხართ. თუ გექნებათ სურვილი, გთხოვთ, შემეხმიანოთ, თუნდაც, ერთი ზარით. თქვენი თავგანისმცემელი სპარტაკი“.

„არც კი ვიცი, რა ვთხოვთ, უბრალოდ, გადაეცით, რომ დამიკავშირდეს, მნახოს, დავილაპარაკოთ...“

„ნათია, შენი ფანი ვარ. არა როგორც „საპატარძლოსი“, არამედ, როგორც კარგი ადამიანის. საერთო მეგობრის დაბადების დღეზე ერთად რომ ვიმდერეთ, არასოდეს დამავიწყდება. გისურვებ წარმატებებს“.

„ნათი, თავიდანვე მაგრად მომწონდი. მე სანდრო ვარ. დავიბადე 13.11.1982 წ. დიდი იმედი მაქვს, რომ გამოემხმარები, მარის საშუალებით. ანგელოზი არ ვარ, მაგრამ არც მახინჯი. მინდა, ერთი ლექსი მოგიძღვნა: „მოგიპარავენ, მე ზომ ვიცი, ქვეყნად რაც ხდება, შენი მნახველი, ანგელოზიც ქურდი გახდება“. სანდრო, სოხუმი“.

„ნათი, შენ მე არ მიცნობ, მაგრამ ყოველთვის მიხდოდა შენი გაცნობა. ისე მაგრად მომწონხარ, რომ გიყურებ, ცუდად ვხდები. თუ სურვილი გექნება, დამირეკე“.

„ქალი შენსავით აღმკვრელი მადის, არ შემხვედრია დღემდე, მოიხი მიდღი, მუახნის კაცის, დამირეკ და მენდი... ნათია, გთხოვ, ერთი „მესიჯის“ ღირსი

გამხადე. მართლა მუახნის კი არ ვარ... მარი, აუცილებლად მიაწვდინე ხმა, შენ შემოგველე. გოგია“.

„შენ სილამაზის დელოფალი ხარ და თვალწარმტაცი ფერია, შენი ღიმილი, ნათია, მზის სხივზე მშვენიერია, და თუ შენ ჩემი გახდები, ვიქნებით ბედნიერია“. გ.ბ.“

„ოჰ, ეს თვალეები, თითქოსდა უტყვი, მაგრამ ენაზე მეტად მეტყველი, შენს ლამაზ თვალებს, ჩემო ძვირფასო, ველარასოდეს ვერ შეველევი“. ირაკლი“.

„ნათია, ძვირფასო, მამაკაცის შესახებ ყველა შენს მოთხოვნას ვაკმაყოფილებ, გამეცანი და თვითონ დარწმუნდები“.

„გაუმარჯოს მსოფლიოში ყველაზე ლამაზ და მიმზიდველ ქალს! რა მომენტრე! შენ ჩემო სიცოცხლე!“

„ნათიას გადაეცით, რომ ძალიან მომწონს. ღვინოს არ ვსვამ, დანარჩენს, რომ დამიკავშირდება, მერე გაიგებს“.

„მშვენიერი „საპატარძლოა“. ნათია, ვიცი, ეს შენთვის უცხო არ იქნება, თავგანისმცემელი ბევრი გყავს, მაგრამ მინდა იცოდე, რომ არსებობს ადამიანი, ვისაც თავდავიწყებით უყვარხარ. თუმცა ვიცი, ამ სიყვარულს მომავალი არა აქვს. შემეხმიანე. თემო“.

„მთავარია, ნათია ძალზე ბედნიერი იყოს, თორემ, ჩემი ცოლი გახდება თუ სხვისი, ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ნათი, მიყვარხარ“.

„ნათია რომ ჩემი არ გახდეს, თავს მოვიკლავ. არა, მარი, ჯერ შენ მოგკლავ, მერე ნათიას, მერე თავს... ნათი, უშენოდ ბნელა და ვერ გავიკვლევ გზას ცხოვრებაში. მიყვარხარ უზომოდ და ვნებით. ზურა“.

„ნათი, შენი სტილის გოგონებზე ვეცემი. ჩემთვის ძალიან ძვირფასი ხარ“.

„ნათია, შენს თვალებს ძველებური უშუალობა და სიალალე დაჰკრავს. მიყვარხარ. მაინც ჩემი იქნები. გონა“.

„დიდი სურვილი მაქვს, ნათია გავიცნო. ჩემი ოცნებაა, თუნდაც ერთხელ მასაუბრა მასთან. კაცი იმედით ცოცხლობს“.

„ნათია, შენ ძალზე კარგი გოგო ყოფილხარ. შენი მზითვი არ მჭირდება, ჩემი სამყოფი ყველაფერი მაქვს. თუ ჩემი გახდები, ხელისგულზე გატარებ“.

„ნათი, გეფიცები, ყველა საჩუქარს შინ მოგიტან და საკუთრივ გადმოგცემ. ვარ მეყვავილე ბიჭი. ჩემი მეურნეობა მაქვს. საოცარ სილამაზეს გაჩვენებ, როცა ჩემს ყვავილნარს დაგათვალიერებინებ, მაგრამ ჩემს ბალში ყველაზე ლამაზი ყვავილი შენ იქნები“.

„ნათია ჟორჟოლიანს. გოგო, სვანი ხარ? თითქოს ხასიათით არ უნდა ჰგავდე სვანს. თბილი, რბილი ადამიანი ჩანხარ. „კაი“ გვარიშვილი კი ყოფილხარ, მაგრამ არც მე ვარ ნაკლები. დამირეკე. ვახო“.

„ნათია, შენგან კარგ დიასახლისს დააყენებს დედაჩემი. იმერელი ქალია, ყველაფერი ეხერხება, შენც ნიჭიერი გოგო ჩანხარ და ისეთი ზაჭაპურის ცხობა გასწავლოს, გაგიხარია...“

„ნათიას ვუძღვნი ყველა საუკეთესო ლექსსა და სიმღერას, ყველაზე ლამაზ სიტყვებს მსოფლიოში და ყველაზე დიდ გრძნობას. იცით, როგორ მიყვარს? ენით ვერ აღვწერ. ნათი, ეს ჩემს თვალეებში უნდა ამოიკითხო, სიმართლეს მხოლოდ ასე გაიგებს. მიყვარხარ, გოცნი, გეყვარები, გეხუტები. ბადრი“.

ჩვენი დღევანდელი „სასიქო“, მომღერალი გიგა კვენეტაძე გახლავთ, მაგრამ ვიდრე მასთან საუბარს დავიწყებდეთ, მინდა, ერთი ანეკდოტი მოგიყვთ: ვანელმა და ხონელმა გადაწყვიტეს, რწყილი გაეტყავებინათ. ეს საქმე ვანელმა ითავა. ხონელი კი თავს დანანებით იქნევა და — ნწუ, ნწუ, ტყავზე ამდენ ქონს ნუ აყოლებო, — იძახდა... ეს ანეკდოტი რა შუაშია? ინტერვიუს ბოლომდე რომ ჩაიკითხავთ, მიხვდებით. ახლა კი ჯერ გიგას ოჯახს გავეცნოთ:



«მბირაღა» «სასიქო» გიგა კვენეტაძე

შეანკო გოხის ქალს იქნას

მარი ჭაჭარიძე

— ამჟამად ვცხოვრობ დედასთან და დისშვილთან ერთად. ჩემი დისშვილი ქუთაისელია, ჩემთან ჩამოვიყვანე და აქ ცხოვრობს. სპორტის აკადემიაში სწავლობს, უნდა, რომ ფეხბურთელი გახდეს. მამჩემი რუსეთშია, თავისი ბიზნესი აქვს და დროდადრო ჩამოდის ხოლმე.

— რამდენი წლის ხარ?

— 6 მაისს 26 წლის ვავხდი და წელს სამი მნიშვნელოვანი თარიღი დაემთხვა ამ დღეს: ვიორგობა, ჩემი დაბადების დღე და „აჭარის ლომის“ წასვლა.

— დაგვიხსენით შენი თავი.

— ადამიანი საკუთარ თავს სიცოცხლის ბოლომდე ვერ შეიცნობსო, — ნათქვამია. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და მაქვს დადებითი თვისებებიც და უარყოფითიც. მე ვახლავართ პირდაპირი ადამიანი. ვარ თბილი და კონტაქტური. ძალზე ბევრი თავყანისმცემელი მირეკავს ტელეფონით და ყოველთვის ვნახულობ დროს იმისთვის, რომ გავესაუბრო. მინდა, მათ ვაგრძობინო, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ფეთქებადი ხასიათი მაქვს, მაგრამ ძალზე სწრაფად ვწყნარდები. ადვილად ვპატიობ სხვას შეცდომას და იოლად მავიწყდება წყნა.

— გაიხსენე შენი ბავშვობა.

— ვყოფილვარ ძალზე ცელქი ბავშვი და სწორედ ამის გამო, ხან თავი მქონდა გატყეილი, ხან მუხლი და ყველგან ნაარევები დამრჩა. ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ: 15 წლის რომ ვიყავი, როგორც ამ ასაკში ხდება ხოლმე, დავიწყე „ბირჟაობა“, ხულიგნობა, სივარტის მოწევა... ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტე, „პლანისთვის“ გამეხინჯა ვემო. უბანში

ბიჭებმა მომაწვეინეს და ცოტა ხნის შემდეგ შინსაკენ წავიდი. გადმოცემით ვიცოდი, როგორი გრძობები უნდა მქონოდა, მაგრამ ვერაფერს ვგრძობდი. მივედი შინ და მესმის ჩიტების ჭიკჭიკი, ბულბულის სტვენა, შაშვის გალობა... ვარ ჩემთვის ოთახში შეყუყული. უცებ, ჩემს სახლთან ჩერდება მანქანა, რომელსაც თავზე პოლიციის „მიგალკა“ აქვს. როგორც იტყვიან ხოლმე — „იზმენა ავიგიდე“... ამ მანქანიდან გადმოვიდა კაცი, რომელსაც უზარმაზარი „პაეონები“ ჰქონდა. გაალო ჭიშკარი და ეზოში შემოვიდა. ვიფიქრე — ვილაცამ „ჩამიშვა“, „პლანი“ რომ მოვწიე და ჩემს დასაჭერად მოვიდნენ-მეთქი. ამ კაცს ეზოში შევხედი, ვიდრე ჩემამდე მოვიდოდა. ვგრძობდი, როგორ მეკვთებოდა მუხლები. რომ მომიახლოვდა, გული წამივიდა და წავიქეცი. ცოტა ხნის შემდეგ, თვალი რომ გავახილე, ეს კაცი მედგა თავზე. ისევ შევწუნდი... მოკლედ, რამდენჯერმე წამივიდა გული. ბოლოს, მეორე დღით მოვედი გონზე. ეს კაცი კი, ბაბუაჩემის მეგობარი ყოფილა და მის სანახავად ყოფილა ჩვენთან მოსული.

— მატერიალურად დამოუკიდებელი ხარ თუ ბიზნესმენი მამა გეხმარება?

— 17 წლიდან, დამოუკიდებელი ადამიანი ვარ და ვცხოვრობ ჩემი შემოსავლით. ვერ ვიტყვი, რომ მამა არ გვეხმარება, მაგრამ იმ ფულს დედა თავის საჭიროებებსა და ჩემს იყენებს და თავის გულს ახარებს.

— რატომ ხარ უცოლოდ?

— ალბათ იმიტომ, რომ ვერ ვიპოვე ის ადამიანი, რომელთანაც ბოლომდე დავიხარავდი და მივლებ გადაწყვეტილებას, რომ უნდა დავქორწინდე. ჩემს ცხოვრებაში არსებობს უამრავი ქალი, მაგრამ ჯერჯერ-

ობით ვერც ერთ მათგანში ჩემს მომავალ მეუღლეს ვერ ვხედავ.

— როგორც ჩანს, არც ისე ერთგული კავალური უნდა იყო...

— ნუ, რა ვქნა... ახლა, ამ ეტაპზე, ასე ვარ, მერე ვნახოთ. ჯერ თავში „პეპლები“ მყავს, არ დავღვინებულვარ. იმის იმედი მაქვს, რომ ერთ დღესაც გავიღვიძებ და ვიქნები ძალზე შეყვარებული.

— როგორი გოგონები მოგწონს?

— უნდა იყოს სასიამოვნო გარეგნობის, მაგრამ ძალიან ლამაზი ქალები არ მხიბლავს, უფრო ტიპური ქალბატონები მომწონს, კლასიკური სტილის.

— ჯუჯულუნა ხარ?

— კი, ისევე, როგორც ყველა მამაკაცი. ძირითადად, ტანისამოსის გამო ვუზღუნებ ხოლმე. საღამოობით დედა მითანხმდება ხოლმე, რა უნდა ჩავიცვა დღით, რომ ის ჩასაცმელი გამიმზადოს. მაგრამ დღით მეცვლება აზრი და ვიწყებ ჩემი გარდერობის გადმოლაგებას და ვუბნები — გუშინ ის მინდოდა, მაგრამ დღეს ეს მინდა-მეთქი... ხანდახან საჭმელზეც ვწუწუნებ ხოლმე — ეს არ მინდა, ის მინდა და რა ვიცი...

— როგორი სიმოწრალე გაქვს?

— „ლაითი“. ძალზე მიყვარს მოლხენა. სუფრასთან ბოლომდე ვისარჯები ხოლმე — ვსვამ, ვმღერი, ვცეკვავ... მერე მივდივარ შინ და ვიძინებ. არ მიყვარს ამ დროს ბორგვა და აქეთ-იქით ბორიალი.

— ოჯახის წევრებისგან საყვედურს ხშირად იღებ?

— მეტწაკლებად. ამ ბოლო დროს, დედაჩემმა მოუხმარა საყვედურებს — დროა, ცოლი მოიყვანო, — მეუბნება, მაგრამ ჯერჯერობით ჩემს აზრზე მაგრად ვდგავარ.

— ჯადოსნური ჯოხი რომ გქონდეს, რას იზამდი?

ტესტი ერუდიციისაზე

1. საჰაერო გურთით დადამინას პირველად პიკარდმა და ჯონსმა (19 დღე, 21 სთ და 15 წთ) შემოუფრინეს და ერთ-ერთი ფირმის მიერ ჯილდოდ დაწესებული 750.000 დოლარიანი დანახარებით. რომელმა ფირმამ დაანება ეს ჯილდო?



- ა) BMW-მ;
- ბ) ბონგმა;
- გ) „ბუდვანიზერმა“.

2. რას ნიშნავს სიტყვა „სკილეტი“ პერკუსიად?



- ა) ადამიანის ძვლების გროვას;
- ბ) არსებობის ღერძს;
- გ) გამხმარს.

3. საორტის რომელ სახეობაში იყო პარიზის ჩემპიონი ახალგაზრდობაში მან პოლ გელმონდო?



- ა) კრივში;
- ბ) ცურვაში;
- გ) მძლეოსნობაში.

4. სამამულე ომში აჭარის დან 25000 ჯარისკაცი წავიდა. რამდენი იყო (დაახლოებით) ამჟამად ძალი?



- ა) 7000;
- ბ) 2000;
- გ) 500.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— საქართველოს ავაციები, აფხაზეთის დაიბრუნებელი და მსოფლიოში შიდასი მისობები.

— ყოველთვის სევედიან სიმღერებს რატომ მღერი?

— სხვათა შორის, სულ მეტიხებიან — რატომ ტირი სიმღერის დროს?.. გავიმხელთ, რომ დაკარგულ სიყვარულს მივტირი. ეს იყო ჩემი „სიყვარული-2“, რომელიც კრახით დამთავრდა. ძალზე დამწყდა გული. განშორების დროს არ მინერვიულია ისე, როგორც მაშინ, როდესაც გავიგე, რომ ის გათხოვდა. ნამდვილი, ცხარე ცრემლებით ვტიროდი. ჩემს სიმღერებში სწორედ ეს აისახება. ეს დაახლოებით ორი წლის წინ მოხდა...

— შედარე შენი თავი ნინაშრებს: რა განსხვავებას ხედავ თქვენ შორის?

— ჩემს წინაშეს სატრაბახო ჰქონდათ საკუთარი ვაჟკაცობა, სიყვარულის სიწმინდე და ზნეობა. ახლა ყველაფერი შეიცვალა. კარგად მასოვს, როგორ უყვართ ერთმანეთი ბებინა და ბაბუას. ბაბუა ჩემი ვანელი გახლდათ, შარაშენი, ბებინა ჩემი — ხონელი. ბაბუა იურისტი იყო და წასულა საქმეზე ხონში. შემთხვევით მოუკრავს თვალი ლამაზი გოგოსთვის, რომელიც ყოველდღე მის სამსახურთან ახლოს, მაღაზიაში პროდუქტს ყიდულობდა. შემდეგ მორიდება დაუძლევი და გამოლაპარაკება. ცოტა ხანში ერთმანეთი შეუყვარდათ... ბაბუაჩემი ამბობდა ხოლმე — ასე არაფერზე მიწვალა ცხოვრებაში, როგორც ბებინაშენის ცოლად მოყვანაზე ვიწვალეო. ჰქონდათ ნიშნობა, ქორწილი, ჯვრისწერა და ძალზე ლამაზი ოჯახი...

— შენ თუ ხარ თანახმა, რომ სასიამოროს სთხოვო ქალიშვილის ხელი?

— მე სხვაგვარად არ მოვიტყევი. თუ ვინმე შემეყვარება, აუცილებლად მის ხელს მამამისს ვთხოვ და იმედი მაქვს, სასიამოროსგან უარს არ მივიღებ. დედის მამა მყავდა შარაშენი, თავადი გახლდათ და სულ დამცინოდა ხოლმე: შე გლეხუჭა კვენტაბო... ასე რომ, გლეხი ვარ და ერთ კარგ გლეხის გოგოს ვეებ, სოფლის სუფთა ჰაერზე გაზრდილს, ბალახზე ფეხშიშველს რომ უვლია, უმანკოსა და მშვენიერს...

— რაიმე თუ მოგიპარავს?

— არა, არასოდეს. თუმცა, ბავშვობაში მასოვს, ბალს ვიპარავდი ხოლმე. ჩემს მეზობლად ჩემი ნათლია ცხოვრობდა და ენოში დიდი, გემრიელი ბლის ხე ჰქონდა. ბალი რომ დამწიფდებოდა, უბ-

ნის ბიჭები ღამით ხეზე ავიპარებოდი ხოლმე და ვჭამდი. ერთხელ მოგვისწერეს, ყველა გაიტყა და ჩემს ნათლიას მე შევჩინე ხელში. — შე საბავლო, რატომ იპარავ? დღისით მოდი, ხეზე აძვერი და რამდენიც გინდა, ჭამეო. — თან დიდი კალათით შინაც მოგვიკითხავდა ხოლმე ხილს. მაგრამ მოპარული, მარტო ბალი კი არა, ყველაფერი გემრიელია...

— ცრუმორწმუნე ხარ?

— არა, გზაზე კატის გადაბრების და ასეთი რაღაცების არ მჯერა. რაც რელიგიურ ნორმებში არ ვდებ, ჩემთვის მიუღებელია. თუმცა, ბავშვობაში ვეკითხებოდი ხოლმე — ხომ იცით, რაღაც სათელს რომ ანთებენ სარკესთან, წყლით სავსე ჭიქაში საქორწინო რგოლს ავლებენ და შიგ საბელო რომ უნდა დაინახო. ხშირად ჩავიტარებია ამგვარი „სეანსი“, მაგრამ ვერაფერიც ვერ დამინახავს. თუ ზურგით დაგენახებოდა საბელო — ეი, ნაცნობი იყო, თუ სახით — ეი, უცნობი. მე კი ვერც ასე ვნახე და ვერც ისე და რა ვქნა?..

— გიგა, გამომხაურებებს თუ გაეცნობი და რომელიმე თავყვანისმცემელთან შეხვედრას თუ ისურვებ?

— აუცილებლად გაეცნობი ყველა „მესიჯს“ და დიდი სიამოვნებით შევხვდები ერთ-ერთის ავტორს — ვისაც ყველაზე მეტად ვუყვარვარ, იმას. თუ მომიწონება, მერე ვნახოთ...

ამოკად, გოგონებო, თქვენს კრებთან შესხვედრად რეალური შანსი გეძლევათ. ვიგასთან დაკავშირების მსურველებმა დამირეკეთ ან „დამიმესიჯეთ“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გისურვებთ წარმატებას.





ტელეჟურნალისტი კოკა მანდიბშილს თურმე უამრავი ქალი ჰყვარებია. მოგზაურობის მოყვარულს განსაკუთრებით ბრიტანელი და ესპანელი ქალები სიბღავს. თუმცა, არც ქართველი ქალების მიმართ არის გულგრილი. კოკა აღიარებს, რომ სიყვარულთან მიმართებაში ყველაზე რთულები სწორედ ისინი არიან.

„...ის გოგო სხნოლზე ჩამომიჭდა და ცუხებში მაკოცა“

მერი კობიაშვილი

— პირველად, საბავშვო ბაღში შემიყვარდა. ის ყველაზე მსუქანი გოგონა იყო ჩემს ბაღში. ერთმანეთთან ვმეგობრობდით. მისით ბავშვურად ვიყავი გატაცებული. ერთ მშვენიერ დღეს, დედაჩემი ბაღში ჩემს წასაყვანად რომ მოსულა, იმ გოგოს უთქვამს — მეც თქვენთან წამიყვანეთო. დედას ჩემთვის უკითხავს — წამოვიყვანოთო? როცა ასე კატეგორიულად დამდგარა საკითხი, იმ გოგოსთვის შემინებდავს და მიუთქვამს — ამხელა ძროხა სახლში რად მინდა-მეთქი?! მერე სკოლაში, დაწყებით კლასებშიც ბევრის მიმართ მქონდა სიმპათია. მაშინ სექსუალურ განათლებას ბავშვები გვიან ვიღებდით. მესამე კლასში პირველ სექტემბერს რომ მივედი სკოლაში, ჩემ წინ მჯდომ გოგოს „საროჩკის“ ქვეშ რაღაც უჩანდა. ერთი გაკვეთილი ძლივს გაეძელი, ზარი რომ დაირეკა, ვტაცე ხელი იმ რაღაცას, გამოვწიე და გატაცაუნდა. ეს იყო უზარმაზარი მიღწევა!.. თავიდან შოკში ვიყავი — ვერ მივხვდი, რატომ ეკეთათ ეს „რაღაც“ გოგონებს. მეგონა, გოგონებმა რაღაც დაითრიეს და ბიჭებს არა გვაქვს-მეთქი. ბიჭებმა „დავაძულამეთქი“ და სანამ იმაში გავერკვეოდით, რომ ეს უხერხული იყო, გოგოებს მაგრად ვაწვავდებდით.

— ისეთი სიყვარული როდის გენვითა, რომლის გამოც ოცნებებში ღამე გაგიოთენებიათ?

— მეხუთე კლასში უზბეკი გოგო — რაზიკული შემიყვარდა, რომელიც ბავშვთა სახლში ცხოვრობდა. ერთ ანსამბლში დავდიოდით. ძიელი ოჯახი გვეკულმე-

მატიკვობდა. რაც ფული მქონდა, სულ მას ვახარჯავდი. ბავშვთა სახლში ხშირად ვაკითხავდი. პირველი პაემანიც იქ გვქონდა. ერთხელ, პიონერთა ბანაკში გასტროლებზე წავიყვანეს. მე, იმ გოგოს და ერთ ქალს ერთ ოთახში გვეძინა. ერთ საღამოს, მე და რაზიკული მარტონი დავრჩით. მოულოდნელად, ის ჩემს საწოლზე ჩამოჯდა, მეცა და ტუჩებში მაკოცა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი კოცნა და კინაღამ დავიხრჩვი, იმიტომ, რომ არ ვიცოდი, მე რა უნდა გამეკეთებინა... იმ დღიდან, რაზიკული გადამიყვარდა, მაგრამ მისთვის არ მიგრძობინებია.

— პაემანზე წასვლის წინ, ნერვიულობდით სოლმე?

— არა. უბრალოდ, სულ მასთან ყოფნა მინდოდა. სხვათა შორის, ამ პირველმა სიყვარულმა მიბიძგა იმისკენ, რომ უფრო კარგად მესწავლა, რადგან სიყვარული „გაწვესრიგებს“ ადამიანს...

— პირველი პაემანისთვის სხვებს რა რჩევებს მისცემდით?

— იყენე ისეთები, როგორებიც არიან, გახსნილები და ალალები. უნდა შეეფიქრონ ისეთი, როგორიც ზარ და არა ისეთი, როგორც თავს მოაჩვენებ. სხვათა შორის, პირველი პაემნები ახლაც მაქვს ხოლმე...

— შეხვედრის ადგილს თქვენ ირჩევთ სოლმე?

— მე ქალს ყოველთვის ვაძლევ იმის საშუალებას, რომ თვითონ მიითრას, სად ურჩევნია შეხვედრა. თუ არ მომეწონება, მაშინ ვუუბნები — იქნებ, სხვა ადგილი შეგვერჩია-მეთქი. ადრე მერჩვენა, რომ ბაღში ან პარკში შეხვედროდი გოგონას, ახლა უპირატესობას რესტორანს ვანიჭებ.

— პირველი სიყვარული ოჯახის შექმნით იშვიათად მთავრდება. განშორებას კი გულისტკენა ახლავს თან. დეპრესიას როგორ უმკლავდებოდით?

— ჩემთვის ასეთი დეპრესიიდან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება იყო დრო და სხვა სიყვარული. პირველად სერიოზული სიყვარული 15-16 წლის

ასაკში მეწვია. ერთმანეთს დიდხანს ვხვდებოდით. მერე მიმატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემთვის აბსოლუტურად გასაგები მიზეზის გამო მოხდა, მასზე დღემდე ვარ გაბრაზებული (იცინის). ამას პირველად ვამბობ... სხვა შემთხვევაში, დაშორების ნაბიჯს პირველი მე ვდგამდი ხოლმე. ყველასთან დღესაც მეგობრული ურთიერთობა მაქვს.

— როგორ სიბღავთ ქალებს? გაქვთ მეთოდი, რომელსაც ქალი აუცილებლად ნამოყვება?

— გააჩნია, რისთვის გინდა ქალი: არიან ქალები, რომლებთანაც გინდა, რომ სექსი გქონდეს, არიან ქალები, რომლებთანაც ფლირტი გინდა. ყველასთან სხვადასხვანაირი ურთიერთობაა საჭირო. თუმცა, მათ საერთოდ აქვთ: ყველა ქალს უყვარს ყურადღება და მოგზაურობა.

— ყველა ქალს ერთი და იმავე ტექსტით უხსნით სიყვარულს?

— ჩამოყალიბებული ტექსტი არ მაქვს. ცოლი ისე მოვიყვანე, მისთვის ნათქვამი არ მქონდა — მე შენ მიყვარხარ-მეთქი. ამის თქმა არც მჭირდებოდა — ყველაფერი ჩემი საქციელიდანაც გასაგები იყო.

— ქალის გულისთვის საგმირო საქმე თუ ჩაიგდენიათ?

— ბევრჯერ მიჩხუბია და არა მარტო მეტოქესთან, საქმის გარჩევა და ჩხუბი გოგოს ოჯახის წევრთანაც მომსვლია. ჩემს მეგობრებს ცოლების მოტაცებაში ვეხმარებოდი. სულ 14 ქალი მეყვანა მოტაცებული. აქედან მხოლოდ სამი წყვილი გაეყარა ერთმანეთს.

— ჩვენი საუბრიდან გამომდინარე ვფიქრობ — სიყვარულის მარადიულობაში დარწმუნებული არ უნდა იყოთ...

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემ გარშემო არის სიყვარულის მარადიულობის მაგალითები, მეგონია, რომ ჩემს ცხოვრებაში ეს არ მოხდება, რადგან მე თვითონ არა ვარ სტაბილური სიყვარულში: შეიძლება, ერთდროულად რამდენიმე ქალი მიყვარდეს.

„იხორა, რომ ომენ აფრასიძეს ვერ მოეჩივრა და უღანაურად გიჭზე იყარა ჯავრი“, — ახსნავენ დაზარალებული

მესტიის პოლიციის თანამშრომელს, 26 წლის ახალგაზრდის მკვლელობაში ადანაშაულებენ

აფრასიძეების ბანდის მიერ ჭკადუსს წაყვანასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს, თუმცა სამართალდამცავები ოფიციალურად არაფერს აფიქსირებენ. არაფერს ამბობს თავად ნატო ჭკადუაც. პაატა ქავთარაძე კი, შავგენ გაბულდანის მკვლელობას სწორედ ამ გატაცების ფაქტს უკავშირებს. იგი პროკურატურის ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და თავს დამნაშავედ არ ცნობს. მისი ინტერ-

ესების დამცველი ადვოკატი არაობიექტურ გამოძიებასა და ქავთარაძესა და მესტიის პოლიციის ხელმძღვანელობას შორის არსებულ დაპირისპირებაზე საუბრობს. „სვანეთში წლების მანძილზე დათარეშობდნენ კრიმინალები, თუმცა არც ერთი დანაშაული პოლიციაში ოფიციალურად არ დარეგისტრირებულა“, — აცხადებს ქავთარაძის ადვოკატი **პოტი**



მოკლული შავგენ გაბულდანი

სხულუსნი. მისი თქმით, პოლიციის ხელმძღვანელობა კბილებამდე შეიარაღებულ და თავზეხელაღებულ ბოროტმოქმედებთან კონფლიქტს გაურბოდა. „ქავთარაძე პოლიციაში დასადგურებულ ამ ქაოსს ეწინააღმდეგებოდა და ამიტომაც მოუწყვეს დანაშაული“, — განმარტავს სხულუსნია.

დაზარალებული — მოკლული გაბულდანის — მხარე მომხდარს სხვაგვარად ხსნის. დაზარალებული და მისი ადვოკატი აცხადებენ, რომ ქავთარაძე აწუხებდა და აწუხებდა იყო განაწყენებული, მაგრამ იცოდა — მას ვერ მოერეოდა და სანაცვლოდ, აფრასიძის ნათესავზე — შავგენ გაბულდანზე იყარა ჯავრი.

რაც შეეხება პროკურატურას, საქმის მასალებში ის დანაშაულის სხვა მოტივზე მიუთითებს. უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების მასალებში ბევრი შეუსაბამობა და გაურკვეველი დეტალია, არაერთი მნიშვნელოვანი კითხვა უპასუხოდაა დარჩენილი. მტკიცებულებების გამოკვლევისას თავიდანვე დაშვებული შეცდომები; ოქმებს ერთი გა-

შს მესტიის რაიგანყოფილების ყოფილი თანამშრომელი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი პაატა ქავთარაძე 26 წლის შავგენ გაბულდანის განზრახ მკვლელობისთვის წარდგა სამსჯავროს წინაშე. მომხდარ ფაქტს წინ უძღოდა აღნიშნული განყოფილების თანამშრომელი ქალის, ექსპერტ-კრიმინალისტიკის ნატო ჭკადუას, საექვო ვითარებაში გაუჩინარება. სასამართლო სხდომაზე დაკითხულ პოლიციელთა თქმით, იგი ცნობილი კრიმინალების, ან გარდაცვლილი მამა-შვილის — აფრასიძეების ბანდის წევრებმა გაიტაცეს (2004 წლის 24 მარტს, სამართალდამცავებმა სპეცოპერაციისას მათი ლიკვიდაცია მოახდინეს). მეორე დღით, ჭკადუა გამტაცებლებმა გაათავისუფლეს.

მომხდებელი აწერს ხელს, თუმცა — სხვადასხვა კალიგრაფიით; მოწმეთა ხელმოწერები ეჭვს ბადებს, რადგან ერთმანეთს არ ემთხვევა. ამის შესახებ განსასჯელის ადვოკატი სასამართლო კოლეგიის წინაშე შუამდგომლობის დაყენებას აპირებს, ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, დანაშაული პაატა ქავთარაძემ 2003 წლის 29 ივნისს, დაახლოებით დილის 6 საათსა და 15 წუთზე ჩაიდინა. საქმის მასალების მიხედვით, 2003 წლის მაისში მესტიის პოლიციამ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს №2 განყოფილებიდან მიიღო წერილი, რომელშიც ის მოითხოვდა, მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოში მცხოვრები, 1977 წელს დაბადებული შავგენ (იგივე ლაშა, იგივე რამაზ) ვახტანგის ძე გაბულდანის საცხოვრებელი სახლის შემოწმებას, მისი ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით. წერილის თანახმად, ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს წარმოებაში გახლდათ სისხლის სამართლის საქმე ვინმე ნიკოლოზ დვინიაშვილის მკვლელობის ფაქტზე. დანაშაული 2002 წლის 26 მაისს, თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე მოხდა. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე შენიშნეს ლაშა გაბულდანი ცეცხლსასროლი იარაღით ხელში, გაბულდანის იმჟამინდელ ადგილსამყოფ-

ფლის დადგენა კი ვერ შეძლეს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ამ საკითხის გარკვევა და გაბულდანის საცხოვრებელი სახლის შემოწმება პოლიციის რაიგანყოფილების ხელმძღვანელობამ პაატა ქავთარაძეს დაავალა. ქავთარაძემ გაბულდანი ვერსად იპოვა. 2003 წლის 20 ივნისს მან ამის შესახებ უფროსობას აცნობა. 2003 წლის 28 ივნისს, მიუხედავად იმისა, რომ ქავთარაძე ოფიციალურად არ მორიგებოდა, საკუთარი ინიციატივით მაინც გამოცხადდა სამსახურში, თან ჰქონდა მასზე რიცხული ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი — „აკს“-ის ავტომატი 2 მჭიდითა და 60 საბრძოლო ვაზნით. მთელი დამე ქავთარაძემ სამსახურში გაატარა. დღით, უკვე 29 ივნისს, დაახლოებით 6 საათსა და 15 წუთზე, იგი პოლიციის შენობასთან ახლოს, კახიანის ქუჩის აღმოსავლეთით, ფერდობზე იდგა. სწორედ ამ დროს შენიშნა თეთრი ავტომანქანა — „ვაზ 2106“. როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, მან იცნო მანქანაში მჯდომი შავგენ გაბულდანი. მანქანას მძღოლი — ელდარ ქანცლიანი მართავდა, მის გვერდით ისხდნენ სლავა გურჩიანი და შავგენ გაბულდანი, ხოლო უკანა სავარძელზე — ემზარ ცალანი, რიოსკა ქანცლიანი და ზურაბ გურჩიანი. ბრალდების თანახმად, ქავთარაძემ ისიც აღიქვა, რომ ავტომანქანაში გაბულდანის გარდა, სხვა მოქალაქეებიც ისხდნენ და ანიშნა მძღოლს, გაჩერებულიყო, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა და მოძრაობა განაგრძო. მანინ გაბრუნებულმა ქავთარაძემ ავტომატის ჯერი დაუშინა მანქანას. „ჟიუ-ჟის“ 7 ტყვია მოხვდა, ერთმა ტყვიამ კი, რომელმაც მარჯვენა წინა კარის გავლით სალონში შეაღწია, გაბულდანი

სასიკვდილოდ დაჭრა. იგი საავადმყოფოში მიყვანამდე, გზაში გარდაიცვალა.

პროკურატურა აცხადებს, რომ ქავთარაძემ გაბულდანს იარაღი განგებ დაუმიზნა და მკვლელობა პირადი შურისძიების მოტივით ჩაიდინა, რადგან მასზე განაწყენებული იყო, ფიქრობდა, რომ 2003 წლის 11 აპრილს მესტიის პოლიციაზე განხორციელებულ თავდასხმაში გაბულდანიც მონაწილეობდა.

ტყვიამ გაბულდანს სხეულის შინაგანი ორგანოები – გული და ფილტვი დაუზიანა. სიკვდილის უშუალო მიზეზად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა შინაგანი სისხლდენა დაადგინეს.

პროკურატურის ინფორმაციით, მომხდარის შესახებ პოლიციაში, თანამშრომლებს პაატა ქავთარაძემ თავად განუცხადა, ცეცხლსასროლი იარაღიც ჩააბარა, თუმცა იმ დღეებში, იგი არაფერს დაუკავებია. პროკურატურა ამას იმით ხსნის, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, თუ რა ვითარებაში მოხდა გასროლა. 2003 წლის 2 ივლისს, ქავთარაძეს 108-ე (განზრახ მკვლელობა) მუხლი წაუყენეს, მოგვიანებით ბრალი 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მუხლით გადააკვალიფიცირეს, რის მოტივადაც გამო-

ძიებამ მიუთითა, რომ ავტომანქანაში მსხლომი სხვა მოქალაქეების სიცოცხლესაც შეექმნა საფრთხე.


პაატა ქავთარაძემ საბოლოო ბრალის წარდგენისას თავი დამნაშავედ არ ცნო და ლუმილის უფლება გამოიყენა. მაგრამ საქმეში დევს წინასწარი გამოძიებისთვის მის მიერ მიცემული ჩვენება, სადაც ის ადასტურებს, რომ 28 ივნისიდან 29 ივნისის დღიამდე პოლიციაში იმყოფებოდა. მისივე თქმით, საავტომობილო გზაზე როგორც კი გამოჩნდა მანქანა, მაშინვე გადავიდა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს; მასში გაბულდანი შეიყვანა, მძღოლს ანიშნა, გაჩერებულიყო, მაგრამ გაჩერების ნაცვლად, მანქანა მისკენ დიდი სიჩქარით წაძვინდა; ქავთარაძე მიხვდა, რომ დაჯახებას და მოკვლას უპირებდნენ, ამიტომაც უკან გადახტა, დაჯახება აიცილა, მაგრამ ახლა მანქანიდან ავტომატებიდან ცეცხლი გაუხსნეს; მანაც გაისროლა ჰაერში, გაფრთხილების მიზნით, სროლას წაქცევის შემდეგაც აგრძელებდა; ვინმეს განზრახ მოკვლის მიზანი არ ჰქონია, პირიქით – ვალდებული იყო, შეეჩერებინა მანქანა, რომელშიც საეჭვო, შეიარაღებული პირები იხსნდნენ; ავტომანქანა არ გაჩერებულა, თავად ქავთარაძე კი შევიდა

პოლიციის შენობაში და მომხდარის შესახებ სიტყვიერად მოახსენა ადმინისტრაციული პოლიციის უფროსს – მურთაზ მჭედლიანს. საავადმყოფოდან გაბულდანის გარდაცვალების შესახებ შეტყობინება მიიღეს თუ არა, ქავთარაძემ მაშინვე დატოვა დაბა მესტია და გაემგზავრა ზუგდიდში, სამეგრელო-ზემო სვანეთის შს საქმეთა მთავარ სამმართველოში მივიდა და ხელმძღვანელობას მომხდარის შესახებ აცნობა, თან ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღიც ჩააბარა სამორივეო ნაწილს.

ელდარ ძანციანი, დაზარალებული (წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან):

„29 ივნისს, საკუთარი მანქანით ვიმყოფებოდი დაბა მესტიაში, თან მახლდნენ სლავა გურჩიანი, შავგენ გაბულდანი, ემზარ ცალანი, როსკა ქანცილიანი და ზურაბ გურჩიანი... ყველანი შავგენ გაბულდანს ვაცილებდით თბილისი-მესტიის სამარშრუტო მიკროავტობუსამდე, რომლითაც უნდა გამგზავრებულიყო. ავტობუსი დილით უნდა გასულიყო, მაგრამ იქ რომ მივედი, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოდგარი... ამის შემდეგ, მინიმარეკეტში ლუდის საყიდლად წავედი. გზად პოლიციის შენობის წინ გავიარ-

გაბულდანი - შავგენის მომხმარებელი მკვლელი.



... (The rest of the text in this block is extremely faint and illegible due to low contrast and image quality.)

ეთ, შეენიშნეთ ორი პოლიციელი, ერთმა მეორეს გადაულაპარაკა – ე, ბიჭო, მოვიდნენო. ყურადღება არ მიგვიქცევია, გზა განვაგრძეთ. ლუდი ვერ ვიყიდეთ, რადგან მინიმარკეტი დაკეტული დაგვხვდა და უკან გამოვბრუნდით. პოლიციის შენობასთან გავლისას, ფერდობზე ბეტონის კედელთან მდგარი პატა ქავთარაძე დავინახეთ. როგორც კი გავცდით მას, მაშინვე სროლა დაგვიწყო, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე... ტყვიის გაბულდანს მოხვდა, იგი მაშინვე საავადმყოფოსკენ წავიყვანეთ, მაგრამ გზაში გარდაიცვალა“.

ციალა გულადანი, დაზარალებულის, გაბულდანის მხარის ადვოკატი:

„ამჟამად ობიექტური სასამართლო გამოძიება მიმდინარეობს და იმედი მაქვს, რომ მომხდარ ფაქტზე ჭეშმარიტება იქ დადგინდება. საქმის მასალებიდან, დანარჩენი დაზარალებულების ჩვენებებიდან აშკარად ჩანს, რომ პატა ქავთარაძე შეგნებულად ჩაუსაფრდა შავგენ გაბულდანს მოსაკლავად. სხვას ვერაფერს იფიქრებ პოლიციელზე, რომელიც მორიგე არ არის, მაგრამ ავტომატით ხელში მინც ათენებს ღამეს სამსახურში და დაუნდობლად ცხრილავს ავტომანქანას, რომელშიც გაბულდანი ზის. საქმე ის გახლავთ, რომ 2003

წლის 11 აპრილს, ომეზ აფრასიძე მესტიის პოლიციის სამმართველოს დაესხა თავს. რა მიზეზით, ეს დღემდე უცნობია. პოლიციაში ამის შესახებ არაფერს ამბობენ, თავად აფრასიძე კი, გარდაცვლილია. იმ თავდასხმის დროს მორიგეობდა პატა ქავთარაძეც. იქვე იმყოფებოდა შავგენ გაბულდანიც – აფრასიძის ნათესავი (ომეზის ძმა შავგენის დეიდაშვილის ქმარი გახლავთ). თურმე, სრულიად შემთხვევით შეხვედრია იმ დღეს პოლიციის განყოფილებისკენ მანქანით მიმავალ ომეზ აფრასიძეს, ამ უკანასკნელს იგი თავის ავტომანქანაში ჩაუსვამს და თან წაუყვანია. ჩხუბის დროს, შავგენ გაბულდანი აფრასიძესა და ქავთარაძეს შუაში ჩასდგომა და გაუზავებია ისინი. ფაქტობრივად, სიკვდილისგან იხსნა მაშინ შავგენმა ქავთარაძე. შავგენი რომ არა, აფრასიძე ქავთარაძეს უთუოდ მოკლავდა. ამის შემდეგ ქავთარაძემ შურისძიება გადაწყვიტა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ ომეზ აფრასიძეს ვერ მოერეოდა. ამიტომაც განიზრახა, უფრო სუსტიისთვის, უდანაშაულო ადამიანისთვის გადაეხადა სამაგიერო და ახლგაზრდა ბიჭი სიცოცხლისთვის გამოესალმებინა.

11 აპრილის თავდასხმის ფაქტზე საქმე დღემდე გაუხსნელია. არც აფრა-

სიძეების გვარი დაუფიქსირებიათ ოქმებში. ამაზე ლაპარაკობენ მხოლოდ ნატო ჭკალუა (მან სასამართლოში თქვა პირველად სიმართლე) და დაზარალებული – შავგენ გაბულდანის დედა, რომელმაც მომხდარის შესახებ შეილისგან შეიტყო. პოლიციასა და ქავთარაძეს შორის დაპირისპირებას გამოვრიცხავ. რა უფლება ჰქონდა ქავთარაძეს მოეთხოვა ან მონაწილეობა მიეღო დაანაშაულების დარეგისტრირებაში და ამ მოტივით უფროსობას დაპირისპირებოდა? მას ამის საშუალებას სამსახურებრივი თანამდებობა არ აძლევდა.

პატა ქავთარაძე გაბულდანის მიმართ ცილისმწამებლურ ინფორმაციებს ავრცელებს, თითქოს იგი 2002 წელს თბილისში მომხდარ მკვლელობაში იყო გარეული. ამის გამო შავგენ გაბულდანი არ იძებნებოდა, ასეთი საბუთი არ არსებობს, არც პოლიციის განყოფილებაში და არც შს სამინისტროს საინფორმაციო ცენტრში. ვვარაუდობთ, რომ ოპერატიული ინფორმაცია, რაც ვაკე-საბურთალოს სამმართველოს №2 განყოფილებას ჰქონდა, სულ სხვა პიროვნებას ეხება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ შავგენს მეორე სახელად რამაზს ეძახდნენ, მაგრამ არა ლაშას. იგი არც წარსულში ყოფილა ნასამართლევი, პირიქით, პატიოსანი, ალაღმართალი ბიჭი გახლდათ, წარმატებუ-

მოსჯარ ნასამართლევა ქალაქ საბურთალოს ქალი თარჯის მიხედვით

17 მაისს შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამმართველოს მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეთო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 50 წლის ნანული გრიგოლის ასული ალავერდაშვილი დააკავეს. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ალავერდაშვილმა სამი (20, 21 და 31 წლის) ფოთელი ქალი მოტყუებით წაიყვანა თურქეთის რესპუბლიკაში, ჩამოართვა მათ პასპორტები და სამივე, თურქეთში მოქალაქეს 4.500 დოლარად მიჰყიდა. შს სამინისტროს ინფორმაციით, მსგავს კანონდარღვევებში ალავერდაშვილი ადრეც ყოფილა შემხნეული. იგი წარსულში ოთხჯერ გახლდათ ნასამართლევი. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის ფოთის განყოფილება აწარმოებს.

ნაკომტიკაგის მოხარაკებისთვის კოლიხიის თანამშრომელი დააკავეს

შიდა ქართლის სამხარეთო შს მთავარი სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების დაბა სურამის ქვეგანყოფილებისა და ქარელის შს განყოფილების თანამშრომლებმა 2004 წლის 17 მაისს ხაშურელები – 1965 წელს დაბადებული თამარ გიორგის ასული ნოზაძე, 1964 წელს დაბადებული პატა ზურაბის ძე რობაქიძე და ქარელის შს განყოფილების სამორიეო ნაწილის ქვემორიევი, პოლიციის რიგითი, ქარელში მცხოვრები, 1967 წელს დაბადებული მამუკა მერაბის ძე აბაიძე დააკავეს.

სამართალდამცავები მათ ნარკოტიკული ნივთიერების შენახვასა და გამოყენებაში ადანაშაულებენ. როგორც შს სამინისტრო იუწყება, დაკავებისას აბაიძე და რობაქიძე ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ.

„არტსეკოს“ აფთიაქი მკარხველები შეიჭრნენ

17 მაისს საღამოს, დაახლოებით 8 საათისთვის, თბილისში, დიდბის მასივის მე-4 კვარტალის მე-5 კორპუსში არსებულ შპს „არტსეკოს“ აფთიაქს მძარცველები დაესხნენ თავს. მათ ცეცხლსასროლი იარაღი დაუმიზნეს აფთიაქის თანამშრომლებს – ნანი წოწერას, ლია ჯანგირაშვილსა და ვასილ გელანტაის და მუქარით, ნაგაჭრი და პირადი თანხა (სულ 800 ლარი) წაართვეს. თავდამსხმელებმა გაქცევა ვერ მოახერხეს, რადგან შემთხვევის ადგილას იმწუთასვე გამოცხადდნენ თბილისის შს მთავარი სამმართველოს, დედუბე-ჩულურეთის შს სამმართველოსა და კერძო დაცვის სამსახურის, შპს „კოდი 365“-ის თანამშრომლები. ბოროტმოქმედები ფაქტზე დააკავეს. შს სამინისტროს პრესცენტრის ინფორმაციით, დაკავებულები – წარსულში ნასამართლევი, 1981 წელს დაბადებული, თბილისელი ავთანდილ თამაზის ძე გიგაშვილი და 1983 წელს დაბადებული თბილისელი ნიკოლოზ ზაზას ძე ესეზუა არიან. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, დაკავებისას მათ უნომრო პისტოლეტი (ერთი მჭიდით), უცხური წარმოების პისტოლეტი „ააღლერ-2003“ (მჭიდითა და ვაზნებით) და გატაცებული თანხა ჩამოართვეს. მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის დედუბე-ჩულურეთის სამსახური აწარმოებს.

ლი სპორტსმენი, მოკრივე იყო და სპორტის გარდა, სხვა არაფერი აინტერესებდა. კრიმინალური სამყაროსგან იგი ძალიან შორს იყო. არ გვინდა, ვინმე უკანონოდ დაისაჯოს, მაგრამ დამნაშავეის მფარველობას არავის ვაპატიებთ. ქავთარაძის ბრალი აშკარაა და უდანაშაულო ბიჭის მკვლელობისათვის მასთან ერთად მისმა ხელისშემწყობებმაც უნდა აგონ პასუხი“.

კობე ახულუშინა, განსასჯელის ადვოკატი:

„ის, რომ შავგენ გაბულდანი ოფიციალურად არ იძებნებოდა, მართალია, რადგან დამდასტურებელი საბუთი არ არსებობს. თუმცა ფაქტია, რომ ვაკე-საბურთალოს პოლიციას მასზე რაღაც ეჭვი ჰქონდა და ამ ეჭვის შესახებ აცნობეს სწორედ მესტიის რაიგანყოფილებას. ამის დოკუმენტი საქმის მასალებში დევს. აღსანიშნავია, რომ ქავთარაძე გაბულდანს ადრე არ იცნობდა, არასდროს შეხვედრია მას, თუმცა დაზარალებული მხარე საპირისპიროს აცხადებს. მათი სიტყვების დამადასტურებელი საბუთი კი, საქმის მასალებში არ დევს. ამ ეტაპზე, მე მხოლოდ საქმის მასალები მაინტერესებს და არა მთარული ხმები. შავგენ გაბულდანის ვინაობის შესახებ ქავთარაძემ პოლიციის ხელმძღვანელობისგან შეიტყო, მისთვის გაბულდანის ფოტო არავის უჩვენებია. დაავალეს, მისი ადგილსამყოფელი შემოწმებინა, მაგრამ შემდეგ, იგივე დაავალება სხვა პოლიციელს მისცეს. ასე რომ, ქავთარაძე გაბულდანის საცხოვრებელი სახლის შესამოწმებლად არ წასულა. ასე ჩანს საქმის მასალებში. სინამდვილეში, ყველაფერი ექსპერტ-კრიმინალისტიკის ნატო ჭკადუას გატაცების გამო მოხდა.“

წინა დამით, 28 ივნისს ნატო ჭკადუა მოულოდნელად გაუჩინარდა. ქავთარაძე პოლიციის თანამშრომელი ვახლდით და როგორც სხვა დანარჩენები, ისიც მოვალედ თვლიდა თავს, გაერკვია, თუ რა მოხდა და სად იმყოფებოდა ჭკადუა; ამისთვის აუცილებელი არ ვახლდით, იგი მორივე ყოფილიყო. ჰქონდა ინფორმაცია, რომ ჭკადუა თეთრი „ნივით“ წაიფანეს. გამთენიისას, ქავთარაძემ ვზაზე თეთრი ავტომანქანა შენიშნა, „ნივა“ იყო თუ „უიგული“, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ის ვალდებული იყო, ყოველი მანქანა შეემოწმებინა, მით უმეტეს – თეთრი. ანიშნა მძღოლს, გაჩერებულიყო, მაგრამ როცა ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა მის ბრძანებას, მან ჰაერში დაიწყო სროლა. გამორიცხულია, დამიზნებით ესროლა, რადგან იქ მას თანამშრომელი (ნატო ჭკადუა.

– ავტ.) ეგულებოდა.

საქმის მასალებში დევს აღნიშნული მანქანის ფოტო, რომელზეც აშკარად ჩანს, რომ ტყვია მარჯვენა კარშია მოხვედრილი, აქედან გამომდინარე, მსროლელი კარის გასწვრივ უნდა მდგარიყო. ამ ფაქტს კი უარყოფს როგორც ქავთარაძის, ასევე დაზარალებულების ჩვენებებიც. დაზარალებულები ამბობენ, რომ პოლიციელმა ცეცხლი გახსნა მას შემდეგ, რაც გვერდით ჩაუარეს მას და ვზა პირდაპირ განავრდეს. გამომძიებლის მიერ შედგენილ სქემაშიც აღნიშნულია, რომ ქავთარაძე მანქანას უკნიდან ესროდა. უკნიდან ნასროლი ტყვია მანქანის კარს იმ ადგილას ვერანაირად ვერ მოხვედებოდა და ვერც გაბულდანის სიცოცხლეს შეიწირავდა. აღსანიშნავია, რომ ავტომანქანას უკანა მხარესაც აქვს ერთი ნატყვია, რომელიც აუცილებლად შეაღწევდა სალონში და დაზიანებდა უკანა სავარძელზე მჯდომ რომელიმე პიროვნებას. ასეთი რამ არ მომხდარა. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობ, რომ ქავთარაძის მიერ ჰაერში გამავრობილებელი გასროლების შემდეგ, აღნიშნული ავტომანქანა სულ სხვა პირებმა დაცხრილეს და გაბულდანიც მათ მოკლეს. ეს პირები, ჩემი ვერსიით, იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, რომელთაც ქავთარაძესთან კონფლიქტი ჰქონდა. მათთან დღემდე არიან შეკრულები ქანცლიანები და დაზარალებულებად ცნობილი დანარჩენი პირებიც. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არც ერთი მათგანი არ დაჭრილა და არც შემდგომ დაინტერესებულან გამოძიების მსვლელობით.

ქავთარაძესა და პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელობას შორის დაპირისპირება რეალურად არსებობდა, თუმცა ამის გამჟღავნება მესტიის პოლიციის თანამშრომლებს დღეს არ აძლევთ ხელს. აფრასიძეების შეიარაღებული დაჯგუფების გარდა, სვანეთში იმ პერიოდში სხვა ბანდებიც დათარეშობდნენ, ახდენდნენ ყაჩაღობებს, მკვლელობებს, იტაცებდნენ ავტომანქანებს... აფრასიძეებზე ვერავის მიესვლებოდა, დატერორებული ჰყავდათ მთელი სვანეთი, ქავთარაძე კი ამას ვერ ეგუებოდა, თითოეულ დანაშაულზე მოთხოვდა პოლიციის მხრიდან კანონიერ რეაგირებას. სწორედ აფრასიძის ჯგუფის წევრებმა წაიფანეს იმ დამეს ნატო ჭკადუა. ერთ-ერთი ვერსიით, აფრასიძეებს რომელიმე ოპოზიციის ან მთლიანობაში პოლიციის გაფრობილება უნდოდათ – ჭკვიანად იყავითო...”

უზენაეს სასამართლოში ნატო ჭკადუაც დაკითხა, თუმცა გატაცების ფაქტ-

თან დაკავშირებით მან თითქმის არაფერი თქვა. „ორნი იყვნენ, აფრასიძის ჯგუფის წევრები, აფრასიძეების სახლთან ახლოს მდებარე სხვა სახლში მიმიყვანეს, არაფერი უკითხავთ ჩემთვის. ისე გათენდა, არც ზეწოლა ან შეურაცხყოფა მოუყენებიათ. დაახლოებით 7-8 საათი იქნებოდა, როცა დაბა მესტიამი მომხდარი მკვლელობის შესახებ შევიტყვე“, – აღნიშნა მან სხდომაზე.

საინტერესოა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: დაზარალებულად ცნობილი პირები – ქანცლიანები, გურჩინაები და ცალანი, რომლებიც ფაქტის უშუალო თვითმხილველები არიან, სასამართლოში არ ცხადდებიან. წინა სხდომაზე მოსამართლემ მათი იძულების წესით მოყვანის განკარგულება გასცა. მოკლული გაბულდანის დედა აცხადებს, რომ მათ ერთ-ერთი ჩინოსანი სამართალდამცავი, ადრე მესტიის პოლიციის სამმართველოს უფროსის, ამჟამად კი – ზუგდიდის პოლიციის უფროსის მოადგილე მარლენ სვაგინი აშანტაყებს. „ის დაზარალებულებს ქავთარაძის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას უკრძალავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჭრით ემუქრება, ამის შესახებ დაზარალებულებმა თავად მითხრეს, როცა მათ სასამართლოს უწყებები გადავეცი“, – აცხადებს მოკლულის დედა. თუ დაზარალებულები ამ სიტყვებს დადასტურებენ, მაშინ სასამართლოში სვაგინის დაკითხვის საკითხიც დადგება. განსასჯელის ადვოკატის აზრით, დაზარალებულებს თავად არ სურთ სხდომაზე გამოცხადება, რადგან თავიდანვე იყვნენ შეკრული პოლიციასთან. ამას, როგორც ბრალდების მხარე, ასევე მესტიის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებიც კატეგორიულად უარყოფენ.

პაატა ქავთარაძეს სასამართლოსთვის ჩვენება ჯერ არ მიუცია. რაც შეეხება წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებას, ქავთარაძის ადვოკატი აცხადებს, რომ იგი არასწორია და მაშინ, ბრალდებული სამართალდამცველებმა შეცდომაში შეიყვანეს. 1962 წელს დაბადებული ქავთარაძე ცოლშვილიანია, წარმოშობით სენაკელია და წარსულში ნასამართლეთ არ ყოფილა. 1995 წლის ივლისიდან, იგი შს მესტიის რაიგანყოფილებაში ეკოლოგიური პოლიციის ინსპექტორად, ხოლო 1999 წლის ნოემბრიდან – ამავე განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროს ინსპექტორად მუშაობდა.

სასამართლო პროცესზე გრძელდება მოწმეთა დაკითხვა.



თვეში 1200 დოლარი საქართველოში მცხოვრები რიგითი ადამიანები-სათვის „ასტრონომიული თანხა“. სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას კი, როგორც მივხვდი, ეს ხელფასი მაინცდამაინც არ აკმაყოფილებს. როგორც თავად გვითხრა — „კი არ ვწუნუნებ, მაგრამ...“ ბატონ გოგას, მინისტრის პოსტის დაკავებამდე, უფრო დიდი შემოსავალი ჰქონია, დღევანდელი ხელფასი კი, მის დიდ ოჯახს ვერ აკმაყოფილებს...

არის თუ არა კმაყოფილი რეჟისურიდან პირდაპირ სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე დანიშნული გიორგი ხაინდრავა თავისი ბედით? ცხოვრობს თუ არა ფუფუნებაში? გამოირჩევა თუ არა ხელგაშლილობით და რა უძრავ-მოძრავი ქონების პატრონა? — ყოველივე ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

უფრო სახელმწიფო მინისტრი მოუსდომოხას უჩივის ეს...

ორი წყვილი ფანსახედი სკიჩლეხა

ლიპა ქაჩიაი სოფო ჭონიშვილი

ბინდოლი:

სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა დაიბადა 1956 წლის 7 ივლისს. ჰყავს: მეუღლე — მარია ჭიჭინაძე, რუსთაველის თეატრის მსახიობი, შვილები — ლევანი (შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი) და მარიამი (საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე); რძალი — სოფიო ჭანტურია (სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი) და შვილიშვილი — 1 წლის ლუკა.

„ბავშვობაში განებივრებული არ ვყოფილვარ...“

— მამაჩემი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი ლევან ხაინდრავა გახლდათ. ოჯახში მხოლოდ ის მუშაობდა, დედა — დასახლისობდა. მამაჩემის შემოსავალი მის მრავალრიცხოვან ოჯახს ფუფუნებაში ცხოვრების შესაძლებლობას არ აძლევდა. მე და ჩემს და-ძმას, სხვა ბავშვებისგან განსხვავებული არაფერი გვქონია, თუმცა, არც სიღუპვით განგვიცდია.

— სად ცხოვრობს ამჟამად დედათქვენი?

— ჩემს ძმასთან ცხოვრობს, ხილანზე. რაც შეეხება მე — სახლი ვერაერთინ არა მაქვს, ვაშენებ (გიორგი ხაინდრავას მიერ შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მას აქვს 45.000 ლარად შეფასებული ბინა და 200.000 ლარად შეფასებული, მშენებარე საცხოვრებელი სახლი თბილისში. — ავტ.) სესხი მაქვს აღებული „თი-ბი-სი ბანკიდან“, 10 წლის ვადით.

— რატომ აიღეთ სესხი? ფული არ გქონდათ?

— დახ. არ მქონდა სამყოფი თანხა.

— თქვენ მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაცია გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ — გიორგი ხაინდრავა მდიდარიყო. რა ქონება დაგიტოვებთ თქვენმა მშობლებმა?

— ჩემთვის ფაქტობრივად, არაფერი დატოვებიათ. რაც მაქვს, თვითონვე შევიძინე.

— თქვენს ოჯახში სამი მსუბუქი ავტომანქანაა, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 20.000 ლარს უდრის...

— კი, მაგრამ ჩემი ცოლის „ნივა“ უკვე ათი წლისაა, ჩემი მანქანა კი (ის დეკლარაციაში 8.000 ლარადაა შეფასებული. — ავტ.) 2 წლის. ხოლო რაც შეეხება BMW-ს — ჩემმა შვილმა დაამტვრია და რაღაც იაპონურ მანქანაში გაცვალა... მითითებული თანხა ზუსტად არ არის; არ ვიცოდი, რამდენი უნდა ჩამეწერა და ფასი მოვემატე; თანაც, ეს ავტომანქანები სულაც არ ითვლება ძვირად ღირებულად...

„შევარდნადის დროინდელ საგადასახადო სისტემას არ „განებივრებდი“...“

— რამდენს შეადგენს თქვენი ოჯახის წლიური შემოსავალი?

— ჩემს შვილებსა და რძალს შემოსავლის წყარო ვერ არა აქვთ. მე წლიურად, დაახლოებით 15.000 დოლარს ვიღებ, ჩემი მეუღლე კი — 3.000 დოლარს.

— ხართ თუ არა მხარჯველი და რაში ხარჯავთ ძირითადად, ფულს?

— დიდი მშოვნელი არ ვარ და მხარჯველი როგორ უნდა ვიყო?! პრინციპში, არც კი ვიცი, რაში იხარჯება ჩემი ოჯახის შემოსავალი: ამისთვის დრო არ მაქვს.

— ოდესმე თუ განგიცდიათ, რა არის უფულობა?

— როცა ინსტიტუტში ვსწავლობდი,

უკვე მეუღლე და შვილი მყავდა. ბინა არ გვქონდა, შემოსავალი არ გვაკმაყოფილებდა. მაშინაც არ ვყოფილვართ მშვიერ-მწყურვალნი და შიმშველნი, მაგრამ ფული გვაკლდა. მხოლოდ 1990 წლიდან დავეცი ფეხზე, მატერიალური თვალსაზრისით. ისიც იმიტომ, რომ უცხოეთში წავიდი სამუშაოდ, სადაც საკმაოდ მაღალი ანაზღაურება მქონდა. იქ იცინა პროფესიონალების ფასი. გამომუშავებული თანხა წლების მანძილზე დამეგროვდა.

— შეძლებს თუ არა ახალი მთავრობა პროფესიონალების დაფასებას და სად ინახავდით უცხოეთში დაგროვებულ თანხას?

— ახალი მთავრობა იმედია, დააფასებს ნიჭიერ ადამიანებს... რაც შეეხება თანხას — ის საფრანგეთის ერთ-ერთ ბანკში მქონდა შენახული. ფული აქ არ ჩამოქონდა და მინდა გითხრა, რომ შეგარდნადის დროინდელ საგადასახადო სისტემას არ განებივრებდი ჩემი გადახდისუნარიანობით. მხოლოდ რამდენიმე თვის წინ გადმოვიტანე ანგარიში საქართველოში...

— ხომ არ გაგვიხსენებთ, რომელ ბანკში ინახავდით ფულს და რამდენს შეადგენდა თანხა, რომელიც საზღვარგარეთ დაგიგროვდათ?

— სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. ბოლოს, ალბათ, 40.000 ევრო. ბანკს კი ვერ დავისახელებთ.

— რატომ მალავთ? თქვენს დეკლარაციაში ენახე იმ ფრანგული ბანკის სახელწოდება...

— სულ არ მასწავლა (იცინის)... ამას საგადასახადო სისტემას ვუძალავდი და თქვენთვის რატომ უნდა მეთქვას?! (საუბარია ფრანგულ ბანკზე CIC, სადაც ამჟამად, სახელმწიფო მინისტრის სახელზე მხოლოდ 3.300 ევრო არიქნება. — ავტ.) ასევე მაქვს ანგარიში „თი-ბი-სი ბანკში“.

დეკლარაციაში აღნიშნული თანხა დაახლოებით 4.500 დოლარს შეადგენს, მაგრამ ახლა, ცოტა მეტი მექნება (6.000 დოლარი), რადგან ხელფასი პირდაპირ ანგარიშზე მერიცხება.

— დეკლარაციაში ასევე აღნიშნულია, რომ თქვენ და თქვენი შვილი ლევანი ხართ შპს „ტიუმ-ქისის“ პარტნიორები. რამდენს შეადგენს თქვენი წლიური შემოსავალი ამ ფორმიდან?

— ძნელი სათქმელია. რაღაც-რაღაცებს კი ვიღებდი, მაგრამ რამდენს, ზუსტად ვერ გეტყვით, რადგან ეს ჩემი სტუდიაა. რაც შეეხება ჩემს შვილს — მას შემოსავალი მამისგან აქვს.

— რამდენად მკაცრი ხართ ფულთან მიმართებაში? ვთქვათ, თანხა გაასესხეთ და უკან არ დაგიბრუნეს. როგორ მოიქცევით?

— არასოდეს არ შევასხენებ. ჩემ გარემოცოფებმა ეს იციან და ზოგი არც მიბრუნებს ვალს. ჩემი საქციელი ალბათ, იქიდან გამომდინარეობს, რომ მეც მქონია შემთხვევა, როცა ფული ვისესხე... სხვათა შორის, პირველი მანქანა, „ნივა“, სწორედ ასეთი — „ნათხოვარი“ თანხით ვიყიდე. წესით, ეს მანქანა დეკლარაციაში არც უნდა ჩამეწერა...

სიმთვრალე და მობილური ტელეფონი

— ალბათ, ხშირად გინვეთ მივლინებით წასვლა. რა თანხასთანაა დაკავშირებული თქვენი ერთი გამგზავრება ქვეყნის ფარგლებს გარეთ?

— იმდენად, რამდენადაც მივლინების დროს, ჩემი ფული არ იხარჯება, ზუსტად ვერ გეტყვით. ბილეთებს თუ გამოვიციხავთ, ძვირი არ უნდა დავადეს, რადგან მთელი დღე დაკავებული ვარ. ერთადერთი, რამაც ამ დროს შეიძლება, ფული დავხარჯო, ლუღია.

— ე.ი. ალკოჰოლური სასმელებიც გყვარებთ.

— არაყს, კონიაკს ვერ ვიტან. ღვინოს კი, სიამოვნებით გეახლებით, მაგრამ არასოდეს დავლევ ზედმეტს. არ ვსვამ ყანწებით და განსხვავებული სასმისებით. სიმთვრალე ან გულის წასვლამდე სმა ბოლმე ვიკეპის მოვინლია. მე ეს მაღიზიანებს.

— კიდევ რა აღიზიანებს გიორგი ხაინდრავას?

— მობილური ტელეფონი. არ მიყვარს მოძრაობაში ლაპარაკი. სანამ მინისტრი გავხდებოდი, ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ მქონია, მაგრამ ახლა, კატასტროფა ხდება: დღეში ერთი ბატარეა არ მყოფნის და თვეში დაახლოებით 5 მონობრათი მჭირდება.

„საჩუქრებზე ძირითადად, ჩემი ცოლი მრუნავს“

— სად აახლებთ გარდერობს?

— მოგეხსენებათ, რომ საზღვარგარეთ მიწვევს სიარული და როგორც წესი, გარდერობს იქ ვახლებ. ხანდახან თბილისშიც მიწვევს ტანსაცმლის ყიდვა. ისე, მდიდრულად ჩაცმის მოყვარული არა ვარ. რაც მაქვს, ის მცვია.

— რა არის თქვენს გარდერობში ყველაზე ძვირად ხელფასზე დამსვენს და სხვა ვერაფრისთვის ვიცლი ღირებული?

— ყველაზე ძვირად ღირებული? ალბათ პიჯაკი, რომელიც ჩემი შვილის ქორწილისთვის ვიყიდე. 900 თუ 1.000 ლარი მივეცი.

— აქუსუარებიდან ყველაზე მეტად რა მოგწონთ?

— არაფერი. თუმცა, ჰალსტუხს არა უშავს რა. მომწონს, მაგრამ ხშირად არ ვხმარობ. მგონი, სულ 10 ცალი მაქვს.

— საჩუქრების მიერთევა თუ გიყვართ?

— როგორ არა?! მეუღლესა და რძალს ძირითადად, სუნამოებს ვჩუქნი. მარიამს — სათამაშოებს, რადგან ჯერ კიდევ პატარაა. ლევანს სპორტული ინვენტარით ვანებიერებდი. ერთხელ, მანქანაც ვაჩუქე... თუმცა, საჩუქრებზე ძირითადად, ჩემი მეუღლე მრუნავს, მე კი, ფინანსური უზრუნველყოფა მაკისრია...

— თქვენ თუ გჩუქნიან რაიმეს?

— რატომაც არა?! საერთოდ, საჩუქრები ძალიან მიყვარს. ახლახან, შარვალი მაჩუქა ჩემმა სიძემ. ადრე იარაღი მაჩუქეს. ბოლოს კი, მეგობარმა პიჯაკი მისახსოვრა და მაგრად გამახარა.

— ისეთი რა პიჯაკი იყო ან ვინ გაჩუქებთ, ასე ძალიან რომ გაგიხარდათ?

— ვერ გეტყვით: ჩემი მეგობარი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია და მის დასახლებას რა აზრი აქვს?!

— გიყვართ თუ არა მეგობრების დაპატიჟება ვთქვათ, რესტორანში?

— გააჩნია, რომელ მეგობრებთან ვარ: თუ ჩემზე ნაკლები შემოსავალი აქვთ, მე გადავიხდი. როცა მე ვიწვევ მათ, რასაკვირველია, მე უნდა ამოვიღო ჯიბიდან ფული, იმიტომ, რომ წესია ასეთი. თუმცა, არის შემთხვევები, როცა მე და ჩემი მეგობრები საზიაროდაც ვიხდით.

სახელმწიფო მინისტრს გარდერობის განახლება სურს, ფული კი არა აქვს

— რა სჭირდება გიორგი ხაინდრავას ყველაზე მეტად?



იცით, ახლა ჩემს შესაძლებლობებს ვერ ვიყენებ: ხელფასზე დამსვენს და სხვა ვერაფრისთვის ვიცლი ღირებული?

— ბევრი რამ. პირველ რიგში, რამდენიმე კოსტიუმი. არ არის აუცილებელი, რომ ძვირად ღირებული იყოს. მჭირდება ორი წყვილი ასალი ფეხსაცმელი... მოკლედ, ჩემს გარდერობს განახლება სჭირდება.

— რა გიშლით ამაში ხელს — უფულობა თუ მოუტყულობა?

— იცით, ახლა ჩემს შესაძლებლობებს ვერ ვიყენებ: ხელფასზე დამსვენს და სხვა ვერაფრისთვის ვიცლი. ის კი არა და, სახლის მშენებლობაც გამიჩერდა: არც დრო მაქვს, არც ფული.

— ე.ი. ადრე, საგრძობლად მეტი შემოსავალი გქონდათ, ვიდრე დღეს?

— როგორც კერძო მეწარმე და რეჟისორი, უკეთესად ვგრძობიდი თავს, მატერიალური თვალსაზრისით, ვიდრე სახელმწიფო მინისტრად ყოფნისას.

— არ გაკმაყოფილებთ შემოსავალი, რომელიც არცთუ ისე მცირეა...

— ნამდვილად არ მყოფნის. ჩემი შვილი ჩემთან ცხოვრობს. დიდი ოჯახი მაქვს. მყავს დედა, მასაც ზომი უნდა დავხმარო? საქართველოს მოსახლეობის 80%-ს ეს თანხა ასტრონომიულად მიაჩნია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ თავზე ნამდვილად არ გადავდგის. თანაც, ზაფხული მოვიდა, როცა მთელი ოჯახი სადღაც დასასვენებლად უნდა წავიდე...

— დღეში რამდენი ლარი სჭირდება სახელმწიფო მინისტრს?

— არის დღეები, როცა ას ლარს ვხარჯავ, რადგან სტუმარი არ მაკლია; ზოგჯერ, ნაკლები, ზოგჯერ კი — მეტი მჭირდება...

P.S. ინტერვიუს ბოლოს, სახელმწიფო მინისტრს ვთხოვეთ, ეჩვენებინა თავისი საფული. გიორგი ხაინდრავამ სასწრაფოდ ამოიღო ე.წ. „ლაპატნიკი“ და გადათვალა: 500 დოლარი, 70 ევრო და 100 ლარი. თან დაამატა: ეს ფული ბერლინიდან ჩამომყვა, თორემ ისე, როგორც წესი, ამდენ თანხას ჯიბით არ ვატარებ. უბრალოდ, დღეში 500 დოლარის დახარჯვა ცოტა ძნელია...

ჩა უქიხატესობა აქეთ უცხოერ ქმხებს

მარი ჯაფარიძე

ქართვილუბთან უაღარუბით?

არავისთვის სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ქალის „უბთავრესი მოვალეობა“ ჭორაობაა. როგორც კი მშენიერი სქესის რამდენიმე წარმომადგენელი ერთად მოიყრის თავს, პირველ რიგში, ახალშენაძენ ტანისამოსსა თუ ფეხსაცმელზე იწყებენ ბჭობას. შედეგ, საერთო ნაცნობებზე წაიჭორაკებენ და... იწყება „მთავარი თემის“ განხილვა – ქმრებსა და საყვარლებზე წუწუნა... როგორ გამორჩა „იმ უნამუსოს“ პირველი კოცინის მე-10 წლისთავი?! როგორ გააყოლა თვალი „იმ მექალთანემ“ დიდმეკრიდან ქალს?! როგორ დაიწუნა „იმ უგემონომ“ კულინარიული წიგნის რეცეპტით გაკეთებული ჩაშუშული კომპოსტო?! – და ა.შ. ამას წინათ, სწორედ ასეთ სიტუაციაში მოვხვდი და ერთი ქალის მიერ ქმრის მისამართით გამოთქმულ საყვედურს მთორე, თავისი ქმრის ქებას შეაგებებდა ხოლმე და თან, დასტურად ისეთ არგუმენტს მოიყვანდა, რომ დანარჩენებს გულზე ხეთქვდა... ეს არგუმენტები მით უფრო დამაჯერებლად უღერდა, რომ სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში, ამ ქალბატონს მეუღლემ რამდენჯერმე დაურეკა და მზრუნველად ეკითხებოდა: – ხომ არ დაიღალე? ხომ არ მოგაკითხო? თავს როგორ ვრძნობო?... ბევრი რომ არ ვგავრძელო, გეტყვი: აღმოჩნდა, რომ ეს მზრუნველი ქმარი ეროვნებით ფრანგი ყოფილა. ბუნებრივია, დავინტერესდი და დაწვრილებით გამოკითხე ყველაფერი. შეძლე კი დამებდა ლოგიკური კითხვა: ეს შემთხვევითობაა თუ უცხოელი მამაკაცები უმეტესად, მზრუნველი ქმრები არიან?! პასუხის მისაღებად, იმ ქალბატონებს დაუკავშირდი, რომელთაც შოტლანდიელი, არაბი და იტალიელი მთორე ნახვერები ჰყავთ.

თავდაპირველად, ფრანგი მეუღლის შესახებ ქალბატონი ნიტა გვიამბობს. დასასრულ კი, ნახსენები თავმყერის ფინალსაც მოგახსენებთ...

– ნიტა, სად „იშოვეთ“ ფრანგი ქმარი?

– სად და საფრანგეთში. 1998 წელს გადავწყვიტე, სამუშაოდ ბელგიაში წავსულიყავი. იქ ჩასულმა, ვერაფერი მოვახერხე და იძულებული გავხდი, ლტოლვილად ჩავბარებულიყავი. ბანაკში გამამწესეს. შემდეგ მქონდა რამდენიმე სასამართლო. ბელგიის მთავრობამ მოქალაქეობა არ მომცა, მაგრამ სამაგიეროდ, ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება მოვიპოვე. დავიწყე მუშაობა ნამცხვრის საცხობში, შაბათ-კვირას კი, ოჯახებში

დავლიოდი და ბინებს ვულაგებდი. მშენიერი გამოუმავება მქონდა, ამიტომ ხანდახან თავს უფლებას ვაძლევდი, გასართობ ადგილებში წავსულიყავი. ბელგია საფრანგეთის მოსაზღვრე ქვეყანაა. ქალაქი, სადაც მე ვცხოვრობდი, საზღვართან ახლოს იყო. ამიტომ შემედლო, თავისუფლად გადავსულიყავი საფრანგეთში. ერთი ასეთი სტუმრობის დროს გავიცანი დენისი. ერთმანეთი მოგვეწონა. ხშირად ის მაკითხავდა შინ, ხანდახან, მე მივდიოდი მასთან სტუმრად... სამი თვის შემდეგ, შემომთავაზა, ცოლად გავყოლოდი. უყოფანოდ დავთანხმდი. ორი წლის წინ კი, თბილისში ჩამოვედი და დენისს ისე მოეწონა საქართველო, რომ უკან დაბრუნებაზე აღარც ფიქრობს.

– ქორწილი გადაიხადეთ?

– დენისი საკმაოდ შეძლებული და წარმატებული ბიზნესმენია. როდესაც მის ოჯახში პირველად მოვხვდი, გაცხებულ იყო ვაცეცხები თვალებს: ეზოში – აუზები, შინ – ანტიკვარული ნივთები, მოხალეები... მის მშობლებს ძალზე მოეწონე და მერე შევიტყვე, რომ ჩვენი ქორწინების ინიციატორები სწორედ ისინი ყოფილან. დიდი ქორწილი გადავიხადეთ. თვალებს არ ვუჯერებდი, საქორწინო კაბა რომ ვნახე... დენისი ძალიან ყურადღებიანი და თბილი ადამიანია.

– გიყვართ?

– როგორ გითხრათ... სიყვარული ბევრს არაფერს ნიშნავს... პატივს ვცემ და ძალზე ძვირფასია ჩემთვის... პირველად, სიყვარულით გავთხოვდი; პაატას გარეშე ცხოვრება ვერ წარმოძღვინა. ქორწინების მთორე წლისთავზე კი ვთვლიდი, რომ ჩემზე უბედური ქალი ამქვეყნად არ დადიოდა. შეეძლო, შინ კვირაობით არ მოსულიყო, თუ დაბრუნებოდა, მაშინაც ისეთი მივრავდი, რომ ფეხზე ძლივს იდგა. ამის გამო ავადმყოფი ბავშვი შეგვეძინა და ხუთი თვის ჩვილი დაგველუპა. მთელი ამ თვეების განმავლობაში თვალი არ მომიხუჭავს, ბავშვის საწოლთან მუხლებზე ვიდექი ხოლმე, თავი კი პაწაწას თავთან მქონდა დაღებული, რომ მისი სუნთქვისთვის მომესმინა. ამ დროს ჩემი ქმარი ისე ხვრინავდა ხოლმე, რომ სურვილი მიჩნებოდა, მივსულიყავი და დამეხრჩო...

– ახლა შვილი გყავთ?

– კი, ერთი შვილი მყავს, ქართული სახელი დავარქვით – მაგდა. ჩემი ქმარი და დედამთილ-მამამთილი მალდას ეძახიან. როცა შინ იყო, დენისი ბავშვს ახლოსაც არ მაკარებდა. ცდილობდა, თვითონ დაეინებინა, პამპერსი გამოეცვალა ან ეჭმია. – შენ დაიძინე, ისიც გეყოფა, დღისით რომ იღლებიო, – მეუბნებოდა ხოლმე. აბა, ასეთ კაცს პატივი არ უნდა სცე? მაგდა საფრანგეთში ცხოვრობს, ჩვენთან სტუმრად ჩამოდის ხოლმე. ის ოთხი წლის განსავით. დენისმა ქართული ისწავლა, პატივს სცემს ჩემს მშობლებს, მეგობრებს და სულ თვალებში მიყურებს, რომ მიხედეს, რა მსიამოვნებს და რა არა.

შემდეგი რესპონდენტი ციციანი ჯაფარიძე განსავით. მას იტალიელი ქმარი



მე წარმოშობით სვანი ვარ, ჩემი მეუღლე ჯოვი გროპია – იტალიელია

ჰყავს, 5 წლის კრისტი და თავს ძალზე ბედნიერად ვრძნობს.

– ჩემი მეუღლე ჯოვი ტროპია გავხლავთ. ის სიცილიელია და ამერიკაში გავიცანი.

– თქვენც სამუშაოდ წახვედით ამერიკაში?

– დიახ. მე მხატვარი ვანსლავართ. ჩემმა ამერიკელმა მეგობარმა მიმიწვია, გამოფენის მოსაწყობად. მანამდე საკმაოდ წარმატებულ ვიტრაჟისტად ვითვლებოდი. ანაბაში, ერთ-ერთი რესტორნის მოსაპირკეთებლად გამართულ კონკურსში მივიღე მონაწილეობა და გავიმარჯვე. იმ დროისთვის საკმაოდ დიდი თანხა გადამიხადეს. შემდეგ გადავწყვიტე, ამერიკაში წავსულიყავი. ამისათვის გავყიდე სახლი, სადაც მე და ჩემი დები ვცხოვრობდით და შედარებით იაფფასიანი ბინა ვიყიდე, მაგრამ ორჯერ მითხრეს უარი ვიზაზე. შესამდეც რომ გამომისტუმრეს უარით, გავბრაზდი და შინ დაბრუნებულმა, საბუთები ნაკუნებად ვაქციე. შემდეგ



ბავშვი ფაქტობრივად, მისი დახმარებით გაგზარდე

ჩემმა დამ შემაგულიანა – ერთხელ კიდევ სცადეო, – ეს ნაკუნები ფურცელზე დავაწებეთ და საკონსულოს ასე, გაუბეღურებული საბუთებით ვწვავი. ამჯერად გამიმართლა... გაცოცხლებულ კონსულს კი ავუხსენი, რომ საბუთები მეზობლის ბავშვმა დამიხია. ნიუ-იორკში ვცხოვრობდი. ვაშინგტონში კი ჩემი ნათესავი გოგო ცხოვრობდა. გადავწყვიტე, მასთან სტუმრად წავსულიყავი. აეროპორტში რომ ჩავფრინდი, ჯოვი გავიცანი. თუმცა, მალევე გავეცალე დამფრთხალი, მაგრამ როგორც ჩანს, ბედისწერას ვერსად წაუხვალ. ეს ჩემი ნათესავი გოგონა ოჯახში მუშაობდა, ჯოვი კი ამ ოჯახის უფროსის მეგობარი აღმოჩნდა და რამდენიმე ხნის შემდეგ, სტუმრად რომ მოვიდა და იქ მნახა, სიხარულით ცას ეწია. მოსვენებას არ მაძლევდა, ცოლად გამომყვებო, მეუბნებოდა. მე კი გავუბრბოდი. შემდეგ, ამერიკაში მცხოვრებ ბიძაშვილს, მამაკაცს ვკითხე რჩევა. მან კი მითხრა – თუ იტალიელია და გეუბნება, რომ უყვარხარ, დაუჯერე, მათ ტყუილი არ იციანო. ასე გავხდი ჯოვის მეუღლე.

— ქორწილი გადაინადეთ?

– მხოლოდ მეგობრები გვყავდა მოწვეული, რადგან ჯვრისწერას თბილისში ვაპირებთ. ჯოვი კათოლიკეა, ჯერ მიინათლება, როგორც მართლმადიდებელი, შემდეგ კი ჯვარსაც დავიწერთ. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ მე ინგლისური არ ვიცოდი, ჯოვიმ – ქართული და ერთმანეთს ძლივს ვაგებინებდით, რა გვინდოდა.

— როგორი მეუღლეა ჯოვი?

– ძალზე ყურადღებიანი და თბილი. ბავშვი ფაქტობრივად, მისი დახმარებით გაგზარდე. ამას წინათ, ჩემი დაბადების დღისთვის ლობიოს კერძი მომიმზადა. მართალია, ჩემს ახლობლებს გაუკვირდათ, ლობიო რომელი სადღესასწაულო კერძიაო? – მაგრამ მათთან ხორციანი ლობიო ძალზე მიღებულა. ერთხელ მეც მიწოდდა, მისთვის მესიამოვნებინა და გადავწყვიტე, გემრიელი კერძი დამეხვედრებინა. დავრეკე ჩემს ნათესავებთან და ვკითხე, ჩახოხბილი როგორ კეთდება-მეთქი? მათი კარნახით მოვამზადე, მაგრამ როდესაც ჯოვიმ გასინჯა, მითხრა: – მეორედ სამზარეულო საქმეებში აღარ ჩაერიოო...

— რით განსხვავდება ის ქართველი მამაკაცებისგან?

– თითქმის არაფრით. მე წარმოშობით სვანი ვარ. ერთხელ, ჯოვიმ მკითხა – სვანეთში ცოლი როგორ მოჰყავთო? – ავუხსენი, რომ როდესაც მამაკაცი პირველად მივა ქალის სათხოვნელად, ჯერ უარით გამოისტუმრებენ, მეორედ რომ მივა, გალახავენ ზღა ისე გამოუშვებენ, შემდეგ შესაძლოა ქალი გაატანონ, შესაძლოა, არა-მეთქი. – ეს სიცილიაშიც ასე ხდებაო, – მიპასუხა კმაყოფილმა.

30 წლის **იას ლაზვილაშვილი** ქართველ მამაკაცთან პირველი ქორწინებიდან ერთი შვილი ჰყავს, 13 წლის ლია. შემდეგ დაქვრივდა და თავისი ბები არაბ მშუპამიდ კჰადრუშს დაუკავშირა. ეკას მუხასთან (ასე ეძახიან მუჰამედს) 4 შვილი ჰყავს და ოთხივე ერთმანეთისგან განსხვავებული. უფროსი, მონიკა 7 წლის გახლავთ და საკმაოდ შავკვრემანია, 6 წლის მარიამი ქერა და ცისფერთვალება, ხალიდი 4 წლის გახლავთ – ოჯახში ერთადერთი გაყია და ფერით დედას ჰყავს, უმცროსი სარა კი 2 წლის – ხორბლისფერი, თაფლისფერთვალება ბავშვია.

– 1996 წელს, ჯგუფთან ერთად სამუშაოდ წავედი ლუბაში. სულ რამდენიმე დღის შემდეგ გავიცანი მუხა. თბილი და ყურადღებიანი ადამიანი და მალე მოიპოვა ჩემი კეთილგანწყობა. ცოტა ხანში დავქორწინდით კიდევც.

— მისმა ოჯახმა როგორ მიიღო ქართველი რძალი?

– მას ჰყავს 8 დედამიშვილი. მშობლები და და-ძმა მაროკოში ცხოვრობენ. მისი ორი და კი, ლუბაში ცხოვრობს. ორივესთან ძალზე კარგი ურთიერთობა მაქვს. დედამისიც რამდენჯერმე გვეწვია სტუმრად და ერთმანეთს მშვენივრად გავუგეთ. ამ ქალს სახეზე რომ შეხედავთ, მიხვდებით – ნდობას იმსახურებს.

— მუხა მრავალშვილიანი ოჯახიდან ყოფილა. ეს მისი სურვილი იყო, რომ ოთხი შვილი გყოლოდათ?

– არა, სურვილი არ ყოფილა, მაგრამ იქ, მოვეხსენებთ, მუსლიმანური სამყაროა და ბავშვის მოშორება არ შეიძლება. თუ დედას ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს, რომ შვილი იყოლიოს, მეუღლემ უნდა მისცეს თანხმობა, ექიმთან მისასვლელად. მე თანხმობას ვერ ვღებულობდი, ერთადერთი მიზეზის გამო – ჩვენი ქორწინება რეგისტრირებული არ არის, რადგან მე ქვეყანაში არალეგალურად ვიმყოფებოდი და ხელის მოწერის უფლება არ მოგვეც...

...დაიქინა, მაინგერესებს, შენი ქვეყანა როგორია და უნდა ვნახოო. ახლა კი უკან წასვლა უნდა და ვედარ მიდის

ეს. ამიტომ, იძულებული ვიყავი, ღმერთმა რამდენი შვილიც მომცა, იმდენი გამეჩინა.

— თქვენ ახლა ღმერთი ასე სენით... თქვენ და თქვენს მეუღლეს სხვადასხვა სარწმუნოება გაქვთ. ხომ არ აპირებთ, რელიგიური მრწამსის შეცვლას?

– არავითარ შემთხვევაში. თუნდაც ამისთვის ოჯახის დანგრევის საშიშროების წინაშე დავდგე. მე ჩემს რწმენას არ ვუღალატებ და ვფიქრობ, რომ შვილებსაც ქრისტიანული წესით მოვნათლავ.

— მუსლიმანურ ქვეყნებში ქალები ჩადრით დადიან. თქვენ თუ იყენებდით თავსაბურავს?

– იქ იძულებული ხარ, ჩადრი ატარო. მე, როგორც არალეგალი, სიამოვნებით ვიყენებდი ამ ატრიბუტს, რათა ჩემი ვინაობა დამემალა. ქალები გარეთ ჩადრით დადიან, შინ კი ისე გამოპრანჭულები და დავარცხნილ-„დამანიკიურებულნი“, რომ გაგიკვირდებათ.

— როგორი მეუღლეა მუხა? ქართველი მამაკაცებისგან რით განსხვავდება?

– ჩვენთან, საქართველოში მიღებულია, რომ ოჯახში დედამთილ-მამამთილთან ცხოვრობ და შვილების გაზრდაშიც მშობლები გენმარებიან. იქ ასე არ ხდება. ჩვენ, ორმა გავზარდეთ ოთხივე შვილი. მუხა ყველაფერში მეხმარებოდა – სახლის დალაგებაში, გარეცხვაში, ბავშვები თითქმის მისი გაზრდილები არიან.

— მუხა რას საქმიანობდა ღუბაში?

– როდესაც დავქორწინდით, ის ტაქსის მძღოლად მუშაობდა, შემდეგ – სატელიტური ანტენების მემონტაჟედ. როდესაც საქართველოში მოვდიოდით, ვუბნებოდი, სამსახურს ნუ მიატოვებ, დარჩი, იქაურო-



**მონიკა, მარიამ და ხალიდ კხადრუფები
– დღლით ქართველი არაბები**

ბა მაინც არ მოგეწონება-მეთქი, მაგრამ დაიჟინა, მაინტერესებს, შენი ქვეყანა როგორია და უნდა ვნახო. ახლა კი უკან წასვლა უნდა და ვეღარ მიდის.

– რატომ?

– ქვეყანაში ცხოვრების ვადა დაუძთავრდა. ახალ ვიზას კი არ აძლევენ, რადგან ხელი მოწერილი არ გვაქვს. ხელის მოწერის უფლებას კი იმიტომ არ გვაძლევენ, რომ ვიზა არა აქვს. გამოუვალ სიტუაციაში ვართ. აქ სამსახური ვერ იშოვა. ერთხანს ჩემი მული გვეგზავნიდა საარსებო თანხას. ახლა ისიც ვეღარ გვეგზავნება და გაგვიჭირდა. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ხელშეწყობები არაბები არიან. მუხამ მიაკითხა, მაგრამ ვერაფრით დაეხმარნენ, ისევე იმის გამო, რომ ვიზა არა აქვს. გვიან ღამით გამწარებულმა ჩააღაგა ჩანთაში თავისი ნივთები და გადაწყვიტა, პოლიციას ჩაჰპარებოდა, რომ დეპორტაცია გაეკეთებინათ. მეც გავყვი. განყოფილებაში მხოლოდ მორიგე დაგვხვდა. მან იქვე, სკამზე მიუთითა და უთხრა: – აქ დაგვკეპი და დღლით უფროსები რომ მოვლენ, იმათ დაელაპარაკეო. მუხამ ესვეწებოდა – საკანში ჩამსვითო, მაგრამ უარი მიიღო. ძლივს წამოვიყვანე შინ. მეორედ, ღამით ლოგინიდან გაიპარა, კვლავ განყოფილებას მიაკითხა და იმავე პასუხით მიბრუნდა უკან. ერთი სიტყვით, ვერ ახერხებს შინ წასვლას, რომ მერე ჩვენც წავიყვანოს.

– ქართველი მამაკაცებით ეჭვანია?

– კი, ეჭვანი არის. თვითონ ამბობს, რომ ძალიან ვუყვარვარ და ამიტომ ეჭვიანობს. ჩემი სიყვარულის გამო ქართულიც კი შეისწავლა, მაგრამ არ ლაპარაკობს. ბავშვები კი ამ ერთ წელიწადში, ქართულს სრულყოფილად დაუფლნენ. მუხას ეჭვიანობის გამო პრობლემა არასოდეს შემქმნია. ის მშვიდი ადამიანია, მაგრამ საქართველოში ცხოვრებამ სულ გააგაჟა. ადგილს ვეღარ პოულობს და ხასიათიც გაუფუჭდა. სულ ვუფლუნებს, თავის თავში ჩაიკეტა და თავს მარტოსულად გრძნობს.

– მათი კანონი მრავალცოლიანობის უფლებას იძლევა. თქვენ როგორ უყურებთ ამ ფაქტს?

– მე ვერაფრის დღევით ვერ შევეუბნები ამას. თუმცა, არც მუხას აქვს სურვილი, ჩემ გარდა ცოლი იქედნე ჰყავდეს...


ჩვენს საუბარში **მუხამც** ჩაერთა და რამდენიმე კითხვით მასაც მივმართე.

– როგორ მოგწონთ საქართველოში ცხოვრება?

– რა ვიცი, ხან მომწონს, ხან არა. ახლა ჩემს სამშობლოში მინდა დაბრუნება.

– რით განსხვავდება ქართველი ქალი არაბი ქალებისგან?

– არაბი ცოლი არ მყოლია და არც



მინდა. ისინი ძალიან ფიცხები არიან. ეკა იმიტომ არ მომიყვანია ცოლად, რომ ქართველია, უბრალოდ, ძალზე შემოყვარდა და ამიტომ დავქორწინდი. ახლა ერთადერთი მიზანი მაქვს – დაებრუნდე ჩემს ქვეყანაში, შემდეგ ჩემი ცოლ-შვილიც თან წაგიყვანო, მანამდე კი ვიმუშაო და მათი გასამგზავრებელი ფული მოვაგროვო.

– საქართველოში მეგობრები არ შეიძინეთ?

– მე გაიცეხული ვარ ქართველი მამაკაცების საქციელით. როგორ შეიძლება, რომ მთელი დღე უსაქმურად იყო, ეზოში იჯდე და კარტს ან დომინოს თამაშობდე? მერე დალევ და ერთმანეთს ისე გამეტებით ურტყამენ, თითქოს მტრები იყვნენ. ერთი ტენდენცია შევნიშნე: თუ ფული მაქვს, ყველა შემხაკცება, მეზობლები სულ „მუხა, მუხას“ ძახილში არიან. თუ არა და, არავის ვჭირდები, კარზე არავინ მომიკაკუნებს. ხანდახან ფეხბურთის სათამაშოდ მეძახიან ხოლმე, მეც სიამოვნებით ვთამაშობ, მაგრამ თუ თამაშის დროს, შექმნილი ვინმეს ხელი მოვარტყი, ისეთ ამბავს ატყენენ, მტრისას... ახლა ვინება? – ჩემი დედა, ჩემი დედა! ამას როგორ ვიტყვი?! ეს როგორ შეიძლება?

ახლა კი ისიც დავადგინოთ, როგორი მეუღლეები არიან „ქვედაკლასის“ მამაკაცები. ჩემი რესპონდენტი **ნათია შურაბაძე**, მისი მეუღლე კი – **შოტლანდიელი არამ არტილიძე**. არამმა მეუღლეს ინტერვიუზე თავაზიანი დასტური მისცა, მაგრამ ფოტოს გამოქვეყნებაზე რატომღაც უარი გვითხრა.

– ნათია, სად გაიცანი არამი?

– აქ, თბილისში გავიცანი. ხუთი წლის წინ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში ვმუშაობდი. ჩვენი მოწვევით უცხოელთა ჯგუფი გვესტუმრა. მათ შორის იყო არამიც. ჯგუფის ყველა წევრი ორი კვირის შემდეგ უკან გაბრუნდა, არამი კი დარჩა და არ დაუძალავს, რომ მისი შეფოვნების მიზეზი მე ვიყავი. საკმაოდ კარგად გავუგეთ ერთმანეთს და როდესაც ცოლობაზე თანხმობა განუცხადე, მხოლოდ

ამის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, რომ ოჯახის წევრებისთვის ეცნობებინა ეს ამბავი და თან, ქორწილისთვის მომზადებულიყო. სულ მალე მეც მოვწესრიგე აუცილებელი საბუთები და ქორწილამდე სამი დღით ადრე, ოცდაათ მეგობართან და ნათესავთან ერთად ჩაფურინდი ლონდონში (არამი იქ ცხოვრობდა). მათი წესის მიხედვით, სიძე-პატარძალმა ერთ ჰერქვეშ დაბე არ უნდა გაათიოს ქორწილამდე. ამიტომ, ჩემი სტუმრებიანად სასტუმროში მომთავსეს. იმ საღამოსვე არამის მშობლები და ძმა მეწვივნენ სასტუმროს ნომერში და ძვირფასი საქორწილო კაბა, ფეხსაცმელი და სამკაული მომართვეს. ძალიან მოვეწონე საღვთობილოს. კალთაში ჩამისვა და სულ შვილო-შვილოს მეძახდა. ჩემს მამარს თან ქართული სასმელი ჰქონდა წამოღებული და არამის ძმა ისე გამოთვრა, ღამის სულ ძირს ხოხავდა. მეორე დღეს საღვთობილომ საკუთარი „შეგროვითი“ მომაკითხა, მღაზიები მომატარა და თავიდან ბოლომდე შემოსა. უამრავი ფუთით დაებრუნდი შინ. ყველაზე დიდი სიურპრიზი კი ქორწილში მელიდა. ჩემი ნათესავები არამს სულ კაცურ კაცსა და ვაჟკაცს ეძახდნენ, ის კი ბოლოკაბაში გამოწყობილი გამოგვეკვიძა და ღამის გული გამისკდა, ისე საცოდავად უჩანდა გეტრსა და შოტლანდიურ კილტს შორის მიშველი მუხლები და ისეთი უსუსური ჩანდა, ღამის ქორწილიდან გამოვიქცევი, მაგრამ თავი შევიკავე. თუმცა, ასე მხოლოდ ეკლესიაში, ჯვრისწერის დროს იყო. შემდეგ მეც გამოვიცვალე ტანისამოსი და მანაც. შვებით ამოვისუნთქე...

– როგორი ქმარია არამი?

– უი, რას ამბობ? მაგას კითხვა რად უნდა? საუკეთესო ქმარია, ძალიან ყურადღებიანი და თბილი. ყოველ გაზაფხულზე, თვითონვე ცდილობს, რომ თბილისში გამომიშვას და მშობლებისა და ახლობლების ნახვით დავტყბე. როცა მე აქ ვარ, არამი კი ლონდონში, ყოველ დღლით მისი შეგვეითი თაიგული მოაქვთ ჩემთვის. თუ თვითონაც თბილისშია, დღლით 7 საათზე დეგება და სავარჯიშოდ მიდის, იქიდან კი თაიგულით ხელდამშვენებული ბრუნდება. ერთადერთი, რაზეც ვერ ვთანხმდებით, ის გახლავთ, რომ მე შვილი მინდა, ის კი ფიქრობს, რომ ჯერ ამისთვის მზად არ ვართ...

ახლა კი შეპირებისამებრ, შესავალში ხსენებული თავშეყრის ფინალს მოგახსენებთ. ქალბატონმა ნიტამ ისე აქო თავისი ფრანგი ქმარი, რომ იქ მყოფმა ერთ-ერთი ქართველი ქმრის ქართველმა ცოლმა ვეღარ მოითმინა და უთხრა: შესაძლოა, შენი ქმარი ძალიან კარგია, მაგრამ ქართველი კაცის მსგავსი, ცეცხლოვანი და ვაჟკაციური მაინც ვერ იქნებაო...

თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი ზურაბ ქატიანი სულ ახლახან დაბრუნდა სანქტ-პეტერბურგის სტუდენტური ფესტივალიდან, საიდანაც ორი დიპლომი და გრან-პრი ჩამოიტანა. „დამიჯერე: იმის შემდეგ, რაც იქ ვნახე, ძალიან მიჭირს, დარწმუნებით გითხრა, რომ საქართველოდან არ წავალ“... — მითხრა ზურაბ, სანამ ინტერვიუს დავიწყებდით. თუმცა, შემდეგ, ჩვენი საუბარი სულ სხვაგვარად წარიმართა.



ფესტივალის გრან-პრი და სანქტ-პეტერბურგში განხილული „გუგულიანი ბენოზა“

ლიკა სააკაშვილი

— როგორ მოახერხე ფესტივალზე წასასვლელი თანხის მოძიება? სტუდენტებისთვის ეს ხომ განსაკუთრებით ძნელია?!

— მართალია. მაგრამ ამ შემთხვევაში, გამიმართლა, შეიძლება ითქვას, რომ დამიფასდა შრომა, რომელიც ამ ფილმის შექმნისას გავწიე. 10-წუთიან ფილმს მთელი წელი ვიღებდი. როცა დავამთავრე, სულ მოკლე ხანში ჩვენს ინსტიტუტში მოსკოვიდან მოვიდა მოწვევა „წმინდა ანას“ ფესტივალში მონაწილეობისთვის და მე, როგორც ყველაზე „ცხელ-ცხელი“ პროდუქციის რეჟისორს, წასვლა შემომთავაზეს. წასასვლელი თანხის მოძიება „ხელის განძრევის“ პრინციპით დავიწყე. საბოლოოდ, სოფო ჭყონიამ გამომიწოდა დახმარების ხელი — გასამგზავრებლად საჭირო თანხა გამომიყო.

— საბჭოთა კავშირში ქართული კინოს პრესტიჟი მუდამ მაღალი იყო. როგორია დღეს, ახლა უკვე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩვენი კინოპროდუქციისადმი დამოკიდებულება?

— მე თუ მეტისა, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, მეტიც — გაცილებით დავრჩი, როცა ორივე ფესტივალზე — მოსკოვიში და სანქტ-პეტერბურგშიც ქართული

ფილმები საუკეთესო დროს ჩასვეს. თქვენ წარმოიდგინეთ, დარბაზი ყოველთვის სავსე იყო. თვალყურს ვადევნებდი მყურებლებს და ვრწმუნდებოდი, რომ ისინი სწორედ ქართული ფილმის სანახავად იყვნენ მოსული. სანქტ-პეტერბურგის ფესტივალის ფიურში არაერთხელ აღნიშნა ქართული კინოს განსაკუთრებული ადგილი ყოფილი საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფის განვითარებაში და ამის შემყურეს, პასუხისმგებლობა და შიში გამიათმაგდა. ყველა, ვინც ასე თუ ისე იცნობდა საქართველოს, ჩამოსვლისთანავე კითხულობდა — რომელია თქვენ შორის ქართველი? ერთი უკრაინელი სტუდენტი იყო, ოლეგი ერქვა; ჩამოსვლისთანავე, როგორც კი ამოიკითხა მონაწილეთა სია, ყველას ეკითხებოდა — რომელია ზურა ქათამაძე? ბოლოს, როცა შევხვდი, ძმურად გადაამხვია და მითხრა — ჩვენ ძმები ვართ, ქართველები და უკრაინელები, ბევრი რამით ვვავართ ერთმანეთსო... გიკვირს? მეც გამიკვირდა. თუმცა, ყველაზე ეს არ ითქმის. ზოგს ძალზე სტერეოტიპული წარმოდგენა აქვს ჩვენზე. თვითმფრინავიდან რომ ჩამოვედი, ორი სტუდენტი გოგონა დაეინახე, ხელში პლაკატი ეჭირათ „ფესტივალ „ნაჩლო“ — ზურა ქათამაძეზე“. მივედი და ვუთხრე — „ზღრავსტეუიტე“. — ზედაც არ მიფურებენ. გავუთქორე — „ზღრავსტეუიტე, ეტა ია ზურა ქათამაძე-

მეტი“. გაცილებით სანახევრად დააღეს: — „ა მი დუმალი, ჩორნი პრეიბიტო...“

— თვით ფესტივალზე რას გავიტყვი?

— ყველაფერი ძალზე კარგად იყო ორგანიზებული. გემასპინძლობდა მაღალი დონის სასტუმრო, გვემსახურებოდა მანქანა, თითოეულ სტუდენტზე ყოველდღე, დამატებით 100 დოლარი იყო გამოყოფილი — ერთი სიტყვით, არაფერი გვაკლდა.

— გარდა წარმატებისა, ფესტივალის რით დაგამახსოვრდა?

— ალბათ, ახალგაზრდული კავშირებით: მრავალი მეგობარი შევიძინე და იმედი მაქვს, მათი საშუალებით კულტურულ კავშირებსაც ჩაუყურით საფუძველს. ერთ-ერთი სტუდენტისგან უკვე მივიღე შემოთავაზება, ერთობლივად გადავიღოთ ფილმი... და კიდევ ერთი რამ: როგორც ქართველებს გვჩვენებდა, თამაშობდა მერგო წილად. საერთოდ, ორი კვირის განმავლობაში, არც ერთი დღე ამ მხრივ უქმად არ გავგიტარებია... წამოსვლის წინაღამეს კი, 13 ქვეყნის შეილმა ერთმანეთს ჩავჯიღეთ ხელები და ძმობა შევფიცეთ. ამ აქტს „მეშვიდე გრძნობა“ დავარქვით. ამ ყველაფრის შემდეგ, მივხვდი, რომ ყველა ქვეყნის შეილს ერთმანეთისგან მხოლოდ საზღვრები ყოფს...



სანქტ-პეტერბურგში მრავალი მეგობარი შევიძინე...



ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკვან:

- 1. აერეხი უნაყოფო ვაზია.
- 2. პირველი ალფაბეტი შუმერებმა გამოიგონეს.
- 3. კაკლის მთლიან ლებანს გორგომიჭველას ეძახიან.
- 4. თემურ-ლენგი ფილტვების ანთებისგან გარდაიცვალა.



- 5. ფერადი ტელევიზორი ვალტერ ბრუსმა გამოიგონა.
- 6. XIX საუკუნის რუსეთში რითმას „კრესავალსისე“ ეძახდნენ.
- 7. სათვალეს თავდაპირველად, ძვირფასი ქვებისგან ამზადებდნენ.

- 8. ბალეტი საფრანგეთსა და იტალიაში ეკატერინე მედიჩიმ შეიტანა.
- 9. შეკუმშვით აალეხადი შიდაწვის ძრავა რუდოლფ დიზელმა გამოიგონა.
- 10. გველის ნაკბენისგან ყოველ წელს 30000 ადამიანზე მეტი იღუპება.
- 11. მზის სისტემის პლანეტათაგან ყველზე ბოლოს, პლუტონი აღმოაჩინეს.
- 12. ლექსი – „შიროკა სტრანა მაია რადნაია“ – ლებედევ-კუმაჩის დავერელია.

- 13. საბალეტო სცენაზე მოკლე კაბით პირველად, მარი ანა კამარგო გამოჩნდა.
- 14. მუქთახორებსა და მუქთამკვამელებს ძველ საბერძნეთში პარაზიტებს (პარასიტოს) ეძახდნენ.
- 15. ღრმა წყლის თევზებს საცურაო ბუშტი ჰაერის ნაცვლად, სითხით აქვთ საფხე, რომელიც წნევის ცვალებადობისას, მოცულობას არ იცვლის.
- 16. „ესლი უ ვას ნა გალავე იოჟიკ, ვას ლიბა ზაბირაიუტ ვ არმიუ, ლიბა ვი პრასნულის ვ ლესუ პოსლე პიანკი“ – გვარწმუნებს მიხაილ ზადორნოვი.
- 17. გერატი, ისკენდერუნი, ყანდაარი, მარი, ხოჯენტი და ალექსანდრია – ყველა ეს თანამედროვე ქალაქი ალექსანდრე მაკედონელის დაარსებულია.
- 18. ევერესტი მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის ევროპული სახელწოდებაა, ჯომოლუნგმა – ტიბეტური, საგარმატხა – ნეპალური.
- 19. ჰოსპიტალიერების ორდენის დროშაზე წითელი ჯვარი იყო გამოსახული. სწორედ ეს ორდენი მფარველობდა საავადმყოფოებს. მედიცინაში წითელი ჯვრის სიმბოლოც აქედან შემოვიდა.
- 20. როდესაც ცხენის წაბლს ფოთ-



ქარი კირჯასი საჩუჩარი და როსტ სტუჯას პირი პიქსონლი დაუიჯუჩარი სასაჟო

თეატრის მოყვარულებს დაუფინყარ სასცენო შთაბეჭდილებად დარჩათ რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“, რომელშიც რობერტ სტურუამ მსახიობთა საუცხოო ანსამბლი შექმნა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაცურებელი გააოცა. ამ ანსამბლში გამოჩენილი ადგილი ეკავათ თათული დოლიძის და ჟანრი ლოლაშვილს, რომლებმაც არაერთი საინტერესო პერსონაჟი განასახიერეს მშობლიური თეატრის სცენაზე დღეს, შემოქმედი უმეტესწილად, თავს არიდებს საკუთარი თავის პოპულარიზაციას და ინტერვიუზე ძნელად თანხმდება. თუმცა, ქალბატონო თათული ბოლოს მაინც დავითანხმეთ. ბატონი ჟანრი კი ამ დროს, თავისი მეორე გატაცებით — ფერწერით იყო დაკავებული...

ნუსა თოფჩიშვილი

— ქალბატონო თათული, როდესაც ერთ ოჯახში ორი ცნობილი ხელოვანი ცხოვრობს, როგორც ნუსა, ერთ-ერთი ლიდერია. რომელია თქვენ შორის ლიდერი?

— ჩვენი ურთიერთობა თანაბარუფლებიანობაზეა აგებული. ერთმანეთის შემოქმედებასა და საქმეებში არ ვერევი. შეიძლება ერთმანეთს ნამუშევრებზე აზრის გამოთქმა ვთხოვოთ, მაგრამ საკუთარ აზრს თავზე არ ვახვევთ. ეს ეხება როგორც ოჯახს, ასევე თეატრსაც. საერთოდ, პარტნიორისთვის შენიშვნის მიცემა არაკორექტულია, ამისთვის არსებობს რეჟისორი, რომელიც ამ პროცესს არეგულირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტუაცია იძაბება. მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ რეჟისორის ავტორიტეტს. ამას თეატრის წარმატება-წარუმატებლობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. რეპეტიციის დროს მე და ჟანრის შეიძლება ერთმანეთის მიმართ რამე წამოგვეცდეს, ეს, იშვიათად ხდება, მაგრამ თუ ხდება, ყოველთვის იუმორის ელფერი დაჰკრავს. ამ დროს სხვები ძალიან ხალისობენ.

— როგორია თათული დოლიძის თვლით დანახული ჟანრი ლოლაშვილი?

— ჟანრი ბედნიერი ადამიანია. ახლა თეატრი გაჩერებულია და მსახიობები ხან რითი არიან დაკავებულნი და ხან — რითი. ხშირად იმ ჩვენს დანგრეულ ბუფეტში იკრიბებიან. სჭირდებათ ერთად ყოფნა, უყვართ თეატრი და ერთმანეთი. ჟანრი იმით განსხვავდება მათგან, რომ ხატვაც იმავე დონით უყვარს, როგორც თეატრი. აქვს იმის ბედნიერება, რომ ხატვას უამრავი დრო დაუთმოს. განმარტოვდება თავისთვის და რასაც უნდა, იმას აკეთებს. ბოლომდე იხარჯება. ამის გამო თეატრ-



შეიძლება ერთმანეთის მიმართ რამე წამოგვეცდეს... ამ დროს სხვები ძალიან ხალისობენ

ში თამაშის ისეთი წყურვილი აღარ აქვს, როგორც სხვა მსახიობებს. რასაკვირველია, მსახიობობა ისეთი სენია, რომ კარგ როლზე ჟანრი უარს არ იტყობდა და სიამოვნებით ითამაშებდა, მაგრამ მეორე მხრივ, ასეთი დიდი კომპენსაცია აქვს. მეც ვხატავდი და ვიცი, რა არის ეს. ხატვაში იკლავ ყველანაირ წყურვილს და სხვა აღარაფერი გინდა. ჟანრი აბსოლუ-



ნანული სარაჯიშვილი, თათული ღოლიძე და რამამ ჩხიკვაძე, გასტროლებზე გამგზავრების წინ

ტურად თავისუფალი პიროვნებაა. ყოველთვის ისე ცხოვრობდა, როგორც მას მოსწონდა და ახლაც ასე ცხოვრობს. ყოველთვის ამბობდა – ისე ვიცხოვრებ, როგორც მე მინდა და ცხოვრობს ისე, როგორც მოსწონს.

— როგორ დაიწყო თქვენი სამსახიობო კარიერა? რამ გიბიძგათ თეატრისკენ? სპეციალობის არჩევაში თქვენმა სილამაზემაც ხომ არ ითამაშა დიდი როლი?

— არაფერმა არ მიბიძგა და საერთოდ არ მიფიქრია ამ პროფესიაზე. ყველაფერი სრულიად შემთხვევით მოხდა: იმ წელს ვაბარებდი მოსკოვის უცხო ენათა უნივერსიტეტში. ქულები დამაკლდა და ვერ მოვხვდი. ჩვენი ოჯახის ახლობელმა ლამარა მექვაბიშვილმა, რომელიც დღემდე თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობს, ჩემს მშობლებს ურჩია: გიგა ლორთქიფანიძეს ჯგუფი აჰყავს, საინტერესო ლექციები ექნება და იაროს ჩვენთანო. სიმართლე გითხრათ, შინაგანად ძალიან წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ისე დავამთავრე სკოლა, ლექსიც კი არ მითქვამს. მაგრამ ძალიან მორჩილი ბავშვი ვიყავი და მივედი თეატრალურ ინსტიტუტში. გამოცდები დამთავრებული იყო, თავისუფალ მსმენელად მიმიღეს. თუმცა, ფორმალური გამოცდა მაინც მომიწვევს. ეს ჩემთვის ძალზე მძიმედ მოსაგონარი წუთებია. ძალიან მრცხვენოდა, რადგან მეგონა, თეატრალურ ინსტიტუტში განსაკუთრებული ადამიანები აბარებდნენ, ამ სასწავლებელზე, რადაცნაირი ზეაწეული, ამაღლებული წარმოდგენა მქონდა. მერე შევეჩვიე, გემო გავუგე, მომეწონა. ინტერესიც გამიჩნდა და კარგი სტუდენტი ვიყავი. ჯერ გიგა ლორთქიფანიძის ჯგუფში ვიყავი, შემდეგ საკურსო და სადიპლომი გიზო ჟორდანიასთან ვითამაშე და ძალიან წარმატებულადაც.

— იმ ოჯახზე მოგვიყვით, რომელშიც იზრდებოდით.

— ტრადიციულ, ძალზე მრავალრიცხოვან ოჯახში გავიზარდე. ბებია-ბაბუები,

მამაჩემის დეიდაშვილები... მოკლედ, ხან 12 და ხან – 14 ადამიანი ცვცხოვრობდით ერთად. ჩემი აზრით, ეს ბავშვის აღზრდაზე კარგ გავლენას ახდენს: სხვადასხვანაირ ხასიათს ეჩვევა და ადამიანებთან ურთიერთობა უადვილდება. საინტერესო და სტუმრიანი ოჯახი მქონდა. მამაჩემი მთელი ნათესაობის ბურჯი და იმედი იყო. პროფესიით მეღვინე გახლდათ, უსაზღვროდ მშრომელი, დაუღალავი, თავის საქმეზე შეყვარებული. დედაც კაცთმოყვარე იყო, თორემ ასეთ მრავალრიცხოვან ოჯახს ვერ შეეგუებოდა. დღემდე უამრავი მეგობარი ჰყავს და დღესაც ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს.

— როგორები არიან ცნობილი ადამიანების შვილები?

— დრამატული თეატრის მსახიობთა შვილები, რომლებსაც მე ვიცნობ, არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველანი მართლაც, ძალიან წესიერი, თავიანთი საქმის მოყვარული, დადებითი ადამიანები არიან. ალბათ, ეს იმის წყალობაა, რომ ბავშვობიდან, თეატრს, ხელოვნებას ეზიარნენ. ეს ფასეულობა ილექება, რჩება მათშიც და მერე სიკეთისაკენ წარმართავს მათ საქმიანობას და აზროვნებას. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი შვილების უკმაყოფილო ვარ. რატომღაც არც ერთმა არ აირჩია ჩვენი პროფესია. ორივეს კარგი მონაცემები ჰქონდა. უფროსი – სალომე ტელევიზიაში მუშაობდა. „იბერევიზიაში“ მშვენიერი გადაცემები მოამზადა, მერე კი, აირია ყველაფერი ქვეანაში. ახლა, რაც აინტერესებს, ის ტელევიზიას არ აინტერესებს – მომგებიანი არ არის – და სხვა საქმეს მოჰკიდა ხელი. რაც შეეხება გიორგის – ის ჯერ ძიებაშია, ხან რა უნდა, ხან – რა. თითქოს არქიტექტურამ დააინტერესა, ხატვის ნიჭიც აქვს. ვნახოთ... სალომეს შვილი სოფო, რომელიც ჯერ 3 წლისაა, ძალიან არტისტულია და უკვე გაიბახის – სცენაზე მინდა ცეკვა და სიმღერაო...

— მსახიობი სხვადასხვა როლის თამაშით ადამიანის ბედსა და სულს სწვდება და ფსიქოლოგსაც

ინფორმაციულ-შეფხვნილობითი კოლაჟი

ეორი დეალიზ უბის წიგნაკოდან:

ლები სცვივა, იმ ადგილზე, სადაც ფოთოლი ყუნწით იყო მიმაგრებული, ცხენის ნალის ფორმის ნაჭდევი რჩება. აქედან წარმოდგება ხის სახელწოდება.

21. ეისოლი და ეკსოლი, ისტოლი და ვესტოლი, ორიოლი და ოქსიოლი, ანატოლოლი და დისიოლი, დეკსიოლი და სკეოლი, ვოლტოლი და გალვანოლი – ასე ეძახდნენ იმას, რასაც დღეს, ანოლი და კათოლი ჰქვია.

22. იბერიელი კელტების მიერ მოპოვებული რკინის ზოდები რკინისა და ფოლადის ნარევისგან შედგებოდა. ამ ზოდებს ისინი მიწაში მარხავდნენ და ელოდნენ, სანამ კარგად არ დაიჟანგებოდა. მიწაში ზოდის რბილი ნაწილი იშლებოდა და რჩებოდა ფოლადი, რომლისგანაც კელტები იარაღს ჭედავდნენ.

23. ნაყინის რეცეპტი ევროპაში მარკო პოლომ XIV საუკუნეში ჩინეთიდან შემოიტანა. მომდევნო სამასი წლის განმავლობაში, მას მხოლოდ სასახლეების სამზარეულოებში ამზადებდნენ და დამზადების წესიც მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. ამ ნუგბარის საყოველთაო გაყიდვას იტალიელმა პროკოპიო კოლტელიმ 1630 წელს მიჰყო ხელი.



24. როდესაც რომაელებმა ბრიტანეთი დაიპყრეს, პიქტებისაგან თავის დასაცავად კუნძულზე უზარმაზარი კედელი ააგეს. კედლის წინ თხრილი გაიყვანეს, რომელშიც დამტვრეული შუბებისა და ხმლების პირები ჩაასვეს. პიქტები დიდხანს არ გაჰკარებდნენ ამ კედელს, თუმცა რომაელები დროდადრო, მათ თხრილში ჩასულებს ატყვევებდნენ, სადაც ისინი რკინის მოსაპარად ძვრებოდნენ.

25. შაბათობები ბევრს, კომუნისტების შემოღებული ჰგონია, მაგრამ ჯერ კიდევ XIII საუკუნეში, სანტიაგო-დე-კომპოსტელას სინოდმა დაადგინა, რომ ყოველ შაბათს, გარდა სულთმოფენობისა და აღდგომისწინა შაბათისა, მღვდლები, რაინდები და გლეხები საზოგადოებრივ სამუშაოზე უნდა გამოსულიყვნენ. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მათ ჯარიმის გადახდა უწევდათ. მაშინ შაბათობების ერთადერთი მიზანი, მგლების განადგურება იყო.

ემგავსება. თქვენ ალბათ ყველანაირი ადამიანის გესმით, არა?

— ნამდვილად ასეა. თითქოს სხვის სხეულში, სხვის ტყავში, სხვის სულში ვეძებთ ხასიათებს. არ ვიცი, ამან გამოიწვია თუ არა, ხშირად მიფიქრია — რა შეიძლება, რომ ადამიანს არ გაპატიომეთქი?! როგორც „ბიბლიაშია“ — ნუ განიკითხავ... ეს, ჩემდა უნებურად, თავისით მოხდა. სხვისი ჭირი და ღხინი როგორ არ მაინტერესებს, მაგრამ ზედმეტად არავის ცხოვრებაში არ ვერევი და ჩასაფრებული არა ვარ. ჯობს, შემწყნარებელი იყო და პატიება შეგეძლოს.

— მსახიობები ხშირად აღიარებენ, რომ სხვის ხასიათში წვდომა, ძალზე რთულია. ხომ არ გქონიათ ისეთი როლი, რომლის თამაშმაც სინანულისა და დაუქმყოფილებლობის გრძნობა გაგიჩინათ?

— იყო ასეთი ეპიზოდი, რომლის გახსენება ახლაც არ მინდა. როცა თეატრში დავიწვე მუშაობა, საშინელება დამემართა: ვერაფრით ვგავრთვი თავი ერთ უმნიშვნელო ეპიზოდს. თავის მართლებას აზრი არა აქვს, შეიძლება, ყველაფერს მოუძებნო გამართლება, მაგრამ იმ სპექტაკლის შემდეგ, ისე დავითრგუნე, ბევრი დრო დამჭირდა გონზე მოსასვლელად.

— ყოფილა შემთხვევა, როცა კარგ როლზე უარი გითქვამთ იმ მიზეზით — ის საჩემო არააო?

— თეატრს რაც შეეხება, ამის უფლება ადრე არ გვქონდა: ისეთი შინაგანაწესი არსებობდა, რომლის დარღვევაც არ შეიძლებოდა. რასაკვირველია, გამოცდილ მსახიობს შეუძლია, უარი თქვას როლზე, მაგრამ ახალგაზრდებს არ შეგვეძლო. ერ-

თადერთი, რაზეც უარი ვთქვი, დუბლიორობა იყო და ეს ორჯერ მოხდა. ის როლი იმდენად არ იყო „ჩემი“, რომ ვერაფრით ვითამაშებდი. ის შექსპირის გმირი იყო, ქალბატონი ზინა კვერენჩილაძე თამაშობდა შესანიშნავად. ავად გახდა და რატომღაც მე გამოიმიძახეს. იმ როლთან არანაირი კავშირი არ მქონდა და თანაც ქალბატონ ზინას პარტნიორ მამაკაცებთან შედარებით, ძალიან პატარა ვიყავი. ვთხოვე რეჟისორს — ნუ შემიყვან ამ როლზე-მეთქი. მეორე შემთხვევაც ანალოგიური იყო.

— თქვენი აზრით, პროფესიონალიზმი საკმარისია პოპულარობისთვის, თუ იმიჯზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული?

— მარტო პროფესიონალიზმი არ გყოფნის პოპულარობისთვის, ბევრი რამ თავად პიროვნებაზეა დამოკიდებული. შეიძლება, ერთმა ბევრი იმუშაოს, რეჟისორმაც ხელი შეუწყოს, მაგრამ მეორეს ისეთი ხიბლი ჰქონდეს, რომ ნიჭიერსა და მშრომელს ავჯობოს. ჩემი აზრით, ეს ღვთისგან ბოძებული ნიჭია.


— მხოლოდ თქვენ, მსახიობებმა იცით კულისების სასწაული. ყველა მაყურებელს სურს, იქ ცალი თვალით მაინც „შეიჭყიტოს“. იქნებ, შეგვახეილოთ კულისებს მიღმა?

— კულისები მართლაც, ძალზე საინტერესო ადგილია. იქ სულ სხვა იდუმალება სუფევს. კულისებში სულ მარტო ხარ... კულისებში ყველა მსახიობი განცენებულად ძალზე საინტერესოა. უნდა დადგე და უყურო, ვინ როგორ ემზადება სცენაზე გასასვლელად. ეს ძალიან საინტერესო პროცესია. ამის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია. მწერალი არა ვარ, რომ ეს მდგომარეობა აღვწერო. კამერა ალბათ მოახერხებს, მაგრამ ამას დიდი ოსტატობა სჭირდება. ასევე საინტერესოა რეპეტიციაც. სპექტაკლის დადგმის გარკვეულ ეტაპებზე, ზოგი რეპეტიცია სპექტაკლზე საინტერესოა. რაც შეეხება კულისებს — კარგი რეჟისორი, კარგი მონტაჟის შემსრულებელი კულისების ცხოვრებას საინტერესოდ გადაიღებდა, მაგრამ ეს არც ისე იოლია. ალბათ, ბევრს ჰქონია ამის სურვილი, მაგრამ ვერაფრით ვერავინ გააკეთა. ისე კულისებში უსახლგროდ საინტერესო და სასაცილო ამბები ხდება...

— ყველაზე ორიგინალური და დასამახსოვრებელი საჩუქარი ვის მოუერთმევია თქვენთვის?

— ჩვეულებრივ საჩუქრებზე საუბარი არ ღირს. ჟანრი თავის ნაბუშვრებს მიძღვნის და ეს ძალიან ძვირფასი საჩუქარია.

სალომეს შვილი სოფო, რომელიც ჯერ 3 წლისაა, ძალიან არგისგულია



რაც შეეხება გიორგის — ის ჯერ ძიებაშია

საინტერესო ისაა, რომ მე არ მხატვაც. ძნელი დასახატი ხარო, — მეუბნება. გივი კასრადემ სამი-ოთხი ცდის შემდეგ დამხატა, ნათელა იანქოშვილსაც ვყავარ დახატული, მაგრამ ჟანრის არ დაუხატავარ. ჟანრის 36 ნამუშევარი იყო გამოფენილი, მათ შორის, ერთი — პორტრეტი. როდესაც დამთვალე რეგულაციები ამ პორტრეტს ნახულობდნენ, ამბობდნენ — უი, თათულის პორტრეტი! — და დაერქვა „თათულის პორტრეტი“. არადა, ჩემი არ არის. მე, როცა დავაკვირდი, აღმოვაჩინე, რომ რაღაცით მართლაც მგავს... ერთი საჩუქარი კი, რომელიც მართლა დასამახსოვრებელი იყო, შარშან, რობერტ სტურუამ გამიკეთა: სრულიად მოულოდნელად, დაბადების დღე გადამიხადა რესტორანში. ბატონი რობერტი წელიწადში ერთხელ უმართავს ქალებს წვეულებას. შეიძლება, თეატრიდან ამ სუფრაზე რამდენიმე კაცი წამოიყვანოს — მაგრამ ისე, ამ წვეულებას ქალების სუფრას ეძახის. წელს იგი ჩემი დაბადების დღეს დაამთხვია და ამით ძალზე ბედნიერი ვიყავი.

— თქვენ და თქვენმა მეუღლემ რუსთაველის თეატრის „ოქროს ხანა“ გამოიარეთ. დღევანდელ პაუზას როგორ აღიქვამთ?

— ახლა თეატრი იძულებით არის გაჩერებული — შენობა რემონტშია. რაც შეეხება შემოქმედებას: „მარჯანიშვილიც“ გაჩერებულია, „რუსთაველიც“, „მოზარდიც“... ახლა, უფრო მეტად პატარა თეატრები მუშაობენ. ძალიან ცუდი იქნება, თუ ეს პროცესი ჩვენს თეატრებში დიდხანს გაგრძელდება, რადგან ამ დროს შემოქმედებითი პროცესი კვდება და ამის გამოსწორება მე, საკმაოდ ძნელი იქნება. „ოქროს ხანას“ რაც შეეხება — იყო განსაკუთრებული სპექტაკლები, რომლებიც „ოქროს ფონდში“ შევიდა, მაგრამ ბატონი რობერტ სტურუა უპაუზოდ მუშაობს. უამრავი სპექტაკლი დადგა და მათ შორის, არც ერთი არ იყო ცუდი. თეატრს მძიმე პერიოდშიც კი არ ჰქონდა პაუზა, სულ მუშაობდა.



ორი კურდღლის მადეპარი...

„გზაჯინალების“ დღევანდელი თემა — ორი კურდღლის მადეპარი, ჩვენმა მკითხველებმა აიტაცეს და უამრავი საინტერესო თავგადასავალი მიამბეს. „კაცის გული გაუმაძღარია, კარგი რაც არის, ყველაფერი თავისთვის უნდა“ — ამბობს ერთი. „კაცი მაშინ ხარ, ორს კი არა, ათ კურდღელს ერთად რომ გამოეკიდები და ყველას დაიჭერ“ — ამტიციებს მეორე. „კაცები ბაჭიებს ჰგვანან. თუ ყურებით დაიჭერ, ვეღარ გაგაქცევოან“ — გვიზიარებს აზრს მესამე და საინტერესო ამბავს გვიყვება:



„ორ დათვს ერთად რომ გაეკიდები, მაშინ ხარ მეგარი...“

მარი ჯაფარიძე

„ახლა ქმარიც მყავს და საყვარელიც...“

„ახალგაზრდობაშიც ლამაზი გოგო ვიყავი და ახლაც, 45 წლის ასაკშიც კარგად გამოვიყურები. სტუდენტობისას ერთი ბიჭი მიყვარდა. მიუხედავად ჩემი გარეგნული „ბრწყინვალეობისა“, მისი გული ვერა და ვერ მოვიგე. შემდეგ მან ცოლი მოიყვანა, მე კი დავიფიცე, რომ არასოდეს გავთხოვდებოდი. ამ ბიჭს არ მოვეშვი და იმდენი ვქენი, დავითანხმე, ჩემი პირველი მამაკაცი ყოფილიყო. ერთი წუთითაც არ მიგრძნია სინდისის ქენჯნა. მას შემდეგ მთელი 26 წელი გავიდა. აკაკი დღემდე ჩემს უახლოეს მამაკაცად რჩება. გაჭაღარავდა, სულ სხვა ადამიანად იქცა, მაგრამ მაინც მიყვარს. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რამდენიმე თვე ან ერთი წელიც კი გაბუტულები ვიყავით და ერთმანეთს არ ვხვდებოდით. ერთ-ერთი ასეთი გაბუტვისას გადავწყვიტე, რომ ყველაფრისთვის წერტილი დამესვა. ჩემს თავმჯდომარეებში ამოვარჩიე ყველაზე შეძლებული კაცი და მეგობრობაზე დავთანხმდი. ისე გაუხარდა, შემეშინდა, სიხარულისგან არ გაეყდეს-მეთქი. თავი ისე მეჭირა, სულ თვალბრუსილი ვიყურებოდი, ცდილობდა, არაფერი მწყენოდა და სულ ჩემი დაკარგვის შიში ჰქონდა. თავს კარგად ვგრძნობდი, რადგან არც საჩუქრები მაკლდა, არც ყურადღება და სიყვარული. მაგრამ მაინც სულ აკაკიზე ვფიქრობდი, სულ მასთან შეხვედრაზე ვოცნებობდი და ვინაიდან ბევრი საერთო მეგობარი გვყავდა, ხშირ-

ად ვხვდებოდით ერთმანეთს. რადგან გაბუტულები ვიყავით, მან ცოლთან ერთად სიარულს მოუხშირა, მე კი — ჩემს ახალ მეგობართან ერთად. ერთ ზაფხულს დასასვენებლად ვიყავით ზღვისპირეთში. მოხდა ისე, რომ ჩვენი მეგობრების უმეტესობა ერთ ქალაქში ისვენებდა, მათ შორის აკაკი და მისი მეუღლეც. გადავწყვიტეთ, შევკრებილიყავით და გვექეფა. რესტორანში წავიდით. ძალზე კარგი დრო გავატარეთ, მაგრამ აკაკი ისე მიბღვერდა მეც და ჩემს მეგობარსაც, რომ შიში შემეპარა, აყალმაყალი არ მოხდეს-მეთქი. თვალთ მანიშნა, გვერდზე გავიდეთო. განვმარტოვდით. როგორც კი თვალს მოვეფარეთ, მეცა და კონცა დამიწყო, შემდეგ რესტორნის ტუალეტში მიმიმწყვდი... იმის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა აღდგა. აღარ ვიცოდი, რა მექნა. სულ მეჩხუბებოდა, მამუკა გააგდო, მაგრამ ვერც მას ველეოდი. ერთი სიტყვით, ორცეცხლშუა ვიწვოდი. ბოლოს, მამუკას აუუნსენი ყველაფერი, მაგრამ ჩემი მიტოვების ნაცვლად, იცით, რა მითხრა? — რადგან ასეა, ცოლად მოვიყვან, ქმარი რომ დამერქმევა, მერე აკაკის პრეტენზიები აღარ გაუჩნდებაო. — წარმოგიდგენიათ? მართლაც, დავქორწინდით და ახლა ქმარიც მყავს და საყვარელიც. არც ერთისთვის არ არის დაფარული მეორის არსებობა. თავს ძალზე ბედნიერად ვგრძნობ, მაგრამ ვფიქრობ, ასე ჯობს. აი, ასე უნდა დაიჭიროთ ორი კურდღელი... კაცები კი ბაჭიებს ჰგვანან. თუ ყურებით დაიჭერთ, ვეღარ გაგაქცევან. ელენე“.

ისევე, როგორც ერთი ავადმყოფისთვის გამოწერილი რეცეპტი მეორეს არ გამოადგება, არც სხვისი ცხოვრებისეული

რეცეპტის იმედოდ ყოფნა ივარგებს. ამის დასტური კი შემდეგი რესპონდენტის ნაამბობი გახლავთ და თავად დარწმუნდებით, რომ მას ქალბატონი ელენეს მსგავსად სულაც არ უმართლებს:

„ჩემთვის ორივე ძალზე ძვირფასი იყო...“

„24 წლის ვარ. ლიკა მქვია. ერთი ბიჭი მიყვარდა და სულ იმაზე ვოცნებობდი, როდის გავყვებოდი ცოლად. მან კი მითხრა, ჯერ ამისთვის მზად არ ვარო. მის ჯიბრზე სხვა ბიჭის შებმა დავიწყე. მდიდარი მამიკოს შვილი იყო. ვიფიქრე, გიორგი რომ ჩემი დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგება, ცოტათი იეჭვიანებს და ჩემს ცოლად მოყვანას დააჩქარებს-მეთქი. რეზიკოს კი გულდაგულ ვუმალავდი, რომ სხვა მიყვარდა. ამასობაში ისე გავერთე ორ კავალურთან ფლირტით, რომ ორივე თანაბარი გრძნობით მიყვარდა და ორივე ძალზე ძვირფასი იყო ჩემთვის. ჩემს თავს ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე: „რას აპირებ?“ — ხანდახან კი ვნანობდი, რომ მრავალქმრიანობა დაუშვებელია. უკვე იმ აზრზე ვიყავი, რომ რომელიც პირველი შემომთავაზებდა ქორწინებას, მასზე გავთხოვდებოდი, თან მეორის დაკარგვაც არ მინდოდა. ოჯახის შექმნას კი არც ერთი არ ჩქარობდა. ამასობაში ჩემი დაბადების დღე მოვიდა. ვიცოდი, ორივე მონიღომებდა სტუმრად მოსვლას. რა უნდა მექნა? მობილური გამოვრთე და შინიდან წავედი. მერე, ჯერ ერთს შევხვდი, მასთან ერთად ნახევარი დღე გავატარე, საღამოს კი რეზიკოს დაურეკე და თავი რესტორან-

ესპანეთის პაჩინგის პარტიის პარტიითა ნახევარზე მეტმა უარი თქვა თავისი წარმომადგენლების გაშვებაზე პრინცი ფელიპესა და ჟურნალისტ ლეტისია ორტიგის ვაჟისწინაშე, რომელიც 22 მაისს მადრიდის საკათედრო ტაძარ ალმუდენაში ჩატარდება. ამის შესახებ ესპანეთის სამეფო კარის კანცელარია იუწყება.

ესპანეთის პარლამენტის პარტიითა ნახევარზე მეტმა უარი თქვა თავისი წარმომადგენლების გაშვებაზე პრინცი ფელიპესა და ჟურნალისტ ლეტისია ორტიგის ვაჟისწინაშე, რომელიც 22 მაისს მადრიდის საკათედრო ტაძარ ალმუდენაში ჩატარდება. ამის შესახებ ესპანეთის სამეფო კარის კანცელარია იუწყება.

როგორც ვარაუდობენ, უარის მიზეზი ლეტისიას სკანდალური საქციელი გახდა, თუმცა პარლამენტარები ამაზე ღიად არ საუბრობენ. „ერთიან მემარცხენეთა“ წარმომადგენელი გასპარ ლიამასარესი ამბობს, რომ დეპუტატების გადაწყვეტილება „რადაც მიზეზებით“ არის გამოწვეული.

ალმუდენაში გასამართი ღონისძიებისადმი საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენს ესპანეთის მასშტაბით. ბოლო მოვლენა, რომელმაც ესპანეთში დიდი ხმაური გამოიწვია, ის გამოხდომა იყო, რომელიც ლეტისიამ ჟურნალისტ ჰაიმე პენაფიელიასთან ინტერვიუს დროს გამოავლინა. ჰაიმე უკვე 30 წელზე მეტია აშუქებს სამეფო ოჯახის ცხოვრებას. ლეტისიას კი მოეჩვენა, რომ ჟურნალისტმა, რომელიც ყოველთვის კორექტულია, დიდი პატივისცემით არ მოიხსენია საპატარძლო. გოგონამ მოითხოვა, ჰაიმეს მისთვის „თვალში შეეხედა“ და როდესაც მასა და მის საქმროს მადრიდის საპატიო ვილდოს გადასცემდნენ, ჟურნალისტს „ნოტაციები უკითხა“. მან უჩინა ჰაიმეს, ამიერიდან სამეფო კარის კანცელარიასთან შეთანხმდის ყველა სტატია, რომელიც პრინციებს შეეხება.

ეს ვაჟისწინა კვებანას 22 მლნ ევრო დაუჯდება, ასევე ცნობილია, რომ საქორწილო ბანკეტზე სამეფო სასახლეში 1 400 სტუმარი იქნება.



ში ამოყავი. რეზიკომ მეგობრები დაპატიჟა და აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი, გიორგის ნათესავი იყო. რაღა თქმა უნდა, მიცნო. რეზიკო საცოლოდ მომხსენიებდა სადღეგრძელოებში, მე კი სად წავსულიყავი, აღარ ვიცოდი. ცოტა ხანში, რესტორნის კარი გიორგიმ შემოაღო (ნათესავმა შეატყობინა ჩვენი ადგილსამყოფელი). პირზე ღიმილი შემეყინა. ფეხზე წამოვხტი, გარეთ გავვარდი, პირველივე ტაქსის ხელი აუწვიე და თავ-პირის მტკრევით გავიქეცი. ერთი კვირა ჩემი მეგობრის ოჯახში დავყავი. ვითხ-ასავით გარეთ ცხვირს ვერ ვყოფდი. შემდეგ შინ გადავბარგდი... დღემდე არ ვიცი, რა მოხდა მაშინ გიორგისა და რეზიკოს შორის, მაგრამ მე არც ერთი აღარ დამკონტაქტებია. არც მოუუკითხივარ, არც საყვედური უთქვამს რომელიმეს. ამ ამბავში ყველაზე საოცარი იცით, რა არის? გიორგიმ რეზიკოს და მოიყვანა ცოლად, რეზიკომ – ჩემი მეგობარი, მე კი კვლავ მარტო ვარ და ბედს ველი. აი, რა მიყო ორი კურდღლის დევნაში“.

შემდეგი რესპონდენტი ატლანტის ოკეანის წყალდალეული გახლავთ. ამერიკა მოიარა და ეს ამბავიც სწორედ იქ შეეძინა. გვიამბობს 36 წლის ალექსი:

ამერიკული ვოიაჟი და დამსხვრეული ოცნებები...

„როგორც ქართველთა უმეტესმა ნაწილმა, მეც სამუშაოდ ამერიკას მივაშურე და მთელი 5 წელი ოჯახისგან მოშორებით გავატარე. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ცოლის ერთგული არც საქართველოში ვყოფილვარ და იქ ხომ ყველანაირ ერთგულებასზე ლაპარაკი ზედმეტი იყო...“

ჩასვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ქართველი გოგონა გავიცანი, სიყვარულიც ავუსხენი და ერთადაც ვცხოვრობდით. მე ოჯახს არაფერს ვაკლებდი. რაც მანამდე გასაჭირი ეგრძნოთ, ყველანაირად ფუფუნებით შევუცვალე. ცოლს მანქანაც კი ვუყიდე. ნინოსთან კი თავს მშვენივრად ვგრძნობდი და ერთი წლის შემდეგ იმაზე ფიქრის დავიწყე, როგორ შევატყობინო ცოლს, რომ მასთან გაყრა მინდა. მე და ნინო მთელი ოთხი წელი ერთად ვიყავით. ბოლოს, მან საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. მუხლებში ჩაუვარდი, ვემუდარებოდი, არ წახვიდე-მეთქი, მაგრამ ამაოდ. თბილისში დაბრუნებულს, მას უფრო ხშირად ვურეკავდი, ვიდრე ცოლს. დღეებს ვითვლიდი, როდის დავბრუნდებოდი მეც და მერე ერთმა-

ნეთს ველარაფერი დაგვაშორებდა. ის ნანატრი დღეც დადგა, როდესაც ავიკარი გულა-ნახადი და თბილისში დავბრუნდი. ფული, ორმოცდაათი ათასი დოლარი, წინასწარ გამოვავაჯენე ცოლთან. თავდაპირველად, ოჯახში უნდა მივსულიყავი, რადგან ნინო მშობლებთან ერთად ცხოვრობდა და შინ ვერ მივადგებოდი. მერე კი საერთო ბუდეც მოვიწყობდით და დაეკორწინდებოდით. აეროპორტში არავინ დამხვდა. გულმა რეჩხი მიყო... ტაქსი გავაჩერე და შინ მივედი, მაგრამ კარი გამოკეტული დამხვდა, სინათლე ჩამქრალი და შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. არ ვიცოდი, რა მეღონა. არადა, წინასწარ ხომ შევატყობინე, ჩემი ჩამოსვლის თარიღი?! ბრახ-აბრუხზე მეზობლის ქალმა გამომხვდა და მითხრა – ეგ ბინა ცირამ (ცოლმა) გაყიდა, თვითონ სხვაგან იყიდა და ბავშვებიანად იქ გადავიდა, მათი ადგილსამყოფლის შესახებ კი არაფერი ვიცო. კინაღამ გავგიჟდი. ჩემი ბარგი ამ ქალს მივაბარე, მე კი ღამე მეგობართან გავათენე. მეორე დღეს კვლავ კარის მეზობელს მივაკითხე, მან კი ცოლის წერილი დამახვედრა, რომელშიც ცირა მატყობინებდა, რომ ჩემი ამერიკული თავგადასავლების შესახებ ყველაფერი დაწვრილებით იცოდა და სამუდამოდ მემშვიდობებოდა. ნინოს რომ დაუურეკე, ჩემთან შეხვედრაც კი არ მოინდომა, საქმრო მყავს და აღარ დამირეკო, მითხრა. დავრჩი ასე ცასა და დედამწას შუა. ჩემი ბარგიანად სოფელში, მშობლებთან წავედი. ის გამოვავანი-ლი ფულიც ცოლმა მიისაკურთა, ბიზნესი ააწყო და დედოფალივით ცხოვრობს. შვილებს ზედ დაჰკანკალეებს და თავს ბედნიერად გრძნობს. მე კი, ერთმაც მიმატოვა და მეორემაც. არ მერჩია, მართლაც კურდღელს გამოკვიდებოდი?“

ახლა კი მომდევნო რესპონდენტს მოვუსმინოთ. თავს გადახდენილ კურორტს 30 წლის ნიკა გვიამბობს:

„ორი კურდღლის მადევარმა მესამეც დაკარგე...“

„უცოლო კაცი ვარ და თან, მაგარი მექალთანე. ყველა ქალი ჩემთვის მინდა. ქუჩაში მაგარ ქალს რომ დაფინანსავ, ტანში ჟრუანტელი მივლის ხოლმე. ყველა საქმეს გადავებ და ქალს გავეკიდები. ყოველთვის რამდენიმე საყვარელი მყავდა ერთად. ამ ერთი წლის წინ კი ყველა მივატოვე და ორ გოგოს გადავკეიდე. ერთმანეთზე უკეთესი გოგონები იყვნენ და ორივეს დანახვა ჭკუას მირევდა.“

ბოლოს და ბოლოს, ორივე შევაბი. რაღა თქმა უნდა, ერთმანეთის შესახებ არაფერი იცოდნენ. ორივე სიყვარულს მეფიცებოდა. მეც ორივე ერთნაირად მიყვარდა. ჩემს კორპუსში, ორი სართულით დაბლა ერთი კარგი გოგონა ცხოვრობდა და ის საცოლედ მომწონდა. სასიღერდოსთან ვაწყობდი საქმეს და მისი კეთილგანწყობაც მოპოვებული მქონდა. ამიტომ, ქალუბრი შინ ისე მომყავდა ხოლმე, რომ არავის დაენახა. ღამით, გვიან, ჩუმად შემოვაპარებოდა ხოლმე. ერთხელ, იმ ორიდან ერთ-ერთი შინ მოვიყვანე და ძლივს შევაპარე შეუმჩნეველად. ამასობაში მეორე მირეკავდა და თავს იკლავდა, შენთან მინდაო. კარის მეზობლის ერთოთახიანი ბინის გასაღები მქონდა და გადავწყვიტე, იქ მიმეყვანა. ისე მოვახერხე, რომ ერთი ქალი ჩემს სახლში დავაწვინე, მეორე — ერთოთახიანში და მთელი ღამე აქეთ-იქით დავრბოდი. დილით კი ამ გოგონებმა ერთმანეთი თმით ითრიეს. რა თქმა უნდა, მეზობლებმაც გაიგეს ჩემი ოინის შესახებ და არც სასიღერდოს გამოჰპარვია. ჰოდა, ქალის გამოტანებაზეც უარი მტკიცეს. აი, ასე დამემართა. ორი კურდღლის მადევარმა, მესამეც გაუშვი ხელიდან. ნახვამდის“.

ახლა კი დანარჩენ „მესიგებს“ გადავხედოთ:

„თოფი უნდა გქონდეს, თოფი...“

„მამ, ორი კურდღლის მადევარი, არა? ჰმ... ხატია ბ-შვილო, ჩემო სიცოცხლეც, მაპატიე. მე მეგონა, ნინოს უბრალოდ, წავეკაიფები-მეთქი, მაგრამ ამით შენ დაგკარგე. მაპატიე, გთხოვ. მ.“

„ორ კურდღელს არა, მაგრამ ორ ბიჭს კი დავდედი და ორივე გამეჭკა. სასაცილო კი ის იყო, რომ ერთ მათგანს საშინლად ვერ ვიტანდი, მეორე კი სიციფემდე მიყვარდა, მაგრამ...“

„ბუზღუნას“ და „ეჭვიანას“: თქვენც ბევრჯერ გითქვამთ ტყუილი, ეჭვიანობთ და ბუზღუნებთ, მაგრამ ჩემს ტანჯულს, სიყვარულით სავსე გულში სხვა არასდროს შემოსულა და ვერც ვერასოდეს დაიკავეს თქვენთვის განკუთვნილ ადგილს. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ გამიხაროთ უზომოდ სევდიანი გული. ნეტავ, როდის გაითენდება ის ბედნიერი დღე, როცა ერთად ვიქნებით? მიშიკო“.

„კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, ყველა კურდღელს სწორად დავდევი?“

„კურდღლის დენა რა საამაყოა? ორ დათვის ერთად რომ გაეკიდები, მაშინ ხარ მაგარი, მაგრამ დათვები თუ შემოვი-

ბრუნდნენ, ბაბაიას დამახებასაც ვერ მოასწრებ...“

„სამ კურდღელს დავდევი ერთად. დღემდე ვერ გავიგე, სად გაქრნენ, სამივე დაიკარგა და ვეღარ ვპოულობ“.

„ჩირგვში რომ კურდღელი ზის, მას გამოდევნება რად უნდა? მიეპარები, თავზე ხელს გადაუსვამ და ტომარაში უკრავ თავს. რომ გარბის, იმ კურდღელს უნდა დაეწიო, თუ ბიჭი ხარ“.

„კურდღელს შიშველი ხელით რომ გამოეკიდები, ვერ დაიჭერ. თოფი უნდა გქონდეს, თოფი...“

„მთელი ცხოვრება ორ-ორი შეყვარებული მყავდა. ალბათ იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთს ავსებდნენ. ორივე ერთად აღებული, ერთ იდეალურ მამაკაცს ქმნიდა. ბოლო წველიმა ერთმანეთის შესახებ იცოდა, მაგრამ არაფერს მეუბნებოდა. ერთი მათგანი მოდელი იყო, ღამაში და ქარაფშუტა ბიჭი, მეორე — ინტელექტუალი მხატვარი. ისე, ეტყობა, რომ ჭკუაზე არც ერთი არ იყო, რადგან ორივე იძახდა, ძალიან მიყვარხარ და ვიცი, საბოლოოდ მაინც ჩემთან იქნებიო. ახლა, კიდევ კარგი, ერთი მიყვარს, მაგრამ რომ გაიგოს ჩემი წინა თავგადასავლები, ისეთი „წყვილი“ პანდური მომხვდება, როგორსაც მე სხვებს ვთავაზობდი. მ.კ.“

„ორი კურდღლის რა მოგახსენოთ, მაგრამ ორ ბიჭს ერთად გავეკიდე და საბოლოოდ, ჩემმა ძმამ ნეკნები დამამტვრია. ახლა კი ძალიან მრცხვენია, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა... თეონა“.

„მიშველეთ რამე, ორს კი არა, 5 კურდღელს ერთად დავდევი. რა მეშველება? ალბათ, ბოლოს, ვერც ერთს ვერ დავიჭერ“.

„მე ახლა მარტო ვარ და სწორედ ორი კურდღლის დევნის გამო. ერთმა, გაბრაზებულ გულზე ცოლი მოიყვანა, მაგრამ დღესაც მომტირის. მეორემ კი, რომელზეც საბოლოო არჩევანი გავაკეთე და ოცნების კოშკიც ავაგე, უსინდისოდ მიმატოვა. ასე დავისაჯე ორი კურდღლის დევნისთვის. ანკა“.

„ვარ 19 წლის, მქვია დათო და მყავს ხუთი შეყვარებული. არავინ თქვას, ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო. ხუთივესთან შესანიშნავად მაქვს საქმე აწყობილი. სამი — ქუთაისელია, ორი — თბილისელი“.

დღეს „გზაჯინილებს“ ამით ვამთავრებთ. შემდეგ თემად კი ვთავაზობთ — ყველაზე ბედნიერი დღე. დავკიმისიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, როდის იგრძენით თავი ყველაზე ბედნიერ ადამიანად. მომავალ ხუთშაბათამდე გემშვიდობებით.

ხოგოხ ანდა იზხუნოს ქმახმა გეხმძიმე ცოლზე

ყურადღებიათმა ჩინელმა მეუღლემ მართლაც „სამაგალითოდ“ იზრუნა თავის ფეხმძიმე ცოლზე. ქუჩაში გასვლის წინ, მან ქალს ზურგზე უჩუმრად მიაკრა პატარა აბრა, რომ მისთვის ტრანსპორტში ადგილი დაეთმოთ. ქალი ვერც მოიაზრებდა, რა მოიმოქმედა მისმა ახირებულმა ქმარმა და საკმაოდ გაოცდა, როცა ავტობუსში ყველა დაჯდომას სთავაზობდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ მის მიმართ და დაუფარავად უღიმოდნენ. ბოლოს და ბოლოს, ვიღაც ღვთისნიერმა ქალს ყველაფერი აუხსნა. თურმე, აბრაზე ეწერა: „გეთავაზო, დაეხმარეთ ფეხმძიმე ქალს“.




წარწერა ხელით იყო შესრულებული და ქალმა ადვილად ამოიცნო ქმრის კალიგრაფია. ძნელი მისახვედრი არ არის, რა რისხვა დაატყდებოდა თავზე ოხუნჯე მეუღლეს, თუ, რა თქმა უნდა, ქალს იუმორის გრძნობა არ გააჩნდა.

ციხის „ეხთყედი“ პატიმრები

ერთ-ერთი სამხრეთაფრიკული ციხის პატიმრები მცველებს დაესხნენ თავს, თანაც, მეტად უჩვეულო მიზეზით — რომ ციხიდან არ გაეთავისუფლებინათ. თვით პატიმრები ამბობენ, რომ მართა-



ლია, მათ უკვე მოიხადეს სასჯელი, მაგრამ კრიმინალური ბოსების მითითებებით მოქმედებდნენ, რომელთაც მოისურვეს, ისინი კვლავ ციხეში დარჩენილიყვნენ. ადგილობრივი პრესის ცნობით, სწორედ ეს გახდა ციხის პერსონალზე ნ პატიმრის თავდასხმის მიზეზი.



კასი,

ლიპა ქაჩიაი

დათო ფალავას საინტერესო წარსულის გახსენებას, მისი ახლობლების მეშვეობით შევეცადეთ. მხატვრის სახლი ერთ დიდ მუზეუმს ჰგავს, რომელშიც მისი ქერები და დისშვილები ცხოვრობენ. ინტერვიუს დროს, კედლებიდან თითქოს მხატვრის სული სევდიანი თვალებით გადმოგვეყურებდა, უფრო სწორად – თავისი შემოქმედება აცოცხლებდა მხატვარს...

რუსულად ვაღაპავს ძმის გახსენებისას, თვალებზე ცრემლები მოადგა, მაგრამ შემდეგ, სახალისო ამბავი გაიხსენა და საუბარი სწორედ ამით დაიწყო:

– დათო პატიოსანი ადამიანი იყო, მაგრამ როცა ფეხბურთის მატჩები იმართებოდა, ცდუნებას ვერ უძლებდა – მეგობრებთან ერთად სტადიონზე საკუთარი ხელით დახატული ბილეთებით იპარებოდა... ერთხელ, საბჭოთა ათმანეთიანი გადმოხატა, იმდენად ზუსტად – ქალაქის ხარისხი რომ არა, ბევრი მოტყუვდებოდა... მამჩემმა რომ ნახა, კინაღამ გაგიჟდა: დათო ამას თუ მიჩვენა, ფულის ხატვა თუ გააგრძელა, მერე კი მისი გასაღება დაიწყო, დაიჭერენ და დავიღუპებითო. გვიბრძანა, სასწრაფოდ გაგვენადგურებინა ის ფურცელი, მაგრამ ვერ გავიმეტეთ, იმდენად კარგად იყო კოპირებული...

– მისი ხელოვნება ბუნებრივი ნიჭის შედეგი იყო თუ შთამომავლობით გადაეცა ვინმესგან? და რა იყო გამოსახული მის პირველ ტილოზე?

– დათო ბავშვობიდან ხატავდა და სხვათა შორის, მისთვის გეზის მიძეკში დელაჩემი, მარგო ფალავა იყო. საჭმელი რომ გვეჭამა, ღედას რაიმეთი უნდა გავეზარებინეთ. მაშინ, ჟურნალი „დილა“ გამოდიოდა, სადაც არაჩვეულებრივი ილუს-

ტრების ბორბალის ტრიალის წყალობით, მხატვარ დავით ფალავას სახლში ამოვყავით თავი. ეს ის ადამიანია, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ვილაცას ეძებდა... ეს „ვილაცა“ კი, ქალი-მუზა იყო. მხატვრის ტილოებიდან ამყავდ გადმოგვეყურებენ ერთი და იმავე ნაკვეთების მქონე ქალები. თითქოს ერთნაირები, მაგრამ მაინც განსხვავებულნი... ვინც ეძებს, ის პოულობს კიდეც: დათომაც იპოვა ქალი, რომელსაც ხატავდა, მაგრამ... ბედის ირონიას სად გაექცევი და სიყვარული სიკვდილმა დაამარცხა. ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ, მხატვარს ჯერ მარცხენა ხელ-ფეხი გაუშეშდა, ნატრობდა — მარჯვენა ხელი მაინც შემრჩებოდა, — მაგრამ მალე, ისიც დაკარგა. დახეიბრდა. ცოცხალმკვდარს, გაცნობიერებული შქონდა, რომ სიცოცხლეს ესალმებოდა და ახლობლებს ანდერძს უტოვებდა. უბარებდა, როგორ მოეცეულიყვნენ მისი სიკვდილის შემთხვევაში. იუმორით სავსე, ლოგინს მიჯაჭვული ადამიანი ხუმრობდა: ეჭმების „საცდელი კურდღელი“ გავხდით... მედიცინა უძლური აღმოჩნდა დააფადების წინააღმდეგ — რამდენიმე თვეში, მხატვარი გარდაიცვალა...

რომელიც მუზას ეძებდა

ბელის ირონიის მხეკობა — ლექსების „საქაყონი კაქონი“?..

ტრაციები იბეჭდებოდა. მართალია, მხატვრობის ყველა ნიუანსში ვერ ერკვეოდა, მაგრამ გადმოხატვა შეეძლო. ერთხელ, ფერადი ფანქრებით, ნაძვის ხე დახატა, რომლის ქვეშაც მელა და ტურა ქართულს ცეკვავდნენ. ისეთი არაჩვეულებრივი ნამუშევარი იყო, დათოში ხატვის სურვილი გააღვიძა. ფანქარი მომეცი, მეც უნდა დავხატო, — სთხოვა ღელას... ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში მოეწყო და ფერწერის ფაკულტეტი წარმატებით დაამთავრა. მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო „ხაბაზები“. ამ სურათზე მუშაობისას, დილით თონეში მიდიოდა, იქ მომუშავე ახალგაზრდობილი მეგობრების ტანსაცმელს ჩაიცვამდა და ცომის მოხელას, გუნდების გაკეთებას, თონეში პურის ჩაკვრას სწავლობდა... შემდეგ, სამხატვრო აკადემიაში გააგრძელა სწავლა, გრაფიკისა და მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნების ფაკულტეტზე... შრომისმოყვარე იყო. ხატვა სულიერ მოთხოვნილებად ექცა. ავადმყოფობის დროს ამბობდა: მარჯვენა ხელი მაინც შემრჩებოდა, ხატვა რომ შეეძლო!... აკადემიის სტუდენტი, პარალელურად მუშაობდა, რადგან საღებავისა და ფურცლებისათვის სოფლიდან გამოგზავნილი ფული არ ჰყოფნიდა. დილით

სწავლობდა, საღამოს ახალგაზრდობის „უნივერსამს“ იცავდა. მასთან ერთად ასაკოვანი კაცები მუშაობდნენ და ახალგაზრდას ხელს უწყობდნენ: წადი, თვალი მოატყუე, ხვალ ადრე უნდა ადგეო, — ეუბნებოდნენ ისინი. მართალია, იცოდა, რომც არ მისულიყო, არაფერს ეტყობდნენ, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძობა ჰქონდა და ამიტომ, ერთი დღეც არ გაუცდენია.

– დათო გვიან დაოჯახდა. ამბობენ, რომ ის მთელი ცხოვრება მუზას ეძებდა, ვილაცას ელოდა...

– დათო ყოველთვის შეყვარებული იყო, მაგრამ ვისზე — არ ვიცოდით. ცოლი მართლაც, გვიან — 47 წლის ასაკში შეირთო. აპრილი იყო. ოჯახი სიხარულით შეხვდა ამ ამბავს. უკვე დაქვრივებულ ღედას იმედი მიეცა, ქალის ხელი აღარ მოაკლდებო, — ამბობდა, მაგრამ

მოგიერთ გილოში მართლაც, ვხედავ მსგავსებას ჩემსა და იმ ქალების ხასიათებს შორის, რომლებიც „უყვარდა“... — ნინო სესიაშვილი (მარცხნივ), რუსულან ფალავასთან (მარჯვნივ) და ოჯახის ახლობელთან ერთად





იქ გამოსახულ მიშველ ქალებს ერთი და იგივე ხასიათი აქვთ...

მართალია, ასაკით ჩემზე ბევრად უფროსი იყო, მაგრამ ყველა თავის საიღუმლოს მე მანდობდა. მასწავლიდა ხატვას, ვმსჯელობდით სხვადასხვა საკითხზე... ხშირად მიეყვანიდა თავის სახლში და როცა ქალები დაურეკავდნენ, მეტყობდა: მიდი ერთი, დაფრთხე შენებურად ეს რაზმი, თორემ, გავფიქვებით... მეც შეძლებისდაგვარად ვუფრთხობდი „მეგობრებს“. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, სახლიდან მაგვებდა, მეუბნებოდა – განა, ყველა უნდა შემომაცალო?! ახლავე, დაახვიე აქედან, ნაშები შემომეფანტნენო...

— როგორი იყო შეყვარებული დათო და იპოვა თუ არა ქალი, რომელსაც იდეალად მიიჩნევდა?

— დათო თითქმის ყოველთვის, შეყვარებული იყო, მაგრამ არა ერთ ვინმეზე, არამედ საერთოდ, ქალებზე. ამას ყველა

ერთი წლის შემდეგ, ისევ აპრილში, დათო ლოგინს მიეჯავჭვა. ჯერ მარცხენა ხელფეხი გაუჩერდა, შემდეგ — მარჯვენა. კუნთები დაუწვრილდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა. მერე ძვლების დაშლა დაეწყო... ექიმებმა მის დაავადებას ვერაფერი გაუგეს, ბოლოს კი დაადგინეს, რომ ვირუსის ფონზე პოლინიეროპათია განუვითარდა... როცა თავი შეუძლოდ იგრძნო, სუნთქვით ვარჯიშებზე დაიწყო სიარული. ვარჯიშის შემდეგ, ჩანაწერებს აკეთებდა. ერთ დღესაც, სიზმარი ნახა: თეთრ სამოსში გამოწყობილი ქალი გამოეცხადა, რომელმაც უთხრა: ტყუილად ნუ წვალობ, აპრილში ყველაფერი დამთავრდებაო. როცა ლოგინს მიეჯავჭვა, ამ სიზმარს ხშირად იხსენებდა. ამბობდა — მალე მოგვედებიო... აპრილის თვე რომ გავიდა და ის ისევ ცოცხალი იყო, ვუბნებოდი: ხომ ხედავ, შენი სიზმარი არ ახდა, ეტყობა, იმ ქალმა ვითხრა — ყველაფერი კარგად იქნებაო. მაგრამ დათო ჯოკუტად გვიმეორებდა, რომ მალე ვეღარ ვნახავდით, დედაჩემს ანდობდა ისიც კი დაუბარა — ჩემს სოფელში წამასვენეთო. გვეუბნებოდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით მისი სიკვდილის შემთხვევაში და მართლაც, ამაღლების დღეს, სიკვდილმა წაგვართვა მისი თავი...

მის ნახატებს მხოლოდ მხატვრის სიკვდილის შემდეგ ხვდა წილად სამზეოზე გამოტანა. დათო ფაღავას პერსონალური გამოფენა ქარვასლაში 2003 წლის აპრილში მიუწყო, „კვალი კაცისა“ ერქვა და მისი 50 წლის იუბილეს დაამთხვევს მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა.

დათო ფაღავას საქმეს მისი დისშვილი ნინო ხმალაძე ავრძელებს. თუმცა, მხატვრის სიკვდილის შემდეგ, თითქოს საყრდენი გამოაცალესო...

ნინო ხმალაძე:

— დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, დათო ჩემს სულიერ მეგობრად იქცა.



ის იღუმალი, რაც მისთვის ფასიელს წარმოადგენდა, დახატვის შემდეგ, საანის ბუმბივით სკდება...

მიხვდება, ვინც ნახავს მის ტილოებს — ბიძაჩემის წარმოსახვის ნაყოფს. იქ გამოსახულ მიშველ ქალებს ერთი და იგივე ხასიათი აქვთ... იცით, მე ვვიქრობ, რომ დაქორწინებაში შემოქმედება უშლიდა ხელს, რადგან ის იღუმალი, რაც მისთვის ფასიელს წარმოადგენდა, დახატვის შემდეგ, საანის ბუმბივით სკდება... მასწავლებს, სიკვდილის მოლოდინში, მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ მარჯვენა ხელს ვერ

ამოძრავებდა. სანამ ხელი გაუშემდებოდა, სიცოცხლე სწფუროდა, მაგრამ ამის შემდეგ, მისთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა. მას უნდოდა, კიდევ ერთი ახალი ტილო შეექმნა, რომელშიც მთელი მისი ცხოვრების არსი იქნებოდა გადმოცემული. მაგრამ დღეს, ჩვენი ოჯახისათვის ეს დაუმთავრებელი სურათი თავსატეხს წარმოადგენს.

ბელის ირონიის კიდევ ერთი მსხვერპლი, რომელიც ისევე, როგორც მხატვარი, იდეალურ მეუღლეს ეძებდა და იპოვა კიდევ — ქალბატონი **ნინო ხმალაძე-პილი** გახლავთ. ის მეუღლეს ასე იხსენებს:

— დათო, სრულიად შემთხვევით, სანაპიროზე გავიცანი. მან თავის სახელოსნოში დამპატიყა, მაგრამ არ წაყვეცი. თუმცა, ბედმა სიურპრიზი მომიწყო და მოგვიანებით, ის ჩემს სამსახურში მოიყვანა. კბილი სტკიოდა; თურმე, ყველა სტომატოლოგმა ხელი აიღო მის მკურნალობაზე, ეუბნებოდნენ — ოპერაციაა საჭიროო... მე გადავურჩინე კბილი და ცოტა ხანში, ცოლობაც მოხვია. ბევრი არ მიფიქრა — გავეცი, რადგან ძალიან მომწონდა. სიმართლე გითხრა, დათო ის პიროვნება იყო, ვისაც მთელი ცხოვრება ველოდი — ჩემი პირველი სიყვარული... მაგრამ ჩვენმა ბედნიერებამ მხოლოდ ერთი წელი და ერთი თვე გასტანა. ამის შემდეგ, აღმავალი ნირონიფექციის შედეგად, თანდათანობით, ყველა კიდურის პარალიზება დაეწყო. ექიმებმა დაავადების პროგრესირება ვერ შეაჩერეს და გარდაიცვალა კიდევ...

— დათოს მეგობრები მის მიერ დახატულ ქალებს გამსგავსებენ. როგორ ფიქრობთ — ხართ თუ არა ის, ვისაც თქვენი მეუღლე მთელი ცხოვრება ეძებდა?

— ვერ გეტყვით. დათო ხატავდა იმას, რისი სურვილიც ჰქონდა. მის სურათებში ვერ იპოვით ნატურიდან გადმოხატულ სახეებს. ხატავდა თავისი წარმოსახვით ნაკარნახევს — ისევე, როგორც ფრანგი იმპრესიონისტები... სხვის ჭკუაზე არავითარ შემთხვევაში არ გაივლიდა. ვერც შეკვეთით დახატავდა რაიმეს... თუმცა, ზოგიერთ ტილოში მართლაც, ვხედავ მსგავსებას ჩემსა და იმ ქალების ხასიათებს შორის, რომლებიც „უყვარდა“... არ ვიცი, ვიყავი თუ არა მისთვის იდეალური, მაგრამ დათო ჩემთვის ნამდვილად იდეალური იყო. მართალია, დიდი ხანი არ ვყოფილვართ ერთად, მაგრამ მე მაინც მაღლობელი ვარ ბელის იმისთვის, რომ ამ კაცს შემახვედრა — კაცს, რომელიც ჩემი ოცნების მამაკაცი იყო...

ება ტუნიაშვილი

— საერთოდ, მგლები, წელიწადში ერთხელ, მარტში ყოიან ლეკვებს. მიგელის (ასე ჰქვია მგლის ლეკვს, რომელსაც კატა ზრდის) დედა ახალგაზრდა ბუ მგელია, ეს მისი პირველი მშობიარობა იყო და ლეკვები 13 აპრილს დაყარა. პირველად ორი მამალი ლეკვი — მიგელი და მისი ძმა მოველინა ქვეყანას, დანარჩენი სამი კი — რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც დედა მგელი მშობიარობის მეორე ეტაპს ელოდებოდა და პირველი ორი ლეკვის მოვლა არ შეეძლო, მათზე მეურვეობა ვოლიერში მყოფმა მამალმა მგლებმა იკისრეს: ორ უმწეო ლეკვს ქეჩოში ჩაავლეს კბილები და უკანა გალიაში გაიყვანეს. როგორც ჩანს, ერთ-ერთი ლეკვი საკმაოდ სუსტი დაიბადა და მეორე დღესვე მოკვდა. ახალბედა დედა მგელს დიდი გულისხმიერება არც მიგელის მიმართ გამოუჩენია, ამიტომ უმწეო ლეკვი ვოლიერში არსებულ ერთ-ერთ ხვრელში შემძვრალა. ზოოპარკის თანამშრომლებს ისიც დაღუპული გვეგონა, მაგრამ ორი დღის შემდეგ, სუსტი წკმუტუნის ხმა შემომესმა და მივხვდი, რომ სადღაც იმალებოდა. როდესაც მივაგენი, ვცადე, ხელი შემეყო და ხვრელიდან გამომეყვანა, მაგრამ ვერ ვწვდებოდი. ძალიან ბევრი ვიწვალე, მაგრამ ამაოდ. შემდეგ კი მიგელმა ჩემი ხელის სითბო იგრძნო და მას გამოჰყვა. გასაცოდავებული იყო,



ამბობენ, რომ კატა საკმაოდ ცბიერი და ამავე დროს ჭკვიანი ცხოველია. შესაძლოა, სწორედ ამ თვისებების გამო, სულხან-საბამ ერთ-ერთ თავის იგავში კატას ცხოველთა მეფის, ლომის ნაშიერის აღმზრდელის ფუნქცია დააკისრა. როგორც ჩანს, აღმზრდელობითი ნიჭი თანამედროვე კატებსაც შემორჩათ... ლომის რა მოგახსენოთ, მაგრამ თბილისის ზოოპარკში, ერთი ჩვეულებრივი, უჯიშო კატა მგლის ლეკვს ზრდის. უნდა ვიფარაუდოთ, რომ ეს კატაც მისი შორეული ნინაპარავით ნინდახედულია და ასსოვს, რომ მგელიც, ლომის დარად მუცია, ამიტომ თავის დაზღვევის მიზნით, ხეზე აძრომას არც მას ასწავლის... ამ უცნაური ამბის შესახებ კი ზოოპარკის თანამშრომელი ბულიკო შიტაძე მოგვითხრობს.


ქაჯუსის უშიშროები მგლის ლეკვი და პირველი დღის ბუდი

შეცივებული და მშვიერი. მე თვითონ ზოოპარკის ტერიტორიაზე ვცხოვრობ და მიგელი ჩემს ოთახში წაიყვანე. სათბურათი გავათბე, მაგრამ მისი კვების პრობლემა მაწუხებდა. კარგია, რომ მგლებს დედის მუცლიდან მოჰყვებათ რამდენიმე დღის სამყოფი საკვების მარაგი, თორემ მიგელი ვერ გადარჩებოდა. ზოოპარკის ტერიტორიაზე ბევრი ძალღვევა, ვიფიქრე, რომ ერთ-ერთს მაინც მივუსვამდი, მაგრამ ძაღლები საკმაოდ პრეტენზიულები არიან და სხვის ნაშიერს თითქმის არასდროს იკარებენ. ზოოპარკში როდესაც ყველა ერთად წევს და რძეს მიირთმევენ, ერთი შეხედვით, კნუტებისგან ვერც კი გამოარჩევთ

კატებიც გვყავს, მათგან ორს სწორედ ამ დროს პატარა კნუტები ჰყავდა და გადავწყვიტე, მიგელი ერთ-ერთისთვის „მიმეშვილებინა“. არჩევანი კატაზე შევაჩერე, რომელიც კნუტებთან ერთად ჩემს ოთახში ცხოვრობს და რომელსაც ადრე კვრნები გავაზრდევინე. მგლის ლეკვი 15-20 წუთის განმავლობაში კნუტებთან ერთად ვამყოფე, რომ მათი სუნი მიეღო, ამის შემდეგ კატამ ის უპრობლემოდ მიუშვა თავისთან და მიგელი დღემდე მისი რძით იზრდება.

— მიგელი რატომ დაარქვით? ბრაზილიური სერიალების გავლენა ზოოპარკზეც ვრცელდება? — ასე ნამდვილად არ არის. მის გამზრდელ კატას მია ჰქვია, ხოლო მისი და მგლის სახელების შერწყმით, მშვენიერი სახელი — „მიგელი“ გამოვიღა.

— სახელს რომ ეძახით, რეაგირებს?



ქვეყნის მთავარი ადმინისტრაციული ქალაქი		პრივილეგიური სამხედრო წოდების წარმომადგენელი ფეოდალურ იაპონიაში		მამალი ცხუარი	ღამის ფრანკელი	თავის წასაკრავი სამკუთხედი ქსოვილი	მღათა სისქემა... მანი
მშობელი	თავის ჩონჩხი	ნაჭრის საფულე	მღარე ხარისხის ქვანახშირი — ნახშირი	... არაბეთს როსტე-ვან...	თუთუნის მოსაწევი საგანა	თეატრი... სკალა	შეიარაღებული მძარცველი

— რა თქმა უნდა. როდესაც ვეძახი, ხშირად ყმუილით მპასუხობს. უყვარს, როდესაც კულში დამყვება, მოფერებაც ძალღვივით სიამოვნებს.

— **კატა როგორ ეპყრობა შვილობილს?**

— შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ მიგელი განსაკუთრებულად უყვარს. კნუტები მგლის ლეკვზე ეშმაკები არიან, ამიტომ დედასთან საჭმელად პირველები გარბიან ხოლმე. მიგელს კი ძილი ძალიან უყვარს და ამ დროს ყოველთვის სძინავს. როდესაც მია ხედავს, რომ მგელი იჩაგრება, წამოხტება, თავის კნუტებს გაერიდება, გააღვიძებს მგელს და მას წამოუწვება ხოლმე. ზოგჯერ მიგელი საცოდავად წკმუტუნებს, ისე, რომ მისი ხმა ტირილს მაგონებს. ამ დროს ვამბობ — ალბათ, დედა ენატრება-მეთქი. მია მაშინვე მასთან გარბის. ეფერება, ბეწვს უწმენდს.

— **ალბათ თავის და-ძმებს, რომლებსაც დედა მგელი ზრდის, მიგელი ზრდაში საგრძნობლად ჩამორჩება. ხომ არ გიცდიათ, რომ კვლავ ბიოლოგიური დედისთვის მიგესვათ?**

— რა თქმა უნდა, მიგელი ზრდაში ჩამორჩება სხვა ლეკვებს, ისინი ხომ მის კუთვნილ რძეს მიირთმევენ. თანაც მგლები ჰაერზე ვოლიერში იზრდებიან, მის კი კნუტები ჯერ მზის სინათლეზე არ გაუყვანია და შესაბამისად, არც მიგელს უნახავს დღის შუქი. დამატებით საკვებს — „ნანისის“ ფაფას ვაძლევ. გარდა ამისა, ვასმევ იმუნიტეტის ასამაღლებელ საშუალებას და ვიტამინების კომპლექსს. ვოლიერში მის შემვებაზე კი ჯერ საუბარიც ზედმეტია: მიგელი უნდა წამოიზარდოს, მომადრდეს. მართალია, ამ მხრივ, მგლები საკმაოდ კარგი უნარჩვევებით გამოირჩევიან და ნაშიერს აუცილებლად მიიღებენ, მაგრამ თავიდან სიფრთხილეა საჭირო. როდესაც წამოიზრდება, მიგელს ჯერ გალიის წინა მხარეს ვამყოფებთ, რომ შეეგუონ და არაფერი დაუშავონ, მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ შევუშვებთ ოჯახში.

— **კატის კნუტებთან როგორ ურთიერთობა აქვს მგლის ლეკვს, ხომ არ ცდილობს მათ დაჩაგვრას?**

— როდესაც ყველა ერთად წევს და რძეს მიირთმევს, ერთი შეხედვით კნუტებისგან ვერც კი გამოარჩევთ. როდესაც მგლის ლეკვს პატარა ყურები დაშვებული აქვს, მხოლოდ ამით თუ გამოარჩევთ მას კნუტებისგან. კნუტებთან ერთად ხშირად თამაშობს, მაგრამ ხდება ისე, რომ მიგელი კნუტებს უღრენს და ამით აშინებს. მიგელს კარგი ურთიერთობა აქვს ჩემი ოთახის სხვა ბინადრებთანაც. უყვარს თამაში მაიმუნთან, ძაღლებთან.

— **ამბობენ, რომ მგელი დაუნდობელი ცხოველია. არ გეშინიათ, რომ როდესაც ნამოიზრდება, კატასაც შეჭამს და კატის კნუტებსაც?**

— ჩემთვის პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მგლის ლეკვს ვზრდი. რამდენიმე წლის წინ, მიგელის დეიდა, თეკლა გავზარდე და მხოლოდ კარგად მოზრდილი შევუშვი თავის ოჯახში. თეკლა ჩემთვის ძალღვივით ერთგული იყო და ყოველთვის მცნობდა, როდესაც გალიასთან მივდიოდი. თუმცა, მგლებთან არის დაკავშირებული. როდესაც მიგელი გაიზრდება, ისიც ჩვენი ერთგული იქნება. მართალია, მას გალიაში გამოამწყვდევენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომც მიეცეს შესაძლებლობა, არც მის დაუშავებს რამეს და არც მის კნუტებს — მია ხომ მისი გულისთვის ორ კნუტს შეეღია.

— **როგორ თუ შეეღია?**

— უკვე გითხარით, რომ მის ხუთი კნუტი ჰყავდა. როდესაც მიგელმა მისი რძის ჭამა დაიწყო, მია ძალიან დასუსტდა. ამიტომ გადაწყვიტე, რომ მის ორი კნუტი სხვა კატისთვის მიემვილებინა. კატა ძალიან ერთგული დედაა, მაგრამ მიამ მიგელის გულისთვის ორი ღვიძლი შვილი დათმო.

— **როგორც ვიცი, თქვენ პრეზიდენტის ბელსაც უვლით, როგორ მოხვდა თქვენთან?**

— დათვის ბელი ოთხი თვის იყო, როდესაც ქალბატონმა სანდრამ მოგვიყვანა. ისე კონტად ჰყავდა გალიაში მოთავსებული, რომ მაშინვე მივხვდი — ცხოველების მიმართ გულგრილი არ უნდა იყოს! როგორც მითხრეს, დათვის ბელი მისთვის ვილაცას უჩუქებია, მან კი გადაწყვიტა, ზოოპარკისთვის გადმოეცა. ქალბატონი სანდრა ხშირად მოდის ბელის სანახავად, თან რძე და დიდი სიყვარული მოაქვს. გაცივებით, როდესაც ნახავთ, როგორ ეალერსება. მინდა გითხრა, რომ პრეზიდენტის ოჯახის დათვის განსაკუთრებული, „საპრეზიდენტო“ ვოლიერი აქვს. მეც ძალიან ვუყვარვარ დათვის ბელს. თანაც ეს უკვე მეხუთე დათვის ბელია, რომელსაც ვზრდი. როდესაც მასთან ვოლიერში შევდივარ, მშვიდად არის, გახარებულია, ხოლო საკმარისია, ვოლიერი დავტოვო, იქაურობას ღრიალით იკლებს. ალბათ მისი დედა ვგონივარ (ბელი ჩვენი იქ ყოფნის დროსაც ფოტოგადაღებებისას ჭირვეულობდა და იღრინებოდა. — ავტ.). ცოტა ხნის წინ ქალბატონმა სანდრამ გვიმოგვიყვანა. როგორც შევიტყვეთ, ისიც საჩუქარი ყოფილა. სასიამოვნოა, რომ საქართველოს პირველ ქალბატონს ასე ძალიან უყვარს ცხოველები.



დათვის ბელი ოთხი თვის იყო, როდესაც ქალბატონმა სანდრამ მოგვიყვანა

ერთგვარი საწუწნი კანფეტი	ა. დუმბას ერთ-ერთი მუშაკეერი	გამის მითგი	კარტოფილის ერთ-ერთი კერძი	ბავშვის კბილი	თბილისის ძველ უბანი	ნ. დუმბაძის ქუთრი ბაირაღების ერთ-ერთი პერსონაჟი	
ქეთის ქალაქი	მსახიობი გიბსონი	ჭრილობა	მდინარე აშშ-ში	სამკურნალო ქვიშით მდიდარი ქალაქი შავ ზღვაზე	მწვავე ინფექციური დაავადება	კისრის წინა ნაწილი	უფლებო ადამიანი ძველ რომში

ტაპარი

რომელი საღვთისმსახურო ნივთები გამოიყენება სხვადასხვა ღვთისმსახურების დროს?

შორენა მერკვილაძე

განვარძობთ „ვზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს საღვთისმსახურო ნივთებთან დაკავშირებით. როგორც წინამორბედ წერილში აღვნიშნეთ, საკურთხევის ჩრდილოეთ ნაწილში დგას სამკვეთლო – ფარჩით შემოსილი მაგიდა, რომელზეც სრულდება კვეთა. სამკვეთლოზე დაბრძანებულია ის საეკლესიო ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება ზიარების საიდუმლოს შესრულების დროს: ბარძიმი; ფეშუში; ლახვარი; ვარსკვლავი; კოვზი; ღრუბელი და დაფარნა.

ბარძიმი – არის ძვირფასი ლითონისგან (ოქროსგან ან ვერცხლისგან) დაზადებული მაღალფეხიანი სასმისი, რომელშიც კვეთის დროს ასხამენ წყალში გაზავებულ ღვინოს. ლიტურგიის დროს, მასში ჩასხმული ღვინო გარდაიქმნება ქრისტეს სისხლად, ხოლო სეფისკვერიდან ნაკვეთი (ამოღებული) ნაწილები – ქრისტეს ზორცად. ბარძიმი გამოიყენება მორწმუნეთა საზიარებლად.

ლახვარი – ხის ან ლითონის ტარზე წამოგებული სამკუთხა დანა, რომლითაც ზიარების საიდუმლოს აღსრულების დროს, ღვთისმსახური კვეთს (ჭრის) საზიარებლად გამზადებულ სეფისკვერს. ლახვარი სიმბოლურად განასახიერებს იმ მახვილს, რომელიც ჯვარცმულ ქრისტეს უგმირა კვერდში ერთ-ერთმა მხედართაგანმა.

ფეშუში – მრგვალი, დაბალფეხიანი ლახვარი, რომელზეც ღვთისმსახური სეფისკვერიდან ამოკვეთილ ნაწილებს ალაგებს. ფეშუში სიმბოლურად მიგვანიშნებს ბაგაზე, რომელშიც ახალშობილი მაცხოვარი ჩააწვინა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა, ამასთანავე წარმოადგენს მაცხოვრის საფლავის სიმბოლოს და კიდევ, განასახიერებს იმ თას-სასმისს, რომლითაც თვით უფალმა იესო ქრისტემ აკურთხა ღვინო და მოწაფეები აზიარა.

დაფარნა – ეწოდება წმინდა ძღვნის შესამოსლეს. დაფარნები საგანგებოდ არის გამოჭრილი და შეკერილი წმინდა ძღვნის შესაბურად. ზიარების საიდუმლოს აღსრულების დროს, მღვდელმსახური იყენებს სამ დაფარნას – ერთ დიდს და ორ მცირეს. ერთი მცირე დაფარნით იბურება ბარძიმი, მეორით კი – ფეშუში. დიდი დაფარნით იბურება ბარძიმი და ფეშუში ერთად. დიდ დაფარ-



ნას ასევე ეწოდება ეერი – ანუ დიდი დაფარნა იწოდება ჰაერად, რადგან ის აღნიშნავს სულიწმინდის მადლის ნიავს. გარდა ამისა, დიდი დაფარნა აღნიშნავს ლოდს, რომლითაც მაცხოვრის საფლავის კარი იყო დახშული; მცირე დაფარნები ერთდროულად სიმბოლურად განასახიერებს სახვევებს, რომელშიც ახალშობილი მაცხოვარი შეახვია და ბაგაზე მიაწვინა ღვთისმშობელმა და სუდარასაც, რომელშიც უფლის უწმინდესი სხეული იყო შეხვეული დასაფლავებისას.

ვარსკვლავი – არის ერთმანეთთან ჯვრის სახით შეერთებული, მოღუნული ლითონის ორი თხელი ფირფიტა. ვარსკვლავი იდგება ფეშუშზე, რათა დაფარნა არ შეეხო სეფისკვერიდან ნაკვეთ ნაწილებს, რომელიც ფეშუშზე დგას. ვარსკვლავი სიმბოლურად აღნიშნავს იმ ვარსკვლავს, რომელიც აღმოსავლეთიდან მომავალ მოგვებს მიუძღოდა ბეთლემის გამოქვაბულისკენ, სადაც ახალშობილი მაცხოვარი იმყოფებოდა.

ღრუბელი – გამოიყენება ბარძიმის გასაწმენდად და ფეშუშზე დარჩენილი სეფისკვერის ნაწილების შესაგროვებლად და ბარძიმში ჩასაწმენდად. ღრუბელი სიმბოლურად განასახიერებს იმ ღრუბელს, რომელიც ერთ-ერთმა მხედარმა ნალველნარევე ძმარში დაასველა და ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს ტუჩებთან მიუტანა, როცა მან წყალი მოითხოვა.

მორწმუნეთა საზიარებლად, ბარძიმთან ერთად გამოიყენება კოვზი და ბაღდადი. საზიარებელი **კოვზი** სიმბოლურად განასახიერებს ლერწამს, რომლითაც ჯვარც-

მულ მაცხოვარს ნალველნარევე ძმარში დასველებული ღრუბელი მიაწოდეს. **პალაღი** კი – არის მეწამული ფერის ოთხკუთხა ნაჭერი, რომელიც გამოიყენება მახიარებელთა ბავების მოსაწმენდად, ზიარების მიღების შემდეგ.

დასახელებული საღვთისმსახურო ნივთები გამოიყენება ზიარების საიდუმლოს აღსრულების დროს. მაგრამ ტაძარში აღვლენილი სხვადასხვა მსახურებისას, გამოიყენება სხვა საღვთისმსახურო ნივთებიც: საცეცხლური, ემპაზი, გვირგვინი, კანდელი და სხვა.

საცეცხლური – არის ოქროს, ვერცხლის ან სპილენძის საეკლესიო ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება საკმევის საკმევად, ამიტომ მას სასაკმეველსაც უწოდებენ. საცეცხლური უმეტესად, ტაძრის ფორმისაა, რადგან ის არის სიმბოლო წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა. სასაკმეველე ხშირად შეკეულია ძვირფასი ქვებით, რაც წმინდა ეკლესიის დიდების გამოხატულებად უნდა აღვიქვათ. საცეცხლური გაყოფილია ორ ნაწილად – ისევე, როგორც ერთი, წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია (დელამიწაზე „მებრძოლი“, ზეცაში „მოზეიმე“). საცეცხლურით უკმევენ სიწმინდეებს – წმიდა ტრაპეზს, ხატებს და სხვა. სიწმინდეების კმევა მათდამი მოკრძალებისა და თაყვანისცემის გამოძახებელია. კმევის დაწყებამდე, საცეცხლურში ათავსებენ გაღივებულ ხის ნახშირს, რომელზეც ყრიან საკმეველს და გუნდრუკს. გარდა იმისა, რომ წარმოადგენს სიმბოლოს მართლმადიდებელი ეკლესიისა,

მეჩვენებ

ამასთანავე საცეცხლური მოასწავებს ღვთისმშობლის წიადს, საცეცხლურში მყოფი ნაკვერჩხალი კი – მაცხოვრის ყოფნას ღვთისმშობლის წიადში. ნაკვერჩხალი (გადივებული ხის ნახშირი) არის აგრეთვე სიმბოლო მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. ნაკვერჩხალზე დაყრილი საკმეველი კი ქრისტიანთა გულმხურვალე და გულწრფელი ლოცვის გამოხატუებელია, რომელსაც აღვაღვანთ ღვთისა და წმინდანთა მიმართ. ამასთანავე, საკმეველი მიგვანიშნებს სულიწმიდის კეთილსურნელებაზე და სულიწმიდის მადლზე, რომელიც განგვანათლებს და გვაცხოვრებს: როგორც ტაპარი აღივსება საკმევლით კმევის დროს საკმევლის კვამლით, ასევე აღივსება ჭეშმარიტი ქრისტიანის სხეული სულიწმიდის მადლით. საცეცხლურს აქვს ოთხი ჯაჭვი, რაც სიმბოლოა ოთხი მასარებლისა – მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი. საცეცხლურის ზანზალაკების ხმა კი, წარმოადგენს სიმბოლოს იმ გალობისა, რომელსაც დღედაღამ აღავლენს უფლისადმი წმინდა ეკლესია.

„ემბაზი“ – ბერძნული სიტყვაა და „შეხვალას“ ნიშნავს. ემბაზი არის სანათლავე ჭურჭელი – ე.ი. ნათლისღებისთვის განკუთვნილი ქვის, ხის ან ლითონის ჭურჭელი. „ემბაზის შვილი“ ნიშნავს მონათლულს.

კანდელი – ქრისტიანულ ეკლესიაში მსახურებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი ნივთი, რომელშიც ასხია ზეთი და ღვთისმსახურების დროს ანთებენ. არსებობს ასევე ჩაუქრობელი კანდელი. ქორკანდელი კი არის სასანთლეოა წრე – ერთ საკიდზე დაკიდებული რამდენიმე კანდელი.

გვირგვინი გამოიყენება ქორწინების საიდუმლოს აღსრულების დროს. საქორწინო გვირგვინი ქორწინების საიდუმლოს აუცილებელი ატრიბუტია, სიმბოლურად აღნიშნავს გამარჯვების გვირგვინს, ქრისტიანის გამარჯვებას ვნებებზე. როდესაც ქორწინების საიდუმლოს აღსრულებისას, იკურთხება გვირგვინები, რომლებსაც თავზე ადგამენ დასაქორწინებულებს – ეს მეუღლეების მიერ ვნებებზე გამარჯვებას და მათ მიერ ქორწინებაშივე კეთილსინდისიერად განვლილი ცხოვრებისთვის მინიჭებულ ჯილდოს ნიშნავს.

ერთ-ერთი საღვთისმსახურო ატრიბუტი არის აგრეთვე **ბაირალი** (საეკლესიო დროშა). ბაირალები გამოიყენება დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ჯვრით მსვლელობის დროს. ბაირალი სიმბოლურად ამქვეყნად მართლმადიდებლობის გამარჯვებას აღნიშნავს. ■

ამაღლება, თორმეტ საუფლო დღე-სასწაულთაგან, რიგით მეორე მოძრავი დღესასწაულია, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია აღდგომიდან მეორმოცე დღეს, მეექვსე კვირის სუთმბათის (წლულს — 20 მაისს) აღნიშნავს.

მორენა მერკვილაძე

„ახალი აღთქმის“ თანხმად, მკვდრებით აღდგომის შემდეგ, უფალი იესო ქრისტე ორმოცი დღის მანძილზე კვლავ ღვთაობაზე იმყოფებოდა. ამ ხნის მანძილზე, მაცხოვარი თავის მოწაფეებს ათჯერ გამოეცხადა. გამოცხადების დროს, იესო ქრისტე მათ ღვთის სასუფეველის შესახებ მოუთხრობდა. ამქვეყნად ხილულად ყოფნის უკანასკნელ დღეს – ე.ი. აღდგომიდან მეორმოცე დღეს, მაცხოვარი კვლავ გამოეცხადა მოციქულებს და აუწყა, რომ მალე მოუვლენდა სულიწმიდას, მანამდე კი, იერუსალიმს არ უნდა განშორებოდნენ: „და აჰა, ესერა მე მოვივლინით თქვენ აღთქმა იგი მამისა ჩემისაი, ხოლო თქვენ დასხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალიმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალითა მადლისაითა“ – წერს ლუკა მახარებელი (ლუკა 24; 49). „ძალსა მადლისას“ მოციქულები მამის მიიღებდნენ – ე.ი. ამ ძალით მამის შეიმოსებოდნენ, როდესაც მათზე გარდამოვიდოდა სულიწმიდა. ამის შემდეგ მოციქულები იქნებოდნენ ქრისტეს ამსარებლები, როგორც იერუსალიმში, თუდაცა და სამარიაში, ასევე ქვეყნის კიდევ, მთელ ღვთაობაზე – ე.ი. მოციქულები „სახარებას“ მთელ ღვთაობაზე იქადაგებდნენ: „მერე კი წადით და უქადაგეთ სახარება ყოველ კაცს და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

სუბურის დროს, მაცხოვარმა მოციქულები ბეთანის მიმართულებით წაიყვანა და ელიონის მთაზე აიყვანა. ელიონის მთაზე ხელი დაასხა ყველას. აკურთხა და მათ თვალწინ ზეცად ამაღლება იცო... მოციქულები გაოცებული შეჭურებდნენ ზეცას. ამ დროს, მათ თუთრ სამოსში ჩაცმული, ორი ნათლით მოსილი უფლის ანგლოზი გამოეცხადა: „აკურთხეოთ თქვენ, რასა დგახართ და იცხრებით ზეცას? იესო, თქვენგან ზეცას ამაღლებული, მოვალს ვერეთვე, როგორც თქვენ ისილეთ იგი აღმაგება ზეცას“ (საქ მოც. 1; 11) – ასეთი უწყება მიიღეს მოციქულებმა უფლის ანგლოზისგან. მოციქულებმა თავი სცეს ზეცად ამაღლებულ უფალს და სისარულით აღვსილნი დაბრუნდნენ იერუსალიმში. ისინი განუწყვეტლივ ლოცულობდნენ და განადიდებდნენ უფალს, რომელმაც თავის მკვდრებით აღდგომით და ზეცად ამაღლებით, ცოდვით დაკეპული კაცობრიობის მოკვდავი ბუნება, უკვდავებას აზიარა.

მაცხოვრის ზეცად ამაღლების დროს, მოციქულების გვერდით იმყოფებოდა დედა ღვთისა – ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი. ელიონის მთაზე, როდესაც ღვთისმშობელმა თავისი ძისა და ღმერთის ამაღლება იხილა, კაცობრიობის გამოხსნის საქმის აღსრულებით გაიხარა...

ეკლესია უფლის ზეცად ამაღლებას ამაგვარად უფლობს: „სრულ ჰყავ რა ცხოვრება ჩვენი და ზეცისათა შეერთნენ ქვეყნისანი, ამაღლი დღებით, ქრისტე ღმერთო, რომელი არსადა განეშორები, მხსნელო, არამედ ჰყავ განუშორებლად და ეტყვიდი საყვარელთა შენთა: მე მხოლოდ ვარ თქვენთანა და ვერავინ შემძლებელ – არს ვნებად თქვენდა“.

წმინდა იოანე ოქრობარი, უფლის ზეცად ამაღლებასთან დაკავშირებით წერს: „უფლის ამაღლებამ ადამიანი ანგლოზს მაძიგავსა, იგი შეერთო უხორცოთა დასს. ადამიანი უღირსი თვით მიწისთვისაც კი, ღვთის უდიდესი მოწყალებით, ზეცაში დაეკვიდრა. ბუნება კაცთა, რომლისგანაც ქრუბნიბი სამოთესს იცავდნენ, ახლა ქრუბნიბებზე აღმატებული გამოჩნდა. იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებით მოხდა ცისა და მიწის შეერთება, შერიგება ზეციურისა და მიწიურისა. რეალურად განცხადდა ღვთის განგებულება სამყაროზე, განგებულება, რომელიც აღსრულებამდე ძველ აღთქმაში იყო მინიშნებული წინასწარმეტყველებითან: „ამაღლდა ღმერთი დაღადებითა და უფალი ხმითა საყვრისაითა“ (ფს. 46; 5).

ამაღლების დღესასწაულის არსი და მნიშვნელობა განუზომელია. ის კარგადაა წარმოჩენილი მისდამი მიძღვნილ „ტროპარსა“ და „ჰონდაკში“:

„ტროპარი“: „ამაღლი დღებით, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და მხიარულ ჰყვენ მოწაფენი აღთქემითა მით სულისა წმიდისათა, განამტკიცენ რაი იგინი კურთხევითა მით, რამეთუ შენ ხარ ძე ღმრთისა, მხსნელი სოფლისა“.

„ჰონდაკი“: „სრულ ჰყვენ რაი ცხოვრება ჩუენი და ზეცისათა შეერთნენ ქვეყნისანი, ამაღლი დღებით, ქრისტე ღმერთო, რომელი არსადა განეშორები, მხსნელო, არამედ ჰყავ განუშორებლად, და ეტყვიდი საყვარელთა მით შენთა; მე მხოლოდ ვარ თქვენთანა და ვერავინ შემძლებელ არს ვნებად თქვენდა“.

ამაღლების დღესასწაულის დღეს, ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანმა აუცილებლად უნდა წარმოითქვას ან დღესასწაულისადმი მიძღვნილი „ტროპარი“ და „ჰონდაკი“, შესაძლოა – მან და დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

ეკლესიური სწავლებით, ზეცად ამაღლებული უფალი იესო ქრისტე, მკვდომარე არს მარჯვნივ მამისა, რომელიც კვლავ მოვა ღვთაობაზე ცოცხალთა და მკვდართა განსაცხვლად, რომელნიც აღდგებიან უფლის მეორედ მოსვლის ჟამს...



სიღიფან გარანტორის მუშაობით დაწყებული სიყვარული

არჩან წყვილები, რომლებიც დროის ყოველგვარ გამოცდას უძლებენ და თანაცხოვრების ხანგრძლივობის მიუხედავად, ურთიერთ-ლტოლვასა და პატივისცემას არ კარგავენ. 44 წელიწადია, არსებობს ბატონი თინათინა ჩოქოვაძე და ქალბატონი ლილია ნადარეიშვილის ოჯახი და რაც დრო გადის, უფრო მტკიცდება და მყარდება.

თამარ კაპანაძე

„ყაყაო, მაგ შენი ბალის“, „ყვავილებში იწვიან“, „მთაწმინდისკენ ერთად გავყვეთ ბილიკებს“, „სიმღერა ბათუმზე“, „დედა-თბილისო, ლხენავ ჩემო და ჰანგო ჩემო“ – „ყვილება ცეცხლი“ ვიტარას, ორკესტრსა თუ ფორტეპიანოს სიმღერადქვეულ მომღერალთან ერთად და იღვრება მშვენიერი ჰანგები სუფრაზე, სცენაზე, ეკრანზე. ბევრმა კი არც იცის, რომ ამ პოპულარული სიმღერების ავტორი ენათმეცნიერი, გერმანოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ყოფილი სოლისტი, საქართველოს საოპერო და საბალეტო ხელოვნების მოყვარულთა საზოგადოების პრეზიდენტი თინათინა ჩოქოვაძეა და რომ მას თავისივე სიმღერებით ლამაზი და მშვენიერი ოჯახი ჰყავს. მისი მეუღლე – ყოფილი ბალერინა ლილია (ლარისა) ნადარეიშვილი, დამანა მდივნისშვილის მიერ გამოცემულ 100 ულამაზეს ქალთა წიგნშიცაა შეყვანილი, როგორც საუკეთესო აღნაგობის მქონე ქალბატონი. მას თურმე განუძოვრებელ ნეფერტიტისაც კი ამსავსებდნენ, ხოლო ბალეტის მეფეს, ცეკვის ჯადოქარს – ვახტანგ ჭაბუკიანს ძალიან უყვარდა, როგორც პარტნიორი და მსახიობი, რადგან იგი ერთნაირად ძლიერი იყო, როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე რეპერტუარში. დღეს ქალბატონი ლილია ხე-

ლოვნებათმცოდნეობის კანდიდატია, სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, მოზრდილი, ფუნდამენტური წიგნების ავტორიც გახლავთ, რომლებიც საკუთარი ხარჯით გამოუცია...

— ბატონო თინათინა, „ყაყაო“ ქალბატონი ლილიას სიყვარულმა დაგანერინათ?

— არა, „ყაყაო“ ბევრად ადრე შეიქმნა – მაშინ სკოლას ვამთავრებდი. ეს ლექსი ოთარ მამფორიას მეგობარმა გოგონებმა მომიტანეს და მოკრძალებით მიხივეს, სიმღერა დამეწერა, თურმე ჩემი „გული“ მოსწონდათ, ნიღარ ღუმბადის ლექსზე შექმნილი... ვფიქრობ, ოთარმა ერთ-ერთ მათგანს მიუძღვნა ეს ლექსი, თუმცა რომელს – დღემდე არ ვიცი. სიმღერა კი, მართლა კარგი გამოვიდა და პირველად უნივერსიტეტის კედლებში მაშინ აუღერდა, როცა სტუდენტი გახვდი. პროფესიონალურ ესტრადაზე ჯერ შალვა ჩხიკვაძემ და ვალერიან მაგნიტიმ, შემდეგ ელუარდ სეფაშვილმა დაამკვიდრეს და იმდენად ხშირად გაისმოდა რადიო-ტელევიზიით, რომ მოზრდილ ჰონორარებსაც ვიღებდი... შემდეგ ისევ ნიღარ ღუმბადის ლექსზე (ორივენი მაშინ, უნივერსიტეტის სტუდენტური საბჭოს წევრები ვიყავით) – „ყვავილებში იწვიან“ დავწერე სიმღერა და ისიც საკმაოდ პოპულარული გახდა. ლილიას სიყვარულმა კი, „პეპელა“ დამაწერინა – მართლა პეპელასავით ნაზი, სათნო და ჰეროიკური იყო და იმიტომ. სიმღერას ჩვენი ოპერის

უნიჭიერესი მომღერალი ქალი – ლამარა ჭყონია ასრულებდა.

— თქვენ უცხო ენების ფაკულტეტზე სწავლობდით. სიმღერისადმი ასეთი სიყვარული საიდან მოდის?

— პარალელურად კონსერვატორიაც დავამთავრე. მნიშვნელოვან, წამყვან პარტიებსაც ვასრულებდი ჩვენი ოპერის სცენაზე და ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი და იმდის მომცემი ბარიტონი, მოსკოვის დიდ თეატრშიც ვიყავი მიწვეული. სიმღერისადმი ასეთი დამოკიდებულება კი, ოჯახის „ბრალია“. იქ სულ სიმღერა მესმოდა. ათარბეგოვზე, ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალურ ათწლედიც შემიყვანეს. მუსიკოსი გახლდათ დედაჩემი – ელენე მეგრელიძე, ბაბუა კი – ცნობილი ლოტბარი, ქართუ-

ლი ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი ავქსენტო მეგრელიძე. აღსანიშნავია, რომ სწორედ მისი მეშვეობით ხელახლა დაიბადა – ადგა აკაკის „სულიკო“ და „ციცინათელა“, რომელიც დიდი ხნის შემდეგ, პირველად მოსკოვში ქართული ხელოვნების დღეებზე 1937 წელს აუღერდა. მაშინ ბაბუა ორდენით დაჯილდოეს, ხოლო სტალინმა თავის ძალზე უბრალო, მოკრძალებულ ბინაში მიიწვია კირილე პაჭკორიასა და სანდრო კავსადესთან ერთად. იქ სამეუღლმა „ხასანბეგურა“ შეასრულა თურმე. სტალინს დაუწუწუნია – უძველესი ვარიანტი უკეთესიაო, – უთქვამს და წაუძღვრება. ეგ ვარიანტიც ვიცითო, – უპასუხიათ მომღერლებს და ერთად უმღერიათ კიდევ. მერე სტალინის საყვარელი „გაფრინდი, შავი მერცხალოც“ ვიმღერეთ, სტალინს ლამაზი, წკრიალა ტენორი ჰქონდაო, – ამბობდა ბაბუა ჩემი... თავისი საქმიანობა სცენაზე გამოსვლით დაიწყო ბებიაჩემმა – ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და საბავშვო მწერალმა ლილია მეგრელიძემაც, რომლის ბევრი ლექსი სიმღერად აქციეს ჩვენმა კომპოზიტორებმა. ბებია მიმი (ფსევდონიმის – მიმქრალის გამო ვეძახდით ასე) დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე ჟორდანია ალალი ბიძაშვილი გახლდათ და მასთან ერთად ცხოვრობდა ფთოში, სადაც ბებია ვწერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შექმნა. ის იგონებდა, როგორ უჭირდა ჟორდანების ოჯახს და როგორ ჭამდნენ ისინი შავ პურს. ნოეს კი, იმის გამო, რომ კუჭის წყლული აწუხებდა, ნორმირებულ ორ-სამ ნაჭერ თეთრ პურს უზოგავდნენ. მერე, როცა ბაბუას გაჰყვა ცოლად, თბილისში, ზემელის ცნობილი აფთიაქის გვერდით დასახ-

ლდენ ძველ ბინაში (დღევანდელი ლიტერატურის ინსტიტუტის უკან, მეტრო „რუსთაველის“ პირდაპირ). ამ ბინის წმინდა სტუმარი იყო ბებიაჩემზე უზომოდ შეყვარებული გალაკტიონი, რომელსაც აქ საკუთარი ტახტიც კი ჰქონდა და სიკვდილამდე სამი დღით ადრე, ერთხელ კიდევ მოუნახულებია ჩვენები. ბებია ლამაზი, სათნო ქალბატონი იყო და გალაკტიონის რამდენიმე ლექსის მუხადაც კი იქცა... მამაჩემი, დომენტი ჩოჩუა რუსეთ-თურქეთის ომის გმირი, ოქროს ხმლისა და წმინდა გიორგის ჯვრის სამგზის კავალერი, საქართველოში კადეტთა კორპუსისა და ოუნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, შემდეგ ექიმი გახდა და საამაყო ჰქონდა, რომ ბრძოლის ველიდან დაჭრილი ნიკო კეცხოველი გამოიყვანა და გადაარჩინა. ის კი ვერაფრით აპატია თავს, რომ 17 წლის, მფრინავთა სკოლის კურსდამთავრებულ, ბრონჯიანური ასობით დაავადებულ შვილს, თემურ ჩოჩუას ხელი ვერ შეუშალა და ომში გაუშვა, რითიც მისი უდროოდ დაღუპვის მიზეზად იქცა. ამის გამო თავი დაისაჯა და კარგა ხანს შიშველ იატაკზე იწვა... ჩემი ძმის გმირული სული ჩემს ვაჟიშვილში, ბიძის სენია თემურში განსხეულდა და ბევრ რამეში მელანდებდა. ბავშვობის ერთ შემთხვევას გავიხსენებ — გერმანიაში ყოფნისას, 6-7 წლის ასაკში, ლომის ბოკერთან უშიშრად ჩახუტებულმა, ფოტოს გადაღება ისურვა და გერმანელებიც კი განცვიფრებაში მოიყვანა... რაც შეეხება მამას, მიუხედავად გადატანილი არაერთი მძიმე განსაცდელისა, სცენა და სიმღერა ძალიან უყვარდა და ბუნებრივია, ამ ყველაფერმა ჩემშიც დაივანა.

— თქვენი ოჯახიც სიყვარულით შეიქმნა?

— ქუთაისის იცნობთ? მაშინ უზარმაზარი თეთრი ქვებით დამშვენებული თეთრი ხიდიც გეცოდინებათ. ლეილაც იქ მოვხიბლეთ ჩემი ვაჟკაცობით და ჩვენი მომავალიც იქ გადაწყვიტა.

ძ-ნი ლეილა:

— მამაჩემი, ინჟინერი ივანე ნადარეიშვილი რუსეთში მოღვაწეობდა. მეც იქ გავიზარდე, დედა რუსი მყავდა. თუმცა, საკუთარ თავს ყოველთვის ქართველად ვგრძნობდი. როცა ქორეოგრაფიული სასწავლებლის დასრულების შემდეგ, კვალთმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბალეტო სტუდიაში ჩავირიცხე, მოსკოვში ქართული ხელოვნებასა და ლიტერატურის დეკადა დაიწყო. ხალხური ცეკვის ანსამბლისა და ლეგენდულ ქვეული ბალეტის — ჭაბუკიანის „ოტელოს“ ყველა წარმოდგენას დავესწარი. მაშინ, საბოლოოდ მივხვდი, რომ თხემით ტერფამდე მართლაც, ქართველი ვიყავი. როცა ერთ მშვენიერ დღეს, თეატ-

რის წინ აპოლონივით მდგარი ვახტანგ ჭაბუკიანი დავინახე, მივახლე და როგორც ჩემი ძალზე მნიშვნელოვანი სავიზიტო ბარათი, ამყავდ განვუცხადე — ქართველი ვარ-მეთქი. ამხელ-დამხელა, მივხვდი, მოვეწონე და თბილისში გადასვლა შემომთავაზა. არც დაფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი და სამიღლე თვეში, უკვე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი გავხდი. მომდევნო წელს, თეატრი ქუთაისში წავიდა გასტროლებზე. ერთ საღამოს, როცა თეატრიდან შინ ვბრუნდებოდი, გადამიღება უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი და რკინის კოლოფით მომპასისი კანფეტის შემომთავაზა... ის იყო, გაბრაზებულს გვერდი უნდა ამეგლო, ხიდის მოაჯირს გადაასტა და მასზე ხელეჩაფრენილმა კატეგორიული ტონით მითხრა — ან ჩემი ცოლი გახდები, ან ჩემს სიცოცხლეზე პასუხს აგებო. საშინლად შემეშინდა. არ ვიცნობდი. რამდენჯერმე თბილისში, ოპერაში მქონდა მისთვის თვალი მოკრული,

მას თურმე განუმეორებელ ნეფერგისასაც კი ამსგავსებდნენ, ხოლო ბალეტის მეფეს, ცეკვის ჯადოქარს — ვახტანგ ჭაბუკიანს ძალიან უყვარდა, როგორც პარტნიორი



მაგრამ არც გვარი და სახელი ვიცოდი და არც არაფერი მის შესახებ, ეს კი პირდაპირ ცოლობას მიხოვდა...

ბ-ნი თინგიზი:

— არაამქვეყნიური სიყვარულით მიყვარდა და რა მექნა?! მას პირდაპირ მთავარი პარტიების შესრულება მიანდევს

და თითოეულის შესრულებისას ისე ბრწყინავდა, სიყვარულის ძორევემაც სულ მალე გადავეშვი. ეგ რომ დავით თორაძის „გორდამი“ ირემას როლში, ქართულ კაბასა და ჩხტიკობში გამოწყობილი, ქალური სინაზითა და მეფის ასულის დიდებულებით ასრულებდა ცეკვა „ქართულს“, მოდი და არ შეგეყვარებოდა!..

— მერე როგორ განვითარდა მოვლენები?

ძ-ნი ლეილა:

— მივხვდი, ნამდვილი ვაჟკაცი იყო. მანამ არ მომეშვა და არც ხელი უშვა მოაჯირს, ვიდრე თანხმობა კი არა, ხვეწნა არ დამაწყებინა — ოღონდ არ გადახტე, ამოდი და შენი ცოლი გავხდები-მეთქი.

— ეი, შიშმა გაიძულათ, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი ერთი ხელის მოსმით გადაგწყვიტათ?

— მივხვდი, მართლა ძალიან უყვარდა. რაღაც წამებში, გრძნობათა სამყაროზე სულ სხვა, ახლებური შეხედულება გამიჩნდა. მივხვდი, იგი ბუნდოვნებას მომიტანდა და უარი ამ შემთხვევაში, სრული უაზრობა იქნებოდა. ჩემთვის ქართველი რაინდობის, ვაჟკაცობის სიმბოლოს წარმოადგენდა. შვილზე და ოჯახზე ოცნებასაც ფარულად ვატარებდი, ქართული ოჯახი კი საუკეთესო ვარიანტად მიმჩნედა.

— და დიდებულ, ტრადიციულ ოჯახში შესხედით კიდევ რუსულ გარემოში გაზრდილს ხომ არ გაგიჭირდათ?

— ჯერ ერთი, სიყვარული ძალიან მეწვია, ეს გრძნობა კი ყველაზე უბირ, გაუნათლებელ ადამიანსაც ამაღლებს ყოველდღიურ წვრილმანებზე. მერე, ჩემში, დაბუდებული ქართული გენიც ხომ მოქმედებდა?! ამიტომ გამიადვილდა ყველაფერი, თან, ბებია და დედამთილი ხელს არაფერზე მაკარებინებდნენ და ძირითადად, ისევ მხოლოდ ჩემი საქმით ვიყავი დაკავებული.

— მატერიალურად გიჭირდათ? ბ-ნი თინგიზი:

— რამდენიმე თვეში ვიქორწინეთ, ქორწილიც გადავიხადეთ. შუა ღამეში კინტო შემოვიდა მტრელებით, თვეზის აცმით. დაველოცა, დღია, იცეკვა. ახლა საჩუქარს ელოდება, მე კი კაპიციც არ მაქვს ჯიბეში. არადა, წესია — სიძემ აუცილებლად უნდა დაასაჩუქროს კინტო. ისევ ერთმა მეგობარმა მიხსნა სირცხვილისაგან, მაგრამ უფულო სიძე გინახავთ?

ძ-ნი ლეილა:

— სამაგიეროდ, მერე ნუტრიის ქურციც ხომ ჩამომიტანე გერმანიიდან?!

ბ-ნი თინგიზი:

— ჰო, ეს მოგვანებოთ იყო. მანამდე,

გერმანიაში ყოფნისას, 6-7 წლის ასაკში, ლომის ბოკვერთან უმიშრად ჩახუკებულმა, ფოგოს გადაღება ისურვა

სიმღერების წყალობით ტელეგრაფიკომპი-ტერში დაგროვილი, მოზრდილი ჰონო-რარებითაც გავიმართეთ წელში.

— ქნი ლეილას დატვირთული შემოქმედებითი ცხოვრება დამლუღ-ლი ხომ არ აღმოჩნდა თქვენთვის?

— რას ამბობთ? დამლუღლი კი არა — უბედნიერესი კაცი ვიყავი! მან თითქმის მთლიანად შეცვალა სცენაზე განუყოფ-ბელი ვერა წიგნაძე. დაუსრულებელი ვარ-ჯიშები, რეპეტიციები, სპექტაკლები... სხვის-თვის არაფრისთვის ეცალა. მაგრამ შვილი მაინც მაჩუქა, ეს კი ყველაფერს ფარავდა...

ქ-ნი ლეილა:

— ჭაბუკიანი, როგორც წესი, ყველას-გან მოითხოვდა, უარი ეთქვა შეიღზე. მე პროტესტი განვაცხადე, შვილის გარეშე სიცოცხლეში აზრს ვერ ვხედავდი. როცა თემურეკო გამიჩნდა, თავი სრულფასოვან პიროვნებად ვიგრძენი, საბოლოოდ დავრ-წმუნდი, რომ ეს ჩემი ყველაზე წარმატე-ბული „როლი“ იყო, რაც ცხოვრებასა და სცენაზე მიმიღია. მის აღზრდაში მიმი და ელენე მენშარბოდენი, ბალეტისათვის წუთითაც არ დამინებებია თავი.

ბ-ნი თინათინა:

— ნამდვილად არ მინდა, ბევრი ქება გამომივიდეს, მაგრამ სულ წამყვან პარტი-ებს ასრულებდა. 1966 წელს, პარიზში გამართულ ფესტივალზე მის ტრიუმ-ფულ გამარჯვებას წამყვანი პარიზული გაზეთები — „ფიგარო“ და „კომბა“ აღ-მატებული შეფასებებით გამოეხმაურნენ, ჭეშმარიტად დიდი მოცეკვავე უწოდეს. ლეილამ ამ ფესტივალის მედალი მი-იღო ქალის პარტიის საუკეთესო შეს-რულებისათვის. ბალეტი თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. მასსოვს, ერთხელ, როცა შინ მივედი, დედას ჩუმად ვუთხ-არი: თუ რამე შეეშლება ან ისე ვერ გამოუვა, არაფერი უთხრა — რომ იცოდე, როგორი შემოვიდა კულისებში, დარბა-ზიდან არაფერი ჩანს-მეთქი... — ნუ ლევა, მე ყველაფერს ვხედავ და ყველაფერი ვიციო, — დამამშვიდა დედამ. ბებო კი, სულ ასე ამბობდა — ლეილა ყველაზე მეტს შრომობს ამ ოჯახში, ცოდოა, ამი-ტომ ყველანი გაუფრთხილდებითო. და ჩვენც ვუფრთხილდებოდით. თუმცა, სრულად ახალგაზრდა — 38 წლის ასაკში უკვე პერსონალური პენსიონერი გახდა. მასსოვს, იმხანად, ლიკანში წავედით და როცა ადმინისტრატორმა სამუშაო ადგილის შესახებ ჰკითხა და პასუხად — პენსიონერი — მიიღო, იფ-იქრა, რომ ლეილა ეხუმრებოდა. მაშინ სტუდენტი ჩაწერეთო, — მიუგო ლეილამ და იმანაც შვებით ამოისუნთქა...



— მოდით, ისევ სიყვარულის თემას დავუბრუნდეთ. რა არის მთავარი შეყვარებული ადამიანე-ბის ურთიერთობაში?

ქ-ნი ლეილა:

— უპირველეს ყოვლისა, ზრუნვა ერთ-მანეთზე და ამაში ამ ზამთარს დავრწმუნ-დი, როცა ვნახე, როგორ ზრუნავდა ოჯახ-ის თითოეული წევრი ჩემი ჯანმრთელობი-სათვის...

ბ-ნი თინათინა:

— და კიდევ — ერთად ცხოვრების სტილი თუ ტრადიცია... ჩვენც მშობლებთან ერთად ვცხოვრობდით (მეც და ჩემი შვილიც ზემელზე, ძველ ბინაში დავიბა-დეთ), ჩვენი შვილიც ჩვენთან ცხოვრობს. სასიამოვნოა, ვინც ქვეყნად ყველაზე მეტად გიყვრს, სულ შენ გვერდით იყოს, იცოდე მისი ყოველდღიურობა, ხარობდე მისით.

— ბედნიერი ქორწინების საი-დუმლოება რაშია?

— ეცადო, ყოველთვის გაითვალისწი-ნო შენი მეუღლის სურვილები, გაახარო მოულოდნელობებით, სიურპრიზებით, შე-უმსუბუქო ყოფა და ნებისმიერ დროს, მის გვერდით იდგე, დაეხმარო რითაც შეგიძ-ლია, ზუსტად იცოდე შენი და მისი ფასი.

ქ-ნი ლეილა:

— როცა შეგიძლია საკუთარი „მე“ მეორის სასარგებლოდ უარყო, თუ ამის საჭიროება დადგა. როცა ასეა, ჩათვალე, რომ ბედნიერი ქორწინება შედგა.

— რით გეხმარებათ ბატო-ნი თენგიზი?

— ბაზარში სულ ეგ დადის, თუმცა ზოგჯერ ყველში ატყუებენ და სწყინს... მაგის გაკეთებული ბორში კი, უგემრიელე-სია. წიგნების გამოცემამაც ეგ დამეხმარა, როგორც რედაქტორი და როგორც „სპონ-სორი“.

— უერთმანეთოდ როგორ გრძნობთ თავს?

— როგორც თევზი უწყლოდ. როცა რაღაც მიზეზით ეს მაინც ხდება საჭირო, სიყვარულით, სინაზით სავსე ბარათებს ვწერთ ერთმანეთს და მარტობას ვიმსუ-ბუქებთ. ჩვენს სიმდიდრედაც ისინი მიგ-ვანჩია (ქ-ნი ლეილა კარაიდან წერ-ილებით სავსე მოზრდილ პარკს იღებს. — ავტ.). ჩვენს ოჯახში, როგორც ხედავთ, სხვა სიმდიდრეს მაინც ვერ აღმოაჩენთ.

— ერთმანეთის რა გაღიზი-იანებთ?

— მე ცოტა დრო მყოფნის მუზეუმე-ბის, ბალის, გალერეის დასათვალიერებლად, სისწრაფე ცხოვრების წესად მექცა. თენ-გიზს საათობით შეუძლია უცქიროს, უკირ-კიტოს რამეს. რას ვიზამთ — ყველაფერს მეცნიერულად, სიღრმისეულად უდგება, მარ-ტო გარეგნული ეგვიპტებით ვერ კმაყ-ოფილდება.

— რა მოაქვს წლებს სიყ-ვარულისთვის?

ბ-ნი თინათინა:

— მეტის გაგების, ხმის ამოუღებლად იმაზე მეტის შეცნობის უნარი, ვიდრე სიტყვებს შეუძლია.

— სიყვარულის გამოხატვის ან სახეცვლილების შესახებ რას იტყვი-თ? როგორ ვითარდება იგი თანაცხოვრების სხვადასხვა ეტაპ-ზე?

ქ-ნი ლეილა:

— პირველი წლების რომანტიკა, ეი-ფორია, უცნაურ სიმშვიდეში გადადის, თანდათან უფრო ღრმავდება, მყარდება, ნაზდება დამოკიდებულება, გრძნობები უფრო სათუთი ხდება...

— კამათის საგანი რა შეიძ-ლება იყოს და ვინ არის დამთ-მობი?

— ნებისმიერი საკითხი — პოლიტიკა იქნება ეს თუ ხელოვნება, მაგრამ — ლომი და მერწყული ერთად ხომ წარმოგიდგე-ნიათ?! მბრძანებელ ლომებს ყოველთვის მეგობარი მერწყული უთმობს. რას ვიზამთ? — ასეც რომ არ იყოს, განა ქალებმა არ უნდა დაუთმონ მამაკაცებს?!..

— შეიძლება ან შეიძლება გვითხარით რამე...

— ჩვენი ერთადერთი და ძალზე თბილი ვაჟიშვილი თემურ ჩოჩუა სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო, ჯერჯერობით ერთა-დერთი შვილიშვილი, მართლა უსაყვარლე-სი და უღამაზესი ეკა ჩოჩუა პოლიტე-ქნიკურ უნივერსიტეტში სწავლობს და ძალიან კარგ ლექსებსა და სიმღერებს წერს, რითიც ჩვენი ოჯახის ტრადიციებს ნამდვილად ღირსეულად აგრძელებს.

მარცხი, როგორც ნიკიტა ხრუშჩოვი ალაზოტა „ესპანეთი-1964“



ევროპის თასის მეორე გათამაშებაში უეფას წევრი 34 ქვეყნიდან, 28 ეროვნულმა ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა. კონტინენტის პირველობაში ასპარეზობა კვლავაც არ ისურვა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, უარი თქვეს აგრეთვე შოტლანდიის, ფინეთისა და კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციებმაც. სხვათა შორის, დასავლეთგერმანელებს უარის თქმის საპატიო მიზეზიც ჰქონდათ, რადგან სწორედ იმ პერიოდში, ბუნდესლიგა ყალიბდებოდა და ახალი ეროვნული საფეხბურთო პირველობის მესვეურებს სხვა საკითხზე ყურადღების გადატანა არ სურდათ.

მიუხედავად იმისა, რომ დიქტატორ ფრანკოს თავკერძა ზრახვების გამო, ესპანეთის ეროვნული ნაკრები 1960 წელს გამართული ევროპის თასის პირველი გათამაშებიდან მოიხსნა, ამ ქვეყანას 1964 წლის ტურნირის ნახევარფინალური და ფინალური მატჩების მასპინძლობის ნება მიანიჭეს. მეთექვსმეტედფინალური, მერვედფინალური და მეოთხედფინალური შეხვედრები კი, იმავე სისტემით უნდა ჩატარებულიყო, როგორც კონტინენტის სადებიუტო პირველობაზე.

1964 წელს მადრიდში უეფას კონგრესი შედგა, რომელშიც ორგანიზაციის წევრმა 30-მა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. შეკრებაზე სიტყვით გამოსულმა უეფას გენერალურმა მდივანმა, ჰანს ბანგერტერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სანაკრებო დონეზე ევროპის პირველობა უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამასთან, საფეხბურთო ასოციაციათა გაერთიანების პრეზიდენტმა, გუსტავ ვიდერკერმა წამოაყენა იდეა, რომლის თანახმადაც, ტურნირი ევროპის ჩემპიონატად უნდა გადაკეთებულიყო (შესარჩევი ციკლითა და ე.წ. ოლიმპიური სისტემით), თანაც მას მსოფლიო პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის სტატუსიც უნდა მიენიჭებოდა. ვიდერკერის პირველ წინადადებას კონგრესის დელეგატთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, მაგრამ რაც შეეხებოდა ევროპის ჩემპიონატის, როგორც მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის საკითხს, ეს იდეა უმეტესობამ უარყო. უეფას პრეზიდენტის მიერ წამოყენებული სიახლის მოწინააღმდეგენი მიიჩნევდნენ, რომ ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული შეჯიბრების (ე.ი. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების) გაერთიანება მნიშვნელოვნად შეამცირებდა ფეხბურთის ეროვნული ფედერაციების შემოსავლებს. ასე იყო თუ ისე, უეფას ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ბებერი კონტინენტის უმთავრეს საფეხბურთო ორგანიზაციაში ამ თემას განსახილველად მომავალში კვლავ დაუბრუნდებოდნენ.

სატურნირო სისტემა, რომლის მიხედვითაც ევროპის თასის მეორე გათამაშება უნდა ჩატარებულიყო, ძლიერ და შედარე-

ბით სუსტ გუნდებს შორის არავითარ განთესვას არ ითვალისწინებდა, რამაც პირველობის კურიოზულად წარმართვას შეუწყო ხელი: პირველივე წრეში ერთმანეთს ინგლისისა და საფრანგეთის გუნდები შეხვდნენ, ხოლო ლუქსემბურგის ნაკრებს (რომელიც ფეხბურთის ისტორიაში ძლიერთა შორის არასოდეს ყოფილა) ისე გაუმართლა, რომ ლამის ნახევარფინალშიც გავიდა. ამასთან, იგივე ლუქსემბურგი საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის მსგავსად, ტურნირში მხოლოდ მერვედფინალიდან ჩაება.

მეთექვსმეტედფინალში ყველაზე დიდ ინტერესს ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებთა დაპირისპირება იწვევდა. პირველი შეხვედრა, რომელიც შეფილდის „პილსბროზე“ შედგა, 1:1 დასრულდა. იმ მატჩში ალბიონელებს ვოლტერ უინტერბოტომი ხელმძღვანელობდა, განმეორებით თამაშში კი, რომელიც ზუთი თვის შემდეგ პარიზში გაიმართა, ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი უკვე ლეგენდარულ ალფ რამსეის ეკავა. სწორედ ამ სპეციალისტმა ორი წრის შემდეგ, ფეხბურთის ფუძემდებლებს მსოფლიო ჩემპიონობა მოაპოვებინა. აი, „ამაღაყინწყებთან“ განმეორებით შეხვედრაში კი, რამსეი და კომპანია ვერაფერს გახდნენ და 2:5 წააგეს.

სენსაციურად დასრულდა 1962 წლის მუნდიალის ფინალისტი, ჩეხოსლოვაკიის ნაკრების პაექრობა მასზე გაცილებით სუსტ გერმანიის (აღმოსავლეთ გერმანიის) გუნდთან. ჩეხებმა პირველი მატჩი ბერლინში 1:2 დათმეს, ხოლო განმეორებით შეხვედრაში (პრაღაში) მხოლოდ ფრეს (1:1) დასჯდნენ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 1964 წლის ევროპის თასის გათამაშებას პოლიტიკური ზეგავლენის გარეშე კვლავ არ ჩაუვლია. მეთექვსმეტედფინალში საბერძნეთს ალბანეთთან უნდა ეთამაშა, რომელთანაც იმხანად ელინების შთამომავალთ ძალზე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ (1912 წლიდან მოყოლებული, ბერძნები და ალბანელები ფორმალურად საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ). ერთი სიტყვით, საბერძნეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ უსაფრთხოების გარანტიის არქონის მიზეზით პირველი მატჩის სათამაშოდ ტირანაში გამგზავრებაზე უარი განაცხადა. ამის გამო უეფამ ბერძნების გუნდი ტურნირიდან გამოთიშა. საბოლოოდ, მერვედ-

„ევრო-1964“-ის ჩემპიონი, ესპანეთის ნაკრები





ფინალში ასპარეზობა ესპანეთის, ჩრდილოეთ ირლანდიის, იუგოსლავიის, შვედეთის, დანიის, ალბანეთის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, ავსტრიის, ირლანდიის, ბულგარეთის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, იტალიის, გერმანიისა და უნგრეთის გუნდებმა გააგრძელეს.

ევროპის თასის მეორე გათამაშების ყველაზე დიდი სენსაცია ლუქსემბურგის ნაკრებმა მოახდინა, რომელმაც მერვედფინალში ჰოლანდიის შესანიშნავი გუნდი გამოთიშა ასპარეზობას. ამ ეტაპზე ფეხბურთის საბჭოთა კავშირ-იტალიის დაპირისპირება იწვევდა.

1963 წლის 13 ოქტომბერს ყინვის მიუხედავად, მოსკოვის „ლუქნიკის“ სტადიონი მაყურებლებით მთლიანად შეივსო. მათ თვალწინ საბჭოელებმა სტუმრები დამაჯერებლად დაამარცხეს (2:0). „მოსკოვს ნაპოლეონის მსგავსად ეტოვებთ, მაგრამ მაშინ ფრანგებს რევანშის აღების შანსი არ ჰქონდათ, ჩვენ კი ვვაქვს“, – უთქვამს იმ მატჩის შემდეგ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, პასკუალეს, მაგრამ მასაც და „სკუადრა ატურას“ უამრავ ქომაგსაც რომში შემდგარ განმეორებით შეხვედრაში ლევ იაშინმა იმედი გაუწილა და მასპინძლებს ერთ გოლზე მეტი არ გაატანინა (1:1), რაც იმას ნიშნავდა, რომ ასპარეზობას საბჭოთა კავშირი გააგრძელებდა. ასევე მეოთხედფინალში, ლუქსემბურგი, დანია, ესპანეთი, ირლანდია, საფრანგეთი, უნგრეთი და შვედეთიც გავიდნენ.

მეოთხედფინალურ ეტაპზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა შვედეთის გუნდის ბარიერი გადალახა და ესპანეთთან, უნგრეთთან და დანიასთან ერთად ფინალურ ტურნირში მოხვდა.

მადრიდში, 32 გრადუს სიცხეში მასპინძლებმა უნგრელები 2:1 დაამარცხეს და ფინალში გავიდნენ. ხოლო ბარსელონაში საბჭოთა გუნდს დანიის ნაკრების ძლევა არ გასჭირვებია (3:0). მესამე ადგილისთვის მატჩში უნგრეთმა დანიას მოუგო (3:1) და ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ფინალური მატჩი კი 1964 წლის 21 ივნისს მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შედგა. შეხვედრას 120 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. მათ შორის გახლდათ ქვეყნის მმართველი, გენერალისიმუსი ფრანკოც, რომელიც პაექრობას საპატიო ლოჟიდან ადევნებდა თავს.

თამაში ძალიან დაძაბულ ატმოსფეროში, დიდი ვნებათაღელვის ფონზე მიმდინარეობდა. უკვე მეექვსე წუთზე პერედამ კარგად ისარგებლა სუარესის გამოზომილი პასით და ანგარიში გახსნა. საბჭოელებს კი სულ რამდენიმე წუთი დასჭირდათ წონასწორობის აღსადგენად. ამჯერად თავი ჰუსაინოვმა გამოიჩინა (1:1). ამის შემდეგ ორივე გუნდი დიდ ყურადღებას უთმობდა დაცვას, რის შედეგადაც ესპანელებმა გამარჯვების გოლის გატანა მხოლოდ 84-ე წუთზე შეძლეს, პერედამ მარსელინოს მისამართით გაგზავნა ბურთი, ხოლო ამ უკანასკნელმა ზუსტი დარტყმით თავისი გუნდი წინ გაიყვანა.

ევროპის თასის მეორე გათამაშების ფინალში ესპანეთის გუნდთან მარცხის გამო, საბჭოთა კავშირის ნაკრების მაშინდელი მთავარი მწვრთნელი, კონსტანტინ ბესკოვი თანამდებობიდან გადააყენეს. უფრო მეტიც, ნიკიტა ხრუშჩოვმა ეს წაგება ფრანკოს რეჟიმთან საბჭოეთის პოლიტიკურ მარცხად შეაფასა და კომუნისტის მშენებელი საზოგადოებისა და წითელი დროშის სირცხვილად მონათლა.

მექსიკალ ქომაგებს „აცბაახა“ აღარ უშვებენ

მექსიკის ხელისუფლებამ ქვეყნის ყველაზე დიდი და სახელგანთქმული სტადიონი „აცტეკა“ დროებით დახურა, რისი მიზეზიც რამდენიმე დღის წინ ამ მოედანზე გამართულ ლიბერტადორესის თასის გათამაშების მატჩში მომხდარი შეხლა-შემოხლა გახდა. ერთმანეთს ადგილობრივი „ამერიკა“ და ბრაზილიური „სანკაეტანუ“ ხვდებოდნენ. დაპირისპირებაში კი, გულშემატკივრების გარდა, ორივე გუნდის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მექსიკის პოლიციის თანამშრომელთა განცხადებით, „ამერიკა“ საშინაო მატჩებს ცარიელ ტრიბუნებზე ჩაატარებს მანამდე, სანამ წესრიგი არ დამყარდება და უსაფრთხოების ზომები არ იქნება მიღებული.

ზბაფანი პოლი ბიანის არ გაიხდის



ქალთა პლაჟის ფრენბურთი პორტის ყველაზე სექსუალურ სახეობად ითვლება. მასში ყველაფერია, რაც მამაკაცებს იზიდავს: ბიკინებში გამოწყობილი შესანიშნავი აღნაგობის გარუჯული გოგონები, მზე, ზღვა და ქვიშა. ამიტომ სუსტი სქესის ნებისმიერი წარმომადგენელი, რომელიც პლაჟის ფრენბურთს გააყვება, ადრე თუ გვიან, მამაკაცთა ყურადღების ცენტრში ექცევა. ხოლო თუ იგი კონტინენტის ან სულაც პლანეტის ჩემპიონიცაა?! ჰამბურგელი შტეფანი პოლი დიდების მწვერვალზე იმყოფება. მან მაყურებელი იმდენად მოხიბლა, რომ „პლეიოიში“ ფოტოსესიაში მონაწილეობისთვის 30 ათასი დოლარი შესთავაზა, ოღონდ ცხადია, ბიკინის გარეშე. თუმცა აღმოჩნდა, რომ პოლი არა მარტო სპორტსმენი და ლამაზმანია, არამედ „კომკავშირელიც“, რომლისთვისაც სექსი და ეროტიკა უცხოა. „ეს ჩემი საქმე როდია. თავს უხერხულად ვიგრძნობდი, ჩემი დელიზობილა ფოტოები ნებისმიერ ჯიხურში რომ გამოეფინათ“, – განაცხადა შტეფანიმ, რომელმაც მამაკაცთა გულების მოსაგებად უფრო რთული გზა ირჩია. მას „უბრალოდ“, ევროპის ჩემპიონატში გამარჯვება განუზრახავს. პოლის ოცნების მწვერვალად ოლიმპიური ოქრო ითვლება.

ბერგამევი ლონდონში რჩება

დენის ბერგამემა ლონდონის „არსენალთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა. „შემდეგი ჩემპიონატი ჩემთვის რიგით მეათე იქნება „მეთოფეთა“ შემადგენლობაში და ალბათ ეს გარემოება ყველაზე უკეთ გამოხატავს ამ კლუბისადმი ჩემს დამოკიდებულებას. ამ შეთანხმებით კმაყოფილი ვარ“, – ამბობს „არსენალის“ ოფიციალური საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში ჰოლანდიელი ფორვარდი, რომელმაც მიმდინარე სეზონში ინგლისური გუნდის მაისურით გამართულ 35 მატჩში 7 გოლი გაიტანა.



„ევრო-2004“-ზე მელორეთა სანიწაღმდგო აქციები მოეწოზა

ბოლო დროს მსხვილ სპორტულ ღონისძიებებს ხშირად იყენებენ ამა თუ იმ პრობლემისადმი საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად. სწორედ ამ მეთოდით აპირებენ ეკოლოგიური საკითხებით პუბლიკის დაინტერესებას პორტუგალიელი ბუნების დამცველები ქალაქ ლეირიაში, სადაც „ევრო-2004“-ის ჯგუფური ეტაპის ორი მატჩი შედგება. ამის მიზეზი ადგილობრივი ფერმერების საქციელი გახდა, რომლებიც საღორეებში დაგროვილ სინინტურეს პირდაპირ მდინარე მილაგრესში ყრიან. ბოლო ორი წლის მანძილზე ამ მდინარის აუზი მეტისმეტად დაბინძურდა, რაც საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ფაუნასა და მოსახლეობას. სწორედ ამიტომ, ბუნების დამცველნი ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას პირდაპირ ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას აქციების გამართვით შეეცდებიან – „ჩვენ დემონსტრაციის მოწყობას ვგეგმავთ, – ამბობს მილაგრესის აუზის დამცველი კომისიის თავკაცი, კარლუშ ფარია, – ასე რომ, ლეირია და მდინარე მილაგრესი უფრო ცნობილი გახდება, ვიდრე სტადიონი „მაგალიამ პესოა“, რომელზეც ჩემპიონატის მატჩები უნდა გაიმართოს“. სხვათა შორის, ევროპის მომავალ პირველობაზე მხოლოდ ბუნების დამცველნი როდი მოაწყობენ აქციებს. სწორედ ამ პერიოდში პოლიციელები, ექიმები, ავტობუსის მძღოლები, საიმეგრაციო სამსახურის მოხელეები და სხვა პროფესიის ადამიანებიც აპირებენ საპროტესტო გამოსვლებს. ასე რომ, პორტუგალიაში ჩასულ ტურისტებს ალბათ მრავალი სირთულე შეექმნება.

უთოზა სპორტის სახეზა ყოფილა

ექსტრემალური უთოზის ამერიკული ბიუროს (ღიას, თურმე ასეთი ორგანიზაციაც არსებობს) წევრები თავიანთი ჰობის, საზაფხულო ოლიმპიური თამაშების სიაში შეტანას მოითხოვენ. შეჯიბრების არსი კი, არა თეთრეულის სწრაფად დაუთოებაში, არამედ ამ საქმიანობისთვის ადგილის შერჩევაში მდგომარეობს. მაგალითად, აღნიშნული ბიუროს უთოებით შეიარაღებულ წევრებს იხილავთ როგორც ნიუ-იორკის „თაიმ სქვერზე“, ასევე ამერიკული კანიონების ხეობებშიც. ამასთან, ექსტრემალური უთოობის ბოლო მსოფლიო ჩემპიონატშიც სწორედ ამერიკელებმა გაიმარჯვეს, რომლებიც თავიანთი საყვარელი საქმიანობის პროპაგანდის მიზნით, აშშ-ში სპეციალურ ტურსაც მართავენ. აქციამ 17 მაისს ბოსტონშიც აიღო სტარტი, რომელიც ჩრდილო დაკოტის „შავ ბორცვებზე“ გაგრძელდება და 31 მაისს სწორედ ნიუ-იორკის „თაიმ სქვერზე“ დასრულდება.



ქმები და ბურები აბარობი



ფრანკ დე ბურმა ძმას, რონალდს მიჰბამა და მომავალი სეზონიდან კატარის ერთ-ერთი კლუბის ღირსებას დაიცავს. ცნობა ამის შესახებ ჰოლანდიურმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს. აღსანიშნავია, რომ ძმებ დე ბურებს უკვე გაფორმებული აქვთ კონტრაქტი კატარის ფეხბურთის ფედერაციასთან. ბოლო სეზონი მათ „გლაზგო რენჯერსში“ ჩაატარეს. ახალი გუნდის სახელწოდება კი ჯერჯერობით უცნობია.

პანტანი ნარკოტიკამ იმსხვერპლა

რიმინის (იტალია) პოლიციამ ნარკოტიკებით მოვაჭრე 3 პირი დააკავა, რომლებსაც ის ედებოთ ბრალად, რომ მათ მიერ გასაღებული კოკაინი საბედისწერო აღმოჩნდა ველომობრბოელი მარკო პანტანისთვის. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ საქმის სხვა გარემოებები ჯერჯერობით არ სახელდება. შეგახსენებთ, რომ 14 თებერვალს 34 წლის სპორტსმენის გვამი რიმინის ერთ-ერთ სასტუმროში აღმოაჩინეს. ინციდენტის გამოძიებისას სხვადასხვა ვერსია ფიგურირებდა: ნარკოტიკებისადმი ლტოლვა, უთანხმოება მამასთან, განშორება საყვარელ გოგონასთან... თუმცა მკვლელობის ვერსია გამოირიცხა – პოლიციამ ძალადობის ვერავითარი ფაქტი ვერ აღმოაჩინა. შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „მეკობრის“ მეტსახელით ცნობილმა ველომობრბოელმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ექსპერტიზის დასკვნით, პანტანი ნარკოტიკის ზედმეტმა დოზამ მოკლა. დოქტორ ჯუზეპე ფორტუნის თქმით, იტალიელი სპორტმენი ტვინსა და ფილტვებში სისხლის გაყოვნვამ იმსხვერპლა, რაც კოკაინით მოწამვლამ გამოიწვია. ამასთან, მოგვიანებით გამოძიებამ თვითმკვლელობის ვერსიაც უარყო, რადგან ვერავითარი კონკრეტული საფუძველი ვერ მოიძებნა, რომელიც მარკოს ამ ნაბიჯს გადაადგმევინებდა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ველომობრბოელს თავისი საბანკო ანგარიშიდან 20 ათასი ევრო მოუხსნია, მოგვიანებით კი, მის საწოლთან კოკაინი აღმოაჩინეს. მარკო პანტანი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მრბოლელად ითვლებოდა. მან „ტურ დე ფრანსის“ ტურნირზე 1998 წელს გაიმარჯვა, თუმცა უკვე ერთი წლის შემდეგ, დოპინგის მოხმარებისთვის დისკვალიფიკაცია მიესცეს. 2003 წელს მარკომ „ჯირო ღიტალიის“ რბოლაში მე-14 ადგილი დაიკავა. ეს მის კარიერაში საბოლოო შეჯიბრება გახლდათ.





(დასაწყისი
იხ. „გზა“
№48-52,1-20)

ნობთან დალაპარაკებას გადაწყვეტს, მაგრამ უცნობი ლაშასთან აღარ გამოჩნდება. მოგვიანებით, საათს გვანცას სამსახურში გაუგზავნიან...

ამასობაში, გიორგი ჩადუნელი საბოლოოდ რწმუნდება, რომ კანონიერი ქურდების ჩარევის გარეშე შვილს ტყვეობიდან ვერ გამოიხსნის და მოსკოვში დაბრუნებას გადაწყვეტს. ის თან გვანცას და პატარა ლუკასაც წაიყვანს. მოსკოვში ჩასული გვანცა სრულიად მოულოდნელად, წლობით უნახავ მამას გადაეყრება...

მამა-შვილი ერთმანეთს გიორგი ჩადუნელის მეგობრის რესტორანში შეხვდება. მიშა ჩოხელი იქ პურის მცხოვრად მუშაობს. როგორც კი გვანცას მამის ნახვით გამოწვეული სისხარული ოდნავ გაუფრთხილდა, დედასაც მოიკითხავს. მიშა კი დაამზვიდებს — დედაშენი უკვე კარგად არის და მალე შეგახვედრებო. დათქმულ დროს მიშა გვანცას დედის სანახავად წაიყვანს. დედა-შვილის შეხვედრას პატარა სასწაულიც მოჰყვება — დიდი ხნის წინ დადუმებული ანა ჩოხელი უცბად ალაპარაკდება...

თავისუფალი თემს

რუსულან ბერიძე

თბილისის ომის დროს მხატვარ ირაკლი იაშვილისაგან ორსულად დარჩენილი გვანცა, მისი ძმის, ლაშას თანაშემწედ მუშაობს. მას ირაკლისგან შვილი — პატარა ლუკა უყავს. გვანცას მოულოდნელად გამოეცხადება აფხაზეთის ომში დაკარგული მისი ყოფილი თანაკლასელი და ფიქტიური ქმარი ლუკა ჩადუნელი, რომელიც აუწყებს, რომ თბილისში მამამისი, მოსკოველი ბიზნესმენი გიორგი ჩადუნელი ჩამოდის. ლაშას მასთან სარფიანი ხელშეკრულების გაფორმების იმედი აქვს, მაგრამ ეს საქმე ჯერ ლუკას გატაცების, შემდეგ კი, ლაშას დაჭრის გამო ჩაიშლება.

სარეანიმაციო განყოფილე-

ბაში ლაშას ორი უცნობი სასუნთქ აპარატს გამოურთავს, მაგრამ ექიმები ამჯერადაც დროზე მიუსწრებენ და ხელმეორედ გადაარჩენენ. მომხდართ შეშფოთებული მისი თანამშრომელი იგივე გვანცას აფრთხილებს — იცოდე, ლაშა ცუდ საქმეებშია გარეული და შენც თავის წუმბეში მიგათრევსო... ლაშას პატიოსნების დიდად არც გიორგი ჩადუნელს სჯერა, თუმცა საკუთარ ეჭვებს გვანცას ჯერ ვერც ის უმტიციებს. ამასობაში კი, ლაშა ნელ-ნელა ცხოვრებას უბრუნდება...

საავადმყოფოში ლაშას სანახავად მისულ გვანცას პალატაში ვიღაც უცნობი დახვდება, რომლისაც ხელზე ლუკას საათს დაუნახავს. გვანცა ამ ამბავს მაშინვე გიორგის შეატყობინებს, რომელიც უც-

წლების მანძილზე ჯიუტად მღუპარე ანას ხმის გაგონებაზე, ახლა უკვე მიშას და გვანცას ჩაუვარდათ ენა და მომხდართ გაოგნებულები, ხან ანას, ხანაც ერთმანეთს თვალუგაფართობულნი მიშტერებოდნენ. ბოლოს, ოდნავ გონს მოსული მიშა ცოლს ნელ-ნელა მიუახლოვდა და მის წინ ჩაიმუხლა:

— ანა, საყვარელო... — შეპარვით დაიწყო მან. — აბა, კიდევ მითხარი რამე!..

ანამ ქმარ-შვილს ჯერ ალერსით შეავლო თვალი, შემდეგ ხელები ფართოდ გაშალა, გულში ორივე მაგრად ჩაიკრა და ცრემლმორეული ალულულადა:

— თქვენ მოგიკვდით! როგორ დატანჯვით, როგორ გაგიმწარეთ სიცოცხლე!..

როცა გახარებულმა ოჯახის წევრებმა ერთმანეთის ფერებით გული იჯერეს, ხოლო გვანცამ და ანამ ერთი „გემრიელად“ წაუტირეს, ამ უკანასკნელმა მიშიკო მოიკითხა:

— მაინც რატომ არ მეუბნებით, ჩემი ბიჭი სად არის?

— სად უნდა იყოს?... თბილისშია, შენს მშობლებთან... — არხინად უპასუხა მიშამ, მაგრამ შემდეგ, ცოლი მინც დაეჭვებულმა შეათვალიერა: — კი, მაგრამ ჩვენი შვილების ამბავს ხომ გაუთავებლად გიყვებოდი. დავიჯერო, სულ არაფერი გახსოვს?..

— როგორ არა! — მშვიდად უპასუხა ანამ. — მე შენი ნათქვამი ყოველი სიტყვა ზებირად მახსოვს...

— მართლა?... — შევებით ამოისუნთქა მიშამ. — აბა, რატომღა მეკითხები? გგონია, რამეს გატყუებდი?

— არა, აბა, რას ამბობ?! — აღერსიანად შეანათა თვალები ანამ ქმარს. — უბრალოდ ვიფიქრე, გვანცა თუ ჩამომიყვანა, მიშვიკოს რაღას ერჩოდა-მეთქი?! მაგრამ ახლა ვხვდები, რაშიცაა საქმე: ორივეს ჩამოსაყვანად ფული ვერ მოაგროვე, ხომ?

— ფული აქ არაფერ შუაშია... — წაილულულა მიშამ და დამნაშავესავით გადახედა გვანცას. — მე არც გვანცა ჩამომიყვანია...

— აბა, მარტო ჩამოვიდა?

— არა, მამამთილს ჩამოჰყვია.

— მამამთილს?... — გაოცებით შეხედა ანამ შვილს. — უკვე გათხოვებაც მოასწარი?

— მარტო გათხოვება კი არა — ბიჭის გაჩენაც! — გვანცას მაგივრად უპასუხა ცოლს მიშამ. — იცი, რა შვილიშვილი გვყავს?!

— შვილიშვილიც?... — ქმარს შიშით შეხედა ანამ. — წვლან კი გარწმუნებდი — ყველა შენი სიტყვა მახსოვს-მეთქი, — მაგრამ ახლა მეჩვენება, რომ ამ ამბავს პირველად ვისმენ... — ხმა თითქმის ჩაუწყდა მას.

— ჰა, ახლა!.. — ცოლს მხარზე ხელი აღერსით მოხვია მიშამ და თან, ოდნავ კიდევ შეანჯღრია. — ხელახლა კი ნუ დამუნჯდები!.. გვანცას გათხოვების ამბავი იმიტომ არ გახსოვს, რომ მე არ მითქვამს არაფერი...

— მერე?... — ცრემლები ვეღარ შეიკავა ანამ. — რატომ არ მითხარი? რატომ დამიმალე?..

— გვანცა! — მიუბრუნდა მიშამ შვილს. — გეხვეწები, შენ აუხსენი, თორემ, მე მეტი ნამდვილად აღარ შემიძლია: ხომ შეიძლება, ეს ოხერი გული სიხარულისგან გამისკდეს!..

ანას გამოჯანმრთელება მიშამ ჩოხელმა რესტორან „ლილეში“ აღნიშნა, თუმცა, ლევანისა და ლიას დაუჩინებელი თხოვნის მიუხედავად — მერე გავსწორდეთო, — სუფრის საფასურიც წინასწარ გადაიხადა.

— რა იყო, შე კაცო, რა ცეცხლი

მოიკიდე?! — უკვე მერამდენედ უსაყველურა თამადად არჩეულმა ლევანმა მის და თან, ღვინით სავსე ჭიქა მიუჭახუნა. — მაგრამ რაკი არ იშლი, რაკ ვქნა?!. მოდი, მაშინ ამ ჭიქით ჩვენს მომავალს გაუმარჯოს! ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს!..

— მე რომ ჯერ შვილიშვილი არ მყავს?... — გააწყვეტინა ლიამ ქმარს. — უცბად არ დამაბერა ეს ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე ქალი?! — დაუმატა მან შემდეგ და გვერდით რაღაც ნაირად, განყენებულად მჯდარ ანას მზრუნველად ჰკითხა: — ხომ არ დაიღალე, საყვარელო?

— არა, — იუარა ანამ და თან, კალთაში მჯდარი პატარა ლუკა გულზე მიიხუტა. — უბრალოდ, ეტყობა, ცხოვრებას გადავჩვიე...

— გადაჩვიეოდი, აბა, რა!.. — ისევ აქაქანდა ლია. — ძალიან კარგად მესმის შენი, ძალიან...

— შენც ხომ გესმის ჩემი! — უცბად, ხმადაბლა გადაულაპარაკა ლევანმა მის დას. — ნეტავ, შენს ბედში ერთი-ორი წელი მეც ჩამავლო, რას დავისვენებდი!.. — კიდევ უფრო დაუწია ხმას მან და ჭიქა მიიყუდა.

— არ იქნება, ყელზე დაგადგეს და გაგუდოს?! — ქმრის სიტყვებმა გააკაპასა ლია. — ყველა სიკეთესთან ერთად, დამუნჯებაც არ დამიპირა?!.

— რას ამბობ, ჩემო ლიაკო?! — ცარიელი ჭიქა მაგიდაზე ხმაურით დადგა ლევანმა. — შენ რომ დამიმუნჯდე, საქართველოს ხომ დედაენა დაეკარგება!

— გიორგი! — თვალები დაუბრიალა ლიამ მის პირდაპირ მჯდარ გიორგი ჩაღუნელს. — გააჩუმე შენი ენამწარე ძმაკაცი, თორემ, ჩემს საქციელზე პასუხს არ ვაგებ, იცოდლე!

— ძალიან ვწუხვარ, ჩემო კარგო, მაგრამ მე ჩემი გამჭირვება... — უპასუხა გიორგიმ და თან, გვერდულად გახედა გვანცასთან ლაქლაქში გართულ ლიდიას.

უცბად, სუფრასთან მჯდარი სამივე მამაკაცი გულიანად ახარხარდა, რაც ლიდიას გულუბრყვილო შეკითხვამ დაავიკრავინა:

— Над чем смеётесь, мужчины?

— „ნად ჩემ“ კი არა, ჩემო ლიდუსი, — „ნად კემ, ნად კემ“! — „დააკვლიანა“ ლიდია ლიამ და თავადაც აკისკისდა...

საერთო მხიარულებასა და სიცოცხარხარში დრომ სწრაფად გაირბინა და სუფრის დასრულების დროც დადგა. ლევანი ფეხზე უკვე მერამდენედ

წამოდგა და მათი თავშეყრის მთავარი მიზეზი კიდევ ერთხელ გულით დალოცა:

— გაგიმარჯოს, ჩემო ანა! იქნებ, წელან ცოტა უხერხულადც კი ვიხუმრეთ შენს გასაჭირზე, მაგრამ ნამდვილად გულით გისურვებ, რომ ამიერიდან შენს ცხოვრებაში ყოველი ახალი დღე მხოლოდ ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს!..

— გმადლობო, ბატონო ლევან! ყველას დიდი მადლობა... — სუფრის წვერებს სითბოთი სავსე მზერა მოავლო ანამ. — დღეს მე მართლაც, ძალიან ბედნიერი ადამიანი ვარ. ერთადერთი, რასაც ახლა ვინატრებდი, ჩემი პატარა ბიჭის და ჩემი მშობლების ნახვაა... რათქმა უნდა, იმასაც გულით ვისურვებდი, რომ ჩემი სიძეც, ჩემი გვანცას ქმარი მალე შინ მშვიდობით დაბრუნდეს...

ამ სიტყვების თქმა და გიორგი ჩაღუნელის მობილური ტელეფონის აწკრიალება ერთი იყო. შემკრთალმა გიორგიმ აპარატი მაგიდიდან ფრთხილად აიღო და ყრუ ხმით ჩასძახა:

— Алло... Да, я... Что-о? Где?... Когда?... Понял! Говорю, понял!.. Сейчас же выезжаю!.. — საუბარი სწრაფად დაასრულა გიორგიმ.

— რა მოხდა? — მაშინვე ეცა მას ლევანი.

— ჯერ არ ვიცი... — უპასუხა დაბნეულმა გიორგიმ და შემდეგ სუფრის დანარჩენ წვერებს მიუბრუნდა: — ბოდიშს გიხდით, მაგრამ სასწრაფოდ უნდა წავიდე...

— აღარ იტყვი, სად მიდიხარ? — ჩაეძია ლევანი.

— სასაფლაოზე.

— სა-ად? — გაოცდა ლევანი. — ამ შუალამისას სასაფლაოზე რა გინდა?

— ლუკას გამტაცებლებმა, უფრო სწორად, მათმა აქაურმა ამფოსონებმა დამირეკეს — შენი შვილი გვანკოვის სასაფლაოზე დაგხვდებაო, — და არ წავიდე?!

— ლუკა?... მოსკოვში? თანაც — სასაფლაოზე?... — ფერი ეცვალა ლევანს, მაგრამ შემდეგ, მინც მოჩვენებითი სიმშვიდით დასძინა: — თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რომ ბიჭი ცოცხალია!

— ან ცოცხალია და ან — არა! — ამოიგმინა გიორგიმ და წასასვლელად მოემზადა...

ლიდია და ლევანიც მაშინვე აედევნენ, მაგრამ მიშამ ორივე შეაჩერა:

— თქვენ აქ დარჩით, გიორგის მე წავყვები!.. ყაჩაღებთან ლაპარაკი მე უფრო მეხერხება...

— სამწუხაროდ, ჩემთან ერთად ვერც

ერთი ვერ წამოხვალთ... — გააწყვეტინა მიშას გიორგიმ. — მკაცრად გამაფრთხილეს, რომ იქ მარტო უნდა მივიდე.

— ჰო, მაგრამ... — მაინც შეეპასუხა ლევანი. — რაკი ასეა საქმე, მილიციას მაინც შევატყობინოთ, იქნებ, ეს ყველაფერი ხაფანგია!.. რა იცი, იქ ვინ დაგხვდება და რას მოგიწყობს!..

— არა! — შეაჩერა ლევანი გიორგიმ. — ყველანი აქ დამელოდეთ. თუ ორ საათში არ შეგეხმიანეთ ან არ გამოიჩნდები, მაშინ იქნებ, მართლა რაიმე იღონოთ!..

გიორგის წასვლის შემდეგ, სუფრის დანარჩენი წევრებიც წამოიშალნენ და ლევანმა მათ თავის კაბინეტში გადნაცვლება შესთავაზა...

— გაგონილა, კაცო?! — ცოტა ხნის შემდეგ, კაბინეტში ნერვიული ბოლთის ცემას მოჰყვა ლევანი. — სრულიად უდანაშაულო ადამიანი გაიტაცონ და ფულის გულისთვის ამდენი ტანჯონ და აწამონ?!

— სამწუხაროდ, დღეს ეგეთი ამბები ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდება... — თავისთვის ჩაილაპარაკა მიშამ და მის გვერდით კვლავაც განყენებულად მჯდარ ანას ხელი ხელზე მზრუნველად გადაუსვა: — ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება!.. აი, ნახავ, თუ არა!..

კედელზე ერთ წერტილს მიშტერებულმა ანამ ქმრის სიტყვები სრულიად ურეაქციოდ დატოვა.

— ანა, — ხელზე ხელი ოდნავ მოუჭირა მიშამ, — ცუდად ხომ არა ხარ?

— არა, — მოკლედ უპასუხა ანამ.

— ასე გამალებით რას მიშტერებ ხარ? — ჩურჩულზე გადავიდა მიშა და თან, შემკრთალმა ირგვლივ მიმოიხედა.

— არაფერსაც არ მივშტერებოვარ... — ჩურჩულითვე უპასუხა ანამ. — უბრალოდ, ვფიქრობ...

— კარგი, — ამოიოხრა მიშამ, — იფიქრე, ოღონდ...

— ნუ გეშინია... — გააწყვეტინა ანამ. — აღარ გაგვიფლდები...

— მე ეგ ნამდვილად არ მიგულისხმია! საიდან მოიტანე?... — თავი შორს დაიჭირა ოდნავ დამშვიდებულმა მიშამ.

— უკვე საათ-ნახევარზე მეტი გავიდა! — უცბად ძვირფას საათზე დაიხედა ლევანმა. — რამე არ ვიღონოთ? იქნებ, რა დღეშია კაცი?!

— იმ კაცმა, მგონი, გასაგებად გვითხრა — ზუსტად ორი საათი დამელოდეთო! — შეუტია ქმარს ლიამ და გვერდით მჯდარ, ხელებში თავჩარგულ

ლიდიას მზრუნველად მოუთათუნა მხარზე ხელი: **Не слушай его. Всё обойдётся, вот увидишь!**

— ან „აბაიბიოცა“ და ან — არა! — რუსულ-ქართული ერთმანეთში აურია ლევანმა და შემდეგ, კაბინეტის შორეულ კუთხეში პატარა ლუკასთან ერთად მიმჯდარ გვანცას მიუახლოვდა: — გვანცა, შენ რას ფიქრობ?

— მე ფიქრის უნარი საერთოდ დაგკარგე... — თავისთვის ჩაილაპარაკა გვანცამ და მძინარე შვილს ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელი ფრთხილად გადაუსვა.

— აი, ბენიერი კაცი! — ბავშვს ლოყაზე ხელი ნაზად მოუცაცუნა ლევანმა. — თავისთვის ფშინავს და ალბათ, ახლა ლამაზ-ლამაზ სიზმრებსაც ხედავს...

— თუ კაცი ხარ, აქეთ გამოდი! — შეუდრინა ლიამ ქმარს. — ბავშვმა უცბად არ გაიღვიძოს და გული არ გაუსკდეს!

ის იყო, ცოლისთვის ლევანსაც რაღაც მწარე უნდა ეპასუხა, რომ მის სამუშაო მაგიდაზე მდგარი ტელეფონი აწკრილდა. ლევანი მაშინვე მაგიდასთან გაჩნდა და ყურმილს დასწვდა:

— Да!.. ა-ა, შენ ხარ?... უხ, მე მაგათი!.. მერე, ექიმმა, რაო?... გასაგებია... ამ შუალამისას სადღა უნდა იარონ? ყველას ჩემთან მოვასვენებ... კარგი, კარგი, ნუ ნერვიულობ, წამოვიყვან, აბა, რას ვიზამ?!

ლევანმა ყურმილი დადო და ოთახში კიდევ ერთხელ გაიარ-გამოიარა.

— აღარ იტყვი, რა მოხდა? — ეცა ქმარს ლია. — ვერ ხედავ, რომ დავიხზოცეთ ხალხი?!

— შენ დახოცვა მაშინ გენახა, გიორგის სასაფლაოზე მისვლა კიდევ რომ დაეგვიანა!.. აქედან რომ გასულა, რაღაც ას-ასორმოცდაათ მეტრში საშინელ „პრობკაში“ მოხვედრილა და სასაფლაოზე ოცი წუთის დაგვიანებით მისულა... ჭიშკარს რომ მიახლოვებია და „ფარები“ მიუნათებია, ვიდაც ორ ტიპს თვალებახვეული ლუკა სასაფლაოდან უკვე თრევა-თრევით გამოჰყავდა თურმე...

— მერე, რა უთქვამთ იმ დამპლებს? — გააწყვეტინა ქმარს ლიამ.

— ხმაც არ ამოუღიათ. როგორც კი გიორგი დაუნახათ, ლუკა მაშინვე მიწაზე დაუგდიათ, თავად იქვე მდგარ მანქანაში ჩამსტარან და გაქცეულან... ეს რა ხდება, ხალხნო?! კაცმა მილიონები გადაიხადა და ნაცემ-ნაგვემ შვილს მაინც სასაფლაოზე აძებნინებენ!..

— ახლა სად არიან?... გიორგიმ საიდან დაგირეკა? — ქმარს ბუზღუნი სწრაფად გააწყვეტინა ლიამ.

— სახლიდან. პირდაპირ სახლში წაუყვანია. საწყალი ბიჭი ისეა თურმე, გამხდარ-გაუბეღურებული, რომ ვეღარ იცნობ!.. გიორგის ნაცნობი ექიმისთვის დაურეკავს და შინ მიუყვანია...

— მერე?

— „ისტაშენიე“ და ნერვიული სტრესი აქვს, დრო სჭირდება, რომ მდგომარეობიდან გამოვიდესო... დამამშვიდებელი გაუკეთებია და ახლა საწყალ ბიჭს უკვე ტკბილად სძინავს თურმე...

— სამუდამო ძილი და არგადარჩენა მაგის გამტაცებლებს! — დაიწყევლა ლიამ და ფეხზე წამოდგა.

ლილიაც მაშინვე მას აჰყვა და წასასვლელად მოეზადა.

— ლიდიას შინ წავიყვან, დანარჩენებმა ამალამ აქ მოისვენეთ, — მიუბრუნდა ლევანი მიშას, — ხვალ კი ლუკას სანახავად ერთად წავივით...

— არა! მე ამალამე უნდა წამოვიდე! — გააწყვეტინა გვანცამ.

— შენ?... — დაიბნა ლევანი, მაგრამ მალევე გამოერკვა: — შენ — რა თქმა უნდა...

გიორგის ლუკა იმ ოთახში მოეთავსებინა, სადაც მანამდე, გვანცასა და პატარა ლუკას ეძინათ. ლიდიამ და გიორგიმ ბავშვი თავისთან დაიწვიინეს, გვანცა კი, ლუკასთან სრულიად მარტო დარჩა.

ლამის ნათურის მქრქალ შუქზე ისედაც გაფითრებული ლუკა კიდევ უფრო ფერმიხდილი ჩანდა. საწოლთან მდგარი გვანცა მძინარეს ცოტა ხანს გაფაციცებით აკვირდებოდა, შემდეგ, ფართო სავარძელი საწოლთან სვენებსვენებით მიაჩოჩა, მოწყვეტით ჩაჯდა და თავი ხელებში ჩარგო...

უცბად, ლუკამ ყრუდ დაიკვნესა. გვანცა მაშინვე ფეხზე წამოხტა და მძინარეს ისევ ცნობისმოყვარედ დაშტერდა, მაგრამ ის არც კი შერხეულა... გამთენიისას, დაღამ მინც თავისი გაიტანა და სავარძელში ჩაკარგულ გვანცასაც ღრმად ჩაქმინა...

ღილით, ქუჩიდან შემოსულმა ხმაურმა გამოაღვიძა. დამძიმებული ქუთუთოები ძლივს ასწია და მაშინვე ლოგინზე წამომჯდარი ლუკას გამჭოლ მზერას წააწყდა. გვანცა ჯერ დამფრთხალი ჩიტივით მოიბუზა, შემდეგ ძალა მოიკრიბა და ამოღერდა:

— უკვე გაიღვიძე? როგორ ხარ?..

— ვარ, რა... — გაღიძება სცადა ლუკამ, მაგრამ არ გამოუვიდა. — შენ როგორ გიკითხო?

— მე-ე?... — მხრები დამნაშავესავით აიწურა გვანცამ. — მე რა მიჭირს?! საკითხავი შენ ხარ!..



მართლა იმდენი გადაუსადა, რასაც სთხოვდნენ, ჩათვალე, რომ გაკოტრებულა...

– ვინაა, ბიჭო, გაკოტრებული?! – ახალგაზრდებს მოულოდნელად წამოადგათ თავზე გიორგი, რომელსაც უკან ლიდია და პატარა ლუკაც მოჰყვნენ.

გვანცა მაშინვე ფეხზე წამოხტა.

– იჯექი, ჩემო კარგო, იჯექი, – შეაჩერა გიორგიმ. – შენმა ბიჭმა აღარ მოგვასვენა – დედიკოსთან და მამიკოსთან მინდა, – და იმიტომ შემოგეჭვით...

– დიახ... რა თქმა უნდა... – დაბნეულად უპასუხა გვანცამ და ისევ ასადგომად წამოიწია, მაგრამ უცბად, ლუკამ ხელზე ხელი მოუჭირა და თან,

ლიდიას კაბის კალთას ჩაფრენილ პატარა ლუკას თვალი ეშმაკურად ჩაუკრა:

– ეი, ვაჟკაც, რა შორიდან მზვერა? ახლოს მოდი, ერთი კარგად უნდა შეგათვალიერო, კუნთები თუ დაიყენე.

პატარა ლუკა მაშინვე ლოგინზე შეხტა და თავის სეხნიას პირდაპირ გულზე დაახტა.

– ნელა, ბიჭო, ბოლო ძვალი არ ჩამიმტვრიო... – სიმწრით გაეღიმა ლუკას და ბავშვს ორივე ხელი შემოხვია...

– რა დროს ძვლები და ნეკნებია?! – შეუტია შვილს გიორგიმ. – ერთი ორი დღე კიდევ იკოტრიალებ და მორჩა, მერე ფეხზე უნდა დადგე!

– ასე მაინც, სად მეჩქარება? – დაინტერესდა ლუკა.

– შენ კი არა, მე მეჩქარება! – უპასუხა გიორგიმ. – ჯერ შენი დაბრუნება უნდა აღვნიშნო, მერე კიდევ, ქორწილიც ხომ გვაქვს გადასახდელი!...

– ქორწილი? – გაუკვირდა ლუკას. – ვისი ქორწილი? ანდრეის ხომ არ მოჰყავს ცოლი?

– ნეტავ, ანდრეის რა ეცოლება?! საწყალი ბიჭი წელშია გაწყვეტილი: სამივეს საქმეს მარტო აკეთებს. რამდენი ხანია, მე და ლიდიას თვალთ არ გვინახავს, მივლინებიდან მივლინებაში დაქრის...

– აბა, ვის აქორწინებთ? – ალაღ-

ად დაინტერესდა ლუკა.

– ვის და შენ! ბოლოს და ბოლოს, შენ და გვანცა ერთად ხომ უნდა გადღეგრძელოთ?!

– მე და გვანცა?.. – დაიბნა ლუკა და სახელაწილ გვანცას გვერდულად გახედა.

– ჰო!.. მაგრამ იცი, ამ წუთში რა აზრი მომივიდა თავში? – თავისას განაგრძობდა გიორგი. – მოდი, ცოტა მეც „ვიჟმოტებ“ და ყველაფერს ერთ ქეიფში ჩავტევ. ჰა? რას იტყვი? – ბოლოს, როგორც იქნა, შვილის აზრითაც დაინტერესდა იგი.

– ჯერ არ ვიცი... – ხმაში გაღიზიანება დაეტყო ლუკას. – მოვიფიქრებ...

– შენ იწექი და იფიქრე, მე და ლიდია კი, თადარიგს დღესვე დავიჭერთ!

– მამა! – ხმას აუწია ლუკამ. – ძალიან გთხოვ!

– კარგი, კარგი, შვილო! – სასწრაფოდ დაცხრა გიორგი. – მგონი, სინარულისგან პატარა ბიჭვივით ვარ აცეტებული, მაგრამ უნდა მაპატიო. შენზე უკეთ ვინ მიხვდება, რა გადავიტანე?!

– ვხვდები, მამა, როგორ ვერ ვხვდები?! – დაუყვავა ლუკამ. – მაგრამ მოდი, რა, ჩემი ქორწილის დღეს მაინც მე დავნიშნავ, კარგი?

– კი, შვილო, როგორც შენ იტყვი!.. როგორც თქვენ გადაწყვეტთ!.. – ჩაილაპარაკა გიორგიმ და ოთახიდან გავიდა.

მას ლიდიაც მიჰყვა, ცოტა ხანში კი, ერთ ადგილას გაჩერება ბავშვსაც მოჰპებურდა და გვანცა და ლუკა ერთმანეთის პირისპირ ისევ მარტონი დარჩნენ.

– ნეტავ, რა დაემართა მამაჩემს?.. – მცირეოდენი ღუმლის შემდეგ დაიწყო ლუკამ. – ჩემს პირად ცხოვრებაში ასე უცერემონიოდ აქამდე არასოდეს ჩარეულა.

– ეტყობა, ნერვებმა უმტყუნა, – მშვიდად უპასუხა გვანცამ. – იცი, როგორ განიცდიდა?..

– ვიცი! – გააწყვეტინა ლუკამ. – მაგრამ არც მე ვყოფილვარ აგარაკზე... ცოტა მეც ხომ უნდა მოვიდე გონს?! თანაც, მე და შენ ურთიერთობა, მგონი, საბოლოოდ გავარკვიეთ და... – სათქმელი აღარ დაასრულა მან.

– რა თქმა უნდა, გავარკვიეთ... – მშვიდად მიუგო გვანცამ. – ასე რომ, როგორც კი გონს მოხვალ, მაშინვე ვიქორწინებთ...

– ახლა მეც აღარაფერი მიჭირს, – დათხელებული თითებით საფეთქლები ოდნავ მოისრისა ლუკამ. – თუმცა...

– ძალიან დაგტანჯავს, ხომ?.. – თანაგრძნობითა და ცრემლით თითქმის ერთდროულად აევსო თვალები გვანცას.

– აბა, როგორ გითხრა?.. – გაღიძობა კვლავ უშედეგოდ სცადა ლუკამ. უცბად, გვანცა სავარძლიდან წამოხტა, წაშში ლუკასთან გაჩნდა, გულში ჩაეკრა და აქვითინდა:

– რამე რომ მოგსვლოდა... რამე რომ მოგსვლოდა...

– კარგი, ჰო, დაწყნარდი!.. – აბურდულ თმაზე ხელი ფრთხილად გადაუსვა ლუკამ. – ხომ ხედავ, რომ ცოცხალი ვარ... დანარჩენს კი მოვევლება...

– გაწამებდნენ? – როგორც იქნა, ლუკას მოსცილდა გვანცა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

– არა, უბრალოდ, მაშინშილებდნენ... ერთი-ორჯერ კი, გემრიელადაც მიმბეგვეს – ეს იყო და ეს...

– ველურები! დამპლები! ღორები! არაკაცები!.. – მგონი, საკუთარ ლექსიკონში არსებულ ყველა სალანძღავ სიტყვას ერთად მოუყარა თავი გვანცამ. – რას გემართლებოდნენ? ფულის გულისთვის ადამიანის ასე დასჯა შეიძლება?..

– ფულიც არის და ფულიც.. – ამოიოხრა ლუკამ. – თუ მამაჩემმა

ეშმაკთა ადვოკატი



გასულ თვეში, სადამ ჰუსეინის ოჯახმა ერაყის ყოფილ დიქტატორს ადვოკატი შეუერთია. უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალ სასამართლო პროცესზე მის ინტერესებს ფრანგი ჟაკ ვერჟესი დაიცავს, რომელიც თავის დროზე, კლაუს ბარბიეს, ტურა კარლოსის და სლობოდან მილოშევიჩის ადვოკატი გახლდათ.

„მე დავიცავ სადამ ჰუსეინს და ამ პროცესის სრულებითაც არ მეშინია. მხოლოდ ის მაშინებს, რომ შესაძლოა, ჩემი კლიენტი სასამართლომდე მოკლან“, – ფრანგი ადვოკატის ამ განცხადებამ მთელი მსოფლიო გააკვირვა. „ისედაც მზად ვიყავი, რომ სადამ ჰუსეინის ინტერესები დამეცვა, ახლა კი, როცა სადამის ძმისშვილის წერილი მივიღე, მით უმეტეს მზად გახლავართ,“ – ამაყად განუცხადა ჟაკ ვერჟესმა ჟურნალისტებს და ალი ბარზან ათ-თიქრითის მიერ გამოგზავნილი წერილიც უჩვენა, რომელშიც ნათქვამია: „როგორც სადამ ჰუსეინის ძმისწული, ოფიციალურად გთხოვთ, ხელი მოჰკიდოთ ბიძაჩემის დაცვის საქმეს“.

დიქტატორ სადამ ჰუსეინის ინტერესების დაცვა, ვერჟესისათვის ფრიად ჩვეულებრივი რამ გახლავთ. ჟურნალისტებმა კარგა ხანია, რაც მას „ეშმაკთა ადვოკატი“ შეარქვეს: ის ხომ ყოველთვის ისეთი კლიენტების საქმეებს ჰკიდებს ხელს, რომელთა გამართლებაც პრაქტიკულად ყოვლად წარმოუდგენელია. მაგალითად, მისი კლიენტები იყვნენ: ნაცისტები დამნაშავე კლაუს ბარბიე, ტერორისტი ტურა კარლოსი და თვით სლობოდან მილოშევიჩი კი. უფრო მეტიც, როგორც წესი, ადვოკატი ყველა პროცესს აგებს.

ისმის ბუნებრივი კითხვა – მაშინ, მასზე უარესი დამცველის პოვნა ხომ პრაქტიკულად შეუძლებელი ყოფილა და მაინცდამაინც მასზე რატომ შეარჩერეს თავიანთი არჩევანი დიქტატორის ოჯახის წევრებმა? სხვათა შორის, სადამ ჰუსეინის ერაყელი მოწინააღმდეგენი დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის თაობაზე, რომ დიქტატორს ჟაკ ვერჟესი დაიცავდა. „ის, რომ სადამს ასეთი ადამიანი დაიცავს, თითქმის ადასტურებს მის ბრალულობას. ვერჟესი ხომ ყოველთვის ბანდიტებს იცავს და გამოდის, რომ სადამიც ერთ-ერთი მათგანია,“ – განაცხადა ერაყის დროებითი მმართველო-

ბის წევრმა, ქურთმა ნურედინ დარმა. მსოფლიოსა და განსაკუთრებით, აშშ-ის მასშედის წარმომადგენლებმაც ანალოგიური განცხადებები გააკეთეს. მათი დასკვნა ასეთი გახლავთ: „ვერჟესი უპრინციპო ტაკიმასხარაა, რომელმაც არამზადების დაცვით გაითქვა სახელი“.

სინამდვილეში ყოველივე ასე როდი გახლავთ. ჟაკ ვერჟესი მხოლოდ და მხოლოდ პრინციპის გამო ჰკიდებს ხელს ამგვარ საქმეებს და საკუთარი საქციელის სისწორეში ღრმადაა დარწმუნებული. აშშ-ის წარმომადგენლები თუკი დროზე ვერ მიხვდებიან ამას და ვერჟესს სასამართლოზე დაუშვებენ, პროცესმა შესაძლოა, ამერიკელებისთვის მეტისმეტად უსიამოვნო მიმართულება მიიღოს.

კომუნისტი


სხვათა შორის, ჟაკ ვერჟესის დაბადების გარემოებებმა, დიდად განაპირობა მისი შემდგომი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ჟაკი 1925 წელს ტილანდში დაიბადა. მამამისი ფრანგი დიპლომატი გახლდათ, ხოლო დედა – ვიეტნამელი. აბორიგენზე ქორწინებამ დამლუპველი გააღწია იქონია რაიმონ ვერჟესის კარიერაზე – ის დიპლომატიური სამსახურიდან დაითხოვეს. უმუშევარმა ფრანგმა, ცოლთან და ტყუპ ვაჟთან ერთად, ინდოეთის ოკეანეში მდებარე საფრანგეთის კუთვნილ კუნძულ რეიუნიონზე გადაბარება გადაწყვიტა.

შერეული ოჯახი ამ კუნძულზე მცხოვრებმა საზოგადოებამაც არ მიიღო: ადგილობრივი ფრანგები ქედმაღლურად დაჰყურებდნენ ნახევრად აზიურ ოჯახს და მის წევრებთან ურთიერთობას თავს არიდებდნენ; ბავშვებსაც სკოლაში გამოძებნით პრობლემები ჰქონდათ. მთელ კუნძულზე ერთადერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც რასებისა და ერების თანასწორუფლებიანობას ქადაგებდა და საკუთარ რიგებ-

ში ნებისმიერ მსურველს იღებდა, კომპარტია აღმოჩნდა. ყოფილი დიპლომატი, მოგვიანებით კი, მისი წამოზრდილი ვაჟებიც, კომუნისტურ იდეოლოგიას ეზიარნენ და გულმსურვალე კომუნისტებად იქცნენ.

ჰიტლერის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, 1942 წელს ჟაკ ვერჟესი ევროპაში გაემგზავრა და საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობას შეუერთდა. ლივერპულში ის გენერალ ლე გოლის არმიამ შევიდა, მაგრამ მოკლე ხანში ფრანგ თანამებრძოლთა შორისაც უცხოვდ იგრძნო თავი. 1945 წელს, საბოლოო გამარჯვებამდე რამდენიმე თვით ადრე, ალჟირის ქალაქ კონსტანტინში აჯანყებამ იფეთქა, რომელიც სასწრაფოდ ჩაასშვეს: ალჟირელთა მონაცემებით, მსხვერპლი 40 ათას ადამიანს შეადგენდა, ფრანგები კი აცხადებდნენ, რომ მხოლოდ 1500 ადამიანი იყო დაღუპული. ანტიკოლონიური მრწამსის მქონე ჟაკ ვერჟესი ხმის ჩახლენამდე გაჰყვიროდა, რომ ფრანგები იმავს აკეთებდნენ, რასაც სულ ცოტა ხნის წინ, გერმანელი ნაცისტები საფრანგეთში. მაგრამ მისგან განსხვავებით, მისი თანაბოლკელები მთავრობის მიერ აჯანყებულთა წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს აბსოლუტურად ამართლებდნენ. ფრანგთა უმრავლესობა, გერმანელთა და ალჟირელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ვერანაირ განსხვავებას ვერ ხედავდა. ჟაკ ვერჟესი კი, საკუთარ თავს ჩაგრულ აფრიკელებთან უფრო ავიწყებდა, ვიდრე მზავრულ ფრანგებთან. მოგვიანებით, სწორედ ნიურნბერგის პროცესის მსვლელობის დროს, ანალოგიურმა აჯანყებამ მადგასკარზე იფეთქა, რომელიც ასევე სისხლში ჩაასშვეს. ჟაკი გაცივებას ვერ ფარავდა იმისთან დაკავშირებით, რომ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ სისხლიანი ანგარიშსწორების ორგანიზატორებს ისევე არ ასამართლებდნენ, როგორც ფაშისტ დამნაშავეებს. ასეთი აზრების მოსმენის შემდეგ, ამხანაგები „ვიეტნამელს“ ისე უყურებდნენ, როგორც გიჟს.

მაღე ჟაკმა შეიტყო, რომ რეიუნიონზე



სადამ ჰუსეინი



პოლ პოგი



გურა კარლოსი



ალკირელი გერორისტი ჯამილა მოგვიანებით თავისი ადვოკატის ცოლი გახდა

მცხოვრებ მის ტყუპისცალ ძმას – პოლს, ადგილობრივი პოლიტიკოსის მკვლელობისთვის, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. პოლიტიკოსს შეურაცხყოფა მიუყენებია რაიმონ ვერჯესისთვის, მის ვაჟს მამის შეურაცხყოფა ვერ აუტანია და შეურაცხყოფელი მოუკლავს. ამ სამწუხარო ამბის გაგების შემდეგ, ფაკმა შინ დაბრუნება გადაიფიქრა და სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა.

„პორაჟენეცი“

სორბონის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარების შემდეგ, ფაკმა საზოგადოებრივი მოღვაწეობაც გააგრძელა: ის საფრანგეთის კომპარტიის რიგებში შევიდა და მალე კოლონიური ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუდენტთა ასოციაციას ჩაუდგა სათავეში. ამავე პერიოდში ფაკი ფიზიკის ფაკულტეტის კამბოჯელ სტუდენტს დაუმეგობრდა და მასთან ერთად აქტიურად იბრძოდა ეროვნული უმცირესობების უფლებების დასაცავად. მოკლე ხანში, აკადემიური ჩამორჩენილობის გამო კამბოჯელი, უნივერსიტეტიდან გარიცხეს. ის სამშობლოში დაბრუნდა და რადიკალურად განწყობილ მემარცხენე ძალებს მიემხრო. ფაკის მეგობარი სტუდენტის სახელი და გვარი პოლ პოტი გახლდათ. მრავალი წლის შემდეგ, ის „წითელი ქმერების“ ლიდერი გახდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა თავის უნივერსიტეტულ ამხანაგთან, ფაკ ვერჯესთან.

პოლ პოტის გამზავრების შემდეგ, ფაკმა მალე დატოვა პარიზი: კომუნისტური პარტიის ლიდერებმა ის პრალაში, საერთაშორისო სტუდენტთა კავშირში სამუშაოდ გაგზავნეს. ვერჯესი სწორედ მაშინ დაბრუნდა პარიზში, როცა საფრანგეთი აღჟირთან ომის ციებ-ციხელებით იყო შეპყრობილი. მან ადვოკატის ლიცენზია აიღო და მაშინვე აჯანყებულთა დაცვას მოჰკიდა ხელი. მისი ერთ-ერთი პირველი საქმე 20

წლის ტერორისტი ქალის პროცესი გახლდათ. ჯამილა ბუჰირედს უცხოელთა საყვარელი კაფეს აფეთქებაში ეღებოდა ბრალი. სასამართლოზე ახალგაზრდა ადვოკატმა ყველას განუძარტა, თუ რატომ სძულდა ალკირელ გეონას ფრანგები და იმის დამტკიცებასაც შეეცადა, რომ საფრანგეთის სახელმწიფოს, არმიასა და პოლიციას უფრო მეტად მიუძღოდა ბრალი ამ ტერაქტში, ვიდრე მის უშუალო შემსრულებელს. ჯამილას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ ყველასთვის მიულოდნელად, მის დასაცავად უამრავი ჟურნალისტი აღდგა... ახალგაზრდა ასაკის გამო, დამნაშავეს განაჩენი შეუცვალეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ალკირისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შემდეგ კი, ჯამილა ბუჰირედს ამნისტია შეეხო და ციხიდან გამოვიდა. ის და ფაკ ვერჯესი დაქორწინდნენ. იმ დროისათვის ვერჯესი საფრანგეთში უკვე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადამიანის უფლებათა დამცველი „პორაჟენეცი“ გახლდათ. როცა ერთ-ერთ პროცესზე ვერჯესი ალკირელ ტერორისტებს იცავდა, მან მსჯავრდებულთა წამების ფაქტის დაშვების გამო, საოკუპაციო პოლიციის შეფის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. ამის გამო ვერჯესი თავად გაასამართლეს და „ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის“ ადვოკატის ლიცენზია ექცია თვით ჩამართვეს. სხვათა შორის, ვერჯესის ამხანაგი და თანამოაზრე იმ მომენტში ფან-პოლ სარტრიც გახლდათ.

ანტისემიტი

ალკირის ომის დამთავრების შემდეგ, ვერჯესმა მიუღია თავისი ძალები არაბების დაცვისაკენ მიმართა. ადვოკატი აქტიურად ებრძოდა იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს, ამის ხორცშესხმულ სიმბოლოდ კი, მას ისრაელი ესახებოდა. ამჯერად მის მუდმივ კლიენტებად პალესტინელი ტერ-

ორისტები იქცნენ. 1969 წელს, ვერჯესი ავიაკომპანია El Al-ს თვითმფრინავის გატაცებაში ბრალდებულ ბოევიკებს იცავდა და სასამართლოს უმტკიცებდა, რომ მისი კლიენტები პოლიტპატიმრები იყვნენ და არა სისხლის სამართლის დამნაშავენი; დაღუპულ მგზავრთა სიკვდილიც სწორედ ისრაელის სახელმწიფოს და არა მათ სინდისზე იყო. სასამართლომ ყველა ბრალდებული დამნაშავედ ცნო, თუმცა ერთი რამ უნდა აღინიშნოს – ვერჯესის ყოველ პროცესს პრესა დიდი ინტერესით აშუქებდა.

ფაკი ცნობილი იურისტი გახდა და პარიზის ადვოკატთა კოლეგიასაც ხელმძღვანელობდა, მაგრამ 1970 წელს მის ცხოვრებაში სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: ის უკვალოდ გაქრა. მას ებებდა პოლიცია; ვარაუდობდნენ, რომ შესაძლო იყო, ის მოსადს ჩამოცილებინა გზიდან ან მისი კლიენტების – ალკირელებისა თუ პალესტინელების – რომელიმე მსხვერპლის ახლობელს შური ეძია მასზე. ძებნამ შედეგი არ გამოიღო – ვერც ცოცხალ და ვერც მკვდარ ადვოკატს პოლიციამ ვერსად მიაგნო. ცოლ-შვილმაც (მას ჯამილა ბუჰირედთან სამი შვილი ჰყავს) არაფერი იცოდა მის შესახებ.

რვა წლის შემდეგ, ფაკ ვერჯესი ისევ მოულოდნელად გამოჩნდა, როგორც გაქრა. ამ ინციდენტის თაობაზე მას ღლეშდევ არავისთვის არანაირი ახსნა-განმარტება არ მიუცია. დაბრუნების შემდეგ ის ცოლს გაეყარა და ძველებურად გააგრძელა საადვოკატო პრაქტიკა: იცავდა სინაგოგების ამფეთქებელ ნეონაცისტებს, თვითმფრინავის გამტაცებელ სომეხ ტერორისტებს და სხვა.

შესაძლოა, სწორედ მტკიცე ანტისემიტის რეპუტაციის გამო მიმართეს ვერჯესს 1983 წელს და ბოლივიაში დაჭერილი ლიონის გესტაპოს შეფის – კლაუს ბარბიუს დაცვა შესთავაზეს. საადვოკატო მიმსახურებისათვის ფაკს ფული შვეიცარი-

ელმა ფრანსუა გენუმ გადაუხადა. სხვათა შორის, როცა ბარბიემ თავისი ნახევრად ვიეტნამელი დამცველი პირველად ნახა, გაცემა ვერ დაფარა და ჰკითხა: „კი, მაგრამ თქვენ მაინც რატომ აპირებთ ჩემს დაცვას?“

პრინციპში, ნაცისტები დამნაშავეს დაცვას ადვოკატი პრაქტიკულად არც აპირებდა, მას ბრალმძღებლებზე თავდასხმა ჰქონდა განზრახული. ლიონში გამართულ პროცესზე ადვოკატს ბარბიე სასამართლო დარბაზში არც კი გამოუძახებია, მან ამჯობინა, რომ პუბლიკის ყურადღების აქცენტირება დამნაშავეს პიროვნებაზე არ მომხდარიყო. თავისი ხანგრძლივი გამოსვლები ვერაფერს რასიზმის გამოაშკარავებასა და ფრანგთა პირმოთხოვნის მხილვას მოუძღვნა. დაცვის მისეული სქემა შემდეგნაირად იყო აგებული: ერს, რომელიც ალჟირსა და ინდონეზიაში კოლონიალურ ომებს აწარმოებდა, არა აქვს არავითარი უფლება, ბრალი დასდოს ვინმეს სამხედრო დანაშაულში. საბოლოოდ, კლაუს ბარბიეს 21 სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, ყაჯ ვერაფერს კი მსოფლიო დიდება მოიპოვა.

გირანთა მეგობარი

ტერორისტებისა და კომუნისტების გამოცდილი დამცველის – ვერაფერსის სამსახური კვლავ დასჭირდათ, როცა 1997 წელს, №1 ტერორისტი ილიჩ რამირეს სანჩესი, მეტსახელად – ტურა კარლოსი დაიჭირეს. მას ბრალი ედებოდა 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის დროს ებრაელი სპორტსმენების მკვლელობასა და კიდევ არაერთ მძიმე დანაშაულში. ვერაფერს მანამდე ტურა კარლოსის პირველი ცოლის – რევილუციონერ მაგდალენა კოპის ადვოკატი გახლდათ და ამ საქმის შესახებაც ყურმოკვრით გაეგონა რაღაც. ადვოკატმა დამხმარედ აიყვანა ოურისტი იზაბელ კუტან-პერი, რომელმაც მოკლე ხანში მას ტურა კარლოსის საქმის წარმოების შესაძლებლობა მოუპოვა. კუტან-პერისა და სანჩესის, ისევე, როგორც ოლესაყ ვაშილა ბუპირეთასა და ვერაფერს, ერთმანეთი შეუყვარდათ. ამის შემდეგ ტერორისტს ბევრი აღარ უფიქრია, ყაჯი დაითხოვა და ადვოკატად იზაბელი აიყვანა.

რაღა თქმა უნდა, ილიჩ რამირეს სანჩესმა სწორი არჩევანი გააკეთა: გამართლებელი განაჩენის გამოტანის შანსი არ არსებობდა, ამიტომ სასამართლოზე ვერაფერსის ორატორული ნიჭის გამოვლენა მას ვერაფერს უშველიდა. მართალია, კარლოსს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ სამაგიეროდ, ის და იზაბელი დაქორწინდნენ. მაღამ რამირეს სანჩესი ამჟამად მთელ თავის საადვოკატო მოღვაწეობას ქმრის დაცვას უძღვნის, ვერაფერს კი ახალი ინტერესები გაუჩნდა.

როცა ჰაავის საერთაშორისო ტრიბუ-

ნალი სერბთა ყოფილი მეთაურის სლობოდან მილოშევიჩის საქმეს განიხილავდა, ვერაფერსი მისი დაცვის უფლების მოსაპოვებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა, მაგრამ როგორც ცნობილია, მილოშევიჩმა უარი განაცხადა ადვოკატზე და საკუთარი ინტერესების დაცვა თავადვე გადაწყვიტა. თანაც სერბმა ვერაფერსის ცნობილი მეთოდი გამოიყენა და თავს კი არ იცავდა, მოსამართლეებსა და ბრალმძღებლებს უტყვევდა.

თუმცა, პოზიციები არც ფრანგმა დამო. მართალია, ჰაავის ტრიბუნალზე ვერ მოხვდა, მაგრამ მან თავად შეიტანა სარჩული ევროპის სასამართლოში, სადაც მილოშევიჩის უფლებების დაცვას შეეცადა. ის ამტკიცებდა, რომ ოუგოსლავიელი დიქტატორის პროცესი უკანონო გახლდათ და განსასჯელის სკამზე ის კი არა, დასავლეთის ქვეყნების ლიდერები უნდა მსხდარიყვნენ, რომლებიც დიქტონის ძალაპარაკებების დროს, მილოშევიჩს თავიანთ პარტნიორად მოიხსენიებდნენ.

მამხილებელი

მრავალწლიანი პრინციპული, მაგრამ უშედეგო ბრძოლის შემდეგ, სადამ ჰუსეინის საქმე ყაჯ ვერაფერსისთვის მიუღია კარიერის კულმინაციის ტოლფასია. იმაზე, რომ ვერაფერსი სადამის ადვოკატობასა და აშშ-ის მხილვაზე ოცნებობდა, მაშინაც კი ლაპარაკობდნენ, როცა ჰუსეინი ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო, ხოლო მისი დამხობის ოპერაცია მხოლოდ და მხოლოდ იგეგმებოდა. სავარაუდოა, რომ ყოფილი ერაყელი დიქტატორის ძმისწულმა ალი ბარზან ათთქითმა კარგად შეისწავლა ვერაფერსის ბიოგრაფია და გადაწყვიტა, რომ მისი ნღობა შეიძლება.

სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ, ერაყის ყოფილი ვიცე-პრემიერის ტარიკ აზიზის ნათესავებმაც მიმართეს ვერაფერსს. მისი სასამართლო იენისში შედგება და დაცვა აქტიურად ეწეოდნენ პროცესისათვის. ვერაფერსი აღშფოთებულია, რადგან მას ვერაფერობით თავის კლიენტთან პირისპირ შეხვედრის უფლებას არ აძლევენ (ისინი ერთმანეთს მხოლოდ ომამდე შეხვედრიან) და იმითაც, რომ დიაბუტით დაავადებული აზიზი გასაიდუმლოებულ ადგილზე ჰყავთ გადაძალადული – ამას ადვოკატი ფინევის კონვენციის მიხედვით, სამხედრო ტყვეების სტატუსის დარღვევად მიიჩნევენ.

ტარიკ აზიზისა და სადამ ჰუსეინის დასაცავად, ყაჯ ვერაფერსმა საკუთარი მოქმედების გეგმა უკვე შეიმუშავა. ის საზოგადოებას იმის გარკვევას ჰპირდება, თუ ვინ უჭერდა ერაყს მხარს, ირანთან ომის დროს და ვინ ამარაგებდა მას იარაღით. ის სასამართლოში პენტაგონის შეფის – დონალდ რამსფელდის გამოძახებას აპირებს, რათა ჰკითხოს მას, რა მიზნით ჩავიდა

ბაღდადში და შეხვდა სადამ ჰუსეინს, როცა ჯერ კიდევ პრეზიდენტ რეიგანის ემისარი იყო? ის ირწმუნება, რომ აუცილებლად ჰკითხავს დასავლეთის ქვეყნების ხელმძღვანელებს, რატომ ღუმიღნენ ისინი, როცა ერაყი ქიმიურ იარაღს ქურთების წინააღმდეგ იყენებდა? დაბოლოს, ის აპირებს ბრალი დასდოს აშშ-ს ერაყში უკანონოდ შეჭრაში, რამეთუ მას გაეროს სანქცია არ ჰქონდა.

კომუნისტი და კოლონიალიზმის წინააღმდეგ მუხლჩაუხრელად მებრძოლი 79 წლის ყაჯ ვერაფერსი, აშშ-ს „თანამედროვეობის უდიდეს კოლონიალურ სახელმწიფოს“ უწოდებს და აპირებს, რომ ერაყელი დიქტატორის პროცესი, აშშ-ის სასამართლოდ გადააქციოს. თუმცა, საბოლოოდ ჯერ კიდევ გაურკვეველია, მოიპოვებს თუ არა ყაჯ ვერაფერსი სასამართლოზე დასწრების უფლებას. არც ის არის ცნობილი, სად და როდის შედგება სასამართლო და სადამ ჰუსეინი მაღლწევს თუ არა ცოცხალი ამ პროცესამდე. ვერაფერობით ცნობილია მხოლოდ აშშ-ის ხელისუფლების დანაპირები, რომ სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი აუცილებლად ერაყში და თანაც ერაყელი ოურისტების ძალეობით გაიმართება.

თანამედროვე ადვოკატთა შორის, თავისი ოლიზურობით გამორჩეული ყაჯ ვერაფერსი შესაძლოა, სასამართლო პროცესზე საერთოდ არ დაუშვან, ხოლო თუკი დაუშვებენ, ერაყელი მოსამართლეები ყურს არ დაუცვებენ მის სიტყვებს. ამიტომ არსებობს იმის საფრთხე, რომ ვერაფერსი შესაძლოა, ისტორიაში შევიდეს არა როგორც ალჟირელ აჯანყებულთა შუუპოვარი დამცველი და მსოფლიო რასიზმისა და კოლონიალიზმის დაუღალავი მამხილებელი, არამედ როგორც დიქტატორებისა და ტერორისტების მეგობარი, ჭკუიდან გადასული მოხუცი.



VW Touareg: სიმყარის ტესტი



ნენტს მოიცავს. საინტერესოა, რომ მასში ნებისმიერი მსურველი მიიღებს მონაწილეობას, თუ რა თქმა უნდა, ჩაწერას მოასწრებს. მარშრუტი 14-ეტაპიანია. თითოეული მათგანი, ძირითადი ეკიპაჟის გარდა, 6 სტუმრის მონაწილეობასაც ითვალისწინებს. ტური ორიდან ოთხ კვირამდე გრძელდება და 3.980-დან 6.750 ევრომდე ღირს.

თისკენ გაემართებიან. მორიგი ეტაპი მდინარე ამაზონის გასწვრივ გადის, ანდებისა და ატაკამის უდაბნოს შემდეგ კი, პატაგონიის გავლით მანქანები უფრო შორს – ცეცხლოვანი მიწისკენ გაემართებიან. ავსტრალიაში რბოლა სიღნეიში აიღებს სტარტს და კონტინენტის დასავლეთ ნაწილს მოიცავს. აზიაში მანქანები მონღოლეთსა და ჩინეთს გაივლიან, რის შემდეგაც ინდოეთში აღმოჩნდებიან. ცალკე ეტაპია ცენტრალური აფრიკა და კალაჰარის უდაბნო. რბოლის მარშრუტი მდინარეების – ნილოსისა და ნიგერის მიდამოებსაც მოიცავს. დასკვნით ეტაპზე რბოლის მონაწილეები ევროპის გზებს მოივლიან, ფინიში კი, მათ ვოლფსბურგში, 2005 წლის 29 ოქტომბერს ელით. ექსპერიმენტში 5 ავტომანქანა მიიღებს მონაწილეობას.

გერმანული კონცერნი Volkswagen მსოფლიოს გარშემო თავისი ახალი Touareg-ებით რბოლას იწყებს. აქცია „3600 Experience“, რომელიც 18 ივლისს აიღებს სტარტს, ხუთივე კონტი-

ადგილების ნაწილი უკვე დაგეგმულია. მარშრუტი ალასკაზე დაიწყება, შემდეგი წერტილი კი ოდრონოდრო მთები იქნება, რის შემდეგაც ავტომანქანები კალიფორნიაში და უფრო შორს – სამხრე-

ბავარიელი

ბავარიულმა კონცერნმა BMW-მ ახალი მოდელის პირველი ფოტოები გამოაქვეყნა – ეს არის 1-ელი სერიის კომპაქტური ავტომობილი. უკვე გამოცხადებულია, რომ მანქანებს ამ წლის 18 სექტემბერს ჩაუშვებენ წარმოებაში. ფაქტობრივად, ეს ბავარიელების მხრიდან კონკურენტი კომპანიის – Volkswagen-ის მისამართით გაგზავნილი სერიოზული გამოწვევაა – ეს უკანასკნელი ხომ კომპაქტურ კლასში აღიარებული ოსტატია. საინტერესოა, რომ BMW-ს პირველ სერიას ამ მწარმოებლისთვის ტრადიციული უკანა ამძრავი ანასიათებს, რაც აღნიშნულ კლასში უკვე იშვიათობაა. სიგრძით (4,23მ) ახალი მანქანა მხოლოდ 3 სმ-ით არის მესამე სერიის BMW-ზე მოკლე. პატარა „ბავარიელის“ ძრავების პალ-

სიახლე



იტრაში ოთხი 4-ცილინდრიანი აგრეგატი: ორი – ბენზინის და ორი – დიზელის. ბენზინის ძრავები 115 და 150 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს, დიზელის – 122 და 163 ცხ.ძ-ს. საბარგულის მოცულობა 330 ლ-ა, უკანა სავარძლის დაკეცვის შემთხვევაში კი, 1150 ლ-მდე იზრდება. 1-ელი სერიის BMW-ების საორიენტაციო ფასი 20 ათასი ევროა. მწარმოებლები

ორ-სამ წელიწადში 1-ელი სერიის მთელი ოჯახის წარმოებას აპირებენ. ჰენკეის გარდა, ისინი კლასიკური სედანისა და კლასიკური კაბრიოლეტის გამოშვებასაც გეგმავენ. დღესდღეობით, ამ ღირებულების მანქანებს შორის დომინირებს Volkswagen Golf და Audi A3. ეს უკანასკნელი ალბათ კომპაქტური BMW-ს მთავარ კონკურენტად იქცევა.


Honda-ს ეოზიხები – ეომფოხტი და ესაფხიხობა

იაპონურმა კომპანია Honda-მ, რომელიც მსოფლიოში მოტოციკლეტების ყველაზე მსხვილი მწარმოებელია, ახალი მოდელი – CBF 600 გამოუშვა. ეს ორბორბლიანი მანქანა უმაღლესი კომფორტითა და სტანდარტულზე გაცილებით მეტი უსაფრთხოებით გამოირჩევა. სავარძელი და საჭე ვერტიკალურად რეგულირდება და 157-დან 190 სმ-მდე სიმაღლის ადამიანი მასზე თავს მოხერხებულად იგრძნობს. მოტოციკლი ასევე აღჭურვილია მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით, თუმცა – არა საბაზო კომპლექტაციაში, არამედ

ოპციის სახით და ვინც ისურვებს, ძირითად თანხას კიდევ 600 დოლარი უნდა დაამატოს. თვით მოტოციკლეტი 6.190-დან 6.490 ევრომდე ღირს. მისი მაქსიმალური სიჩქარე 210 კმ/სთ-ა. მოტოციკ-



ლი იდეალურია ხანგრძლივი მოგზაურობისთვის: საწვავის ავზი 19 ლ-ს იტევს, რაც ერთ გამართვაზე 300 კმ-ის დაფარვის საშუალებას იძლევა. საავტომობილო ბაზრის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ევროპის მრავალ ქვეყანაში მოტოციკლისტების საშუალო ასაკი 39-40 წლამდე გაიზარდა, ხოლო აშშ-ში 50 წელსაც კი აღწევს. ეს ადამიანები სულაც არ გამოირჩევიან ექსტრემისკენ მიდრეკილებით და სწორედ ასეთი მყიდველებისთვის არის განკუთვნილი Honda CBF 600.



შერონ სტოუნის 8 საიდუმლო

"ძუ ლომი" მრისხანებას
..... არ ფარავს...

თუკი სოციოლოგიურ გამოკითხვებს ვერწმუნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ შერონ სტოუნს მსოფლიოს კინომაყურებლები ერთ-ერთ ყველაზე „საყვარელ მსახიობად“ მიიჩნევენ. ასე რომ, ალბათ მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ვარსკვლავის ცხოვრებისეულ თუ კინოასპარეზზე მოპოვებული წარმატებების საიდუმლოებები.

1. ზოგიერთი კინოკრიტიკოსის აზრით, შერონი სამუდამოდ დარჩება ერთი ეპიზოდის მსახიობად. მიუხედავად იმისა, რომ მან 50-ზე მეტ ფილმში უამრავი საინტერესო სახე შექმნა, ვარსკვლავის მიერ „ძირითად ინსტინქტში“ ნათამაშები დაკითხვის სცენა –



სადაც პოლიციელის მოპირდაპირე მხარეს მჯდარ, მოკლე კაბაში გამოწყობილ მსახიობს საცვალი არ აცვია და პერიოდულად ხან ერთ ფენს გადაიდებს ფეხზე და ხან მეორეს, – უნიკალურად ითვლება. მიიჩნევენ, რომ მყურებელზე მოხდენილი ფექტის თვალსაზრისით, ამ სცენას მსოფლიო კინემატოგრაფში ბალაღი არ მოეპოვება. ასე რომ, სულაც არ გახლავთ შემთხვევითი ის, რომ ფილმის


ეკრანებზე გამოსვლისთანავე ფზიანმა რეჟისორებმა მომენტალურად აიტაცეს ეს სერნი და დღესდღეობით მის ასლს არაერთ მეორეხარისხოვან ფილმსა თუ კლიპში შეხვდებით.

2. ჟურნალ „პლეზობისთვის“ მსახიობი დიდი სიამოვნებით პოზირებდა. უამრავი ჰოლივუდელი კოლეგისაგან განსხვავებით, შერონი მსგავს საქმიანობას კინოვარსკვლავის სტატუსისთვის შეუფერებლად ან სამარცხვინოდ სულაც არ მიიჩნევს, მით უმეტეს, რომ ამაში საკმაოდ დიდ ფულსაც იხდიან. „თუკი რამის გაკეთებას გადავწყვეტ, აუცილებლად გააკეთებ. ვერაფერი შემაჩერებს, მათ შორის, ვერც ის, რომ შესაძლოა, ჩემამდე ასე არავინ არასოდეს მოქცეულა“, – მსახიობმა ამ სიტყვებით, მსუბუქად რომ ვთქვათ, თავისი საკმაოდ რთული ხასიათის დემონსტრირება მოახდინა.

3. მან მოახერხა, განექარვე ბინა შავფრემანი ქალბატონების მიერ დამკვიდრებული მითი იმის შესახებ, რომ ქერა ქალები დიდი ჭკუა-გონებით არ გამოირჩევიან. მსახიობი საოცარი გონებრივი მონაცემების პატრონია. მას ძალზე მაღალი ინტელექტუალური კოეფიციენტი აქვს – მისი IQ 140 ქულას შეადგენს, მაშინ, როცა საშუალო ამერიკელები, მათ შორის, მამრობითი სქესის წარმომადგენლებიც, ას ქულაზე მეტს ვერ ქაჩავენ. აი, კოლეგებიდან კი, მას მხოლოდ ჯოდი ფოსტერი და მერ-

ილ სტრიპი შეიძლება ამოუყენოთ გვერდში. საერთოდ, შერონ სტოუნთან ერთად, ეს ჰოლივუდელი კინოვარსკვლავები ნამდვილ ინტელექტუალებად არიან აღიარებულები.

4. მრავალი წლის წინ გარდაცვლილმა ბებიაშ შერონი სიკვდილს გადაარჩინა. ორიოდე წლის წინ, მსახიობს მოულოდნელად ინსულტი დაემართა. ექიმებმა, რომლებმაც პირველად დახმარება მას დროულად აღმოუჩინეს, ასეთი დიაგნოზი დაუსვეს: „თრომბის მიერ სისხლძარღვის დაცობით გამოწვეული სისხლჩაქცევა ტვინის არაქროიდულ გარს-





შეთანხმების საფუძველზე, საკმაოდ მშვიდობიანად გაიყარა, რის შემდეგაც შერონი თავის ნაშვილებ ვაჟიშვილთან, როანთან ერთად დარჩა. როგორც ამბობენ, სტოუნს სული ელევა ბიჭუნაზე და მას თავის „უძვირფასეს პატარა ბუდას“ სახელით მოიხსენიებს ხოლმე.

8. ბოლო ხანებში, მსახიობი საკმაოდ გაბრაზებული

ლაპარაკობდა რეჟისორებზე. სტოუნის აზრით, ჰოლივუდელი მეტრები, რომლებსაც ორმოც წელს გადაცილებული მსახიობების თავიანთ ფილმებში მიწვევა არ სურთ, ნამდვილი იდიოტები არიან. რეჟისორების წინააღმდეგ ვარსკვლავის ამგვარი გამოხდომა უკანასკნელ ხანს კინოინდუსტრიაში გაჩენილმა ტენდენციამ განაპირობა, რომელიც „ოცნებების ფაბრიკაში“ უკვე აშკარად შეიმჩნევა: განსაკუთრებით წყალობენ ნორჩ და მომხიბლავ ახალბედებს. თუმცა შერონი დარწმუნებულია, რომ ბოლოს და ბოლოს, მაინც საღი აზრი გაიმარჯვებს. თავადვე განსაჯეთ: ნუთუ, დამწყებ მსახიობს, რაოდენ დიდი სინორჩითა და მომხიბლავობითაც არ უნდა გამოირჩეოდეს იგი, ძალუძს, მეტოქეობა გაუწიოს შერონისნაირ გამოცდილ და საოცარი მაცდუნებელი ეკრანული სახეების შემქმნელ ქალბატონს?


ში“. მსახიობის თქმით, ის პრაქტიკულად უკვე იმ ქვეყნად იყო, როცა გარდაცვლილი ბებია გამოეცხადა და მოუწოდა, რომ მთელი ძალებით ებრძოლა სიცოცხლის შესანარჩუნებლად. შეილიშვილმა ბებიის მითითება შეასრულა, რისი წყალობითაც არა მარტო გადარჩა, არამედ ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა.

5. შერონ სტოუნის ოცნლიანი კარიერის მანძილზე, მამაკაცი მაყურებლის მისდამი დამოკიდებულება აშკარად შეიცვალა. მართალია, მთელი ამ წლების მანძილზე, ძლიერი სქესის წარმომადგენელთა უპრავლესობა მას ძალზე მომხიბლავ არსებად მიიჩნეოდა, მაგრამ თუკი კინოკარიერის საწყის ეტაპზე, როცა ეკრანზე გამოვიდა ფილმი „სოლომონ მეფის მალარო“, მსახიობს „ამერიკის №1 სექსუალურ გოგონას“ უწოდებდნენ, ახლა მას „მაღალი საზოგადოების ბუ ლომად“ მოიხსენიებენ.

6. უამრავი სხვა კინოვარსკვლავისგან განსხვავებით, ის ცხოვრებაშიც ოსტატურად იქმნის მაღალი საზოგადოების ქალბატონის იმიჯს. მაღალი რანგის თავყრილობებსა თუ წვეულებებზე შერონი ყოველთვის საოცრად დახვეწილად გამოწყობილი და უძვირფასესი სამკაულებით მორთულ-მოკაზმული მიდის და როგორც წესი, მუდამ შესანიშნავად გამოიყურება. კანის ფესტივალზე მისულმა მსახიობმა მთელი საზოგადოება გააოგნა თავისი ბრწყინვალე ტუალეტითა და 200.000 დოლარად ღირებული, ბრილიანტის ყელსაბამით.

7. შერონის ცხოვრებაში თორმეტი მამაკაცი იყო. სამ მათგანთან მას კანონიერი ქორწინება აკავშირებდა, დანარჩენი ცხრა კი, ამ საბედისწერო ლამაზმანთან მხოლოდ რომანტიკულ ურთიერთობას დასჯერდა. შარშან მსახიობი მესამე ქმარს, ჟურნალისტ ფილ ბრონშტეინს გაეყარა. მიუხედავად იმისა, რომ შერონის თქმით, ის მისი ცხოვრების ერთადერთი ჭეშმარიტი სიყვარული გახლდათ. ცოლ-ქმარი ურთიერთ-

მსახიობი თავის მესამე ქმართან, ფილ ბრონშტეინთან ერთად



მბიქიფ მადრის ბასიგმში ადანამაულომენ

ფრანგული კინემატოგრაფის ლეგენდა ბრიჟიტ ბარდო რასისტული ზიზლის გაღივების ბრალდებით სასამართლოს წინაშე წარდგა. ამჟამად 69 წლის ბარდომ გამოსცა წიგნი – „ყვირილი სინჟემში“, რომელიც საფრანგეთში ბესტსელერად იქცა და დაუფარავად ილაშქრებს „საფრანგეთის ისლამიზაციის“ წინააღმდეგ. ყოფილი მსახიობი და



ცხოველების მხურვალე დამცველი შემოფოტებულია საფრანგეთში ისლამური ექსტრემისტების „შეჭრილი“... მან სასამართლოზე ბოდიში მოიხადა, თუკი უნებლიეთ ვინმეს ატკინა გული, თუმცა აღნიშნა: „მუსლიმანთა შორის, ვფიქრობ, ბევრი კარგი ადამიანცაა, მაგრამ ისევე, როგორც ყველგან, არიან ხულიგნებიც“.

დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, ბრიჟიტ ბარდო, შესაძლოა, დაჯარიმდეს ან ერთი წლით გისოსებს მიღმაც კი აღმოჩნდეს. აღნიშნული საქმის თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლო მიმდინარე წლის ივნისში მიიღებს.

ღები მუტი თაბულად გათხოვდა

როგორც იქნა, ღები მური გათხოვდა, თანაც – საიდუმლოდ. 41 წლის მსახიობმა თავისი ბედი 26 წლის ეშტონ კატჩერს დაუკავშირა. საზეიმო ცერემონიამ პოლივუდში კაბალის სწავლების ყველა წესის დაცვით ჩააბრა. ქორწილზე ამ რელიგიური მიმდინარეობის მხურვალე მიმდევრები – მადონა და მისი მუულე – გაი რიჩი იყვნენ მიაბატიყებული. სწორედ მათ აზიარეს პირველად 2002 წელს ღები მური კაბალას. თავის მხრივ, ღებმ ეშტონს ურჩია, დამდგარიყო ამ მისტიკური სწავლების გზაზე.


ზემთო თქმულის მიუხედავად, ღები მურის ქორწილის თაობაზე ინფორმაცია მსახიობის პრესმდივანმა უარყო.

მუშისა და მინ ლაინის კავშირზე ლაპაძაკი იუბილეა

კინოსტუდია Walt Disney Company თავის დაქვემდებარებაში მყოფ Miramax-ს უკრძალავს ფართო ეკრანზე გაიტანოს ცნობილი რეჟისორის, მაიკლ მურის ახალი დოკუმენტური ფილმი „ფარენგეტი 9/11“, რომელიც კანის ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში შედის. ფილმში გაკრიტიკებულია ბუშის მოღვაწეობა 11 სექტემბრის ტერაქტამდე და მას შემდეგ. კერძოდ, მური პრეზიდენტს ადანაშაულებს საუდის მდიდარ კლანებთან, – მათ შორის ბინ



ლაინის ოჯახთან კავშირში. რეჟისორი ყურადღებას ამახვილებს ტერაქტების შემდეგ, „ნომერ პირველი“ ტერორისტის ნათესაეების აშშ-დან ევაკუაციაში მთავრობის როლზე. მაიკლ მურის და მისი აგენტის, არი ემანუელის აზრით, Walt Disney-ის ხელმძღვანელობამ იმიტომ აკრძალა ფილმის ჩვენება, რომ საგადასახადო უპირატესობები არ დაკარგოს ფლორიდაში, სადაც გუბერნატორის პოსტი პრეზიდენტის ძმას უკავია. მაიკლ მურის წინა დოკუმენტური ფილმი აშშ-ში იარაღის თავისუფლად ტარების პრობლემას მიეძღვნა. ნამუშევარმა სხვა პრიზებთან ერთად „ოსკარი“, „სეზარი“ და 2002 წლის კანის ფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო.



იგი 20 ივლისს ეწვევა, ფინალური კონცერტი კი დიდ ბრიტანეთში გლასტონბერის ფესტივალზე ჩატარდება.

მაკარტნი 11 ენას შეისწავლის

სერ პოლ მაკარტნი მომავალი ევროპული ტურნესთვის ემზადება. იგი იმ ქვეყნების ენათა საფუძვლების შესწავლას აპირებს, რომლებშიც კონცერტების გამართვა მოუწევს. ესენია – დანია, შვეიცია, ესპანეთი, პორტუგალია, რუსეთი, გერმანია, შვეიცარია, ფინეთი, ნორვეგია, ჩეხეთი და საფრანგეთი. ლეგენდარულ მუსიკოსს სურვილი აქვს, თავის თავგანისმცემლებს მათ ენაზე ეკონტაქტოს. მაკარტნის მენეჯერის ცნობით, მუსიკოსმა უკვე აიყვანა თერთმეტი პედაგოგი. სწავლა ტურნეს პერიოდშიც გაგრძელდება.

სერ პოლ მაკარტნის საკონცერტო ტურნე ესპანეთში – 20 მაისს დაიწყება, სანქტ-პეტერბურგს

„შექსტოლოგიური მისია 3“-ის გადაღებამ პტბლომა შექცვნა

პოლიეულის ვარსკვლავს ტომ კრუზს სურვილი აქვს, თავისი ახალი ფილმისთვის – „შექსტოლოგიური მისია 3“ – რამდენიმე სცენა ბერლინში რაიხსტაგის შენობაში გადაიღოს, რის გამოც გერმანიის მმართველ კოალიციაში – სოციალ-დემოკრატებსა და „მწვანეთა“ შორის უთანხმოება მოხდა. გერმანული მასმედიის ინფორმაციით, სოციალ-დემოკრატმა, გერმანიის ბუნდესტაგის (პარლამენტის) თავმჯდომარემ, ვოლფგანგ ტირზემ ისტორიულ შენობაში გადაღებები აკრძალა – მაშინ, როცა „მწვანეთა“ ფრაქციის ხელმძღვანელმა ფოლკერ ბეკმა განაცხადა, რომ რაიხსტაგში შესაძლო გადაღებებს მათი პარტია არ ეწინააღმდეგება. „კინოგადაღებები შესანიშნავ რეკლამად შეიძლება ჩათვალოს, როგორც გერმანიისთვის, ისე მისი დედაქალაქისთვის“, – მიაჩნია პოლიტიკოსს.



კემპელმა გაგითს პტბციის მთუგთ

ფოტომოდელმა ნაომი კემპელმა გაზეთი Daily Mirror-ს სასამართლო მოუვო და კომპენსაციის სახით 350.000 გირვანქა სტერლინგს (დაახლოებით 628.000 დოლარი) მიიღებს. გაზეთი ფოტომოდელზე წერდა, თითქოს იგი ნარკომანთა ანონიმურ კლინიკაში მკურნალობდა, რაც ჯერ ნაომის, შემდეგ კი სასამართლოს მიერ შეფასდა, როგორც ცილისწამება. კემპელს უკვე ჰქონდა მოგებული მსგავსი სარჩელი, ოღონდ – უფრო დაბალ სასამართლო ინსტანციაში. მაშინ გაზეთი 3.500 გირვანქა სტერლინგით დაჯარიმდა.

რა სიხალღებია მოდაში? როგორ ხვდება საზაფხულო სეზონს „მაკა ასათიანის სახლი“? როგორ უნდა ჩავიცვათ ზაფხულში ისე, რომ სიცხემაც არ შეგვაწუხოს და თან მოდურად და ლამაზად გამოვიყურებოდეთ? დიზაინერი თეონა თავართქილაძე ქალებს სისადავისკენ მოუწოდებს, თან დასძენს, რომ წლევანდელი ზაფხული ყვავილებიანი და ქრელი ტანსაცმლით იქნება გამორჩეული.



თეონა თავართქილაძე:

მაკა ასათიანის ახალწოდ ქაჩს ზაფხულოდნა ვიხტეხით

ლელა ჭანკობაძე

— საუბარი ალბათ, მოსკოვის მოდის კვირეულით უნდა დაიწყო. ჩვენ მოგვცეს უფლება, ეს კვირეული დაგვეხურა, რაც ძალზე პრესტიჟულია და იმაზე მეტყველებს, თუ როგორ მოსწონთ რუსეთში ჩვენი კოლექციები. შემოდგომაზე ისევ მივიღებთ მონაწილეობას მოსკოვის მოდის კვირეულში და ახალ კოლექციასაც მოვამზადებთ. მანამდე მინდა, რომ ერთი ჩვენება, რომელშიც რამდენიმე დიზაინერი მიიღებს მონაწილეობას, თბილისში გავმართოთ. ახლა კი, ძალიან ბევრი საშუალო გვაქვს. ეს პერიოდი ყოველთვის დამღლეულია, რადგან უამ-

რავი შეკვეთა გვიგროვდება. გამოსაშვები საღამოსთვის მეთერთმეტეკლასელები ნაირნაირ ტანსაცმელს გვიკვეთენ. მათ არ იციან, რა უნდათ — უბრალოდ, სურთ, საღამო, რომელსაც ჩვენს კაბაში გაატარებენ, მათთვის დაუვიწყარი გახდეს.

— წლევანდელი ზაფხული რითი იქნება გამორჩეული?

— წელს მოდურია მონითული ქსოვილი, თანაც — დიდი ყვაილებით. ამასთან ერთად სასურველია, თუ ყვაილს თმაში ან ჩანთაზე დაიმარებთ. შარშანდელისგან განსხვავებით, წელს აქსესუარები ზედმიწევნით სადა უნდა იყოს. დიდი ზომის საყურე კვლავ აქტუალურია, მაგრამ მოდაში აღარ არის მასიური სამაჯურები და გულსაკიდები. ისეთი მომხმარებლებიც გვყავს, რომლებსაც არ მოსწონთ ვარდებითა და ორქვადებით მორთული ტანსაცმელი. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მოდას ჩამორჩებიან — ისინი ფერზე გაამაზვილებენ ყურადღებას. ამ მხრივ წელს ფართო არჩევანია: მოდაშია თეთრი, ცისფერი, ნაცრისფერი, ვერცხლისფერი, მწვანე, საღათისფერი და შავი. ეს ფერები ხალისიან, საზაფხულო განწყობას ქმნის. ქალებს უურჩევ, წელს საშუალო სიგრძის ქვედაკაბები ატარონ. მინიქვლადობლოს ბუმი დასრულდა. კაბის სიგრძე მუხლს ქვემოთ უნდა იყოს.

— თეონა, პირადად შენ, კონკრეტულად რა გვეალება?

— მე მხატვარ-დიზაინერი ვარ. თუ ბევრი შეკვეთა არ გვაქვს, ჩემი ინიციატივით მალაზიისთვის ვამზადებ მოდელებს. მაგრამ ამის შესაძლებლობა ბოლო დროს ნაკლებად მაქვს. „მაკა ასათიანის სახლს“ მე ვხელმძღვანელობ, რაც საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასაც ითვალისწინებს.

ხოლო როცა ჩვენება კეთდება, ყველაფერზე თავად ვზრუნავ, განათებაზეც კი.

— მაკა თუ გაკონტროლებთ?

— რა თქმა უნდა. ვცდილობთ, შევინარჩუნოთ ის ტენდენციები, რაც „მაკა ასათიანის სახლს“ ყოველთვის ჰქონდა. მაგრამ ეს ძირითადად, ჩვენების დროს ხდება. მაკას ვთხოვთ ხოლმე: მოდი, წინასწარ ნახე კოლექცია-თქო. შეკვეთების მიღება-შესრულებაში აღარ მონაწილეობს. ყველაფერში გვენდობა. ბოლო დროს ძალიან დაკავებული იყო. ამიტომ ზოგჯერ შემოგვივლიდა ხოლმე და ვთხოვდა, მისთვის რაიმე შეგვეკვრა, თან გვეტყოდა — თვითმზრუნავებისა და „მერსედესების“ გარდა, ველარაფერს ვხედავო...

— მაკა პრეტენზულია, როცა რამეს უკერავთ?

— მისი გემოვნება კარგად ვიცი. თვითონაც მშვენივრად შეუძლია, ჩვენს დაუსმარებლად რაიმე შეიკეროს, მაგრამ ჩვენი აზრი აინტერესებს. „პრემიერკაზე“ სარკის წინ დგება ხოლმე და ყველას გვეძახის, რომ ვუთხრათ, რა როგორ ჯობს.

— რჩევებს პირად ცხოვრებაშიც ითვალისწინებ?

— ძალიან გასწილია ჩემთან. ჩვენ ხომ ნამდვილი დებივით ვართ. თუმცა, მაკა ასეთია თავის მეგობრებთანაც. გვიყვება თავისი პირადი სამყაროს შესახებ, რჩევებსაც ვაძლევთ და შენიშვნებსაც.

— ეი. მაკას ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები შენთვის მოულოდნელი არ არის ხოლმე?

— მოულოდნელი მაშინ არის, როცა რაღაც მისთვისაც მოულოდნელად ხდება, თორემ, მაკა მარტოსული და ჩაკეტილი ადამიანი არ არის. ჩემთან ბოლომდე გასწილია. ჩვენ ერთად გავიზარდეთ. დამლამობითაც კი არ ვცილებოდით ერთმანეთს: ან მაკა რჩებოდა ჩვენთან, ან მე და ჩემი და — მასთან. მერე მე და მაკა პარიზში წავედით. თითქმის სულ მარტონი ვიყავით. პარიზმა ერთმანეთისთვის კიდევ უფრო ძვირფას ადამიანებად გვაქცია.

— მაკას გაათხოვება შენთვის მოულოდნელი იყო?

— მაკა მოსკოვში გათხოვდა. ცოლად გაჰყვა კოტე გოგელას. მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ, ასე რომ, მაკა ისევ შეყვარებულია... კოტე 33 წლისაა, ბიზნესმენია (როგორც შევტიყვეთ, კოტე გოგელას საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია. ის ნეთობიზნესს მისდევს და რუსეთის ერთ-ერთ პორტში ტერმინალსაც ფლობს. მას პირველი მეუღლე რუსი, ხოლო მეორე — ქართველი ჰყავდა. — ავტ.). ის არჩილ გოგელას ძმისშვილია. მაკა მოსკოვშიც იცხოვრებს და თბილისშიც. აქ ოჯახი ჰყავს: დედა, და, დისშვილი. ცხადია, აქაურობას ვერ შეეღვება. მოსკოვი შორს არ არის.



როგორც შევტიყვეთ, კოტე გოგელას საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია. ის ნეთობიზნესს მისდევს და...

როგორ ნარმოიშვა კიბცხა და რა ჟიხით მის შესახებ?

ჩვენც ხშირად ჩავალთ მის სანახავად და თვითონაც ჩამოვა ხოლმე.

— კოტეს მანამდე თუ იცნობდით, სანამ მაკა ცოლად გაჰყვებოდა?

— თბილისში ყველა ყველას იცნობს, თანაც — დაახლოებით ერთი ასაკის ვართ. სანამ მოსკოვში წავიდოდა, მანამდე გავიცანიო. უფრო სწორად, ბავშვობიდან ვიცნობდით.

— შვილებს მაკა მოსკოვში წაიყვანს?

— ჯერ არ ვიცი. მაკა მოსკოვშია. თუ ბავშვები იქ სწავლას მოისურვებენ, წაიყვანს კიდეც.

— ახლა მაკას დედასთან ცხოვრობენ?

— როცა მაკა თბილისშია, მაკას დედასთან არიან, როცა არა — მამასთან რჩებიან. ბოლო დროს მაკა ძალიან დაკავებული იყო და სულ გვენატრებოდა, ხშირად უწევდა საზღვარგარეთ გამგზავრება. ჩვენთან ისედაც აღარ მუშაობდა. მალაზიაში რომ მოდიოდა, სტუმარივით იყო. ასე რომ, ბოლო პერიოდში, ისედაც მაკლდა. თითქოს მივჩქვით კიდეც, რომ სულ მენატრება...

— ახლა ისეც მოდის ტენდენციებს დავუბრუნდეთ: როგორი სილუეტია ახლა მოდაში?

— 50-იანი წლების მსგავსად, აქტუალურია წელში გამოყვანილი და შექმდე მოშეკებული, ირბად აჭრილი კაბები. ასეთი სილუეტები საშუალებას იძლევა, რომ აქცენტი ქალის სხეულის მოხდენილობაზე გაკეთდეს.

— როგორი ფესსაცემელი უნდა შევუხამოთ ყვავილებიან საზაფხულო კაბებს?

— მოდურია მომრგვალებული კალაპოტის, ლაკის მაღალქუსლიანი ფესსაცემელი. ასეთი ფესსაცემელი ფესს ვიზუალურად აგრძელებს და აღამაზებს. ამიტომ დაბალ ქალბატონებს ვურჩევ, აუცილებლად გაითვალისწინონ ეს სახსლე. ზაფხულში კვლავ აქტუალური იქნება საზაფხულო ჩექმა. ჩექმა ვეგეტურად გამოიყურება, თორემ, ზაფხულში მაღალქუსლიანი ქაში უდავოდ, უფრო მოსახერხებელი და კომფორტულია. ჩექმა შეიძლება, ტილოს ქსოვილისგან ან თხელი ტყავისგან შეაკერვინოთ. ქალებს, რომლებსაც სურთ, მოდას არ ჩამორჩნენ, ვურჩევ, ვერცხლისფერი, ვარდისფერი ან ფოლოსფერი ფესსაცემელი შეიძინონ.

— როგორი ქსოვილებაა მოდაში?

— შიფონი ყოველ ზაფხულს აქტუალური ხდება. ასევე მოდურია აბრეშუმი და კოტონი, მაგრამ ერთია მოდა და მეორე — რას ითხოვს მომხმარებელი. ადრე, სულ კვამათობდით, ვუმტკიცებდით ხოლმე — რასაც თქვენ ითხოვთ, მოდური არ არის-თქო. მაგრამ მერე მივხვდით, რომ გადაამწყვტე იმის აზრია, ვისაც ვუკერავთ...

კოცნის წარმოშობის შესახებ ორი თეორია არსებობს, ერთ-ერთი ჩარლზ დარვინს ეკუთვნის. მისი აზრით, კოცნა კვების პირველყოფილი მეთოდიდან იღებს სათავეს. დარვინი ფიქრობდა, რომ პირველყოფილი დედები შვილებს პირით აძლევდნენ საკვებს — ზუსტად ისე, როგორც ჩიტები კვებავენ თავიანთ ბარტყებს.

მეორე თეორიის თანახმად, კოცნა იყო მისალმების ფორმა — ერთგვარი ცერემონია, რომელსაც უძველესი ხალხი ერთმანეთთან შეხვედრის შემდეგ ასრულებდა, თუმცა, მკვლევარების აზრით, პირველყოფილ ადამიანებში უფრო გავრცელებული იყო მისალმების ნიშნად ერთმანეთის დაყოსვა. ჩინეთში ჩვილის მონახულებისას ბავშვს დღესაც არავენ კოცნის. როგორც წესი, მას უახლოვებიან და მის სურნელს ახლოდან შეიგრძნობენ. ზოგიერთ ხალხში კი დღემდე შემორჩენილია ჩვეულება, — მისალმების დროს ლოყაზე კოცნის ნაცვლად, ერთმანეთს ცხვირებით ეხებიან.

დღეს, კოცნის წარმოშობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის გამო აღარავინ დაობს. ფსიქოლოგები, რომლებიც სექსოლოგიის განხრით მუშაობენ, კოცნის მიხედვით ადამიანის ფსიქოტიპს განიხილავენ, მამაკაცებს ოთხ კატეგორიად ყოფენ და მანდილოსნებს სასარგებლო რჩევებს აძლევენ.

პირველი ტიპის მიეკუთვნებიან მამაკაცები, რომელთაც დამაბული, ინტენსიური და ნერვოული კოცნა ახასიათებთ. ასეთი მამაკაცი, როგორი თავდაჯერებულებიც არ უნდა ჩანდეს, ინციტივიას მაინც ქალს უთმობს. მას მიაჩნია, რომ მისი საქმეა ქალის გართობა და თუ თქვენ საკუთარ თავში დარწმუნებული ქალი ბრძანდებით, მის გვერდით თავს ძალიან

კარგად იგრძნობთ.

მეორე ტიპის მიეკუთვნებიან მამაკაცები, რომლებიც დამოუკიდებელი და თავდაჯერებული არიან. მათ ძლიერი კოცნა ახასიათებთ, მოძრაობები რიტმული და ერთგვაროვანი აქვთ, ურთიერთობისას მბრძანებლები და შეუპოვრები არიან. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ასეთი მამაკაცის გვერდით თავს ნამდვილ ქალად იგრძნობთ, მაგრამ მისგან რომანტიკული ფანტაზიის გამოვლენას ნუ ელით. ამ ტიპის მამაკაცებს ყველაფრის დეტალური გაანალიზება უყვართ. თუ შეგიყვარებთ, თქვენთან ურთიერთობას მაშინვე ოფიციალურად გააფორმებს და ასევე საფუძვლიან წინააღმდეგობას გაგიწევთ, თუ ქორწინება ჯერ მის გეგმაში არ შედის. თუ წყნარი და სტაბილური ოჯახის მოსურნე ხართ და ფიქრობთ, რომ მორჩილი ცოლის როლში ყოფნას იოლად შეგეუბნით, უარს ნუ იტყვით მასთან ქორწინებაზე.

მესამე ტიპის მიეკუთვნებიან მამაკაცები, რომელთაც ფრთხილი და ნაზი კოცნა ახასიათებთ. შესანიშნავი ბარტნიორები არიან — მუდამ ალერსიანები და მზრუნველები. მაგრამ ამოდ შეეცდებით მათგან ვნების ვულკანი შექმნათ. თქვენი ერთობლივი ცხოვრება წარმატებული იქნება, თუ შეგიძლიათ არა მარტო მხარში ამოუდგეთ მას, არამედ მართოთ კიდეც. ამ ტიპის მამაკაცი ქვეყნის დასალიერამდე ერთგულად გამოგყვებათ და თქვენს თქვენ წილ ტვირთსაც წამოიკიდებს.

მეოთხე ტიპის მიეკუთვნებიან მამაკაცები, რომელთაც ზემოთ აღწერილი კოცნის მანერებიდან სამივე ზედმიწევნით ათვისებული აქვთ. კარგად მოუფრთხილდით ასეთ მამაკაცს, მასზე ხომ ბევრი ქალი „ნადირობს“. ამ ტიპის მამაკაცის გვერდით თავს კარგად იგრძნობთ, თუ ექსპრესიული და საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი ხართ, თუ კარგად იცით სიყვარულის ანბანი და ის, თუ რა არის ბედნიერებისთვის საჭირო.

დაბოლოს: ფსიქოლოგებისა და ქიმიკოსების გამოკვლევები მოწმობს, რომ კოცნა სტრესს ხსნის და განწყობას ამაღლებს. ამ დროს სისხლში გამოემუშავება ნივთიერებები, რომლებიც ნერვულ სისტემაზე დადებითად მოქმედებს. ასე რომ, თუკი შესაფერისი პარტნიორი უკვე იპოვეთ, ნუ გაუშვებთ კოცნის შანსს ხელიდან.



მართალია, სასმელების დაყოფა „ქალურად“ და „კაცურად“ პირობითია, მაგრამ მათ შორის ნამდვილად დიდი განსხვავებაა. ძირითადი კრიტერიუმი სიმაგრეა. 20⁻იანი სიმაგრის ქვევით, ყველა სასმელი „ქალურს“ განეკუთვნება. ახლა კი უფრო კონკრეტულად თითოეული მათგანის შესახებ:



სიმსხვეპი ჩემ ძალისა და სისძლიის შესახებ

არცთუ ისე სასიამოვნოა მალ-მალე სუფრის საპატიო მიზეზით მიტოვება. ამასთან, არც ისაა მინცდამაინც სასურველი, რომ კეკლუც მანდილოსანს ლუდის სპეციფიკური სუნი ასდიოდეს. თუ მას სუნამოს სურნელი შეერია, მით უარესი!

არაყი, ვისკი, ჯინი და კონიაკი „კაცურ“ სასმელებად ითვლება. თუ მანდილოსანსაც მოუწევს მათი დალევა, ჯობს, ისინი წყლით ან ხილის წვენი გააზავოს.

არსებობს კიდევ რამდენიმე წესი, რომელიც უნდა დაიცვათ, ვიდრე სმას შეუდგებოდეთ:

- 1) არავითარ შემთხვევაში არ დალიოთ მშვიდმა.
- 2) ალკოჰოლური სასმლის საუკეთესო მისაყოფებლად ითვლება ყველი, ხორცი, თევზი და კარტოფილი. ასევე ტორტი და კრემიანი ნამცხვრები, კარაქიანი ბუტერბროდი და ცხიმოვანი პაშტეტი. ცხიმო კუჭის ზედაპირს თხელ საფრად ეკვერება და ალკოჰოლის შეთვისების სისწრაფეს ანელებს.

ვისების სისწრაფეს ანელებს.

3) ალკოჰოლურ სასმელს მიაყოლებთ ხილის წვენები, ან გაზგასული მინერალური წყალი, რაც ალკოჰოლის სიმაგრეს მეტ-ნაკლებად ანიტრალებს.

4) მოერიდეთ სხვადასხვა სიმაგრის სასმელების შერევას, განსაკუთრებით შამპანურისა და სხვა გაზიანი სასმელების.

5) იმორავეთ, რაც შეიძლება ბევრი. ცეკვის შანსი ზელიდან არ გაუშვათ. აქტიური მოძრაობა ალკოჰოლის გადაამუშავებს უწყობს ხელს.

6) სუფრასთან დაჯდომამდე თუ დიდხანს მოგიწიათ გახურებულ ქურასთან ტრიალი, ბევრს ნუ დალევთ. გახურებული ორგანიზმი უფრო სწრაფად ითვისებს ალკოჰოლს.

7) სუფრასთან დაჯდომის წინ, სამიოთხი აბი ნახშირი დალიეთ. ის ალკოჰოლის მოქმედებას აძვირებს.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ ახასიათებს სხვადასხვა სასმლის სიყვარული ადამიანს.

მშრალი და ნახევრად მშრალი ღვინოები:

მათში ყველაფერია – სიამოვნებაც, საუცხოო არომატიც, სიმსუბუქეც. ამასთან, დილით ნაბახუსევს უსიამოვნო შეგრძნებაც არ შეგაწუხებთ. ეს ღვინოები ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა, განსაკუთრებით წითელი ღვინო, რომელიც გულ-სისხლძარღვთა მოქმედების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მათი ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ ზოგიერთი მათგანი თავის ტკივილს იწვევს. ეს რომ თავიდან აიცილოთ, ღვინის სმის დროს მიირთვით ნივთიან კერძები, ყველი, ხაჭაპური და შოკოლადი.

შამპანური და ცქრიალა ღვინოები:

მათი ვერაგობის უარყოფა შეუძლებელია. საოცრად მაცდუნებელი სასმელებია. ერთი შეხედვით, სასიამოვნო და მსუბუქი, თუმცა ბევრ სისუღელეს ჩაგადენინებთ. ნახშირწყალბადის აირი – შამპანურის მშვენიერი ბუშტუკები, კუჭის მიერ ალკოჰოლის შეწოვას აძლიერებს და სწრაფად ათრობს ადამიანს.

ლუდი

იგი შეიძლება ქალურ სასმელად მივიჩნიოთ, თუმცა, მას თავისი უარყოფითი თვისებებიც აქვს. ლუდის სმა ააქტიურებს თირკმლების მოქმედებას და აძლიერებს შარდის გამოყოფას.

სასმელების ჰოროსკოპი

- 1) თუ არამსმელი ბრძანდებით – მკაცრი, ძლიერი ხასიათი და თვითკონტროლის კარგი უნარი გქონიათ. ისე, ღმერთმა ნუ ქნას, ოდესმე ერთბაშად მიირთვათ რამდენიმე ჭიქა. თავს ადვილად დაკარგავთ და შეიძლება უსიამოვნო სიურპრიზსაც ვერ ასცდეთ.
- 2) თუ შამპანურის თაყვანისმცემელი ბრძანდებით, ე.ი. მხიარული, გულდია, სიცოცხლით სავსე და ენაწყლიანი ხართ.
- 3) თეორი, მშრალი ღვინო თუ მოგწონთ, გაწონასწორებული და ამ ღვინოსავით ოდნავ „მშრალი“ ხასიათის ბრძანდებით.
- 4) წითელი, მშრალი ღვინო განუმეორებელი, ესთეტიკით აღსავსე მიზანსწრაფული ქალბატონის სასმელია.
- 5) მაგარ ღვინოს თუ მიირთმევთ, ნეტარების მოყვარული, საოცრად კონტაქტური, ზედმეტი ახირებებისგან თავისუფალი, საზოგადოებისთვის სასურველი ქალბატონი ბრძანდებით.
- 6) თუ ლიქიორის თაყვანისმცემელი ხართ, ნამდვილი ინტელექტუალი ბრძანდებულხართ. ლიქიორიანი სასმისის თანხლებით თქვენ საინტერესო, ბრძნულ და საქმიან საუბრებს აწარმოებთ და მომავალსაც ბრწყინვალედ გვემავთ.
- 7) თუ საუზმესთან ერთად არაყს სვამთ, გულდია, პირდაპირი ადამიანი ხართ, რომელმაც ზუსტად იცის, როდის რა უნდა. ის, ვინც საუზმის გარეშე სვამს არაყს, სუსტი, დაბნეული და სასოწარკვეთილი ადამიანია.
- 8) თუ ლუდს ბოთლიდან მიირთმევთ, ეს თავპრიანიობის, გულგრილობისა და ნიჰილიზმის ნიშანია. თუ პლასტმასის სასმისიდან – ე.ი. უბრალოდ გცხელათ. თუ დაორთქლილი კათიდან – რომანტიკული და ავანტიურული თავგადასავლების მოყვარული პიროვნება ყოფილხართ.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური აქტარის თემა. ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ როგორ განაწილდება თანამდებობები არჩევნების შემდეგ. ამიტომ ნათელმხილველ ნატაშა სპოროსომოვას სწორედ მათი ფოტოსურათებით ვესტუმრეთ, ვინც აქტარის რეგულაციებში მონაწილეობდა და აქტარის დროებით საბჭოში დაიკავეს ადგილები.

ლელა ჭანკოტაძე



რეპოლუსიის ღიდარები იმედგასრუებული არ დარჩებიან...

— ლევან ვარშალომიძე წყნარი, მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანია. მას რბილი ხასიათი აქვს, ამიტომ ეჭვი მეპარება, რომ ადამიანების დამორჩილება შეძლოს. პატონი ლევანი იოლად ექცევა სხვათა გავლენის ქვეშ და ყოველთვის ცდილობს, არ აწყენინოს ზემდგომ ადამიანებს. ამის გამო თავის უფროსებთან მუდამ კარგი ურთიერთობა აქვს. მიზანდასახულია და თუ რაიმე განიზრახა, უეჭველად განახორციელებს. იცის, რა უნდა და როგორ უნდა მოიქცეს, გულისწადილი რომ აისრულოს.

— მხოლოდ მიზანდასახულობაა მისი წარმატების მიზეზი?

— ჩემი აზრით, მისი და პრეზიდენტის გზები წლების წინ გადაიკვეთა. მგონია, რომ მიხეილ სააკაშვილი მისგან დავალებულია. თანამდებობა სწორედ ამის გამო მიიღო. თანაც პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ლევან ვარშალომიძე აჭარაში მისი ნების გამტარებელი იქნება. მორიდებული და ნაკლებად კონტაქტური ვარშალომიძე ვერც თავისი გავლენის სფეროების გაფართოებას შეძლებს და არც პრეზიდენტის დაუკითხავად მიიღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. უფრო მეტიც, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის პრეზიდენტის ყური და თვალი იქნება ავტონომიურ რესპუბლიკაში. დიასპიძის, ხაბაზისა და სურმანიძისგან განსხვავებით, ვარშალომიძე თავად ასლან აბაშიძის მომხრეებისთვისაც კი არ არის მიუღებელი, რადგან ისინი დარწმუნებული არიან, რომ ის სერიოზულ და ანგარიშგასაწევ ძალას არ წარმოადგენს. მაგრამ პრეზიდენტის ფავორიტი აჭარაში შეუვალი იქნება

ყველასთვის, ვინც თავად მიხეილ სააკაშვილის ნდობას არ იმსახურებს.

— როგორი იქნება ვარშალომიძის პოლიტიკური მომავალი?

— ის აჭარაში მასზე დაეკისრებულ საქმეს შეასრულებს, რის შემდეგაც პრეზიდენტი მას მინისტრის პორტფელს ჩააბარებს. სააკაშვილმა იცის, რომ ბრმად შეუძლია ენდოს ვარშალომიძეს, რასაც ვერ ვიტყვი დავით ბერძენიშვილთან, ედვარდ სურმანიძესთან, კობა ხაბაზთან დაკავშირებით: ისინი მებრძოლი, გამოცდილი, პოლიტიკურ ინტრიგებსა და ბრძოლებში გამოწოთობილი ადამიანები არიან, რომელთა მისწრაფებები „ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამას სცილდება. მათ შეუძლიათ, ოპოზიციაში ჩაუღუნენ სააკაშვილს და მისთვის ანგარიშგასაწევ ოპოზიციურ ძალად იქცნენ. ხაბაზმა, ბერძენიშვილმა და სურმანიძემ ბევრი იბრძოლეს აბაშიძის რეჟიმისგან აჭარის გასათავისუფლებლად. პრეზიდენტის ხელში ისინი იმ ძლიერ იარაღად იქცნენ, რომლის წყალობითაც დაინგრა 13 წლის მანძილზე ამენებული მძლავრი დიქტატორული „მანქანა“.

— ასლა სათითაოდ ვისაუბროთ იმ ადამიანებზე, რომლებმაც აჭარის მოსახლეობას ასლან აბაშიძის წინააღმდეგ გამოსვლა გააბედდინეს.

— კობა ხაბაზი პატიოსანი და მიზანდასახული ადამიანია. მას მებრძოლი ბუნება აქვს. შეუპოვარია და ყოველთვის საკუთარი მყარი პოზიცია უკავია. იდეალებს არ იცვლის და გამუდმებით იქ დგას, სადაც ჯანსაღი აზრი ევლდება. მისი პიროვნებით მოხიზვლა იოლია. გაცილებით მეტსაც მიაღწევდა,

ჩრდილში დგომა რომ არ იზიდავდეს. შეიძლება, მარცხსა და შეცდომებსაც უფრო ხის. გულწრფელია და სიმართლის თქმასაც არ გაურბის. ალბათ, იმ-იტომ, რომ დასაკარგი არაფერი აქვს. არ ეშინია, რომ მიხეილ სააკაშვილი მასზე შეიძლება გაბრაზდეს და დაიბოღმოს. სუფთა წარსულის პატრონია. მასზე კომპრომატები ჯერჯერობით არ არსებობს.

— როგორი იქნება მისი პოლიტიკური მომავალი?

— ხაბაზს დიდ პოლიტიკაში მუდმივი ადგილის დამკვიდრება გაუჭირდება, ისევ და ისევ, თავისი სუფთა ბუნების გამო. პატიოსანი, გაწონასწორებული, სიტყვაბუნწი და შორსმჭვრეტელი კობა ხაბაზი, როგორც კი დაინახავს, რომ მას შავი სამუშაო შეასრულებინეს და სხვაში არაფერში სჭირდებათ, პოლიტიკიდან წავა... კობა ხაბაზისგან განსხვავებით, ედვარდ სურმანიძეს სურს, პოლიტიკას შეაბერდეს. მას ღიდი გეგმები აქვს. მიაჩნია, რომ მალაღი თანამდებობისთვის არის დაბადებული და ბათუმის მერობა მის ამბიციებს ვერ აკმაყოფილებს. ამასთანავე, მისი თვალები მეუბნება, რომ სულაც არ არის პრეზიდენტის ნების უსიტყვოდ შემსრულებელი. მას შეუძლია, გაჩუმებული იყოს, მანამ, სანამ საკუთარ ოცნებას აიხდენს და პრემიერ-მინისტრის სავარძელს დაისაკუთრებს...

— სურმანიძეს ზურაბ ჟვანიას შეცვლა სურს?

— რა თქმა უნდა. არა მარტო ედვარდ სურმანიძეს უნდა პრემიერ-მინისტრობა — ეს სავარძელი ხშირად ეს-

იზმრებათ სხვებსაც. მაგრამ ყველაზე დიდი ლტოლვა ამ თანამდებობისკენ მაინც ეროსი კიწმარიშვილს აქვს (ერთ-ერთი მათგანი მომავალში პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიკავებს). შემძლია ვთქვა, რომ ეს მოხდება სააკაშვილსა და ჟვანიას შორის განხეთქილების შედეგად. განხეთქილება კი გარდაუვალია...

— როგორი იქნება დავით ბერძენიშვილის პოლიტიკური მომავალი?

— დავით ბერძენიშვილს და მიხეილ სააკაშვილს შორის შინაგანი დაპირისპირება ყოველთვის არსებობდა. მაგრამ მათი პოზიციები აჭარასთან მიმართებაში ერთმანეთს დაემთხვა. თუმცა, კონფლიქტი სწორედ აჭარის გამო გაღრმავდება: ბერძენიშვილი ჩათვლის, რომ მისი ღვაწლი ასლან აბაშიძისგან აჭარის გათავისუფლებაში სააკაშვილმა ჯეროვნად ვერ შეაფასა. იმაზე მეტს მოელის, ვიდრე შესაძლებელია. ეს დავით ბერძენიშვილს საბოლოოდ აფიქრებინებს, რომ სააკაშვილის ძლიერი ფრთის ქვეშ საკუთარი პატარა ფრთების გაშლას ვერ შეძლებს... ბერძენიშვილი არ აღმოჩნდება ისეთი ოპოზიციონერი,

როგორც კობა დავითაშვილია, რომელიც აქილიკებს ახალ ხელისუფლებას, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, არც ზოტბას იშურებს ხოლმე მის მიმართ. ბერძენიშვილი კი, იმ კატეგორიის აღამიანია, რომელსაც ან უნდა აღამიანი, ან — არა, ან უყვარს, ან — სძულს... შუალედური პოზიცია მისთვის მიუღებელია.

— თამაზ დიასამიძის შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?

— თამაზ დიასამიძე ძალზე ცოტათი კმაყოფილდება. მას უმნიშვნელო თანამდებობაც რომ შესთავაზონ, იმაზეც თანახმა იქნება, რადგან დიდი პოლიტიკური მიზნები და ილუზიები არა აქვს. ერთი შეხედვით მშვიდი და მიზანდასახულია, სინამდვილეში კი, ფეთქებადი ხასიათი აქვს. ცოტა ნერვიულია, წყენის დავიწყება უჭირს. წინდაუხედავად არასდროს მოქმედებს. ნებისმიერი ნაბიჯი, რომელსაც ის დგამს, გონებაში მილიონჯერ აქვს აწონ-დაწონილი. მისი ნდობით აღჭურვილი პირი და მეგობარია აჭარაში შს მინისტრის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი მერაბ აბაშიძე.

— ვინ არის, როგორი პირ-

ონებაა და რა ელოდება?

— მერაბ აბაშიძეს რევოლუციამდე ლელოვლებში, დარწმუნებული ვარ, არანაირი მონაწილეობა არ ექნებოდა მიღებული, რადგან ვგრძნობ, რომ ის დებრესიაში იყო. მან ბევრი მძიმე დღე გადაიტანა, რაც მასზე განხორციელებული, გამუდმებული ზეწოლით იყო გამოწვეული. უთვალთვალდნენ, მის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდნენ. ამ თანამდებობაზე ის ძალზე ცოტა ხანს იმუშავებს. გამორიცხული არ არის, რომ ამ არჩევნების შემდეგაც დარჩეს ამ პოსტზე, მაგრამ მაინც, მცირე ხნით. მიუხედავად იმისა, რომ პატიოსანი, წესიერი და პროფესიონალი კადრია, მას არც ასლან აბაშიძე ენდობოდა და, სამწუხაროდ, ვერც მიხეილ სააკაშვილის ნდობას მოიპოვებს...

— როგორი იქნება აჭარა ასლან აბაშიძის გარეშე?

— ბევრი სიახლე და სიურპრიზია მოსალოდნელი. აჭარის რევოლუციის ლიდერები იმედგაცრუებული არ დარჩებიან, მაგრამ უამრავი სენსაციური და მოულოდნელი საკადრო დანიშვნა განხორციელდება. აჭარა უკეთესად იცხოვრებს — ამაში ეჭვი არ მეპარება.



ნელი ბიჩიკაშვილი: სხვისი ოჯახის ჯაფოებით დანგრევა დიდი ცოდვაა

ნანა სისაშვილი

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი ბებიისგან მემკვიდრეობით გადაეცა. ქალბატონ ნელის უამრავი აღამიანი ემაღლიერება. ბიზნესმენები მისი რჩევის გარეშე ახალ საქმეს არ იწყებენ. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობითა და შელოცვებით ბევრი ოჯახი გადაარჩინა მოსალოდნელ უსიამოვნებას, ხალხი მასთან რაიონებიდანაც ჩამოდის.

— ქალბატონო ნელი, მარჩიელობის დროს ხედავთ, ჯაფოა გაკეთებული თუ არა და ვინ არის მისი დამკვეთი?

— რა თქმა უნდა!.. მე ყავაზე, ბანქოსა და სურათზე ერთდროულად ვმარჩიელობ და დანამდვილებით შემძლია ვთქვა, არის თუ არა აღამიანი მაგიური ზემოქმედების ქვეშ, გარდა ამისა, შელოცვებით ჯაფოს მოხსნაც შემიძლია... ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონი ჩამოვიდა ჩემთან გორის რაიონიდან. ახალი გათხოვილია, კარგი ოჯახი აქვს, თვითონაც წესიერი, პატიოსანი აღამიანია. შემომხივლა, ცუდად ვარო.

— რა სჭირდა?

— სუსტად იყო, ძილი და მოსვენება დაკარგული ჰქონდა. ღამეებს თეთრად ათენებდა. მეზობლის კაცის მიმართ არაჯან-

სალი ინტერესი გაუჩნდა გათხოვებიდან 2 თვის თავზე, მანამდე აზრადაც არ მოსვლია მსგავსი რამ. ერთი სიტყვით, ქმრის ახლობელი და კარის მეზობელი შეუყვარდა, სულ მასზე ფიქრობდა. არადა, თავისი ბედით კმაყოფილია, ოჯახის დანგრევა არ სურს. მოკლედ, ვერ მიხვდა, თუ რა ხდებოდა მის თავს. არ დამიმალავს, პირდაპირ ვუთხარი, რომ მეზობლის კაცმა ჯაფო გაუკეთა.

— რატომ?

— ლამაზი ქალია და საყვარლად უნდა. შურს, ასეთი კარგი ცოლი რომ ჰყავს მის მეზობელს... სამწუხაროდ, ზოგიერთი ვერ ხვდება, რომ სხვისი ოჯახის ჯაფოებით დანგრევა დიდი ცოდვაა, შვიდი თაობის ჩათვლით ვერ გაიხარებს მისი შთამომავლობა.

— ახლა როგორ გრძნობს თავს თქვენი პაციენტი?

— როცა ვუთხარი, რაშიც იყო საქმე, მიხოვა, — მიშველე რამე, ოჯახის დანგრევა არ მინდა, ორსულად ვარ, მალე დედა გავხდები. დანგრევაზე უარს როგორ ვეტყვოდი?! ერთი თვე თბილისში დარჩა ნათესავებთან და სისტემატურად დადიოდა ჩემთან შელოცვებზე. მაგიური ზემოქმედების განეიტრალების შემდეგ, დაბნეული გონება გადაეწმინდა, რეალობის შეგრძნება დაუბრუნდა და ისევ გულგრილი გახდა კარის მეზობლის მიმართ, რომელიც სახლიდან გააგლო და სათოფეზე აღარ იკარებს.

P.S. დარეკეთ და ჩაეწერეთ წინასწარ! საკონტაქტო ტელეფონები: 35.29.72, 893. 30.65.51. მისამართი: წერეთლის №12 (მეტრო „წერეთლის“ გვერდით), II სადარბაზო, II სართული, ბინა №24.



ჰოლივუდელთა მხრალი ილღიბი

**რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამასაშვილი**

ღღესასწაულის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ამერიკელი დერმატოლოგები ლოს-ანჯელესში მიფრინავენ ვარსკვლავთა ილღიების გამო-საშრობად.

ღღეს ბევრი ქალბატონი ნაოჭებს ებრძვის, A ტიპის ბოტულინის ტოქსინის პრეპარატების გამოყენებით. მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ეს პრეპარატი პირველად, ნევროლოგიაში გამოიყენეს – ხელისგულების, ტერფების, სახის, ილღიებისა და საზარდულის არის ჰიპერჰიდროზის (ჭარბი ოფლიანობის) სამკურნალოდ. ნახევარსაათიანი პროცედურიდან 2-5 დღეში, პრობლემური ზონები მშრალი ხდება. 6-8 თვის განმავლობაში კი, ადამიანს კომფორტული ცხოვრება გარანტირებული აქვს.

ბოტულინოტოქსინის ინიექციები არ ცვლის უჯრედთა მუშაობის თავისებურებას. იგი აჩერებს მხოლოდ სპეციალური ნივთიერების – აცეტილქოლინის გამოყოფას, რომელიც ნერვიდან საოფლე უჯრედებზე ბრძანების გადაცემას უზრუნველყოფს, შედეგად კი, ჰი-

დაფიქრებულხართ ოდესმე — რატომაა, რომ „ოსკარის“ გადაცემის ცერემონიაზე არც ერთ პოლიფუდეელ ვარსკვლავს, ცხელი ამინდის მიუხედავად, არ უსველდება ილღიები? თურმე კინოაკადემიკოსებს თავიანთი საიდუმლო ჰქონიათ...



პერჰიდროზით დაავადებული უბნები შრება. გარკვეული დროის შემდეგ, ჰიპერჰიდროზი ისევ ვითარდება, მაგრამ ხშირად — ნაკლები სიძლიერით. ზოგჯერ კი, განმეორებითი კურსი საერთოდ აღარ არის საჭირო, რადგან

ოფლის ნორმალური გამოყოფის აღდგენა ხდება.

სამწუხაროდ, ეს მეთოდი საკმაოდ ძვირად ღირებულია, ხელისგულების ჰიდროზის მკურნალობისას კი — მტკივნეულიც. სპეციალისტები შედარებით ეფექტურად მიიჩნევენ მკერდის სიმპატიკტომიას. ბოლო წლებში იგი ენდოსკოპიური ტექნიკის გამოყენებით ტარდება — ილღის არეში უმცირესი ზომის ნაჩვევლებიდან გულმკერდში შეაქვთ მინიატურული ვიდეოკამერა და სპეციალური ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებით ქირურგი, სპეციალური მონიტორის ეკრანზე პროცედურის დაკვირვების გზით, სიმპათიკური ნერვის ღეროს სპეციალურ 5-მილიმეტრიან ტიტანის რგოლს ადებს. რადგანაც ოფლის გამლიერებულ გამოყოფას სიმპათიკური ნერვი განაპირობებს, ოფლიანი ხელისგულები საოპერაციო მაგიდაზევე შრება. ეს იოლი ოპერაციაა და პაციენტები იმ დღესვე ბრუნდებიან შინ. ■

მიკოზი — ტერფების სოკოვანი დაავადება

ტერფების სოკოვანი დაავადება საკმაოდ გავრცელებული პათოლოგიაა. სტატიისტიკური მონაცემების თანახმად, ჩვენში მიკოზი ყოველ მესამე ადამიანს აქვს. თანაც, უმრავლესობამ არც კი იცის ამის შესახებ. სოკოვანი დაავადება კარგა ხანს, ფარულად ვითარდება და მოულოდნელად გამოვლინდება ხოლმე. ამის შემდეგ მისგან თავის დაღწევა არცთუ ისე იოლია.

სოკოვანი ინფექციის თავიდან ასაცილებლად რამდენიმე მარტივი წესის დაცვაა საჭირო:


● არასოდეს ჩაიცვათ სხვისი ფეხსაცმელი. სტუმრად ყოფნისას მასპინძლის მიერ შემოთავაზებულ ჩუსტებზე

უარი თქვით. ნურც სტუმარს შესთავაზებთ თქვენსას. მით უმეტეს, ნუ მისცემთ შინ ფეხშიშველა სიარულის უფლებას — იატაკს ტალახიან ნაფენურებს უფრო ადვილად მოაცილებთ, ვიდრე სოკოს.

● ნუ ივლით შიშველი ფეხებით აუზზე, საშაპეში, საუნაში. ამისთვის რეზინის ფლოსტები არსებობს.

● ნუ გამოიყენებთ საბაზანოში ხის ფეხსადგამს, ქჩისა თუ ღრუბლის საფენებს. ასეთი მასალა ძლიერად იჟღინთება წყლით და მათში ადვილად იბულებს სოკო.

● თუ მანიკურს ან პედიკურს სალონში იკეთებთ, თვალყური ადევნეთ იმას, რომ სტერ-



ილური ხელსაწყოებითა და სუფთა პირსახოცით მოვამსახურონ. ნურასოდეს გაიკეთებთ მანიკურსა და პედიკურს სხვისი ინსტრუმენტებით.

● შეიძინეთ მხოლოდ ტყავის ხალვათი ფეხსაცმელი და ბამბის წინდები, ფეხს საშუალება მიეცით, ისუნთქოს. მოჭერილი ფეხსაცმელი და ხელოვნური წინდები ხელს უწყობს ფრჩხილების ჩაზრდას და აძლიერებს ოფლიანო-

ბას, რაც თავის მხრივ, სოკოვანი დაავადების განვითარებას განაპირობებს.

● ფეხები ყოველ საღამოს დაიბანეთ და კარგად გაიმშრალეთ. ეცადეთ, თითებს შორის სისველე არ დაგრჩეთ.

● საზოგადოებრივ აუზში ან საშხაპეში ნებივრობის შემდეგ, ტერფებზე სოკოს საწინააღმდეგო საცხი შეიზილეთ. თუ არ გაქვთ, არაყში ან ძმარში დასველებული ბამბის ტამპონიც გამოადგებათ.

არსებობს სოკოვანი დაავადების საწინააღმდეგო რამდენიმე ჩინებული ხალხური მეთოდი:


● ერთ ჭიქა თბილ წყალში 1 ჩ/კ ზღვის მარილი გახსენით, ამ ხსნარში დაასველეთ ბამბის ტამპონი, სოკოთი დაზიანებულ ადგილზე დაიდეთ და დაიტოვეთ, სანამ არ გაშრება. ამის შემდეგ ფეხები სოდის ხსნარით დაიბანეთ და გულდასმით გაიმშრალეთ. მკურნალობის კურსი 10 დღეა.

● ერთ ლიტრ წყალში 1 ჩ/კ სუფრის მარილი გახსენით. გაჭყლიტეთ

ნივრის ერთი მოზრდილი კბილი, 1 ს/კ მარილის წყალხსნარი დაასხით, გაფილტრეთ და გაწურეთ. ამ ნარევეს დაუმატეთ კიდევ 4 ს/კ ხსნარი. მიღებული სითხით დღეში ორჯერ დაიმუშავეთ, სოკოთი დაზიანებული ადგილი. მზა ხსნარი შეინახეთ არა უმეტეს 12 საათისა.

● დაზიანებულ ადგილას ყოველდღიურად, დღეში რამდენჯერმე შეიზილეთ ვაშლის ძმარი.

კითხვა



პასუხი

კითხვა: რა გართულება შეიძლება მოჰყვეს ქალის ორგანიზმში, საშვილოსნოსა და საკვერცხეების ამოკვეთას? აქვს თუ არა მნიშვნელობა ამ შემთხვევაში, ქალის ასაკს?

პასუხი: თუ ასეთ ოპერაციას იკეთებს ქალი, რომელსაც ჯერ არ აქვს კლიმაქსური ასაკი, მას შეიძლება განუვითარდეს ე.წ. „ქირურგიული კლიმაქსი“, რაც საკვერცხეებისა და საშვილოსნოს

ამოკვეთის შედეგია. ფიზიოლოგიურისგან განსხვავებით, ქირურგიული კლიმაქსი საკმაოდ სწრაფად ვითარდება და მისი სიმპტომები ოპერაციიდან რამდენიმე დღეში ვლინდება. ასეთ დროს, სიმპტომები საკმაოდ მრავალფეროვანი და შემაწუნებელია. ამიტომ მსგავსი ოპერაციის შემდეგ, პაციენტმა აუცილებლად უნდა მიმართოს გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგს, რომელიც საჭირო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ, დაუნიშნავს ჩანაცვლებით ჰორმონულ თერაპიას.

თუ ქალს ფიზიოლოგიური კლიმაქსი უკვე აქვს, საკვერცხეებისა და საშვილოსნოს ამოკვეთა მისი ორგანიზმისთვის ისეთი მძლავრი სტრესი არ იქნება, როგორც ახალგაზრდა ქალისათვის. თუმცა, აღნიშნულ ორგანოებს ნებისმიერ ასაკში აქვს გარკვეული ფუნქცია და პოსტოპერაციულ პერიოდში სასურველია მათი კომპენსირება, რისთვისაც ექიმის კონსულტაციაა საჭირო.

კითხვა: რა ინვეფს ეგზემას და როგორია მისი მკურნალობის პრინციპი?

პასუხი: ეგზემა დღეს საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა. მისი გამოშწვევი მიზეზი დადგენილი არ არის, მაგრამ გარკვეული მნიშვნელობა დაავადების პათოგენეზში ენიჭება სტრესულ და ალერგიულ ფაქტორებს. ამიტომ ეგზემის მკურნალობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კანის ადგილობრივი დამუშავებით. იგი მიმართული უნდა იყოს ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, მისი ნერვული სისტემის დისფუნქციისა (ფუნქცი-

ური მოშლილობის) და ალერგიული ფონის მოხსნისაკენ, საერთო იმუნური ძალების აღდგენისაკენ.

კითხვა: მაქვს საზარდულის თიაქარი. შეიძლება თუ არა, რომ იგი თავისთავად განიკურნოს, თუ ოპერაციაა საჭირო? ამჟამად თიაქარი არ მანუხებს.

პასუხი: საზარდულის თიაქრის განვითარება მუცლის კედლის ანატომიური თავისებურებებით აისხნება. თუ თიაქარი უკვე ჩამოყალიბდა, ეს ნიშნავს, რომ მოდუნებულია მყესოვანი აპონევროზი, რომელიც მუცლის კედლის ტონუსს განსაზღვრავს. სამწუხაროდ, თიაქარი თავისთავად არ ქრება. პაციენტმა, რომელსაც თიაქრის გამობერილობა აქვს, მიუხედავად იმისა, აწუხებს თუ არა იგი, ქირურგს უნდა მიმართოს, რათა გაირკვეს, ქირურგიული ოპერაცია სჭირდება თუ კონსერვატიული მეთოდებითაც შეიძლება მკურნალობა. ეს გულისხმობს სამკურნალო ვარჯიშებს (მაგრამ არა ძლიერ ფიზიკურ დატვირთვას), სპეციალური ბანდაჟის ტარებას.

კითხვა: მყავს 24 წლის ვაჟი, რომელთანაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას არ ჰქონია სქესობრივი კონტაქტი ქალთან. არც ცოლის მოყვანას ჩქარობს. ხომ არ გამოინვეფს ეს რაიმე დაავადებას?

პასუხი: თუ ამ ასაკში ვაჟს არა აქვს სქესობრივი ცხოვრების სურვილი, საფიქრებელია, რომ მას ამ სფეროში რაღაც დარღვევა აქვს და აუცილებლად სჭირდება სექსოპათოლოგის კონსულტაცია.

მაგრამ თუ ვაჟს აქვს სქესობრივი ცხოვრების სურვილი და თავს რაიმე მოსაზრების გამო იკავებს, ამ შემთხვევაში სხვაგვარი საფრთხე ჩნდება: თესლგამომყოფ გზებში ხდება სპერმის შეგუბება, შესაძლოა განვითარდეს ინფექცია და ჩამოყალიბდეს პროსტატიტი (წინამდებარე ჯირკვლის ანთება), რომლის მკურნალობას აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ პაციენტი რეგულარულ სქესობრივ ცხოვრებას დაიწყებს მუდმივ პარტნიორთან. უროლოგები ასეთ დროს ვაჟებს დაოჯახებას ურჩევენ ხოლმე.

ქვირის (24-30 მაისი)

პერიკლი - 21/III-20/IV

ქალი: გაბედულად დაიცავით საკუთარი პოზიცია - პრინციპულ საკითხებში მაინც. კარგი შანსი გაქვთ, დაგაწინაურონ სამსახურში ან პრემიას გამოჰკრათ ხელი. პარასკევს შეეცადეთ, მოერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს.

მამაკაცი: ვარსკვლავები იშვიათ შანსს გაძლევენ, ცოტა მიეშვით და ნაკლებად იფიქროთ ოჯახურ პრობლემებზე. მეტად იზრუნეთ საკუთარ თავზე და ყურადღებით მოეკიდეთ პირად ცხოვრებას.

კურო - 21/IV-21/V

ქალი: ყოველი დღე სიურპრიზებით იქნება აღსავსე. დადებითი ემოციები მოგეძალებათ და ირგვლივმოყვებენ ხალისიან განწყობილებას გადასდებთ. ამ კვირაში რომანტიკული პაემანიც გელოდებათ.

მამაკაცი: გაითვალისწინეთ, რომ ხელმძღვანელებთან კონფლიქტმა შეიძლება მთელი თქვენი გეგმები ჩაშალოს. ზედმეტად გულს ნურავის გადაუშლით, არ გააკრიტიკოთ კოლეგები. სამსახურებრივ პრობლემებზე ოჯახის წევრებთანაც კი ნუ ისაუბრებთ.

პარნოპი - 22/IV-21/V

ქალი: საინტერესო ადამიანებთან კონტაქტი დიდ სიამოვნებას მოგვკრით. ერთადერთი რამ, რისთვისაც ნაკლებად იცლით, ეს სამსახურია. არ გირჩევთ მხოლოდ საოჯახო საქმეებზე ზრუნვას - ჯობს, სხვა სფეროშიც გამოავლინოთ თქვენი შესაძლებლობები.

მამაკაცი: უმჯობესია, კვირის დასაწყისში სერიოზული პრობლემების მოგვარება დაიხსნოთ მიზნად. კვირის ბოლოს კი ოჯახის წევრებთან ერთად, ისეთ ადგილას გაემგზავრეთ, სადაც ჯერ არ ყოფილხართ.

პირნოპი - 22/VI-22/VII

ქალი: ეს კვირა საკმაოდ იღბლიანი იქნება თქვენთვის, მაგრამ ხუთშაბათსა და კვირას ფრთხილად იყავით: შესაძლოა, დაუფიქრებლობის გამო, სერიოზული შეცდომა დაუშვათ.

მამაკაცი: თუ პრობლემას ნაჩქარევად ან ძალიან მძიმე მეთოდით არ გადაწყვეტთ, თქვენი ცხოვრება მშვიდად წარიმართება. შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.

ასპროლოგიური პროგნოზი

ლოპი - 23/VI-23/VIII

ქალი: ამ კვირაში მეოცნებე ღომაში მიწაზე დაეშვებიან და ნათლად დაინახვენ იმ მიზეზებს, რაც ხელს უშლით, თავი ბედნიერ ადამიანებად იგრძნონ. ნუ მიმართავთ აგრესიას ოჯახის წევრებისკენ - ისინი ხომ თქვენი ჭეშმარიტი გულშემატკივრები არიან.

მამაკაცი: გადადგით ნაბიჯი სხვა ადამიანებისკენ. დაუახლოვდით ბიზნესპარტნიორებს. მხოლოდ საქმიანი ურთიერთობებით ფონს ვერ გახვალთ.

კალნული - 24/VI-23/IX

ქალი: ეს კვირა გავლილი მოვლენების ანალიზსა და საქმიანი ქალაქების მოწესრიგებას უნდა მონადომოთ. რაც მთავარია, თქვენს სულიერ მდგომარეობას ჩაუფიქრდით და ახალი გეგმები დაიხსნეთ.

მამაკაცი: უქმე დღეებში ჯობს, ზედმეტად არ დაიტვირთოთ თავი. სასიამოვნო შეხვედრა და რომანტიკული თავგადასავალი გელით. მოაწესრიგეთ თქვენი გარდერობი. ნივთები, რომელსაც ამ კვირაში შეიძინეთ, დიდხანს მოგეშაწურებათ.

სანსტრი - 24/IX-23/X

ქალი: ამ კვირაში დიდი ენერჯის ხარჯვა მოგიწევთ. ამიტომ კვირის ბოლოს თავს დასვენების უფლება მიეცით. გაემგზავრეთ სადმე, თუნდაც ახალგაყნობილ ადამიანთან ერთად. ვარსკვლავები საინტერესო თავგადასავალს გპირდებიან.

მამაკაცი: მთელი სისრულით შეიგრძნობთ, თუ რას ნიშნავს, იყო საქმიანი ადამიანი. თქვენი მოქმედება ამ კვირაში თქვენსავე აზრებს გაუსწრებს წინ. არ გირჩევთ ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებში გარისკვას.

დრინკალი - 24/IX-22/XI

ქალი: როგორც კი თავში ახალი იდეა მოგვიათ, მაშინვე მის განხორციელებაზე დაიწყეთ ფიქრი. ნებისმიერი საქმე, რომელსაც ამ კვირაში წამოიწყებთ, წარმატებით დაგვირგვინდება.

მამაკაცი: არ არის წიგნის კითხვის და ნებისმიერი დრო. თუ არ გააქტიურდებით და ფინანსური საკითხების მოგვარებაზე არ იზრუნებთ, შემდეგ კვირაში პრობლემებს ვერ ასცდებით.

მეზილოსანი - 23/XI-21/XII

ქალი: ამ კვირაში ნებისმიერი სახის კონფლიქტი თქვენ სასარგებლოდ გადაწყდება. შესაძლოა, ამის წყალობით, ბევრი ძველი მოწინააღმდეგე თქვენს მოკავშირედ იქცეს. კოლეგების მხარდაჭერაც გარანტირებული გაქვთ.

მამაკაცი: უქმეებში აუცილებლად გაისეირნეთ ქალაქარეთ - ბუნებასთან კონტაქტი ახალ ძალებს შეგძაბებთ. თქვენს ცხოვრებაში გამოჩნდება ქალი, რომელიც დიდ სიურპრიზს შემოგთავაზებთ.

თხის რკა - 22/XII-20/I

ქალი: ეს კვირა თქვენთვის აქტიური სასიყვარულო ურთიერთობით იქნება გამორჩეული. შეეცადეთ, გულის სწორს უბრალე მიზეზის გამო არ აწყენინოთ. ეჭვიანობის არანაირი საფუძველი არა გაქვთ. დატკბით მასთან სიახლოვით.

მამაკაცი: მიუხედავად იმისა, რომ ამ კვირაში განმარტობის სურვილი გექნებათ, გადაუღებელ ვიზიტებს მაინც ვერ ასცდებით. ნოსტალგია მოგეძალებათ. შაბათ-კვირას თქვენთვის ყველაზე სასიამოვნო დასვენება ძველი ფოტოსურათების დათვალიერება იქნება.

პერნეული - 21/I-19/II

ქალი: ენას კბილი დააჭირეთ, თორემ უსიამოვნება არ აცდებთ. დამაბული საუბარი გელით მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან. ამ დამაბულობას მხოლოდ საყვარელ ადამიანთან ერთად განმარტობა მოგიხსნით.

მამაკაცი: განსაკუთრებული კვირა გელით. პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელია. შესაძლოა, დიდი ხნის უნახავ მეგობართან ან სატრფოსთან უთანხმოება მოგივიდეთ. თუმცა, ახალი სიყვარული არც ისე შორსაა.

თეზეპი - 20/II-20/III

ქალი: თავს მკაცრი კონტროლი გაუწიეთ და ფული უყვარათოდ არ დახარჯოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული პრობლემები შეგექმნებათ. კარგი იქნება, თუ ამ კვირაში ძალაზეთ საერთოდ არ გაეკარებით.

მამაკაცი: რეალურად შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები და ჩამოწერთ მთელი კვირის გეგმები. შაბათი და კვირა სპორტს დაუთმეთ. კარგი იქნება, თუ ახლოდელი ადამიანების რჩევას ყურად იღებთ.

								ფებრუარი 2004-ის მხატვრული ქუჩა	იტალიური სამიკიტინო	მ ჯვინჯოლო „ყოფი კურდღლი“ (ვინჯოლო)		მწილის წვენი							
								პ	ტ	კ	შ	ნ	ა						
								მ	სამეიროს მიხეა დამცხეულისათვის	ა	ბ	კ	შხამიანი გომბეშო	ჟ					
								მ	ე	ვ	ა	ნ	შ	ი					
								ფილმ კრისტოფერ ლამბერის მონწილეობით	ე	ორი-გინალი		ამერიკელი მომღერალი და მსახიობი	ნ						
								ს	მეიოფასი საშენი მასალა	ბორტ-გამ-ცილებელი		ს	ა						
								ს	ა	ბ	ა	რიჩარდ ბარტონის ორჯერ ნატოლარი	ე	ჩიტის სატუსალო		ბ	ჟ	ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში	ნ
								ჟ	ვოლზუ ორთი „ფორსაიტების ...“	ნაღვლიანი გამწვობა	გვერდის დედაქალაქი	მ	ი	დინეს მულტფილში ამოსვლა ისრაელში		ა	ჟ	ი	ნ
	მ	ჩელსის ფეხბურთელი	ა	კ	ე	ნ	ე		ჟ	ა	სპორტული წოდება კარატეში	ა	UEFA-ს შტაბბინა (ქალაქი)	ი	სპილენძის სასულე საკრავი				
	მ	ა	ნ	მ	ნ	მ	ელიავა		ი	ტ	ე	ნ	ჟ	მ	პ				
	ს	საქვე-სათაო ლოცვა	აკლესის გულშემატკვართა თეატრი	ი	ნ	ა	ჟ	ნ		ა	ი	დამუნ-ტული ნაწილაკი		ი	მ	ნ	ი		
	ნ	ი	ტ	ა	ნ	ი	ა	იუგოსლავიური მალაზია მოსკოვში											
	ნ	ინასწარ გაღბილი თანხა	ტ	ი	პ	ე	პატარა ნაკადული		ჟ	პ									
	ბ	ე	გეომეტ-ფიგურა ჩინური ჭადრაკი		ჟ	მ	ბ	ი											
	მ	ბ	იტალიის ტელეკომპანია	ი	ნ	პ	ა		ნ										
	პ	ა	ჟ	გერმანიის პრეზიდენტი	ი	ბრიუს ...	ზ		შ										
	პ	ა	ნ	ა	ბ	ი	ა		ა										
	ს	ი	მ	იაპონური თეატრი	ქართული კვარტეტი „ოთხი ...“	შეადგინა რამაზ ალანია													

მე-12 გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტის პასუხები: 1-გ; 2-გ; 3-ა; 4-ა.



გაგონიერი სპონსორის მოსხმავი გაგონათმყვამი

პირველი აღმოჩენა

ყველა დროის გამოჩენილი მათემატიკოსი, ასტრონომი და ფიზიკოსი კარლ ფრიდრიხ გაუსი სამი წლისა იყო, უკვე ანგარიშში რომ იცოდა. ერთ საღამოს, მამამსა, როგორც ათისთავს, კალატოზების ხელფასი დაიანგარიშა და დაღლილს მაგიდასთან ჩაედინა. პატარა კარლ ფრიდრიხ გაუსმა, რომელიც გვერდით ეჯდა და ანგარიშს თვალს ადევნებდა, აიღო რიცხვებით შევსებული ქაღალდი, თვითონაც იანგარიშა და შეცდომა აღმოაჩინა.

– მამა, მამა, – წამოიძახა უცებ, – აი აქ, შენს ნანგარიშებში ხუთი უნდა იყოს და არა სამი.

შემკრთალმა მამამ თვალები გაახილა, სასწრაფოდ მეთორღ იანგარიშა და ნახა, რომ შეცდომა ჰქონდა დაშვებული. მან ჯიბიდან ერთი ჰელური ამოიღო და თავის პატარა ბიჭუნას კანფეტის საყიდლად მისცა. ბიჭუნამ ეს ფული არ დახარჯა, შემოინახა და როცა უკვე საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება გახდა, მაშინაც კი თან დაჰქონდა, როგორც პირველი აღმოჩენის სახსოვარი.

დაბნეული პროფესორი

ცნობილმა გერმანელმა ბუნებისმეტყვეელმა, ფილოსოფოსმა და ფსიქოლოგმა გუსტავ თეოდორ ფეჰნერმა ლექციის დაწყების წინ აღმოაჩინა, რომ მისი ფილეტის მარცხენა ჯიბეში ჩვეულებსისამებრ არ იღო საათი და მაშინვე, ასისტენტი იხმო:

– თუ შეიძლება, ჩემს მეუღლესთან წადით და უთხარით, რომ ჩემი საათი გამოვატანოთ. ალბათ, სასადილო ოთახის მაგიდაზე დამრჩა. წასვლას თუ არ დააყოვნებთ, ათ წუთში უკან დაბრუნდებით.

მერე დაბნეულმა ფილეტის მარჯვენა ჯიბიდან საათი ამოიღო და განავრძობი:

– ახლა ცხრა საათია, მამასადამე, თქვენ ლექციის დაწყებამდე კიდევ საკმაო დრო გაქვთ.

მეცნიერის ლაბორატორიაში

ერთ დღეს, რობერტ კოხს ლაბორატორიაში ახალგაზრდა ექიმი ეწვია. ტუბერკულოზის ბაცილების აღმოჩენი სპირტქურასთან ფუსფუსებდა, რომელზეც თავდასურული ქვაბი იდგა.

კოხმა ახალგაზრდა ექიმს კითხვით მიმართა:

– აბა, თუ მიხვდებით, რაზე ვმუშაობ?

– სტაფილოკოკებზე!

– არა.

– სტრეპტოკოკებზე!

– არა.

– სპიროქეტებზე!

– არა, არა.

– მაშინ წარმოდგენა არა მაქვს, პროფესორო, ამ ქვაბში რა უნდა იხარშებოდეს.

– ძეხვი, ჩემო კარგო, ძეხვი!.. – მიუგო კოხმა ღიმილით და ქვაბს სასურავი ახადა.

ანეკდოტები

მიხო ექიმს ცოლის ავადმყოფობის სიმპტომებს უყვება.

– ექიმო... მარო მთელი ღამე ძილში ყვირის: არა, მიტო, არა, მიტო... მე კიდენა მიხო მქვია...

– არაფერია... აი, როცა დაიწყებს – ჰო, მიტოვ... ჰო მიტოვო, – მაშინ გაქნება ცუდადა საქმე.

ცეკვის დროს, მიხოს მარო ჰყავს ჩაბლუჯული და ეჩურჩულება.

– ჰმ... გოვ... ჩემი თავი სამოთხეში მგონია...

– მართლა?... მე კი, თელავის ავტობუსში...

მორცხვი ქალიშვილი დედას შესჩივის:

– დედი... ჩემს ქმარს...

ქვემოდან – ჰაერი არ ჰყოფნის... ხე-მოდან – აქანებს... მარცხენა გვერდზე გული აწუხებს... მარჯვენა გვერდზე – ტელევიზორს ვერ უყურებს... რა ვქნა?!



აქოშინებულმა ქალმა ქუჩაში პოლიციელთან მიიღობინა:

– იცით, იმ მთვრალ მა-მაკაცს... ჩემი გა... გაუპატიურება უნდა...

პოლიციელმა ქალი შეათვალღერა და თავი მოიქეჯა:

– ჰო-ო... მართლა მთვრალია ეგ შობელმადლი...

სუფთა ინგლისური ანეკდოტი: კარგია, თუ თქვენი ჯენტლმენი ქმარი ერკვევა მოდაში, ცუდია, თუ ის ზოგჯერ თქვენს ტანსაცმელს იცვამს, მაგრამ ძალიან ცუდია, თუ მას ის უხდება.

სამხედრო ნაწილში პოლკოვნიკი ანეკდოტს ჰყვება. ყველა ჯარისკაცი თვალბეჭდით შესცივინებს და იცინის, ერთის გარდა.

– რიგითო ტარფაშვილო, რატომ არ იცი-ნი?!

– მე ამ ნაწილში აღარ ვმსახურობ...



რეკლამა საუნაში: „გააკეთე წყლის ეკონომია – მარტო ნუ იხანავებ!“

გავერობელებული მიტუა ფირუხასთან ტრაბახობს:

– მე და ჩემს ცოლსა ლოგინში ნამღვილი „პლეიბოი“ გვაქვს.

– იი... ეგ როგორა?

– თვეში ერთხელა... ოღონდ კარგათა...

ნაწყვეტი „წითელქუდას“ „საერემენი“ სცენარიდან:

წითელქუდა ტყეში მიდის. ამ დროს მგელი გამოჩნდა.

– შენ ეი, სულელი! – შესასხამგელმა.

– სულელი რატომ ვარ? – იწყინა გოგონამ. – ხედავ, წითელი ქუდი მახურავს, კაბაც წითელი მაცვია...

წითელი ფეხსაცმელი ბიცი... ღმერთო ჩემო, ისე, მართლა რა სულელიურად გამოვიყურები...

რამდენად განონსწორებული ხართ?



1) გაღიზიანებით თუ არა ზოგჯერ ადამიანების მიერ გამოვლენილი სიბრძნე ან მათი უნიათობა?

- ა) დიას, საკმაოდ ხშირად - 10 ქულა;
- ბ) იშვიათად, რამდენადაც შემოიღია ვცდილობ, რომ სხვა ადამიანების მიმართ მიმტვევებელი ვიყო - 5;
- გ) თითქმის არასოდეს, რამეთუ განსაკუთრებული მოთმინების უნარით გამოვიჩევი - 0.

2) ზოგჯერ ღამით თუ გამოგვიძვრება და თუ გიგრძნობ, რომ თქვენს გულს ბაგაბუგი გაუდის?

- ა) არა, არც ერთხელ - 0;
- ბ) დიას, როცა რაღაც პრობლემა მაწუხებს - 3;

გ) ხშირად. კარგა ხანია, რაც ისე კარგად აღარ მძინავს, როგორც ადრე - 7.

3) საკუთარი აზრის დასამტკიცებლად, კამათისას თუ შეგიძლიათ ხმის ჩახლერამდე იყვიროთ?

- ა) შემოიღია, მაგრამ ასე ძალზე იშვიათად ვიქცევი - 5;
- ბ) არა, ჩემთვის ეს საკმაოდ რთულია - 8;
- გ) რაღა თქმა უნდა, შემოიღია და საკმაოდ ხშირადაც ვიქცევი ასე, რამეთუ მიმაჩნია, რომ დროგამოშვებით ყვირის დროს ადამიანი მასში დაგროვილი ნეგატიური ენერგიისგან თავისუფლდება - 0.

4) მოგწონთ თუ არა თქვენი სხეული;

- ა) არა, ადრე უფრო მომწონდა - 5;
- ბ) საერთო ჯამში, კი, რამდენიმე დეტალის გამოკლებით - 2;
- გ) დიას, არაფრის შეცვლას არ ვისურვებდი - 0.

5) იმ შემთხვევაში, თუკი სატრფოსთან თქვენმა ურთიერთობამ კრახი განიცადა, როგორ გგონიათ, მაშინვე მოგეცემათ თუ არა რამდენიმე კანდიდატს შორის თავისუფალი არჩევანის საშუალება?

- ა) არა, ჩემი შესაფერისი ადამიანის გასაცნობად, საკმაოდ დიდი დრო დამჭირდება - 5;

ბ) ჩემ ირგვლივ ვილაც-ვილაცები არსებობენ, მაგრამ მათი კანდიდატურები არ მაკმაყოფილებს - 3;


გ) საოცრად დიდი არჩევანის საშუალება მაქვს - 0.

6) რამდენად ხშირად გეწონებათ კოშმარები?

- ა) თითქმის არასდროს - 0;
- ბ) საკმაოდ იშვიათად - 5;
- გ) თვეში ერთხელ მაინც - 10.

7) როგორ ფიქრობთ, კარგი, სანდო მეგობრების წრე გყავთ?

- ა) დიას, რა თქმა უნდა - 0;
- ბ) ძირითადად, უფრო ახლო ამხანაგების წრეში მიწევს ტრიალი - 3;
- გ) არა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი მაქვს - 5.



ტესტის პასუხები

0-17 ქულა: საოცრად მშვიდი, განონსწორებული ადამიანი ბრძანდებით; თქვენ შექმლით ისეთი შინაგანი პარმონიისათვის მიგელწიათ, როგორსაც სხვები მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ელტვიან. გირჩევთ, საკუთარ ორგანიზმს მომავალშიც სათანადო ყურადღება დაუთმოთ, რათა შეინარჩუნოთ ის განონსწორებული სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა, რომელსაც მიაღწევთ.

18-35 ქულა: გარეგნულად თითქოსდა არაფერი განუხებთ, მაგრამ შინაგანად რაღაც გლრლნი და თქვენს ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ინარჩუნებთ ფსიქიკურ ბალანსს, შეეცადეთ გაერკვეთ, რა თრგუნავს თქვენს

სულს. მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწევთ სულიერ პარმონიას.

36-50 ქულა: იმ ვულკანს ჰგავხართ, რომელიც საცაა ამოიფრქვევა და ყველას და ყველაფერს წაღეკავს. დროულად მიხედეთ თავს: თქვენთვის ახლა ძალზე მნიშვნელოვანია ორგანიზმის (როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური მდგომარეობის) გამაჯანსაღებელი პროგრამის გაგება. დაფიქრდით, თქვენ სომ სრულიად უმნიშვნელო რამეებიც კი გაღიზიანებთ, რამეთუ ყოველდღიურობის ნაკლებსასიამოვნო მოვლენები გულთან ძალიან ახლოს მიგაქვთ. ნუ გაუშვებთ ხელიდან საკუთარი ნერვული სისტემის დროულად მონესრიგების შანსს. მერე, შესაძლოა, ყველაფერი ძალზე დაგვიანებული აღმოჩნდეს.

ლონდონში უძველესი ნაბეჭდი ნიგნი გამოიფინა

დღესდღეობით კაცობრიობისთვის ცნობილი ყველაზე ძველი ნაბეჭდი წიგნი ლონდონში საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანეს. ეს წმინდა ბუდისტური ტექსტი ჩვენი ერის 868 წლით თარიღდება და მას „ალმასის სუტრა“ ჰქვია.

წიგნი ევროპაში საბეჭდი გამოცემის გამოჩენამდე ასეული წლების წინ გამოიცა. ის ჩინეთის დასავლეთით, დანხუნანის გამოქვაბულში იპოვეს 1900 წელს. ამჟამად წიგნი ლონდონის ბრიტანული ბიბლიოთეკის კოლექციაში ირიცხება.



„ალმასის სუტრა“ ექსპონატიის უძვირფასესი ექსპონატი და ცნობილი „აბრეშუმის გზის“ ხელოვნებასა და კულტურულ ტრადიციებს ეძღვნება – გზის, რომელიც ევრაზიის აღმოსავლეთსა და დასავლეთს აკავშირებს.

იეროგლიფები წიგნის ნაცრისფერ ფურცლებზეა დაბეჭდილი და ხის ყდა აქვს. როგორც არქეოლოგებმა დაადგინეს, წიგნის შექმნისას ბეჭდვის ტექნიკა მისი რამდენიმე ასლის დასამზადებლად გამოიყენეს.

ბრიტანეთის ბიბლიოთეკის თანამშრომლის სიუზან უიტფილდის თქმით, არქეოლოგების მიერ ნაპოვნი ასლი ვინმე ვან ცზის მიერ არის გაკეთებული 868 წლის მაისში.

ჩინეთში ქაღალდი და ბეჭდვის ტექნიკა „ალმასის სუტრას“ შექმნამდე გამოიყენებოდა, თუმცა, ეს პირველი ცნობილი გამოცემაა, რომელიც ზუსტად არის დათარიღებული.

სევასტოპოლში მოყოლადის ტანჯი შექმნეს



სევასტოპოლელმა კონდიტერმა ანატოლი ტუმანოვმა, რომელიც უკვე კარგა ხანია, ცნობილია თავისი ორიგინალური ქმნილებებით, ტანჯი „კეფხვის“ კილოგრამნახევრიანი შოკოლადის ასლი შექმნა. „კორპუსი ვაფლისაა, შიგნით კი მთლიანად შოკოლადია. მოძრავი ნაწილიც შოკოლადისაა, მუხლუხებიც კი“, – სიამოვნებით საუბრობს თავის ქმნილებაზე ტუმანოვი.

კონდიტერი ადრე ტანჯისტი ყოფილა და ამ დანადგარის ყველა დეტალი საგულდაგულოდ „გამოაცხო“, რისთვისაც სპეციალური ნახაზები გამოუყენებია. ტანჯის ტკბილი ასლის შესაქმნელად ოთხი დღე ყოფილა საჭირო.

ანატოლი ტუმანოვი უკვე ცნობილი ოსტატია არა მარტო უკრაინაში, არამედ გერმანიაში და რუსეთში. მას ბევრ საერთაშორისო ფესტივალში მიუღია მონაწილეობა. შარშანწინ კონდიტერმა შოკოლადისა და შაქარლამის ნახევარმეტრიანი ეიფელის კოპი შექმნა. ახლა კი მოსკოვის კონდიტერთა კონკურსისთვის ემზადება. თუმცა, ჯერ საიდუმლოდ ინახავს ახალ „ტკბილ“ პროექტს.

იტალიელი პოლიციელები „ღამბორჯინებით“ ივდიან

სულ ახლახან იტალიელი პოლიციელები საქვეყნოდ ცნობილი და პრესტიჟული სპორტული ავტომობილებით – „ღამბორჯინებით“ აღჭურვეს. ეს იტალიური წარმოების მანქანები ცნობილია არა მარტო ჩქაროსნული თვისებებით, არამედ მაღალი ფასითაც. „ღამბორჯინის“ ბოლო ვერსია, რომლის საჭესაც იტალიელი სამართალდამცველები მიუსხდებიან, 270 კმ/სთ-ს ავითარებს. ორადგილიან „ღამბორჯინი გოლარდოზე“ „ამხედრებული“ პოლიციელები იტალიის სამხრეთ ნაწილის ავტოსტრადებს გააკონტროლებენ.



ეს ძვირფასი ავტომანქანები პოლიციას „ღამბორჯინების“ დამამზადებელმა იტალიურმა ქარხანამ გადასცა.

„ეჰო მილიონის“ აბსოლუტური ჰეჰოხი დამყარდა

ლატარია „ვერო მილიონის“ მოგების ახალი რეკორდი დამყარდა. ერთ-ერთმა მოთამაშემ ხუთი ძირითადი და ორი დამატებითი ნომერი გამოიცილა და 33 მლნ ევროც მიიღო საჩუქრად. ლატარიის გათამაშება შაბათს საფრანგეთის ტელევიზიით გადაიციმორდა და ტრადიციულად, გამარჯვებულის ვინაობა საიდუმლოდ დარჩა.



ახალი ლატარია „ვერო მილიონი“ ამ ბაზარზე სამი მსხვილი ოპერატორის (ესპანეთიდან, საფრანგეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან) მიერ ჩამოყალიბდა 2004 წლის დასაწყისში, პირველი გათამაშება კი თებერვალში გაიმართა.



დღემდე ყველაზე დიდი მოგება 25,5 მლნ ევროს აღწევდა და ეს თანხა 9 აპრილს დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა დაისაკუთრა.

საფრანგეთში ლატარიის ისტორიაში ყველაზე დიდი მოგება 1997 წლის 23 მარტს დაფიქსირდა. ამ დღეს პოპულარული ფრანგული თამაშის „სუპერლოტოს“ ერთ-ერთ მონაწილეს ბედმა გაუღიმა და 23 მლნ ევრო მოიგო.

ეთოტოკუეხოზეზი




ინფორმაცია, ანალიზი, პროგნოზი, რჩევები...

694 / 18

შერეპორტაჟი REAL ESTATE
НЕДВИЖИМОСТЬ
 Weekly magazine
 ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ ЖУРНАЛ
 ფასი: 80 თ.
 №4 18.05.2004
 ყოველკვირეული სარეკლამო შერეპორტაჟი


ნოქერპია:



როგორ ვიძირაოთ ბინა

თბილისი შეიქცევა კავკასიის მეგაპოლისი გახდეს
TBILISI MAY TURN INTO CAUCASIAN MEGAPOLIS
ТБИЛИСИ МОЖЕТ СТАТЬ КАВКАЗСКИМ МЕГАПОЛИСОМ

რა უნდა ვიცოდეთ გუანებარე ბინის ყიდვისას




აბარაკის ამოუცნობი სიბღი

რა ღირს ბინა პაილ-პარკთან

გსოფლიოს უკვირესი სასტაბი



თბილისის რუკა



აუზები - ახალი მანია